

ელენე ფილაშვილი

პრედიკაცია და წინადადების
აგებულების საკითხი
ახალ ქართულში

იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის
სახელმწიფო უნივერსიტეტი



ელენე ფილაშვილი

პრედიკაცია და წინადადების
აგებულების საკითხი ახალ ქართულში



გამომცემლობა „უნივერსალი“
თბილისი 2010

რედაქტორი: **რეინ ჭიკაბე**
პროფ. ფილოლოგიის მეცნიერე-
ბათა დოქტორი

რეცენზენტები: **გიორგი გოგოლაშვილი**
პროფ. – ფილოლოგიის მეცნიერე-
რებათა დოქტორი

ნუნუ გელდიაშვილი
პროფ. – ფილოლოგიის მეცნიერე-
რებათა დოქტორი

თეა ბურჭულაძე
პროფ. – ფილოლოგიის აკადემიური
დოქტორი

© ე. ფილაშვილი, 2010

გამომცემლობა „უნივერსალი“, 2010

თბილისი, 0179, ი. წავასავაძის გამზ. 19, ☎: 22 36 09, 8(99) 17 22 30

E-mail: universal@internet.ge

ISBN 978-9941-17-214-4

Iakob Gogebashvili Telavi State University



Elene Pilashvili

Predication and the issue of the sentence
structure in new Georgian Language



Publishing House "UNIVERSAL"
Tbilisi 2010

Editor: **Roin Chikadze**
– Doctor of philological Sciences,
Professor

Reviews by: **Giorgi Gogolashvili**
– Doctor of philological Sciences,
Professor

Nunu Geldiashvili
– Doctor of philological Sciences,
Professor

Tea Burchuladze
– Academical Doctor of Philology,
Professor

© E. Pilashvili, 2010

Publishing House **"UNIVERSAL"**

19, L. Chavchavadze Ave., 0179, Tbilisi, Georgia ☎: 22 36 09, 8(99) 17 22 30

E-mail: universal@internet.ge

ISBN 978-9941-17-214-4

ახტორისაბან

გულწრფელ მადლობას მოვახსენებთ თანამდგომებს, ვინც გვეხმარებოდა ამ ნაშრომის გამოსაცემად მომზადებაში. განსაკუთრებული მადლიერება მინდა გამოვხატო ჩემი სადოქტორო დისერტაციის მეცნიერ-ხელმძღვანლის პროფესორ როინ ჭიკაძის მიმართ, რომლის კვალიფიციური რჩევებითა და კონსულტაციებით დაიწერა ეს ნაშრომი. მანვე უშურველად იტვირთა რედაქტორის მძიმე ტვირთი.

ბატონ როინთან მუშაობამ ბევრი რამ შემიძინა და გამიკვლია გზა ლინგვისტური პრობლემების ლაბირინთებში. წინამდებარე წიგნში წამოყენებული დებულებები და დასკვნები უშუალოდ ემყარება პროფ. როინ ჭიკაძის მიერ ქართული წინადადების შედგენილობისა და კონსტრუქციის თაობაზე შემუშავებულ თვალსაზრისს, კერძოდ: ნაცვლად ტრადიციული კლასიფიკაციისა (მარტივი, შერწყმული, რთული), შემოთავაზებულია წინადადების აგებულების ახლებური გააზრება. ნაშრომში შესწავლილია მწკრივთა თანამიმდევრობისა და შეფარდების მოდელები, აგრეთვე განხილულია მწკრივისა და დროის ურთიერთმიმართების საკითხი როგორც დინამიკურ ზმნიან, ისე სტატიკურ ზმნიან პოლიპრედიკატულ კონსტრუქციაში.

ნაშრომი დაეხმარებათ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტებს სამეცნიერო თვალსაწიერის გაფართოებაში.

ვფიქრობთ, კვლევის შედეგები გარკვეულ წვლილს შეიტანს ქართული წინადადების შესწავლის საქმეში. თუ რამდენად ადეკვატურია ეს კვლევა, ამის განსჯა სპეციალისტებისთვის მიგვინდია.

In the monograph "Predication and the issue of the sentence structure in new Georgian Language", the system of the structure of Georgian sentence has been discussed. The structural peculiarities of Georgian sentence have been studied, privately: a) the structural interrelationships of the simple sentence and the so called sentence with homogeneous parts; b) the structural inter-relationships of the so called sentence with homogeneous parts and a compound sentence: it is considered that the simple sentence and the so called sentence with homogeneous parts are quite identical structural units. These kinds of sentences (with homogeneous subject, homogeneous direct object, homogeneous indirect object, homogeneous simple object, homogeneous attribute, and homogeneous adverb) should be discussed in one section and should be called as the mono-predicative sentence.

The structural inter-relationship of the sentence with homogeneous parts and the compound sentence with the homogeneous predicative has been discussed and established that they have one mutual syntactical basis – para-taxal construction.

On the basis of the abundant illustrated material, the models of lines succession as in a sentence with homogeneous parts with homogeneous predicative, as well in a compound and complex sentences have been shown.

The semantic feature of the stative verbs comparing with the dynamic verb has been shown and the conclusion, that the stative verbs of the past tense are interrupted with its form and continuous with its content, has been made.

In para-taxal and hypo-taxal constructions, the question of line and time inter-relationship has been studied and shown that the line, together with the expression of main opportune meaning has the ability to show us the different tenses. According the contexts, sometimes the line is empty from the

tense understanding and has the meaning of the so called "general present tense".

In the scientific work, the relative models of lines in hypo-taxal construction have been discussed; it has been shown that the predicates of the principal and the subordinate clauses conform to each other in the same tense. And next to them it is not very rare the cases of conformation in different times.

It is established that in hypo-taxal construction, the choice of the line is not arbitrary. It is defined by the line of the verb-predicate of the principal clause. We confirmed the impossible combinations of the lines in different kinds of subordinate clauses. Some of the models are numerous and some of them we meet rarely.

We used the Ilia Chavchavadze, Akaki Tsereteli and Vaja Pshavela's texts of the works (prose) as the analysis material. As it was impossible to witness all the models, we enclosed the statistic schedules and the frequencies of the line models according the conjunctives to all the main subjects.

შესავალი

წინამდებარე სადოქტორო ნაშრომში „პრედიკაცია და წინადადების აგებულების საკითხი ახალ ქართულში“ განხილულია ქართული წინადადების აგებულების სისტემა. შესწავლილია ქართული წინადადების სტრუქტურული თავისებურებანი, კერძოდ: ა) მარტივი და ე.წ. შერწყმული წინადადების სტრუქტურული ურთიერთმიმართებანი; ბ) ე.წ. შერწყმული და რთული თანწყობილი წინადადების სტრუქტურული ურთიერთმიმართებანი. მიჩნეულია, რომ მარტივი და ერთშემასმენლიანი ე.წ. შერწყმული წინადადებები სავსებით იდენტური სტრუქტურული ერთეულებია. ასეთი სახის წინადადებები (ერთგვარქვემდებარეანი, ერთგვარპირდაპირდამატებიანი, ერთგვარიზბდამატებიანი, ერთგვარუბრალოდამატებიანი, ერთგვარგანსაზღვრებიანი და ერთგვარგარემოებიანი) ერთ ჭრილში უნდა განიხილებოდეს და იწოდებოდეს მონოპრედიკატული წინადადების სახეობად.

გამოკვლეულია ერთგვარშემასმენლიან შერწყმულ და რთულ თანწყობილ წინადადებათა სტრუქტურული ურთიერთმიმართება და დადგენილია, რომ მათ აქვთ ერთი საერთო სინტაქსური საფუძველი – პარატაქსული კონსტრუქცია.

უხვი საილუსტრაციო მასალის საფუძველზე გამოვლენილია მწკრივთა თანამიმდევრობის მოდელები როგორც ერთგვარშემასმენლიან შერწყმულ, ისე რთულ თანწყობილ და ქვეწყობილ წინადადებაში.

პარატაქსულსა და ჰიპოტაქსურ კონსტრუქციებში შესწავლილია მწკრივისა და დროის ურთიერთმიმართების საკითხი და ნაჩვენებია, რომ ერთსა და იმავე მწკრივს ძირითადი დროული მნიშვნელობის გამოხატვასთან ერთად შესწევს უნარი, გვიჩვენოს სხვადასხვა დრო. კონტექსტის მიხედვით ზოგჯერ

მწკრივი დაცლილია დროული გაგებისაგან და ე.წ. „ზოგადი აწმყოს“ მნიშვნელობის მატარებელია.

ნაშრომში აგრეთვე განხილულია მწკრივთა შეფარდებითი მოდელები ჰიპოტაქსურ კონსტრუქციაში; ნაჩვენებია, რომ მთავარი და დამოკიდებული წინადადებების ზმნა-შემასმენლები ერთმანეთს ეფარდებიან ძირითადად ერთსა და იმავე დროში. მათ გვერდით არც თუ იშვიათია სხვადასხვა დროში შეფარდების შემთხვევებიც.

ცხადი გახდა, რომ ჰიპოტაქსურ კონსტრუქციაში მწკრივის არჩევანი ნებისმიერი არ არის. მას განსაზღვრავს მთავარი წინადადების ზმნა-შემასმენლის მწკრივი. დავადასტურეთ მწკრივთა შეუძლებელი კომბინაციებიც სხვადასხვა სახის დამოკიდებულ წინადადებებში. ზოგიერთი მოდელი სიხშირით გამოირჩევა, ზოგი კი შედარებით იშვიათად გვხვდება.

ნაჩვენებია სტატიკურ ზმნათა სემანტიკური ბუნება დინამიკურ ზმნასთან შეპირისპირებით, რითაც დადასტურდა დებულება, რომლის მიხედვითაც ნამყო დროის სტატიკური ზმნები ფორმით წყვეტილია, ხოლო შინაარსით – უწყვეტელი.

ნაშრომში დასმული საკითხების განხილვისას ვითვალისწინებდით ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულ მოსაზრებებს.

ქართული წინადადების სიღრმისეულ კვლევას საფუძველი ჩაუყარეს: აკ. შანიძემ, არნ. ჩიქობავამ, ლ. კვაჭაძემ, შ. ძიძიგურმა, ანტ. კიზირიამ და სხვა მკვლევარებმა.

აკ. შანიძემ ჯერ კიდევ 1939 წელს გამოსულ „ქართული ენის გრამატიკაში“ (სახელმძღვანელო არასრული საშუალო სკოლის V-VII კლასებისათვის) განიხილა სინტაქსის კარდინალური საკითხები, რითაც საფუძველი ჩაუყარა ქართული წინადადების კვლევას.

არნ. ჩიქობავამ მონოგრაფიაში „მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში“ (1968) დაასაბუთა, რომ აბსოლუტურ-გარდაუვალ ზმნიან წინადადებაში სახელი (ქვემდებარე) მართავს ზმნას პირში, ხოლო რელატიურ-გარდაუვალ ზმნიან და რელატიურ-გარდამავალ ზმნიან წინადადებაში სახელები მართავენ ზმნას პირში და იმართვიან ზმნისაგან ბრუნვაში, ე.ი. ზმნასა და მასთან მორფოლოგიურად დაკავშირებულ სახელებს შორის არის საურთიერთო მართვა ანუ კოორდინაცია. მეცნიერული ანალიზის შედეგად მკვლევარმა მიიღო წინადადების შემდეგი განსაზღვრა: „წინადადება არის შესიტყვება, აგებული ზმნისა და სახელისაგან კოორდინაციის თუ მართვის საფუძველზე (კოორდინაციისა – რელატიურ – ზმნიან წინადადებაში, მართვისაზე – აბსოლუტურ ზმნიანში)“ (ჩიქობავა, 1968, 234).

არნ. ჩიქობავამ ძველი ქართულის მასალის ანალიზით გვიჩვენა, რომ:

1. ქართული წინადადების სინტაქსური მექანიზმი ხასიათდება რიგი თავისებურებით, რაც არსებითად განასხვავებს მას ევროპის ძველ და ახალ ენათა წინადადების სინტაქსური მექანიზმისგან.

2. ამ სინტაქსურ თავისებურებათა წყაროა მორფოლოგიური თავისებურება. ზმნაში სუბიექტის პირისა და რიცხვის გარდა ობიექტის პირის და რიცხვის აღნიშვნაც, რის გამოც:

3. ორპირიან ზმნაბში გარდამვალშიცა და გარდაუვალშიც, სუბიექტი და ობიექტი არსებითად ერთნაირი სინტაქსური უფლებით სარგებლობს: სუბიექტის სინტაქსური ძალა განელებულია, ობიექტისა – გაძლიერებული, და ამის შედეგად სინტაქსური დაპირისპირება სუბიექტისა (ქვემდებარისა) და ობიექტისა (დამატებისა) მოხსნილია, დამატება ქვემდებარეს ეტოლება... დამატება წინადადების მეორეხა-

რისხოვანი წევრი კი არაა, არამედ ისეთივე „მთავარი“ წევრია, როგორც ქვემდებარე (ჩიქობავა, 1968, 269).

მკვლევარი აქვე მიუთითებს: „ახალ ქართულში წინადადების სინტაქსური მექანიზმის სქემატურმა ანალიზმა ცხადი გახადა, რომ სიტყვათა სინტაქსური ურთიერთობის პრინციპი არ შეცვლილა, არც შეიძლებოდა შეცვლილიყო, რამდენადაც დაგვრჩა წინანდელი მორფოლოგიური საფუძველი: ზმნის პოლიპერსონალურობა“ (ჩიქობავა, 1968, 269).

„წინადადების საკითხი – ყველაზე მწვავე საკითხია თანამედროვე სინტაქსში; ეს ის წერტილია, სადაც თავს იყრიან და ერთურთს სცილდებიან სინტაქსურ პრობლემათა გარშემო ამუშავებული აზროვნების სხვადასხვა მიმართულებანი; წინადადების პრობლემის გადაწყვეტა მჭიდროდ არის დაკავშირებული სინტაქსის გაგებასთან, ხოლო სინტაქსის შინაარსი, ფარგლები და ადგილი საენათმეცნიერო დისციპლინათა შორის – თავსამტვრევი საკითხია ზოგადი ენათმეცნიერებისა“ (ჩიქობავა, 1968, 1).

დ. კვაჭაძე ნაშრომში „თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი“ (1996) აღნიშნავს, რომ ზმნის ფორმა განსაზღვრავს საყრდენ ანუ მთავარ წევრთა რაოდენობას წინადადებაში. ზმნა-შემასმენელთან დაკავშირებულია სუბიექტურ და ობიექტურ პირთა ფარდი სახელები, წინადადების მთავარი წევრები (ქვემდებარე, ირიბი დამატება, პირდაპირი დამატება), შემასმენელსვე უკავშირდება წინადადების არამთავარი წევრებიც – უბრალო დამატება და გარემოება. აქედან ნათლად ჩანს, რომ ზმნა-შემასმენელი სიტყვათა შეკავშირების თვალსაზრისით შეუდარებელია. „ის ცალკე აღებულიც წინადადებაა, მაშასადამე, შემასმენელი არა მარტო ერთ-ერთი მთავარი წევრია წინადადებისა, არამედ სხვა მთავარ წევრთა შემცველიც“

(კვაჭაძე, 1996, 72). მკვლევარმა დასახელებული ნაშრომის მეოთხე შევსებულ გამოცემაში შერწყმულ წინადადებას თანწყობილწევრებიანი წინადადებაც უწოდა (1996, 261) და გაიზიარა რ. ჭიკაძის, გ. ბურჭულაძისა და ლ. ენუქიძის თვალსაზრისები აღნიშნულ საკითხებზე.

აკ. დავითიანი ნაშრომში „ქართული ენის სინტაქსი“ (1973) მიუთითებს, რომ „კონსტრუქციის შექმნის აუცილებელ პირობას, მის ღერძს წარმოადგენს ზმნა-შემასმენელი“ (დავითიანი, 1973, 313). წინადადება კი არის „მეტყველების გრამატიკული ერთეული, რომელიც ობიექტის სინამდვილის რაიმე ნაწილს გამოხატავს. სინტაქსური სტრუქტურა წინადადების (აზრის გამოხატვის) ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია. წინადადების გრამატიკულ სტრუქტურაში გამოიყოფა მიკრო და მაკრო დონეები. მაკროსინტაქსური დონისაა კონსტრუქცია, ხოლო მიკროსინტაქსურისა – მისი შემადგენელი ერთეულები: შესიტყვებანი, სიტყვათშეხამებანი და სიტყვები (წინადადების წევრები)“ (დავითიანი, 1973, 107-108).

ქართულში შემასმენელს უკავშირდება პრედიკატულობა. იგი აუცილებელი პირობაა წინადადების ასაგებად. პრედიკაცია დებს მიჯნას მარტივსა და რთულ წინადადებებს შორის. „მარტივი წინადადებისათვის დამახასიათებელის ერთი პრედიკატული ერთეული (მონოპრედიკატულობა, მონოსტრუქტურა), ხოლო რთულში გვაქვს ორი ან მეტი პრედიკატული ერთეული (პოლიპრედიკატულობა, პოლისტრუქტურა)“ (დავითიანი 1973, 171).

მარტივი წინადადება ტიპოლოგიურად შეისწავლა რუს. ასათიანმა ნაშრომში „მარტივი წინადადების ტიპოლოგიური ანალიზი“ (1982). მან მიზნად დაისახა უნივერსალური სიღრმისეული სტრუქტურის წარმოდგენა მარტივი წინადადებისათვის და ამ სიღ-

რმისეული სტრუქტურის ზედაპირულ სტრუქტურად გარდაქმნის ძირითადი ტიპოლოგიური მექანიზმების დადგენა სხვადასხვა წყობის ენისა და, კერძოდ, თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის მონაცემების გათვალისწინებით. „განსაზღვრული სიღრმისეული სტრუქტურა საერთოა ყველა ენისთვის – უნივერსალურია. მარტივი წინადადების სტრუქტურულ თავისებურებებს განაპირობებს ვალენტობის სხვადასხვაგვარობა ბუნებრივ ენებში“ (ასათიანი, 1982, 21). მარტივი წინადადების სიღრმე განისაზღვრება ზმნითა და მასთან ლოგიკურ-სემანტიკურად დაკავშირებული სახელებით (ასათიანი, 1982, 39).

რ. ჭიკაძე ნაშრომში - „წინადადების პარაქსული კონსტრუქცია ქართულში“ წერს: „ტერმინები: „მარტივი წინადადება“, „რთული წინადადება“ სათანადოდ ვერ ასახავს ამ სინტაქსურ ერთეულთა სტრუქტურულ არსს“. ფაქტობრივად თავისი სტრუქტურით ე.წ. „მარტივი წინადადება“ უაღრესად რთულია; მითუმეტეს, ეს ითქმის ქართულ წინადადებაზე. „რთული“ კი შედგება „უაღრესად რთული მარტივი წინადადებებისაგან“. ამიტომაც წინადადებათა დაყოფა „მარტივ“ და „რთულ“ სინტაქსურ ერთეულებად გაუმართებლად მიგვაჩნია. მაშასადამე, აგებულების მიხედვით გვეჩნება არა „მარტივი“ და „რთული“, არამედ მონოპრედიკატული და პოლიპრედიკატული წინადადებები. ეს უკანასკნელი თავის მხრივ ორი სახისაა: პარატაქსული და ჰიპოტაქსური“ (ჭიკაძე, 1995, 168).

ჩვენ მთლიანად ვიზიარებთ გამოთქმულ მოსაზრებას და მიგვიჩნია, რომ ე.წ. შერწყმული წინადადება ან მარტივი წინადადების ერთ-ერთი სახეა, ანდა თანწყობილისა.

მონოპრედიკატული ე.წ. შერწყმული წინადადების სტრუქტურა მარტივი წინადადების ტოლფასია,

ამიტომ ასეთი სახის კონსტრუქცია ჩვენ მარტივი წინადადების ერთ-ერთ სახეობად მიგვაჩნია, ხოლო პოლიპრედიკატული – პარატაქსულია.

ანტ. კიზირიამ თავის მონოგრაფიებში მარტივი წინადადება შეისწავლა წევრთა შემადგენლობის მიხედვით, წინადადების აგებულება მთავარ და მეორე ხარისხოვან წევრთა მიმართებაში, ვრცლად განიხილა შესიტყვების საკითხი და მიუთითა, რომ „ყველა ტიპის წინადადება ემყარება სიტყვათა ორგანიზებულ ურთიერთობას“ (კიზირია, 1982, 62).

ანტ. კიზირიამ ყურადღება გაამახვილა მარტივ, შერწყმულ, რთულ თანწყობილ და რთულ ქვეწყობილ წინადადებებზე შემდეგ მონოგრაფიებში: „მარტივი წინადადების შედგენილობა ქართველურ ენებში“ (1982); „მარტივი წინადადების შედგენილობა ძველ ქართულში“ (1963); „მარტივი წინადადების ტიპები წევრთა შედგენილობის მიხედვით და კომუნიკატივები“ (1987); „რთული თანწყობილი წინადადება ძველ ქართულში“ (1955); „შერწყმული წინადადება ქართულში“ (1952); „რთული წინადადების შედგენილობა ძველ ქართულში“ (1969).

გენ. ბურჭულაძემ ნაშრომში „ერთგვარშემასმენლიანი შერწყმული წინადადება ქართულში“ (1979) ერთგვარშემასმენლიანი შერწყმული წინადადების შესახებ გამოთქვა მოსაზრება, რომლის თანახმადაც წინადადება, რომელშიც ერთ დამატებასთან რამდენიმე შემასმენელი გვაქვს შერწყმულად უნდა მივიჩნიოთ და არა თანწყობილად (ბურჭულაძე, 1979, 149-150).

ლ. ენუქიძე ნაშრომში „ძირითადი სინტაქსური თეორიები თანამედროვე საზღვარგარეთულ ენათმეცნიერებაში“ წერს: „თანამედროვე ენათმეცნიერებაში ნებისმიერი ენისათვის წინადადების ცენტრად მიჩნეულია ზმნა, ზმნა ასახელებს კონკრეტულ სიტყვა-

ციას, მოქმედებას, რომლის ირგვლივაც განლაგებულია არიან მოქმედები პირები, აქტანტები. რამდენი ზმნაცაა იმდენია წინადადება, თუმცა შესაძლებელია ზმნის ადგილი შევსებული არ იყოს მოქმედი პირებით, აქტანტებით“ (ენუქიძე, 1987, 125). ლ. ენუქიძეს ერთგვარშემასმენლიანი შერწყმული წინადადება რთული თანწყობილი წინადადების კერძო შემთხვევად მიაჩნია.

დ. გრიქურთვამ ნაშრომში „თანწყობილ წინადადებაში შემავალი კომპონენტების აღწერა“ (1983) განიხილა აზრობრივი მიმართებები თანწყობილ წინადადების კომპონენტებს შორის, კერძოდ, გამოყოფილი კომპონენტების სემანტიკური ტიპები და ქვეტიპები.

ლ. კვანტალიანმა ნაშრომში „ქართული ზეპირი მეტყველების სინტაქსის საკითხები“ (1990) განიხილა სინტაქსის ზოგიერთი საკითხი, როგორცაა: ორზმნიანი მარტივი კონსტრუქციები, შემოკლებული რთული წინადადებები, ერთპრედიკატიანი ქვეწყობა, რთული წინადადების ნაწილების განლაგება და სხვა.

შ. ძიძიგურმა რთული ქვეწყობილი წინადადების წარმომავლობისა და განვითარების საკითხი განიხილა ნაშრომში „კავშირები ქართულ ენაში“ (1973) კავშირის კატეგორიასთან დაკავშირებით. მისი აზრით, ქართული ენის რთული ქვეწყობილი წინადადების კონსტრუქცია ძირითადად მომდინარეობს თანწყობის კონსტრუქციისაგან (1973, 441).

გ. რთვაგამ რთული ქვეწყობილი წინადადების გენეზისის საკითხს მიუძღვნა სპეციალური გამოკვლევა „ჰიპოტაქსის საკითხისათვის ქართულში“ (1948). მან დამოკიდებული წინადადება ქართულში კითხვითი წინადადებისაგან მომდინარედ მიიჩნია: „ქვეწყობილი წინადადება სტრუქტურულად წარმოადგენს კითხვითი წინადადებისა და მისი საპასუხო

წინადადების შეერთების შედეგს. ოღონდ, ამ შეერთების საფუძველზე კითხვით წინადადებას (resp. დამოკიდებულ წინადადებას) უკვე დაკარგული აქვს კითხვითი შინაარსი“ (დამოწმებულია ფ. ერთელიშვილის ნაშრომიდან „რთული წინადადების ისტორიისათვის ქართულში“ (1962, 195).

ფ. ერთელიშვილმა ნაშრომში „რთული წინადადების ისტორიისათვის ქართულში“ (1962) განიხილა ჰიპოტაქსის საკითხები, კერძოდ, მიმართებითი ნაცვალსახელების, მიმართებითი ზმნიზედებისა და კავშირების შემცველ წინადადებათა ქვეწყობა ქართულში, ე.წ. „ცნობიერება წრის“ ზმნიანი წინადადებები და სხვა. მიჩნეულია, რომ „წინადადება, როგორც აზრის შემცველი ოდენობა, სემასიოლოგია – სტილისტიკის საგანი იქნებოდა, წინადადებაში სიტყვათა შეკავშირების წესები – სინტაქსისა, წინადადებაში სიტყვათა ცვლილების წესები – მორფოლოგიისა (ერთელიშვილი, 1962, 251).

ლ. გეგუჩაძემ ნაშრომში „მწკრივთა შესაძლო შეფარდებისა და დროთა თანამიმდევრობის საკითხი ჰიპოტაქსურ კონსტრუქციაში“ (2005) მიუთითა, რომ ზმნა-შემასმენელთა შეფარდების თვალსაზრისით გასათვალისწინებელია შემდეგი გარემოებანი: „ჯერ ერთი: მთავარი წინადადების ამა თუ იმ მწკრივს დამოკიდებულში შეესაბამება რამდენიმე, მაგრამ არა ნებისმიერი მწკრივის ფორმა. მწკრივთა შესაძლო კომბინაციებიდან ზოგიერთი მრავალრიცხოვანია და უფრო მეტად გავრცელებული, ზოგი კი იშვიათად გვხვდება.

და მეორეც, თითოეული ტიპი რთული ქვეწყობილი წინადადებისა განსხვავებულ ვითარებას გვიჩვენებს.“ (გეგუჩაძე, 2005, 6).

წინამდებარე სადოქტორო ნაშრომში განხილულია ქართული წინადადების ისეთი კარდინალური

საკითხები, როგორცაა: ზმნა-შემასმენელი და წინადადების სტრუქტურა, მარტივ და შერწყმულ წინადადებათა სტრუქტურული ურთიერთმიმართების საკითხისათვის, ერთგვარშემასმენლიანი შერწყმული და რთული თანწყობილი წინადადების სტრუქტურული ურთიერთმიმართების საკითხისათვის, მწკრივთა თანამიმდევრობის მოდულები პარატაქსულ და ჰიპოტაქსურ კონსტრუქციებში და სხვა.

ნაშრომში დაისვა მისამართი წევრის როლისა და ფუნქციის საკითხიც. სწორედ მისამართ წევრთა და ზმნა-შემასმენელთა ურთიერთობით დგინდება შერწყმულ და რთულ თანწყობილ წინადადებათა სტრუქტურული ურთიერთმიმართებანი.

დისერტაციაში ვრცლად განვიხილეთ მორფო-სინტაქსური საკითხებიც; კერძოდ, მწკრივთა შესაძლო თანამიმდევრობანი და შეფარდებანი პარატაქსულ და ჰიპოტაქსურ კონსტრუქციებში და შევაჯერეთ მწკრივისა და დროის კატეგორიები; ერთი მხრივ, დროისა და მწკრივის ურთიერთმიმართების საკითხი დინამიკურ ზმნიან პოლიპრედიკატულ წინადადებაში და მეორე მხრივ, დროისა და მწკრივის ურთიერთმიმართების საკითხი სტატიკურ ზმნიან პოლიპრედიკატულ წინადადებაში.

დავეყრდენით თვალსაზრისს, რომლის მიხედვითაც შერწყმული წინადადება ან მარტივი წინადადების ერთ-ერთი სახეა, ან თანწყობილისა. ე.წ. ერთგვარშემასმენლებიანი შერწყმული წინადადება არ გავმიჯნეთ რთული თანწყობილი წინადადებისაგან, რადგანაც მათ აქვთ ერთი საერთო სინტაქსური საფუძველი – პარატაქსული კონსტრუქცია; ხოლო სხვა ერთშემასმენლიანი შერწყმული წინადადება კი მონოპრედიკატული წინადადების სახეობად გავიაზრეთ.

ჰიპოტაქსის საკითხზე მსჯელობისას, ამჯერად, მთავარი და დამოკიდებული წინადადების შემასმენელთა მწკრივისა და დროის შეფარდებითი მოდელების ანალიზით შემოვიფარგლოთ.

აღნიშნული თვალსაზრისის მიხედვით ნაცვლად ტრადიციული კლასიფიკაციისა (მარტივი, შერწყმული და რთული) შემუშავდა წინადადების აგებულების ახალი თვალსაზრისი:

I. მონოპრედიკატული: მონოტაქსური ანუ ოდენწყობილი;

II. პოლიპრედიკატული: ა) პარატაქსული ანუ თანწყობილი;

ბ) ჰიპოტაქსური ანუ ქვეწყობილი (ჭიკაძე, 1995).

აღნიშნული კლასიფიკაციით კიდევ უფრო ნათლად გამოიკვეთა პრედიკაციის განმსაზღვრელი როლი წინადადების კონსტრუქციული მთლიანობის ჩამოყალიბებაში.

წინადადების განმარტებისათვის

ქართული წინადადების კვლევას დიდი ხნის ისტორია აქვს. იგი ანტონ პირველის გრამატიკიდან იწყება. ამ დროიდან მოყოლებული მუდმივად შეისწავლებოდა ქართული წინადადების თავისებურებანი.

„წინადადების საკითხი – ყველაზე მწვავე საკითხია თანამედროვე სინტაქსში; ეს ის წერტილია, სადაც თავს იყრიან და ერთურთს სცილდებიან სინტაქსურ პრობლემათა გარშემო ამუშავებული აზროვნების სხვადასხვა მიმართულებანი; წინადადების პრობლემის გადაწყვეტა მჭიდროდ არის დაკავშირებული სინტაქსის გაგებასთან, ხოლო სინტაქსის შინაარსი, ფარგლები და ადგილი საენათმეცნიერო დისციპლინათა შორის – თავსამტვრევი საკითხია ზოგადი ენათმეცნიერებისა“ (ჩიქობავა, 1968, 1).

გრამატიკოსები მიუთითებენ, „რომ წინადადება როგორც შესიტყვება, სხვადასხვა ენაში სხვადასხვა საშუალებით იქმნება. ზოგადად, წინადადების გამოხატვის სამი საშუალება არსებობს: 1) დამოკიდებულების აღმნიშვნელი აფიქსები; 2) სიტყვათა ადგილმდებარეობა; 3) ინტონაცია.

აქედან გამომდინარე, წინადადების ძირითადი ნიშნებია: სიტყვათა ორგანიზებული შეკავშირება, პრედიკატულობა, აზრობრივი და ინტონაციური დამთავრებულობა, სტრუქტურული მთლიანობა“ (ფეიქრიშვილი, 1996, 14-15).

როგორც აღინიშნა, წინადადების საკითხზე მსჯელობა ანტონ პირველიდან იწყება. იგი წერს: „სიტყვა არს შეერთება ლექსთა, რომელ არს წიგნი, მარცუალი, ლექსი და სიტყვაი, დაღათუ წიგნი,

მარცხალი და ლექსი არიან წარმომავენ სიტყვსა, გარნა სიტყვა უაღრეს არს მით რომელ სიტყვა არს შეერთება ლექსთა ცხადმყოფი მოგონებისა“ (ანტონი, 1885, 129). სიტყვა იგივე ზნმა-შემასმენელია. იგი აღრიდანვე იქცევდა განსაკუთრებულ ყურადღებას. მას უფრო მეტად მორფოლოგიურად განიხილავდნენ, ვიდრე სინტაქსურად.

ანტონ პირველი შემასმენელს ზმნას უწოდებს. იგი თავის გრამატიკაში საგანგებოდ მსჯელობს ზმნა-შემასმენელზე. ზმნა ანტონს განსაზღვრული აქვს, როგორც მოქმედების ან ვნების გამომხატველი ნაწილი, რომელიც დროსა და პირს აღნიშნავს (პეტრე შეიყუარებს, ძელი იწვის): „ზმნად ვიდრე არს ნაწილი სიტყვსა, რომელი ქმნასა და ვნებასა პნიშნავს ქუჭშე ჟამისა პირითურთ“; „ზმნად არს ნაწილი სიტყვსა მნიშნუჭლი არსებისა ქმნათა და ვნებათა ჟამისა ქუჭშე“; „ზმნად არს ნაწილი სიტყვს, ცხადმყოფი არსებისა ყოფისა და ქმნათა და ვნებათა მისთა დროებითად“ (ბაბუნაშვილი, 1970, 123). გრამატიკოსი განაგრძობს: „ოდეს სახელი, რომელ არს ლექსი მარტივი დაითხზუს ზმნასა თანა შემოქმედებითსა ანუ ვნებითს და სახელი იგი იქუჭმდებარების ქმნისა ანუ ვნებისა, მაშინ სათანადო არს ქუჭმდებარისასა, რათა თანჯმობდენ ურთიერთსა რიცხვთა და პირთა“ (ანტონი, 1997, 249).

ანტონს გათვალისწინებული აქვს შეწყობა შემასმენელისა და რამდენიმე ქვემდენარისა ბრუნვასა და რიცხვში (ანტონი, 1997, §318, 252; §329, 259-260).

სახელსა და ზმნას შორის შეთანხმება არის რიცხვსა და პირში. პირველი რედაქციის მიხედვით ეს ზმნა მოქმედების ან ვნების აღმნიშვნელია. მასთან დაკავშირებული სახელი კი – ამ მოქმედების ან ვნების „მმუფლებელი“ ან „უფალი“, რაც უნდა უდრიდეს „გაბატონებულ /წევრს/“ („რამეთუ რაჟამს სა-

ხელი რამე შეითხზუჭბის ზმნასა თანა დანიშნულობითა მით, ვითარმედ ზმნა იგი, რომელიცა მექმობათა ანუ ვნებათა ჰნიშნავს, სახელი იგი მექმობისა ანუ დაინიშნავს“. მეორე რედაქციის მიხედვით – მარტივი სახელის და მოქმედების ან ვნების აღმნიშვნელი ზმნის დაკავშირებისას სახელი ქმნის ან ვნების ქვემდებარეა, ხოლო ზმნა კი ქვემდებარის „შესმენილი“ („ოდეს სახელი, რომელთა ლექსი მარტივი, დაითხზვს ზმნასა თანა შემოქმედებითსა ანუ ვნებითსა და სახელი იგი იქუჭმდებარების ქმნისა ანუ ვნებისა, მაშინ სათანადო არს ქუჭმდებარე, რომელთა სახელი და ზმნა, რომელი შესმენილსა გაუჩუჭნების ქუჭმდებარისასა. რათა თანხმობდნენ ურთიერთსა რიცხვთა და პირთა“ (ბაბუნაშვილი, 1970, 201).

მეორე რედაქციაში გაჩნდა ახალი ტერმინები: „ქუჭმდებარე“ („უფალი“ I რედაქციაში) და „შესმენილი“ (პირველ რედაქციაში „მექმობათა ანუ ვნებათა“ აღმნიშვნელი ზმნა). ტერმინი „შესმენილი“ დღევანდელი „შემასმენლის“ ფარდი ცნებაა).

ზმნის „უფალი“ სახელი შეიძლება წინ უსწრებდეს ან მოსდევდეს ზმნას, ან მათ შორის აღმოჩნდეს თანდებულიანი ზმნის სიტყვები და ზედსართავი სახელები („შენ გაქუს მადლუ საღმრთოდ“ ან: „ჰქადაგებს პავლე ქრისტესა ბრძენთა მიერ ეპისტოლეთა ჰქადაგებს ქრისტესა, რათა ყოველმან სოფელმან მოიღოსცა მაცხოვრებად“). თუ ერთმანეთთან დაკავშირებული სახელი წინადადებაში ზმნის „უფლად“ გამოიყენება, ზმნა მრავლობითში უნდა იყოს (პარმენონი, პილატოს და კლიტოს მოიკლეს ალექსანდრესგან). თუ მრავლობითში დასმულს თან ახლავს მხოლოლობითში დასმული ზედსართავი, ზმნა მრავლობითში უნდა იყოს (სიმრავლე ლაშქართა შევიდეს ჭრექისა თანა ელადას შინა), თუმცა ისიც არის შესაძლებელი, რომ რამდენიმე მხოლოლობითში დასმულ სა-

ხელთან ზმნაც მხოლოდობითში იყოს (ღვინოდ და ზეთი ჰსჩანს ჭურჭელსა მაგას ბროლისასა). თუ მრავალ პირთა მოხედვით განსხვავებული, სახელი ან ნაცვალსახელი არის გამოყენებული ზმნის „უფალ“ სახელად, ზმნა, გარდა იმისა, რომ მრავლობითში იქნება, პირის მიხედვით „უპატიოსნეს“ ან „უადრეს“ პირს უნდა შეეწყოს: „ხოლო უპატიოსნესი პირი არს პირველი პირი მეორისაგან და მესამისა“ (მე და შენ წავიდეთ პალატად სამეფოდ, შენდა ის მორახუაღთ ჩუენთანა გიმასპინძლო).

ანტონ I ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ზმნა, რომელიც პრედიკატულ სინტაგმას ქმნის შესიტყვების ბირთვია, ცენტრია; იგი ცალკე აღებულიც იძლევა წინადადების („სიტყუის“) მოდელს, რაკი მასში მოცემულია უფალიც და ძიებაც. იგი წერს: „ზმნა პიროვანი თუ სადმე განჰსჯი წესიერ, თავით თვისით სიტყუა არს, მექონი ძალით სახელთა უფლისაცა და საძიებოდაცა. მაგალ: ვჰსწერ ამას შინა ფპოებ უფალსა სახელსა, ე.ი. პირსა პირველსა და საძიებოსაცა ზმნისასასა, ე.ი. რაიმესა“ (ანტონი, 1997, §234, 156; §349, 231).

გრამატიკოსი შენიშნავს, რომ: „წინადადებაში აუცილოებლად უნდა იყოს 1.ზმნის „სახელი“, 2.ზმნა და 3.ზმნის საძიებო ბუნებისამებრ“ ანუ „ნათესავისამებრ“ (კვროს შეაერთა სკიპტრად...) (ანტონი, 1997, 297).

ანტონ I-ის განმარტებით, წინადადება ანუ „სიტყუა არს შეერთება ლექსთა, ცხადმოფი მოგონებისა“ (ანტონი, 1885, 121). იქვეა განმარტება, რომ „მოგონება“ იგივეა, რაც „განსჯა“, „იდეა“. სიტყუათა შეერთება წინადადებაა, როცა იგი განსჯას (მსჯელობას) გამოხატავს. მაგალითად: „იაზონ მოიკლა ფარნავაზისგან, რათა დაუყენებულაძეცა მიიღოს სამეფოდ, რომლისაცა იყო მემკუდრე“. ყოველი მსჯე-

ლობა შედგება სუბიექტისა და პრედიკატისაგან. წინადადებაც ეგრევე იყოფა. ზემოთ დასახელებულ წინადადებაში „იაზონ“ არს „ცხადქმნილი“, „განსჯილი“ ანუ სუბიექტი და მას მიეწერება „მოიკლა ფარნავაზისაგან...“ ანუ პრედიკატი (ანტონ I, 1885, 122).

როგორც ვხედავთ, ანტონ პირველის გრამატიკის მიხედვით, წინადადება არის სიტყვათა შეერთება (შესიტყვება), რომელიც „განსჯას“ (მსჯელობას) გამოხატავს. ყოველი მსჯელობა შედგება სუბიექტისა და პრედიკატისაგან.

„ანტონთან წინადადების წევრები დღევანდელი გაგებით არცა გვაქვს. მასთან წინადადების წევრები და მეტყველების ნაწილები გაუდიფერენცირებელია, ხან ერთ ცნებას ხმარობს ხან მეორეს. მაგ.: ანტონთან ქვემდებარის ფარდ ტერმინად „უფალი“ და „მმუფლებელი“ არის, მაგრამ შემასმენელს „ზმნას“ უწოდებს“ (ფოცხიშვილი, 1995, 254).

გაიოზ რექტორის გრამატიკა ანტონის გრამატიკას მისდევს, მასთან წინადადების განსაზღვრა ცოტა განსხვავებულია: „სიტყვა არს ხმა მარტივი ანუ შედგმული ლექსთა ძალით, მნიშვნელად ჰაზრისა მისისა, რომელიცა უბნობს“ (გაიოზი, 1970, 51) ე.ი. წინადადება, არის ცალკე აღებული სიტყვა და სიტყვათა შეერთებაც, რომელიც აზრს (მსჯელობას) გამოხატავს.

გაიოზ რექტორი არ მიმართავს ანტონ კათალიკოსის მიერ ხმარებულ ტერმინებს: არსებას ანუ ქუჭმდებარეს და შესმენილს (შემასმენელს).

დავით ბაგრატიონი ანტონ პირველის გრამატიკას მიჰყვება: „სიტყუა არს თხზულებათა ლექსთა, მასაჩინოე ჰაზრისა კაცისასა“. (დამოწმებულია ლ. კვანტალიანის ნაშრომში „ქართული ენის სინტაქსის შესწავლის ისტორია (XVII-XX სს, 30-40-იანი წლები, თბ, 1993, 80).

იოანე ბაგრატიონის გრამატიკა (1829წ.) თითქმის იმეორებს სიტყვის, ანუ წინადადებების გაიოზისეულ განსაზღვრას: „სიტყვა არს მარტივი ანუ შედგენილი ლექსთა ძალით მნიშვნელად აზრისა მის, რომელიც – უბნობს“. მაგალითად: შვილნი თანამდებ არიან შეყვარებად და პატივისცემად მშობელითა (დამოწმებულია ლ. კვანტალიანის ნაშრომში „ქართული ენის სინტაქსის შესწავლის ისტორია (XVII-XX სს, 30-40-იანი წლები, თბ, 1993, 80).

ენათნეცნიერები თვლიან, რომ იოანე ქართველიშვილის გრამატიკით ახალი ეტაპი იწყება ქართული გრამატიკული აზროვნების განვითარების გზაზე. გრამატიკოსთან სინონიმური მნიშვნელობით ორი ტერმინია გამოყენებული: სიტყვა და წინადადება: „ოდეს ვითარისამე ჰაზრსა ჩვენსა განუცხადებთ სხვასა და გამოვსთქვამთ მათ ორთა, სამთა ანუ რაოდენთამე ლექსთა მიერ, ესრეთ, რომელი იწარმოების მათთაგან მთელი ჰაზრი, მაშინ ესევეთარი გამოთქმა ჰაზრთა ჩვენთა იწოდების წინადადებად“. მ.შ. „წინადადება არის დასრულებული აზრის გამოხატველი ორი ან მეტი სიტყვა. წინადადებაში გამოყენებულია სამი ნაწილი: ქვემდებარე, შემასმენელი და კავშირი, როგორც ეს მსჯელობაშია (სუბიექტი, პრედიკატი და კოპულა) (დამოწმებულია ლ. კვანტალიანის ნაშრომში „ქართული ენის სინტაქსის შესწავლის ისტორია (XVII-XX სს, 30-40-იანი წლები, თბ, 1993, 80).

სოლ. დოდაშვილი წინადადების შესახებ საუბრობს თავისი გრამატიკის სპეციალურ თავში „საზოგადო კანონისათვის“. მისი განმარტებით წინადადება არის „საჯა, ლექსთა მიერ გამოთქმული“ (დოდაშვილი, 1989, 78). გრამატიკოსი თავის „ღრამმატიკაში“ წინადადებას განმარტავს ლოგიცისტური თვალსაზრისით. იგი „ლოგიკაშიც“ ეხება ამ საკითხს და არც

თუ ლოგიკური კატეგორიებით მსჯელობს წინადადებებისა და მისი წევრების შესახებ: „წინადადება სხვა არაფერია, თუ არა ქვემდებარისა და შემასმენლის დაკავშირება, სიტყვით გამოხატული“. „წინადადება განსჯისადმი ქვემდებარისა და შესმენილისა განიყოფების მარტივად და რთულად“ (დოდაშვილი, 1989, 156).

პლატ. იოსელიანის „ქართულ დრამატიკაში“ ვკითხულობთ: „სჯა გონებისა ჩვენისა, გამოხატული სიტყვითა, იწოდების წინადადებად“ (იოსელიანი, 1863, 76). გრამატიკოსი აქვე განაგრძობს: „ქვემდებარე და შემასმენელი იქმნებიან ანუ მარტივი ანუ პრთული: პირველი შეიცავს ერთსა საგანსა ანუ ვითარებას, ხოლო მეორე მრავალთა საგანთა ანუ ვითარებათა – ამათგან წარმოდგების წინადადება (იოსელიანი, 1863, 77).

დავით ჩუბინაშვილის გრამატიკის მიხედვით, წინადადება ეწოდება „სრულსა გამოთქმულსა ჰაზრსა წერილით თუ პირით“.

თ. ჟორდანიას გრამატიკის მიხედვით კი „წინადადება არის მარტივი ჰაზრი ანუ მსჯელობა რომელსამე საგანზე“ (ჟორდანიას, 1889, 23).

სიღვან ხენდაძის მიხედვით, წინადადება არის „ცალკე გამოთქმული თითოეული აზრი“ (ხუნდაძე, 1927).

მოსე ჯანაშვილი მიუთითებს, რომ „წინადადება არის აზრი, გამოთქმული სიტყვით ან წერით“ (ჯანაშვილი, 1906, 134).

ო. სიხარულიძე კი წინადადებას ასე განმარტავს: „წინადადება არის სიტყვათა ჯგუფი ან სიტყვა, რომელიც დასრულებულ აზრს გამოხატავს“ (სიხარულიძე, 1937, 107).

არნ. ჩიქობავამ მონოგრაფიაში „მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში“ დაასაბუთა, რომ აბსოლუტურ-გარდაუვალ ზმნიან წინადადებაში სახელი (ქვემდებარე) მართავს ზმნას პირში, ხოლო

რელატიურ-გარდაუვალ ზმნიან და რელატიურ-გარდაუვალ ზმნიან წინადადებაში სახელები მართავენ ზმნას პირში და იმართვიან ზმნისაგან ბრუნვაში, ე.ი. ზმნასა და მასთან მორფოლოგიურად დაკავშირებულ სახელებს შორის არის საურთიერთო მართვა ანუ კოორდინაცია. მეცნიერული ანალიზის შედეგად მკვლევარმა მიიღო წინადადების შემდეგი განსაზღვრა: „წინადადება არის შესიტყვება, აგებული ზმნისა და სახელისაგან კოორდინაციის თუ მართვის საფუძველზე (კოორდინაციისა – რელატიურ – ზმნიან წინადადებაში, მართვისაზე – აბსოლუტურ ზმნიანში)“ (ჩიქობავა, 1968, 234).

არნ. ჩიქობავა: „მართვისა და შეთანხმების პრინციპებზე აგებული შესიტყვება არის წინადადება“.

აკ. შანიძე: „წინადადება ჰქვია ერთს ან რამდენიმე სიტყვას, რომლებიც დამთავრებულ აზრს გამოგვცემენ“ (შანიძე, 1939, 1).

ლ. კვაჭაძე: „წინადადება ჰქვია გაბმულ მეტყველების ერთ ისეთ მთლიან ენობრივ ერთეულს, რომელიც შედგება გრამატიკის წესების შესაბამისად გაფორმებული ერთი ან რამდენიმე ერთმანეთთან შეწყობილი სიტყვისაგან და დამთავრებულ აზრს გამოხატავს“ (კვაჭაძე, 1996, 9).

აკ. დავითიანი: „წინადადება არის მეტყველების გრამატიკული ერთეული, რომელიც ობიექტის სინამდვილის რაიმე ნაწილს გამოხატავს. სინტაქსური სტრუქტურა წინადადების (აზრის გამოხატვის) ერთერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია. წინადადების გრამატიკულ სტრუქტურაში გამოიყოფა მიკრო და მაკრო დონეები. მაკროსინტაქსური დონისაა კონსტრუქცია, ხოლო მიკროსინტაქსურისა — მისი შემადგენელი ერთეულები: შესიტყვებანი, სიტყვათშეხამებანი და სიტყვები (წინადადების წევრები) (დავითიანი, 1973).

ანტ. კიზირია: „წინადადება არის ამა თუ იმ ენის კანონების მიხედვით ერთმანეთთან შეხამებული სიტყვების ჯგუფი ან ცალკე სიტყვა, რომელიც დასრულებულ აზრს გამოხატავს“ (კიზირია, 1984, 169).

თ. გამყრელიძე: „წინადადება არის ენის მაქსიმალური გრამატიკული ერთეული“ (გამყრელიძე, 2004, 246).

მარტივი წინადადების შესწავლის მოკლე ისტორია

ანტონ I-ის გრამატიკაში წინადადების ორი სახეა გამოყოფილი – სრული და უსრული.

სრული წინადადება გამოხატავს დასრულებულ აზრს: „სრული სიტყუა არს ნათხზი ლექსთაგან, ცხადმყოფი ყოვლისა იდეადსა კაცობრივისა, რომლისა მიმართ აღუშფოთებელ და უღელვოდ გონებისა განისუშნებს გამგონი, არღა მსაჭიროები სხუათა რადმეთა ლექსთა“ (ანტონ I, 1885, 122).

უსრული წინადადება გამოხატავს დაუმთავრებელ აზრს, რომელსაც დასრულება სჭირდება სხვა წინადადებით („არასრული სიტყუა.... დაჰნიშნავს იდეასა რადმესა კაცობრივისა გონებისასა მაგრა უსრულად“) (იქვე) – უსრული წინადადება, დღევანდელი გაგებით, იგივეა, რაც დამოკიდებული.

ანტონის გრამატიკაში გვხვდება ტერმინი „მარტივი იდეა“, რაც ნიშნავს მარტივ მსჯელობას, რომელიც ერთი წინადადებით გადმოიცემა.

გაიოზ რექტორი თავის გრამატიკაში უკვე მარტივ წინადადებას ასახელებს: „მარტივი არს იგი, რომელსაცა შინა იპოვების ერთი ზმნა და ორნი სახელნი, ანუ ძალითად და ანუ მოქმედებითად მდებარენი. მაგალითად: უფალმან შექმნა კაცი“ (გაიოზ

რექტორი, 1970, 141-142). ყოველი წინადადების საფუძველი პირიანი ზმნაა, რომელშიც მოცემულია უფალიც და ძიებაც, ამიტომ ცალკე აღებული ზმნა არის „სიტყვა“, ანუ წინადადება (გაიოზი, 1970,142). აქ მკვლევარი იმეორებს ანტონის მოსაზრებებს. სრული და უსრული წინადადებები გაიოზის გრამატიკაში ანტონ I-ის გრამატიკის მსგავსადაა განხილული.

იოანე ქართველიშვილის აზრით მარტივია წინადადება, რომელიც ერთი ქვემდებარისა და ერთი შესმენილისაგან შედგება“ (ქართველიშვილი, ხელნაწერები S № 4432 და № 2585, დამოწმებულია ლ. კვანტალიანის ნაშრომში „ქართული ენის სინტაქსის შესწავლის ისტორია (XVII-XX სს, 30-40-იანი წლები, თბ, 1993, 148).

იგივეს იმეორებს სოლ. დოდაშვილიც: „მარტივი წინადადება არს იგი, რომელიცა მდგომარეობს ერთისა ქვემდებარისა და ერთისა შესმენილისაგან“ მაგალითად: „სიბრძნე არს მაღალი ნიჭი კაცისა“ (დოდაშვილი, 1989, 79).

მარტივ წინადადებათა კლასიფიკაციის პირველი ცდაა მოცემული მონთობას (საფრანგეთი) გამოცემული ქართული ენის გრამატიკაში (1877), სადაც მარტივი წინადადება განხილულია სისრულისა და წევრთა განლაგების მიხედვით. კერძოდ, მარტივი წინადადება შეიძლება იყოს: 1.სრული; 2.მოკვეთილი; 3.წრფელობითი; 4.უწრფელობითი; 5.ნათლოვანი; 6.შიგ-შეტყობილი; 7.განმარტოებული (მონთობანი, 1877, დამოწმებულია ლ. კვანტალიანის ნაშრომში „ქართული ენის სინტაქსის შესწავლის ისტორია XVII-XX სს. 30-40-იან წლებში, თბ, 1993, 149-150).

თ. ჟორდანიას შედგენილობის მიხედვით ქართულში გამოყოფს ხუთი სახის წინადადებას ესენია: მოკლე, ვრცელი, მარტივი, გაერთიანებული, რთული.

მარტივი წინადადების სხვაგვარ (სრულ) დახასიათებას იძლევა ს. ხუნდაძე. იგი თავის „გრამატიკაში“ ცალკე განიხილავს წინადადებას „შედგენილობისამებრ“: 1) გაუვრცობელი, 2) გავრცობილი, 3) სრული, 4) ნაკლული, 5) მარტივი და „გვარისამებრ“: 1) პირფანი და 2) უპირთ.

აქვეა შემოტანილი ჩართული წინადადება (რომელშიც მოიპოვება აგრეთვე ჩართული სიტყვები და გამოთქმები) და შემოტანილი წინადადება (დღევანდელი გაგებით – სხვათა სიტყვა) (ხუნდაძე, 1920).

ი. ნიკოლაიშვილის გრამატიკაში მარტივი ეწოდება „მარტო ერთ წინადადებას, პირნაკლი იქნება ის, სრული თუ გავრცობილი“ (ნიკოლაიშვილი, 1928, 126). ამის მიხედვით მარტივი წინადადება შეიძლება იყოს: 1) პირნაკლი, 2) სრული და 3) გავრცელებული.

ი. სიხარულიძის მიხედვით მარტივი წინადადების სახეებია: 1) მარტივი გაუვრცელებელი, 2) მარტივი გავრცელებული, 3) სრული, 4) არასრული, 5) უქვემდებარო, 6) შერთული (დღევანდელი შერწყმული), 7) ჩართული, 8) მიმართვითი (სიხარულიძე, 1937, 109-110).

როგორც ვხედავთ, ძველ ქართულ გრამატიკებში განხილული ან ზოგან მინიშნებული მაინცაა მარტივი წინადადების სახეები, რომლებიც შემდეგ უფრო დაზუსტდა და დამატებითი ცნობებით შეივსო აკაკი შანიძის სასკოლო სახელმძღვანელოებში, სადაც „მარტივია წინადადება, თუ იგი გადმოცემულია ერთი ან რამდენიმე სიტყვით, რომელშიც არ ურევია ერთგვარი წევრები“, ხოლო ლ. კვაჭაძის „თანამედროვე ქართული ენის სინტაქსში“ ქართული ენის მარტივი წინადადება დახასიათდა შემადგენელ წევრთა და მთავარ წევრთა მიხედვით, გამოიკვეთა მისი სტრუქტურულ - სემანტიკური მრავალფეროვნება და

ზოგიერთ მოვლენას მიეცა სხვაგვარი კვალიფიკაცია: „მარტივია წინადადება, რომელშიც აზრი ერთი ან ერთმანეთთან დაქვემდებარებით (და საურთიერთო დაქვემდებარებით) დაკავშირებული რამდენიმე სიტყვით გადმოიცემა“ (კვაჭაძე, 1996, 236). „ქართული მარტივი წინადადება მთავარ წევრთა შედგენილობის მიხედვით შეიძლება იყოს: ერთშემადგენლიანი, ორშემადგენლიანი, სამშემადგენლიანი და ოთხშემადგენლიანი“ (კვაჭაძე, 1996, 236).

ანტ. კიზირიამ თავის მონოგრაფიებში მარტივი წინადადება შეისწავლა წევრთა შემადგენლობის მიხედვით, წინადადების აგებულება მთავარ და მეორე ხარისხოვან წევრთა მიმართებაში, ვრცლად განიხილა შესიტყვების საკითხი და მიუთითა, რომ „ყველა ტიპის წინადადება ემყარება სიტყვათა ორგანიზებულ ურთიერთობას“ (კიზირია, 1982, 62).

მარტივი წინადადება ტიპოლოგიურად შეისწავლა **რუს. ასათიანმა** ნაშრომში „მარტივი წინადადების ტიპოლოგიური ანალიზი“ (1982). მან მიზნად დაისახა უნივერსალური სიღრმისეული სტრუქტურის წარმოდგენა მარტივი წინადადებისათვის და ამ სიღრმისეული სტრუქტურის ზედაპირულ სტრუქტურად გარდაქმნის ძირითადი ტიპოლოგიური მექანიზმების დადგენა სხვადასხვა წყობის ენისა და, კერძოდ, თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის მონაცემების გათვალისწინებით. „განსაზღვრული სიღრმისეული სტრუქტურა საერთოა ყველა ენისთვის – უნივერსალურია. მარტივი წინადადების სტრუქტურულ თავისებურებებს განაპირობებს ვალენტობის სხვადასხვაგვარობა ბუნებრივ ენებში“ (ასათიანი, 1982, 21). მარტივი წინადადების სიღრმე განისაზღვრება ზმნითა და მასთან ლოგიკურ-სემანტიკურად დაკავშირებული სახელებით (ასათიანი, 1982, 39).

აკ. დავითიანი მარტივი წინადადების შესახებ წერს: „მარტივი წინადადებისათვის დამახასიათებელია ერთი პრედიკატული ერთეული (მონოპრედიკატულობა, მონოსტრუქტურა)...“ (დავითიანი, 1973, 171).

რ. ჭიკაძე ნაშრომში „წინადადების პარატაქსული კონსტრუქცია ქართულში“ შეეცადა გარკვეული კორექტივები შეეტანა წინადადების საყოველთაოდ გავრცელებულ კლასიფიკაციაში (მარტივი, შერწყმული და რთული) და ჩამოაყალიბა წინადადების აგებულების სქემა, სადაც მოგვცა წინადადების ახლებური კლასიფიკაცია და მარტივ წინადადებას მონოპრედიკატული, მონოტაქსური ანუ ოდენწყობილი უწოდა (ჭიკაძე, 1995, 167-170).

შერწყმული წინადადების შესწავლის მოკლე ისტორია

შერწყმული წინადადების წარმომავლობის, მისი სხვა ტიპის წინადადებასთან მიმართებისა და ამასთან დაკავშირებული ტერმინების შესახებ გრამატიკულ ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობა არსებობს; კერძოდ:

ანტონ I-ის და ანტონის სკოლიდან გამოსულ გრამატიკებში სინტაქსის საგანს „ლექსთა თხზვა“ ანუ სიტყვათა შეკავშირება წარმოადგენს. ანტონ I-ის გრამატიკაში შერწყმული წინადადება ცალკე სახედ არ არის გამოყოფილი, მაგრამ გარკვევითაა მითითებული, რომ წინადადებაში შეიძლება იყოს დაკავშირით ან უკავშიროდ შეერთებული სიტყვები, რომლებიც ერთი ფუნქციით არიან გამოყენებული და რომ ასეთი სიტყვები „თანაშერთვით“ (თანაწყობით) არიან ერთმანეთთან დაკავშირებული. გარდა ამისა, ანტონ I-ს გათვალისწინებული აქვს შეწყობა შემასმენლისა რამდენიმე ქვემდებარესთან რიც-

ხვში და რამდენიმე მსაზღვრელისა არსებით სახელ-
თან ბრუნვასა და რიცხვში (ანტონ I, 1885. §318, 216,
§328, 221-222).

ერთგვარ წევრთა შესახებ ძირითადად ამასვე
იმეორებენ გაიოზ რექტორი, დავით და იოანე ბაგრა-
ტიონები. ი. ქართველიშვილმა კი ერთგვარწევრებიან
წინადადება მიიჩნია რთულად. „წინადადება შეიძ-
ლება იყოს მარტივი და რთული, რაც დამოკიდებუ-
ლია ქვემდებარესა და შემასმენელზე. მარტივი წინა-
დადება ერთი ქვემდებარისა და ერთი შემასმენლისა-
გან შედგება, რთული — „ორთა, ანუ მრავალთა ქვემ-
დებარეთა და შემასმენლისაგან შეერთებული ვითა-
რითამე კავშირითა“ (ქართველიშვილი, 1888, 23).

ს. დოდაშვილი კი ამ წინადადების წარმომავ-
ლობის გზაზედაც მიუთითებს. იგი წერს: „წინადა-
დება განსჯისამებრ ქუჭმდებარისა და შემასმენლისა
განიყოფების მარტივად და რთულად“, „რთული წი-
ნადადება არს იგი, რომელიც მდგომარეობს მრავალ-
თა ქუჭმდებარეთა და შემასმენილთაგან“ (დოდაშვი-
ლი, 1830, 78).

ძველი გრამატიკოსები აღნიშნავენ, რომ ამ ტი-
პის წინადადება მიღებულია მარტივ წინადადებათა
შეერთებით ან მარტივ წინადადებაში ერთგვარი წევ-
რის დამატებით.

არ. ქუთათელაძე ერთგვარწევრებიან წინადადე-
ბას რთული წინადადების ერთ-ერთ სახედ თვლის
და მას „გაერთიანებულ წინადადებას“ უწოდებს. იგი
მას ასე განმარტავს: „გაერთიანებული წინადადება
არის ისეთი წინადადება, რომელშიც ერთი ქვემდებარე
და რამდენიმე შემასმენელი, ან ერთი ქვემდებარე,
ერთი შემასმენელი და რამდენიმე ამხსნელი
სიტყვა, რომელნიც მიუგებენ ერთსა და იმავე კით-
ხვაზედ“ (ქუთათელაძე, 1888, 23).

პლ. იოსელიანისა და დ. ჩუბინაშვილის აზრითაც, ორი ან მეტი უფალი სახელის (ქვემდებარის) შემცველი წინადადება რთულია და მიღებულია ერთნაირი ზმნის მქონე ორი მარტივი წინადადების შეერთებით.

ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში პირველად **თ. ჟორდანიამ** განასხვავა ერთგვარწევრებიანი წინადადება, რომელსაც „გაერთიანებული წინადადება“ უწოდა. „გაერთიანებული წინადადება არის, როდესაც წინადადებაში რამდენიმე ქვემდებარეა და ერთი შემასმენელი და – პირიქით: რამდენიმე შემასმენელია და ერთი ქვემდებარე“ (ჟორდანიას, 1889, 31). წინამორბედთა მსგავსად **თ. ჟორდანიასაც** მიაჩნია, რომ გაერთიანებული წინადადება არის ორი ან მეტი მარტივი წინადადების გაერთიანების შედეგი, საგულისხმოა ისიც, რომ ავტორის დაკვირვებით, გაერთიანებულ წინადადებაში ქვემდებარეები და შემასმენლები განიყოფებიან მძიმით, თუ მათ შორის არ არის კავშირი და.

ს. ხუნდაძემ ერთგვარწევრებიან წინადადებას უწოდა „შეერთებული წინადადება“ (1920), ხოლო **ი. სიხარულიძემ** კი „შერთული და იგი მიიჩნია მარტივი წინადადების ერთ-ერთ სახედ (სიხარულიძე, 1937, 110). ამ ტერმინს ხმარობს არნ. ჩიქობავა – ენათმეცნიერების შესავალში (ჩიქობავა, 1952, 300). **ი. სიხარულიძე** მსჯელობს ერთგვარ წევრთა კავშირიან და უკავშირო შეერთებაზე, ძირითადად სწორად ასახელებს მაერთებელ კავშირებს (და, არც, ან, მაგრამ, არამედ...) და აყალიბებს სასუენი ნიშნების ხმარების წესებსაც.

მ. ჯანაშვილმა გამოყო ქართულში სამი ტიპის წინადადება: „მარტივი, გაერთიანებული და რთული“ (ჯანაშვილი, 1906, 135). რითაც ერთგვარწევრებიან

წინადადებას საკუთარი ადგილი მიუჩინა ქართული ენის სინტაქსში.

როგორც ვხედავთ, ძველ გრამატიკებში ძირითადად სწორადაა გაგებული შერწყმული წინადადების არსი, შენიშნულია ერთგვარ წევრთა შეერთების საშუალებანი და შერწყმული წინადადების მიღების გზები.

შერწყმული წინადადების მეცნიერული ანალიზი წარმოდგენილია აკაკი შანიძის სასკოლო სახელმძღვანელოში. მან ტერმინი „შერწყმული წინადადება“ იხმარა პირველად სასკოლო გრამატიკის პირველ გამოცემაში, რომელიც თანდათან იხვეწებოდა და სრულყოფილი ხდებოდა შემდგომი დროის სპეციალური გამოკვლევების მიხედვით. ამ თვალსაზრისით ფასეულია ანტ. კიზირია, ლ. კვაჭაძის, მ. თალაკვაძისა და სხვათა ნაშრომები.

საინტერესოა ლ. ენუქიძის ნაშრომი: „ძირითადი სინტაქსური თეორიები თანამედროვე საზღვარგარეთულ ენათმეცნიერებაში“, სადაც ავტორი საგანგებოდ მსჯელობს ერთგვარშემასმენლიანი შერწყმული წინადადების შესახებ. მისი აზრით: „თანამედროვე ენათმეცნიერებაში ნებისმიერი ენისათვის წინადადების ცენტრად მიჩნეულია ზმნა, ზმნა ასახელებს კონკრეტულ სიტყუაციას, მოქმედებას, რომლის ირგვლივაც განლაგებულნი არიან მოქმედები პირები, აქტანტები. რამდენი ზმნაცაა იმდენია წინადადება, თუმცა შესაძლებელია ზმნის ადგილი შევსებული არ იყოს მოქმედი პირებით, აქტანტებით“ (ენუქიძე, 1987, 125).

ანალოგიური მოსაზრებებია გამოთქმული რ. ჭიკაძის ნაშრომში „წინადადების პარატაქსული კონსტრუქცია ქართულში“ (ჭიკაძე, 1995). იგი რამდენჯერმე შეეხო ერთგვარშემასმენლიანი შერწყმული წინადადების სტრუქტურულ თავისებურებას. მას

მიაჩნია, რომ ქართულ წინადადებაში შემასმენელთა მიმართება უნდა განიხილებოდეს არა მხოლოდ ქვემდებარესთან, არამედ პირმიმართ დამატებებთანაც.

XX საუკუნის 30-იან წლებიდან (არნ. ჩიქობავა) ქართული ზმნა წინადადების ცენტრალაა აღიარებული, აქედან გამომდინარე ლ. ენუქიძე სვამს საკითხს: „ზმნის ასეთი წარმმართველი ფუნქციის გამო, შეიძლება თუ არა ერთმანეთს გავუთანაბროთ სტრუქტურულად ერთგვარშემასმენლიანი შერწყმული წინადადება სხვა სახის შერწყმულ წინადადებას?“ იძლევა პასუხს: რუსულ აკადემიურ გრამატიკაში კონსტრუქცია „ერთ ქვემდებარესთან რამდენიმე შემასმენელი“ განიხილება რთულ წინადადებად სათანადო დასაბუთებით. ქართულში მეტი საფუძველი გვაქვს ამგვარი კონსტრუქცია მივიჩნიოთ რთულ თანწყობილ წინადადებად, რადგან ქართული ზმნა მრავალპირიანია და ქვემდებარისაგან მოითხოვს სხვადასხვა ბრუნვის ფორმას. ქვემდებარე ბრუნვაში ანგარიშს უწევს უახლოეს შემასმენელს, სხვა შემთხვევაში კი ირღვევა კოორდინაცია, მაგრამ სინტაქსური კავშირი მაინც რჩება; ქვემდებარე მართავს შემასმენელს პირში და ითანხმებს რიცხვში.

ერთგვარშემასმენლიანი შერწყმული წინადადების შესახებ საინტერესო მოსაზრება აქვს გამოთქმული გ. ბურჭულაძეს და რ. ჭიკაძეს. მათი აზრით ერთგვარშემასმენლიანი წინადადება განსახილველია არა მხოლოდ ერთ საერთო ქვემდებარესთან, არამედ ერთ საერთო პირდაპირ და ირიბ დამატება – ობიექტებთანაც. ეს შეპირობებუელია ქართული ზმნის პოლიპერსონალიზმითა და, აქედან გამომდინარე, ქვემდებარისა და პირმიმართი დამატების ტოლძალოვნებით. გ. ბურჭულაძეს რამდენიმე შემასმენლიანი წინადადება მიაჩნია შერწყმულად, ხოლო რ. ჭიკაძეს – პარატაქსულ კონსტრუქციად.

რთული წინადადების შესწავლის მოკლე ისტორია

რთული წინადადება ენაში ისტორიულად გაცილებით გვიან შემუშავდა, ვიდრე მარტივი წინადადება. რთული წინადადება შედგება ცალკეულ მარტივ წინადადებათა შეერთებით. ვარაუდობენ, რომ მარტივ წინადადებებს პირველ ხანებში სვამდნენ ერთმანეთზე მიყოლებით რაიმე საგანგებო სიტყვებით, დაკავშირება – გადაბმის გარეშე.

„XVIII ს-ის დამლევისათვის საენათმეცნიერო ლიტერატურაში ჩვეულებრივია ტერმინები „მთავარი და დამოკიდებული წინადადება“, მხოლოდ XIX ს-ის პირველ ნახევარში მოძღვრება პარატაქსსა და ჰიპოტაქსზე უფრო სრული და თანამიმდევრული ხდება“ (კვაჭაძე, 1906, 313).

ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში რთული წინადადების შესწავლის ისტორია უშუალოდაა დაკავშირებული ანტონ ბაგრატიონის სახელთან. ტრადიციის მიხედვით რთული წინადადება ადრინდელ გრამატიკაში არ შექმნდათ. მისი ადგილი რიტორიკაში იყო. ამიტომ რთული წინადადების შესახებ არც ანტონ I მსჯელობს თავის გრამატიკის თეორიულ ნაწილში, მაგრამ სახელმძღვანელოს ერთვის სავარჯიშო მასალა, სადაც ცხრამეტი წინადადების მორფოლოგიური ანალიზია მოცემული. ყველა ეს წინადადება ორიოდეს გარდა აგებულებით – რთულია და სათანადო განმარტებებიც ახლავს.

ანტონ ბაგრატიონის მიხედვით აზრი არის მარტივი და შეზავებული. მარტივი აზრი ერთი წინადადებით გადმოიცემა, შეზავებული კი წინადადებათა შეერთებით. რთული წინადადება არის შემადგენელი წინადადების შეერთებით შექმნილი მთლიანობა. წინადადების უმთავრესი სიტყვაა ზმნა. ზმნა ცალკე

აღებულიც წინადადებაა. ამიტომ რთული წინადადება იმდენი წინადადებისაგან შედგება, რამდენი ზმნაცაა მასში. რთული წინადადების შეერთება ხდება კავშირით ან უკავშიროდ.

მართალია, ანტონ I არ განარჩევს რთული წინადადების ორ ტიპს, მაგრამ ზოგადად კი მსჯელობს შეკავშირების ორი ძირითადი სახის – „თანად-შერთვისა“ (თანწყობისა) და „დამოკიდებულების“ || „ქუშწყობილებითის“ (ქვეწყობის) შესახებ. კავშირთა დაჯგუფებისას ანტონი მსჯელობს იმაზეც, თუ რომელი კავშირები ემსახურებიან დაქვემდებარებას (ანტონ I, 1885, 223).

რთული წინადადების შესახებ მსჯელობა მოცემულია **გაიოზ რექტორის** გრამატიკაშიც. მასში სინტაქსი დაყოფილია სამ თავად, პირველ თავში განხილულია მარტივი წინადადება, მეორე და მესამე თავებში რთული წინადადება და პერიოდი (დღევანდელი გაგებით, ორ და მეტ-წევრიანი პერიოდი აგებულების მიხედვით შეიძლება იყოს შერწყმული წინადადებაც და რთულიც). გაიოზი პირველი გრამატიკოსია, რომელიც ანტონისაგან განსხვავებით, რთული წინადადების სინტაქსი გრამატიკაში შემოიტანა და მასთან დაკავშირებით ბევრი საგულისხმო დაკვირვებაც შემოგვთავაზა.

შემდგომი დროის ძველი გრამატიკოსებიც (ი. ქართველიშვილი, თ. ჟორდანიას, ა. ბენაშვილი, ა. ქუთათელაძე, მ. ჯანაშვილი, ს. ხუნდაძე და სხვები) მეტ-ნაკლები სისრულით მსჯელობენ რთული წინადადების შესახებ, რითაც თანდათან ზუსტდება და სრულყოფილი ხდებობდა წინამორბედთა კვლევის შედეგები.

ი. სიხარულიძის გრამატიკაში (1937) ერთმანეთისაგან მკაფიოდაა გამიჯნული რთული თანწყობილი

(„რთული შეკავშირებული“) და რთული ქვეწყობილი („რთული დამოკიდებული“) წინადადებები.

რთული ქვეწყობილი წინადადების გენეზისის შესახებ ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში საყურადღებო მოსაზრებებია გამოთქმული შ. ძიძიგურის, გ. როგავას, ფ. ერთელიშვილის და სხვა მკვლევართა მიერ.

სასკოლო სახელმძღვანელოებს შორის რთული წინადადების სრული ანალიზი მოცემულია აკ. შანიძის სასკოლო გრამატიკებში. აქ ერთმანეთისგანაა გამიჯნული ერთი მხრით, შერწყმული და რთული თანწყობილი და მეორე მხრით, თანწყობილი და ქვეწყობილი წინადადებები. ტერმინები „თანწყობილი“ და „ქვეწყობილი“ აკ. შანიძის მიერ არის დამკვიდრებული.

გ. როგავა შენიშნავს: „ქვეწყობილი წინადადება სტრუქტურულად წარმოადგენს კითხვითი წინადადებისა და მისი საპასუხო წინადადების შეერთების შედეგს. ოღონდ, ამ შეერთების საფუძველზე კითხვით წინადადებას (resp. დამოკიდებულ წინადადებას) უკვე დაკარგული აქვს კითხვითი შინაარსი“ (დამოწმებულია ფ. ერთელიშვილის ნაშრომში რთული წინადადების ისტორიისათვის ქართულში, 1962, 195).

ფ. ერთელიშვილი ეჭვის ქვეშ აყენებს გ. როგავას მოსაზრებას და წერს: „... ძველსავე ქართულში შეიმჩნევა, რომ ვინ, რა ნაცვალსახელებისათვის კითხვითობის გამოხატვა არ წარმოადგენს მათ ერთადერთ ფუნქციას. ვინ, რა ნაცვალსახელები იხმარება აგრეთვე მნიშვნელობით „ვინმე“, „რამე“. ასეთივე ორგვარი მნიშვნელობა უჩანს ოდეს და სადა ზმნიზედებს“ (ერთელიშვილი, 1962, 195-214). „დამოკიდებულ წინადადებაში გამოხატული აზრით მთავარ წინადადებაში ისაზღვრება, ზუსტდება ცალკეული სიტყვის (არსებითის, საწყისის, ნაცვალსახელის, შე-

მასმენელი – ზმნის) მნიშვნელობა ამა თუ იმ ნიშნის მიხედვით. სიტყვის მნიშვნელობის, აზრის უფრო ზუსტად და სრულყოფილად გამოთქმის საჭიროებით ჩანს შეპირობებული დამოკიდებული წინადადების წარმოშობა და, თუ დამოკიდებული წინადადების გენეზისის საკითხი დაისმის დღის წესრიგში, ჩვენი აზრით, კვლევა განსაზღვრების სპეციფიკისა და გენეზისის ძიების მიმართებით უნდა წარიმართოს“ (ერთელიშვილი, 1962, 214).

ქვეწყობილი წინადადების კომპონენტებში წარმოდგენილ ზმნათა ფორმების ურთიერთმიმართების შესახებ საგულისხმო დასკვნებია მოცემული ლ. გუგუჩაძის შრომებში.

ამრიგად, ანტონ I-დან მოყოლებული დღემდე მუდმივად შეისწავლებოდა და შეისწავლება ქართული წინადადების სტრუქტურული თავისებურებანი. საკითხი არასდროს ყოფილა ინტერესმოკლებული, მის შესახებ არაერთხელ გამოთქმულა გარკვეული მოსაზრებები სხვადასხვა მკვლევართა მიერ, რაც გასათვალისწინებელი და დასაფასებელია.

II ტაზი ზმნა-შემასმენელი და წინადადების სტრუქტურა

წინადადების აგებულების საკითხზე მსჯელობა ანტონ პირველის გრამატიკიდან იწყება. იგი წერს: „სიტყვა არს შეერთდება ლექსთა, რომელ არს წიგნი სიტყვისა, გარნა სიტყვა უაღრეს არს მით, რომელს სიტყვა არს შეერთება ლექსთა ცხადყოფი მოგონებისა“ (ანტონ I, 1885, 129).

შემასმენელი, როგორც ვიცით, წინადადების ძირითადი წევრია, რომელიც უმთავრესად ზმნის პირიანი ფორმით გადმოიცემა. „ზმნა-შემასმენელი წინადადების ხერხემალია“ (კვაჭაძე, 1996, 118). შემასმენლის გარშემო ლაგდება წინადადების სხვა მთავარი თუ არამთავარი წევრები.

„ზმნა მდიდარია გრამატიკული კატეგორიებით და ამის გამო ერთდროულად მრავალ ცნებას გამოხატავს. შემასმენელიც ისეთივე მდიდარი შინაარსის, ე. ი. მრავალი ცნების გამომხატველია, როგორც თვით ის ზმნა, რომლითაც შემასმენელია გადმოცემული“ (კვაჭაძე, 1996, 72).

მარტივი წინადადების სტრუქტურა, მისი ყალიბი ზმნის ფორმაშია მოცემული: ზმნის ფორმა განსაზღვრავს საყრდენ ანუ მთავარ წევრთა რაოდენობას წინადადებაში. ზმნა-შემასმენელთან დაკავშირებულია სუბიექტურ და ობიექტურ პირთა ფარდი სახელები, წინადადების მთავარი წევრები (ქვემდებარე, ირიბი დამატება, პირდაპირი დამატება), შემასმენელსვე უკავშირდება წინადადების არამთავარი წევრებიც – უბრალო დამატება და გარემოება. აქედან ნათლად ჩანს, რომ ზმნა-შემასმენელი სიტყვათა შეკავშირების თვალსაზრისით შეუდარებელია. „ის ცალკე აღებულიც წინადადებაა, მაშასადამე, შემას-

მენელი არა მარტო ერთ-ერთი მთავარი წევრია წინადადებისა, არამედ სხვა მთავარ წევრთა შემცველიც“ (კვაჭაძე, 1996, 72).

არნ. ჩიქობავამ ნარკვევში „მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში“ ძველი ქართულის მასალის ანალიზით გვიჩვენა, რომ:

1. ქართული წინადადების სინტაქსური მექანიზმი ხასიათდება რიგი თავისებურებით, რაც არსებითად განასხვავებს მას ევროპის ძველ და ახალ ენათა წინადადების სინტაქსური მექანიზმისგან.

2. ამ სინტაქსურ თავისებურებათა წყაროა მორფოლოგიური თავისებურება. ზმნაში სუბიექტის პირისა და რიცხვის გარდა ობიექტის პირის და რიცხვის აღნიშვნაც, რის გამოც:

3. ორპირიან ზმნაბში გარდამვალშიცა და გარდაუვალშიც, სუბიექტი და ობიექტი ა რ ს ე ბ ი თ ა დ ერთიანი სინტაქსური უფლებით სარგებლობს: სუბიექტის სინტაქსური ძალა განელებულია, ობიექტისა – გაძლიერებული, და ამის შემდეგ სინტაქსური დაპირისპირება სუბიექტისა (ქვემდებარისა) და ობიექტისა (დამატებისა) მოხსნილია, დამატება ქვემდებარეს ეტოლება... დამატება წინადადების მეორეხარისხოვანი წევრი კი არაა, არანედ ისეთივე „მთავარი“ წევრია, როგორც ქვემდებარე (ჩიქობავა, 1968, 269).

მკვლევარი აქვე მიუთითებს: „ახალ ქართულში წინადადების სინტაქსური მექანიზმის სქემატურმა ანალიზმა ცხადი გახადა, რომ სიტყვათა სინტაქსური ურთიერთობის პრინციპი არ შეცვლილა, არც შეიძლება შეცვლილიყო, რამდენადაც დაგვრჩა წინანდელი მორფოლოგიური საფუძველი: ზმნის პოლიპერსონალურობა“ (ჩიქობავა, 1968, 269).

წინადადების ასაგებად მთავარია ზმნა-შემასმენელი, მისი სინტაქსური ძალა უძლიერესია, რაც გამოარჩევს მას წინადადების სხვა წევრებისგან. არნ.

ჩიქობავას ზემოთ დასახელებულ დებულებაზე დაყრდნობით ქართული წინადადების სტრუქტურა-მექანიზმს განსაზღვრავს ზმნა. ქართული ზმნა-შემასმენელი წინადადების ეკვივალენტია. ფაქტობრივად „ზმნა არის წინადადება მინიატურაში“ (ენუქიძე, 1997, 125). „ის ცალკე აღებულიც წინადადებაა. მ. შ. შემასმენელი არა მარტო ერთ-ერთი მთავარი წევრია წინადადებისა, არამედ სხვა მთავარ წევრთა შემცველიც“ (კვაჭაძე, 1996, 72).

„კონსტრუქციის შექმნის აუცილებელ პირობას, მის ღერძს წარმოადგენს ზმნა-შემასმენელი“ (დავითიანი, 1973, 313). ამდენად ქართული ზმნა-შემასმენელი მხოლოდ მთავარი ან ძირითადი წევრი კი არაა, არამედ წინადადებაა. ზმნა-შემასმენელი და წინადადება იდენტური ცნებებია, იდენტური სინტაქსური ერთეულებია.

ვიციტ, რომ „სიტყვათა დალაგებისათვის წამყვანია შემასმენლის პოზიცია“ (კვაჭაძე, 1996, 250). უმოკლესი წინადადებების მუდნივი წევრი კი შემასმენელია. ამ უპირატესობის გამო სხვა წევრთა პოზიციებიც შემასმენლის პოზიციიდან უნდა იქნეს განხილული.

ტრადიციულად წინადადება აგებულების მიხედვით არის მარტივი, შერწყმული და რთული. ეს უკანასკნელი ორი სახისაა: თანწყობილი და ქვეწყობილი. სამივე სახის წინადადების ძირითადი წევრია და ამავედროულად მათგანიზებული ცენტრია ზმნა-შემასმენელი. იგი განსაზღვრავს წინადადების სტრუქტურას და კონსტრუქციას. მის გარშემო ლაგდება წინადადების სხვა მთავარი თუ არამთავარი წევრები, რასაც განაპირობებს ზმნა-შემასმენლის სინტაქსურ-მორფოლოგიური ფუნქცია.

ქართულში შემასმენელს უკავშირდება პრედიკატულობა. იგი აუცილებელი პირობაა წინადადების

ასაგებად. პრედიკაცია დებს მიჯნას მარტივსა და რთულ წინადადებებს შორის. „მარტივი წინადადებისათვის დამახასიათებელი ერთი პრედიკატული ერთეული (მონოპრედიკატულობა, მონოსტრუქტურა), ხოლო რთულში გვაქვს ორი ან მეტი პრედიკატული ერთეული (პოლიპრედიკატულობა, პოლისტრუქტურა)“ (დავითიანი, 1973, 171).

ამ დებულებიდან გამომდინარე, შერწყმული წინადადების ტიპები (ერთგვარშემასმენლიანის გარდა), სტრუქტურულად მარტივია, რადგან მათთვისაც დამახასიათებელია მონოპრედიკატულობა. შემასმენლის გარშემო რამდენი ქვემდებარე, რამდენი დამატება, განსაზღვრება თუ გარემოებაც უნდა გვექონდეს, ვერ შეცვლის მის აგებულებას. წინადადების აგებულების ცვლა შეუძლია მხოლოდ ზმნა-შემასმენელს, რომელიც ქმნის პარატაქსულსა და ჰიპოტაქსურ კონსტრუქციებს.

„ტერმინები: „მარტივი წინადადება“, „რთული წინადადება“ სათანადოდ ვერ ასახავს ამ სინტაქსურ ერთეულთა სტრუქტურულ არსს“. ფაქტობრივად თავისი სტრუქტურით ე.წ. „მარტივი წინადადება“ უაღრესად რთულია; მით უმეტეს, ეს ითქმის ქართულ წინადადებაზე. „რთული“ კი შედგება „უაღრესად რთული მარტივი წინადადებებისაგან“. ამიტომაც წინადადებათა დაყოფა „მარტივ“ და „რთულ“ სინტაქსურ ერთეულებად გაუმართებლად მიგვაჩნია. მაშასადამე, აგებულების მიხედვით გვექნება არა „მარტივი“ და „რთული“, არამედ მონოპრედიკატული და პოლიპრედიკატული წინადადებები. ეს უკანასკნელი თავის მხრივ ორი სახისაა: პარატაქსული და ჰიპოტაქსური“ (ჭიკაძე, 1995, 168).

ჩვენ მთლიანად ვიზიარებთ გამოთქმულ მოსაზრებას და მიგვეჩანია, რომ ე.წ. შერწყმული წინადადე-

ბა ან მარტივი წინადადების ერთ-ერთი სახეა, ანდა თანწყობილისა.

მონოპრედიკატული ე.წ. შერწყმული წინადადების სტრუქტურა მარტივი წინადადების ტოლფასია, ამიტომ ასეთი სახის კონსტრუქცია ჩვენ მარტივი წინადადების ერთ-ერთ სახეობად მიგვაჩნია, ხოლო პოლიპრედიკატული – პარატაქსულისა.

ასე რომ, წინადადება აგებულების მიხედვით შემდეგნაირად უნდა დაიყოს:

მონოპრედიკატული:

მზე გადაიხარა (ილია, 2, 24);

შემოვიდა მღვდელი (აკაკი, 120, 31);

მოურავი შემოუძღვა ახალგაზრდა კაცს (აკაკი, 126, 36);

ხის ფოთლებმა და მცენარეებმა კანკალი დაიწყეს (ვაჟა, 5, 15);

დაგვრჩა ბუხარი მე და ბერუას (ვაჟა, 66, 19);

დალოცა ღმერთმა იმისი გზა და კვალი (ილია, 212, 34);

ამისი შავი და ღრმა თვალები მკვახედ გამოიყურებოდნენ (ილია 222 5);

შვილი დინჯად, ჭკვიანად ყურს უგდებდა დედას (ვაჟა, 94, 11-12);

პოლიპრედიკატული:

ა) პარატაქსული:

ზაალი წამოვარდა და მიაშურა (აკაკი, 120, 5);

დაიყვირა ერისთავმა და გასწორდა (აკაკი, 120, 28-29);

შველი მიაღვა ჭიშკარს და წივილი დაიწყო (აკაკი, 162, 11);

იმან თავი მაღლა აიღო და შემომხედა (ილია, 253, 18);

დასჩერებოდა სახეზე და ფიქრობდა (აკაკი, 161-162, 37-1);

დაიჭექა თოფმა დაბლა და მაღლა ქორმა შეიფრთქილა (აკაკი, 135, 32-33);

შენ რაღაც ნაღველი გაქვს და მე მიმაღავ (ილია, 248, 15);

ბ) ჰიპოტაქსური:

შენა გგონია, რომ გატყუებ (აკაკი, 166, 29);

ვინც შეიტყობს, რას მეტყვის (ილია, 205, 29);

დაარწმუნე ყველა, რომ ბაში-აჩუკი მოვკალითქო (აკაკი, 172, 27-28);

ხიდეები სადაც იყო, დახვეტა (აკაკი, 123, 27);

როცა გიჭირს, მაშინ გემალება (ილია, 191, 16);

ეხლა რომ ჰნახოთ, გაჰკვირდებით (ვაჟა, 43, 23-24);

მეც ვიცი, ვინც ბრძანდებიან (აკაკი, 133, 9);

იმას ვიტყვი, რასაც მთელი ქვეყანა ამბობს (ილია, 204, 28-29);

ამრიგად, წინადადების აგებულების კლასიფიკაცია ან მონოპრედიკატულია ან პოლიპრედიკატული.

მონოპრედიკატულია წინადადება, რომელშიც მონაწილეობს მხოლოდ ერთი ზმნა-შემასმენელი, მათ შორის ყველა ე.წ. შერწყმული წინადადება – ერთგვარშემასმენლიანის გარდა.

პოლიპრედიკატულია წინადადება, რომელშიც მონაწილეობს რამდენიმე ზმნა-შემასმენელი. იგი ორი სახისაა პარატაქსული და ჰიპოტაქსური.

პარატაქსულში გვაქვს მაერთებელი კავშირებით (ან უკავშიროდ) თანწყობის საფუძველზე გაერთიანებული წინადადებები, მათ შორისაა ე.წ. ერთგვარშემასმენლიანი შერწყმული წინადადებაც, რომელიც თანწყობილი წინადადების ერთ-ერთ სახეობად წარმოგვიდგება.

ჰიპოტაქსურში გვაქვს მაქვემდებარებელი კავშირებით (ან უკავშიროდ) ქვეწყობის საფუძველზე გაერთიანებული წინადადებები.

როგორც აღინიშნა, ქართულში შემასმენელს უკავშირდება წინადადების სტრუქტურა. იგი აუცილებელი პირობაა წინადადების ასაგებად. ამიტომ ის წარმოადგენს არა მარტო გრამატიკულ, არამედ აზრობრივ და ინტონაციურ ღერძსაც. შემასმენლის წარმოთქმისთანავე უკვე რეალიზებულია წინადადება, უკვე ჩამოყალიბებულია მსჯელობა.

პრედიკაცია დებს მიჯნას მარტივსა და რთულ წინადადებებს შორის, უფრო სწორად – მონოპრედიკატულ და პოლიპრედიკატულ წინადადებებს შორის: „მარტივი წინადადებისათვის დამახასიათებელია ერთი პრედიკატული ერთეული (მონოპრედიკატულობა, მონოსტრუქტურა), ხოლო რთულში გვაქვს ორი ან მეტი პრედიკატული ერთეული (პოლიპრედიკატულობა, პოლისტრუქტურა)“ (დავითიანი, 1973, 171).

მიუხედავად ამისა, მკვლევართა უმრავლესობა შერწყმულ წინადადებას ცალკე ტიპად გამოყოფს, თუმცა მიუთითებენ მის ორგვარ სტრუქტურულ ბუნებაზე.

„შერწყმულ წინადადებას შუალედური ადგილი უკავია მარტივსა და რთულ წინადადებას შორის“ (კვაჭაძე, 1996, 62-63).

ანტონ კიზირია შერწყმული წინადადების შესახებ აღნიშნავს: „სტრუქტურულად იგი მარტივსაც შეესაბამება და რთულსაც უახლოვდება“ (კიზირია, 1952, 203).

რ. ჭიკაძე ნაშრომში - „წინადადების პარაქსული კონსტრუქცია ქართულში“ – წერს: „მიგვაჩნია, რომ დაუშვებელია, რომელიმე სტრუქტურულ ერთეულს შუალედური ადგილი ეკავოს“ (ჭიკაძე, 1995, 167-170).

ნაშრომში ჩამოყალიბებულია წინადადების აგებულების სქემა:

I. მონოპრედიკატული: მონოტაქსური ანუ ოდენ-წყობილი;

- II. პოლიპრედიკატული: ა) პარატაქსული ანუ თანწყობილი;
ბ) ჰიპოტაქსური ანუ ქვეწყობილი (ჭიკაძე, 1995, 170).

მკვლევარი აქვე განიხილავს: „წარმოდგენილი კლასიფიკაციის მიხედვითაც შერწყმული წინადადება არ მოიაზრება დამოუკიდებელ სტრუქტურულ ერთეულად; ჩვენ სავსებით ვიზიარებთ საენათმეცნიერო ლიტერატურაში საკმაოდ გავრცელებულ შეხედულებას, რომლის მიხედვითაც ე.წ. შერწყმული წინადადება ან მარტივი წინადადების ერთ-ერთი სახეა, ანდა თანწყობილისა.

შერწყმულად მიჩნეული მონოპრედიკატული წინადადება სტრუქტურულად მარტივი წინადადების ტოლფასია, ხოლო პოლიპრედიკატული – პარატაქსულისა“ (ჭიკაძე, 2005, 121).

III თავი მონოპრედიკატული წინადადება

მარტივ და შერეულ წინადადებათა სტრუქტურული ურთიერთმიმართების საკითხისათვის

მონოპრედიკატულ წინადადებაში მონაწილეობს მხოლოდ ერთი ზმნა-შემასმენელი, რომელიც შეიძლება იყოს მონოპერსონალური ან პოლიპერსონალური.

როცა ზმნა-შემასმენელი მონოპერსონალურია, წინადადების მექანიზმი მარტივია:

საშინლად ცხელოდა (ვაჟა, 17, 6);

ჩვენს ზემოთ ნაკაფიანებში ხმაურობა ისმოდა (ვაჟა, 16, 15);

მე ავკანკალდი (ვაჟა, 18, 15);

მისი შიშით საყდარში ველარავინ შედიოდა (აკაკი, 121, 11-12);

შეშინებული დედაბერი იქვე კუთხეში მიიკრუნჩხა (აკაკი, 164, 27);

როცა ზმნა-შემასმენელი პოლიპერსონალურია, შედარებით რთულია მონოპრედიკატული წინადადების მექანიზმი. ზმნის პოლიპერსონალიზმი განაპირობებს მარტივი წინადადების სტრუქტურულ სპეციფიკურობას. არნ. ჩიქობავა წერს:

„ქართული წინადადების სინტაქსური რაობა ამოუცნობი დარჩება იმისთვის, ვინც მოიწადინებს მისი სინტაქსური ბუნების გარკვევას აბსოლუტური სახეობის ზმნიან წინადადებათა მიხედვით. რელატიურ-ზმნიანი წინადადებებია სპეციფიკური და მასთან ძირითადი ქართულისათვის“ (ჩიქობავა, 1968, 222).

ვნახოთ პოლიპერსონალური ზმნა-შემასმენელიანი წინადადების ნიმუშები:

მოურავი შემოუძღვა ახალგაზრდა კაცს (აკაკი, 126, 36);

ჩიტებმა მორთეს ერთხმად სიმღერა (ვაჟა, 17, 25);

საწყალს რაღაც რუსული ტანისამოსი ჩააცვეს (ილია, 196, 18-19);

მეცხვარემ დაგვცა კივილი (ვაჟა, 18, 15);

ერისთავები გაოცებით უგდებდნენ ყურს (აკაკი, 133, 16).

როგორც ვნახეთ, პოლიპერსონალური ზმნა-შემასმენლიანი მონოპრედიკატული წინადადების სტრუქტურა-მექანიზმი ყველა აღნიშნულ შემთხვევაში მარტივია.

მართალია, „ქართულ ენაში კონსტრუქციას ქმნის ბრუნვათა თავისებურება სუბიექტისაც და ობიექტისაც“ (დავითიანი, 1973, 313), მაგრამ მათი ბრუნვათა პარადიგმა განპირობებულია ზმნა-შემასმენლით. მნიშვნელობა არა აქვს შემასმენელი ერთპირიანი იქნება, ორპირიანი თუ სამპირიანი. მონოპრედიკატული წინადადების სტრუქტურა და მექანიზმი ყოველთვის მარტივია.

მონოპრედიკატულ წინადადებაში მონაწილე ზმნა-შემასმენელი შეიძლება იყოს როგორც მარტივი, ისე შედგენილი. მარტივი შემასმენელი ზმნის უღლეუბის ფორმით არის გადმოცემული. შეიცავს ლექსიკურ მნიშვნელობასაც და გრამატიკულ კატეგორიებსაც (პირს, რიცხვს, დროს, კილოს და სხვა).

ქართულში მარტივი წინადადება რთულია. რთულია მისი სინტაქსურ-მორფოლოგიური ბუნებიდან გამომდინარე. სირთულე ქართული ზმნის მრავალპირიანობაშია, რაც გამოწვეულია ზმნის პოლიპერსონალიზმითა და ზმნაში სუბიექტური პირისა და რიცხვის გარდა ობიექტური პირისა და რიცხვის ასახვით.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ყველა შემთხვევაში წინადადების სტრუქტურის მაორგანიზებელია ზმნა-შემასმენელი, ხოლო დანარჩენი წევრები მთავარი თუ მეორეხარისხოვანი – ვერავითარ გაფლენას ვერ ახდენს მონოპრედიკატული წინადადების აგებულებაზე. ამავე დროს, მონოპრედიკატულ წინადადებაში უნდა განიხილებოდეს ე.წ. შერწყმული წინადადება (ერთგვარშემასმენელიანი შერწყმული წინადადების გარდა), რადგან რამდენი ქვემდებარე, ირიბი დამატება, პირდაპირი დამატება, განსაზღვრება თუ გარემოებაც უნდა გვქონდეს, ვერ შეცვლის წინადადების სტრუქტურას, მის მექანიზმს. ასეთი წინადადებები „მართლაც მარტივ წინადადებათა გაშლილ, გაერცობილ სახედ წარმოგვიდგება“ (კვაჭაძე, 1996, 62).

ერთგვარი წევრების მიხედვით უნდა გამოიყოს მონოპრედიკატული მარტივი წინადადების სახეები: ერთგვარქვემდებარეანი, ერთგვარირიბდამატებეანი, ერთგვარპირდაპირდამატებეანი, ერთგვარუბრალოდამატებეანი, ერთგვარგანსაზღვრებეანი და ერთგვარგარემოებეანი.

დავიმოწმოთ ნიმუშები:

ერთგვარქვემდებარეანი მარტივი წინადადება
შემოვიდა ხალხში სპარსული ზნე, ჩვეულება, რჯული და კანონი (აკაკი, 143, 5-6);

მიწა, წყალი, მთა, კლდე, ტყე და ველი, ყველა
ერთად ნათესაურის კავშირით გადაბმულა ჩემთან (აკაკი, 149, 27-28);

ერთგვარირიბდამატებეანი მარტივი წინადადება
ქახდნენ თავის ნაცნობებს, ნათესავეებს (ვაჟა, 7, 25-26);

ნისლი ცხვარსა და მწყემს დაეფარა შავის ნაბადივით (ვაჟა, 41, 28-29);

დაგვრჩა ბუხარი მე და ბერუას (ვაჟა, 66, 190);

ერთგვარპირდაპირდამატებიანი მარტივი წინადადება ამის შემდეგ რაღაც ფიქრებმა წაიღო მისი გონება და გული (ილია, 226, 3);

ტკბილი ჩანგური და სალამური ზურნა-ჭიანურმა ჩაყლაპა (აკაკი, 146, 30);

ჩიტები ველარ ჰბედავდნენ ჭიკჭიკს, ცელქობას (ვაჟა, 17, 14-15);

ერთგვარუბრალდამატებიანი მარტივი წინადადება იმერეთის დიდკაცობა დიდი პატივისცემითა და ძღვენით დაუხვდა დიდებულ სტუმარს (აკაკი, 153, 10-11);

თოფისა და იარაღის ხმარებაში იმ ძირობაზედ იმას ოციც არა სჯობდა (ილია, 230, 34-35);

ფიქრობდა ხმელი წიფელი თავის თავზე, წარსულზე, აწმყოსა და მომავალზე (ვაჟა, 87, 10-11);

ერთგვარგანსაზღვრებიანი მარტივი წინადადება იმისი შავი და ღრმა თვალები მკვახედ გამოიყურებოდნენ (ილია, 2, 24-25);

მხრებშეკუმშული, ნისკარტდაღებული, უზარმაზარი, ლეგა ფრინველი მოდიოდა პირდაპირ ჩემკენ (ვაჟა, 13, 16-17-18);

მიბუნდებულს, უღრანს, ბნელს, დაბურულს ტყეს ხომ არა შეედრება (ვაჟა, 84, 9-10);

ერთგვარგარემოებებიანი მარტივი წინადადება ღმერთო! შენ გაუნათე იმასაც გზა სააქაოსაც და საიქაოსაც (ილია, 213,3-4);

გაზაფხულობითა და ზაფხულობით ბაღში განსვენება უყვარდა (ვაჟა, 81, 23-24);

შვილი დინჯად, ჭკვიანდ ყურს უგდებდა დედას (ვაჟა, 94, 11-12);

სიბრაზით და სიმწრით ყელში ნერწყვი უშრებოდა (ვაჟა, 168, 18)

რისთვის მოსულხარ, მოყვრად თუ მტრად?
(ილია, 161, 17);

დასახელებული მაგალითების ანალიზით ირკვევა, რომ მარტივი და ერთგვარწევრებიანი (გარდა ერთგვარშემასმენლებიანისა) ე.წ. შეერწყმული წინადადებები სავსებით იდენტური სტრუქტურული ერთეულებია. ასეთი სახის წინადადებები ერთ სტრუქტურულ ჭრილში უნდა განიხილებოდეს და იწოდებოდეს მონოპრედიკატულ წინადადებად.

„ერთშემასმენლიანი ე.წ. „მარტივი“ და „შერწყმული“ წინადადებები სავსებით სტრუქტურული ერთეულებია, განურჩევლად იმისა, ამ შემასმენელს რამდენი მთავარი თუ მეორეხარისხოვანი წევრი უკავშირდება, რომელთა სინტაქსური ურთიერთობა ემყარება შეთანხმებას, მართვასა და მირთვას და ისინი კვალიფიცირდება ერთ საერთო სტრუქტურულ ერთეულად – მონოპრედიკატულ წინადადებად“ (ჭიკაძე, 2009, 210).

ასე რომ, მონოპრედიკატული წინადადება აგებულიებით, სტრუქტურითა და მექანიზმით არის მარტივი, განურჩევლად იმისა, მის ზმნა-შემასმენელთან რაოდენობრივად რამდენი მთავარი თუ არამთავარი წევრია დაკავშირებული. მთელი ის კონცეფცია, რაც მონოპრედიკაციას ახასიათებს, ნათლად ჩანს აღნიშნულ წინადადებებში.

IV ტაში კოლიპრედიკატული წინადადება

ერთგვარშემასმენლიანი შერწყმული და რთული თანწყობილი წინადადების სტრუქტურული ურთიერთმიმართების საკითხისათვის

გრამატიკულ ლიტერატურაში შერწყმული წინადადებისა და რთული წინადადების წარმომავლობის შესახებ და ტერმინის საკითხისათვის გამოთქმულია აზრთა სხვადასხვაობა, კერძოდ:

ანტ. კიზირია წერს: „თანწყობილი წინადადების ისტორიული ანალიზი ადასტურებს, რომ განვითარება წარიმართა სამი მიმართულებით:

1. თანწყობილი წინადადება დარჩა თანწყობილადვე;

2. თანწყობილი წინადადებისაგან მივიღეთ რთული ქვეწყობილი წინადადება კომპონენტ წინადადებათაგან ერთი წინადადების მეორე წინადადებაზე დაქვემდებარების შედეგად;

3. თანწყობილი წინადადებისაგან მივიღეთ შერწყმული წინადადება.

განვითარების ამ უკანასკნელი სახეობის უძველესი საფეხური გულისხმობს თანაბარუფლებიან წინადადებებს, რომელთაც შეიძლება ქვემდებარე და შემასმენელი ერთნაირი ჰქონდეთ“ (კიზირია, 1969, 17).

„რთული თანწყობილი წინადადება მიიღება რამდენიმე მარტივი თუ შერწყმული წინადადების იმგვარი შეერთებით, როდესაც შემადგენელ წინადადებებს აქვთ დმოუკიდებელი სახე, ან ერთი წინადადება გულისხმობს მეორეს, მაგრამ მათ შორის დაქვემდებარებას არა აქვს ადგილი“ (კიზირია, 1969, 18);

ანტ. კიზირიამ გამოყო რთული თანწყობილი წინადადების ჯგუფები:

„1. თანწყობილი წინადადებანი, რომელთა პირველ წინადადების დამატება განმეორებულია ქვემდებარედ მეორესათვის.

2. თანწყობილი წინადადებანი, რომელთა პირველი წინადადების ქვემდებარე მეორე წინადადების დამატებაა.

3. პირველი წინადადების პირდაპირი დამატება გამოყენებულია მეორე წინადადებაში ირიბ დამატებად.

4. პირველი წინადადების პირდაპირი დამატება უბრალო დამატებად მეორდება მეორეში.

5. მეორდება (ამდენად საერთოა) შემასმენელი, ქვემდებარე, დამატებები და სხვა; ან მეორე წინადადებაში მოიპოვება ისეთი სიტყვები და ნაწილაკები, რომლითაც ნავარაუდევია პირველ წინადადებაში“ (კიზირია, 1969, 18-19).

ანტ. კიზირია განიხილავს რა ამ ჯგუფის წინადადებებს, სვამს კითხვას: „რა მიმართულებაშია თანწყობილ წინადადებათა სახეობანი ერთმანეთთან აზრობრივი მიმართებისას? შეიძლება თუ არა ერთი სახეობის განვითარებამ მოგვცეს მეორე სახეობა? პასუხი უარყოფითი იქმნება გასაგები მიზეზის გამო: თანწყობილ წინადადებათა ამგვარ სახეობებს შორის ქრონოლოგიური სხვაობა კი არ არსებობს, არამედ სხვაობას ქმნის შეკავშირებულ წინადადებათა მიმართება.

ამრიგად, ირკვევა, რომ:

1. თანწყობილი წინადადება არ შედგება მექანიკურად შეერთებულ წინადადებათაგან;

2. თანწყობილი წინადადება ყოველთვის არ შედგება ისეთი წინადადებისაგან, რომლებიც ერთი მეორის მიმართ თანასწორნი არიან (კიზირია, 1969, 26);

აზრობრივი მიმართება თანწყობილ წინადადებაში იძლევა სამ ძირითად სახეს, რომელთა ნიშან-

დობრივი თვისებაა ერთდროულობა, თანამიმდევრობა და დაპირისპირება. თითოეულ მათგანს აქვს თავისი დამახასიათებელი ნიშანი (კიზირია, 1969, 34).

ამ სამი ძირითადი სახის წინადადებათა დასაკავშირებლად გამოიყენება კავშირიანი ან უკავშირო შეერთება. კავშირებად გვაქვს მაერთებელი კავშირები.

არნ. ჩიქობავამ გვიჩვენა რომ: „წინადადების საკითხი ყველაზე მწვავე საკითხია თანამედროვე სინტაქსში: ეს ის წერტილია, სადაც თავს იყრიან და ერთურთს სცილდებიან სინტაქსურ პრობლემათა გარშემო ამუშავებული აზროვნების სხვადასხვა მიმართულებანი; წინადადების პრობლემის გადაწყვეტა მჭიდროდ არის დაკავშირებული სინტაქსის გაგებასთან, ხოლო სინტაქსის შინაარსი, ფარგლები და ადგილი საენათმეცნიერო დისციპლინათა შორის – თავსამტკრევი საკითხია ზოგადი ენათმეცნიერებისათვის“ (ჩიქობავა, 1968, 1).

ტრდაციული განსაზღვრებით, „შერწყმული ანუ თანწყობილწევრებიანია წინადადება, რომელიც შეიცავს ერთ საერთო წევრთან დაკავშირებულ რამდენიმე ერთმანეთის მიმართ თანწყობილ წევრს“ (კვაჭაძე, 1996, 261).

ამის მიხედვით გამოყოფენ შერწყმული წინადადების სახეებს; ესენია: 1. ერთგვარქვემდებარიანი; 2. ერთგვარშემასმენლიანი; 3. ერთგვარპირდაპირდამატებიანი; 4. ერთგვარირიბდამატებიანი; 5. ერთგვარუბრალოდამატებიანი; 6. ერთგვარგანსაზღვრებიანი; 7. ერთგვარგარემოებიანი და 8. შერეული სახის შერწყმული წინადადება. ეს სახეები განსაზღვრულია წინადადების წევრთა მიმართებით მხოლოდ შემასმენელთან ან ქვემდებარესთან.

ტრადიციულად შერწყმულ და თანწყობილ წინადადებებს ერთმანეთისაგან განარჩევენ ქვემდებარესთან ურთიერთობით. თუ ქვემდებარესთან რამდენ

ნიმე შემასმენელია დაკავშირებული, წინადადება შერწყმულია, ხოლო თუ შემასმენლებს თავ-თავისი ქვემდებარე მოეპოვებათ, წინადადება რთულ თან-წყობილადაა მიჩნეული. ამ ორი სახის წინადადების აგებულება მჭიდროდაა დაკავშირებული მათ სტრუქტურულ ურთიერთმიმართებასთან: ამის გასარკვევად უნდა დავეყრდნოთ მარტივი წინადადების სტრუქტურულ თავისებურებებს, რომლის არსი ქართული ზმნის მრავალპირიანობაშია. ცნობილია, რომ ქართულ ზმნაში თანაბრად აღინიშნება როგორც სუბიექტის, ისე ობიექტის პირი და რიცხვი.

„ძველ ქართულში რელატიურ-გარდამავალ და რელატიურ-გარდაუვალ ზმნიან წინადადებაში ქვემდებარისა და დამატების სინტაქსური ძალა თანაბარია“ (ჩიქობავა, 1968, 269).

ორპირიან ზმნაში, გარდამავალშიცა და გარდაუვალშიც, სუბიექტი და ობიექტი არსებითად ერთნაირი სინტაქსური უფლებით სარგებლობს; სუბიექტის სინტაქსური ძალა განელებულია, ობიექტისა – გაძლიერებული, და ამის შემდეგ სინტაქსური დაპირისპირება სუბიექტისა (ქვემდებარისა) და ობიექტისა (დამატებისა) მოხსნილია, დამატება ქვემდებარეს ეტოლება... დამატება წინადადების მეორე ხარისხოვანი წევრი კი არაა, ისეთივე „მთავარი“ წევრია, როგორც ქვემდებარე (ჩიქობავა, 1968, 214).

მართვა – შეთანხმების საკითხი პოლიპრედიაკატულ კონსტრუქციაში

ძველ ქართულში რელატიურ-გარდამავალ-ზმნიან წინადადებაში ზმნა-შემასმენელი მართავს როგორც ქვემდებარის ბრუნვას, ასევე პირმიმართ დამატებებსაც. ზმნა მართავს ბრუნვაში როგორც **MO**-ს,

ისე MS-ს. დამოკიდებულება MS-ისა და MO-ისა ზმნაზე სრულიად ერთნაირია: ორივე თანაბრად მართულია ზმნის მიერ (ჩიქობავა, 1968, 214).

ახალ ქართულში „სიტყვათა სინტაქსური ურთიერთობის პრინციპი არ შეცვლილა; არც შეიძლებოდა შეცვლილიყო, რადგანაც დაგერჩა წინანდელი მორფოლოგიური საფუძველი; ზმნის პოლიპერსონალურობა (ჩიქობავა, 1968, 269): გარდამავალი ზმნა+S+ირ.O.+პირ.O. პრედიკატული სინტაგმის ეს თავისებურება მორფოლოგიითაა შეპირობებული. სწორედ ამაზეა დამოკიდებული, თუ რა თვალსაზრისით განვიხილავთ ე.წ. შერწყმულ წინადადებას.

ვნახოთ ასეთი წინადადებები:

1. აბღუშაჰილი მივიდა, მოჰკიდა ხელი, ბევრი აბრუნა აქეთ-იქეთ, ცხვირი მოუსრისა, ყური აუწია, მაგრამ ვერ გამოაბრუნა (აკაკი, 161, 16-17-18). ამ წინადადებაში ქვემდებარე მართავს ერთგვარ შემასმენლებს პირში, რაც ზმნაში სათანადო ნიშნითაა გამოხატული. მივიდ-ა, მოჰკიდ-ა, აბრუნ-ა, მოუსრის-ა, აუწი-ა, ვერ გამოაბრუნ-ა. ამავდროულად ეს ქვემდებარე მართულია ზმნა-შემასმენლის მიერ ბრუნვაში: აბღუშაჰილი მივიდა; შდრ: აბღუშაჰილმა მოჰკიდა; აბღუშაჰილმა აბრუნა, მოუსრისა, აუწია, ვერ გამოაბრუნა.

2. შევლმა იგრძნო, დაფრთხა, წამოვარდა ზეზე, ორჯერ-სამჯერ გადახტა განზე, მაგრამ უცებ შეჩერდა და მოიხედა უკანვე (აკაკი, 161, 11-12-13);

აქაც ერთ საერთო ქვემდებარესთან რამდენიმე შემასმენელია დაკავშირებული: (შევლმა) (იგრძნო, დაფრთხა, გადახტა, შეჩერდა, მოიხედა), სადაც ქვემდებარე მართავს ერთგვარ შემასმენლებს პირში (რაც სათანადო ნიშნითაა გამოხატული: იგრძნ-ო, დაფრთხ-ა, წამოვარდ-ა, გადახტ-ა, შეჩერ-ა, მოიხედ-ა), ითანხმებს რიცხვში (მაგალითად: შევლემმა

იგრძნ-ეს, დაფრთხ-ნენ, წამოვარდ-ნენ, გადახტ-ნენ, შეჩერდ-ნენ, მოიხედ-ეს), თვითონ კი მართულია უახლოესი ზმნა-შემასმენლის მიერ ბრუნვაში (მაგალითად: შველ-მა იგრძნო, შდრ: შველ-ი დაფრთხვა, წამოვარდა, გადახტა, შეჩერდა, მოიხედა).

იდენტური სინტაქსური ურთიერთობაა ქვემოთ მოყვანილ წინადადებათა წევრებს შორისაც; მაგალითად:

მეთვალყურე შეცდა, კარგად ვერ გააჩნია სიბნელეში, ჩემი ტყვე, მტრად მიიღო და ნიშანი მოგცათ (აკაკი, 170, 29-30-31).

პირში მართვა: მეთვალყურე შეცდ-ა, გააჩნი-ა, მიიღ-ო, მოგც-ათ.

მართულია ბრუნვაში:

მეთვალყურე — შეცდა

მეთვალყურე-მ — გააჩნია

მეთვალყურე-მ — მიიღო — ტყვე

მეთვალყურე-მ — მოგცათ — ნიშანი

2. მელანომ მოიტანა თავისი ძველი თავსაფარი და თავზე გადააფარა, გამობრუნდა, დაჯდა ცეცხლთან, სამფეხა სკამზე და კარებისკენ იწყო ყურება (აკაკი, 157, 6-7-8);

პირში მართვა: მელანომ მოიტან-ა, გადააფარ-ა, გამობრუნდ-ა, დაჯდ-ა, იწყო-ო.

ბრუნვაში მართვა:

მელანო-მ — მოიტანა

მელანო-მ — გადააფარა — თავსაფარი

მელანო — გამობრუნდა

მელანო — დაჯდა

მელანო-მ — იწყო — ყურება


3. სახლში შემოვიდა ჩვენი ძველი ნაცნობი — გლახა ბაქრაძე, მოიხსნა სველი ნაბადი და მიაყუდა კედელზე, მოიხადა ყაბალახი, უკან ზურგისაკენ გა-

დაიგდო ფაფანაკი, თოფი იქვე მიაყუდა, დამბაჩა, ხმალი და ხანჯალი ტანზევე გაისწორა და ღიმილით გადაეხვია მელანოს (აკაკი, 157, 12-13-14-15-16);

პირში მართვა: გლახა ბაქრაძე შემოვიდ-ა, მოიხსნ-ა, მიაყუდ-ა,

მოიხად-ა, გადაიგდ-ო, მიაყუდ-ა, გაისწორ-ა, გადაეხვი-ა.


ბრუნვაში მართვა:



4. მელანომ ხელად გაშალა სუფრა, გვერდში ამოიდგა ერთი დოქი კახური და ზედიზედ უსხამდა სტუმარს, აძალებდა (აკაკი, 156, 11-12-13).

პირში მართვა: მელანომ გაშალ-ა, ამოიდგ-ა, უსხამდ-ა, აძალებდ-ა.

ბრუნვაში მართვა:



5. ტრედები ჩაფრინდნენ, გული გაიგრილეს, პირი დაიბანეს, დაისვენეს და წავიდნენ ტყვიასავით პირდაპირ (ვაჟა, 98, 34-35-36);

პირში მართვა: ტრედები ჩაფრინდ-ნენ, გაიგ-
რილ-ეს, დაიბან-ეს, დაისვენ-ეს, წავიდ-ნენ.

ბრუნვაში მართვა:

ტრედები — ჩაფრინდნენ

წავიდნენ

ტრედებმა — გაიგრილეს — გული

დაიბანეს — პირი

დაისვენეს

იდენტური სინტაქსური ურთიერთობაა ანალო-
გიური კონსტრუქციის წინადადებათა სათანადო წევ-
რებს შორისაც. მაგალითად: ან ბრაზიანმა ძაღლმა
არ დაგგლიჯოს, ან გველმა არ დაგკბინოსო (აკაკი,
397);

წვრილი ხეებიც მე დამხარიან ზემოდან, თითონ
თავშიშველნიც ტოტებს მე მაფარებენ (ვაჟა, 35, 10-
11-12) და სხვა.

ასეთი წინადადებების ზმნა-შემასმენლებს აქვთ
საერთო, საზიარო სიტყვა, რომელიც იგულისხმება
ან წინადადების პირველ ნაწილში და მეორეშია გა-
მოტოვებული. წინადადებაში „ან ბრაზიანმა ძაღლმა
არ დაგგლიჯოს, ან გველმა არ დაგკბინოსო“ საერ-
თო სიტყვაა შენ. იგი საერთო წევრიცაა, სინტაქსუ-
რად პირდაპირი დამატებაა. შენ ისევე მართავს
ზმნა-შემასმენლებს პირში (და-გ-გლიჯოს, და-გ-კბი-
ნოს), როგორც ზემოთ მართავდა ქვემდებარე პირში
ერთგვარ ზმნა-შემასმენლებს.

თუ შენ-ს ნაცვლად ჩავსვამთ მრავლობითი
რიცხვის სათანადო ნაცვალსახელს, მაშინ რიცხვში
შეთანხმებაც გვექნება (თქვენ დაგკბინოთ, დაგგლი-
ჯოთ), მსგავსად იდენტურ მდგომარეობაში მყოფი
ქვემდებარისა.

თუ შევცვლით პირდაპირი დამატების პირსა და რიცხვს, მაშინ ეს ცვლილება ზმნა-შემასმენლებშიც აისახება:

[მე] ან ბრაზიანმა ძაღლმა არ დამგლიჯოს, ან გველმა არ დამკბინოს.

[ჩვენ] ან ბრაზიანმა ძაღლმა არ დაგვეგლიჯოს, ან გველმა არ დაგვეკბინოს.

მესამე პირში ზმნა-შემასმენლები თავისი უნიშნობით უპირისპირდებიან პირველ და მეორე პირს, სადაც ზმნა-შემასმენლების მართვა რეალურადაა გამოხატული სათანადო მორფემით. რაც შეეხება რიცხვში შეთანხმებას ახალ ქართულში I და II პირში სისტემურია, ძველ ქართულში რიცხვში შეთანხმება III პირშიც გვექონდა.

თუ მესამე პირის ნაცვალსახელს ავიღებთ, იგი ბრუნვაში რეალურად იმართვის; მაგალითად: [ის] ან ბრაზიანმა ძაღლმა არ დაგლიჯოს, ან გველმა არ დაკბინოს.

ანალოგიური ვითარება იქნება ირიბ დამატებასთანაც, მხედველობაში გვაქვს ისეთი შემთხვევა, როცა რამდენიმე ზმნა-შემასმენელს აქვს თავ-თვისი ქვემდებარე და ერთი საერთო სიტყვა – ირიბი დამატება:

ყველას ხმლები ერტყათ წელზე, რკინის პერანგები ეცვათ ტანზე, თავზე მუზარადები ეხურათ (ვაჟა).

გამომდინარე ზემოთქმულიდან, ვიზიარებთ თვალსაზრისს, რომლის თანახმადაც „ქართულ წინადადებაში შემასმენელთა მიმართება უნდა განიხილებოდეს არა მხოლოდ ქვემდებარესთან, არამედ პირმიმართ დამატებებთანაც, ეს შეპირობებულია ქართული ზმნის პოლიპერსონალიზმითა და, აქედან გამომდინარე, ქვემდებარისა და პირმიმართი დამატების ტოლძალოვნებით“ (ჭიკაძე, 1995, 165).

ერთგვარშემასმენლიან შერწყმულ და რთულ თანწყობილ წინადადებებს სტრუქტურულად ბევრი რამ აქვთ საერთო. ორივე სახის წინადადება იყენებს მართებელ კავშირებს, ამავე დროს იდენტურია მწკრივთა თანამიმდევრობის მოდელები კავშირების გათვალისწინებით. ამ მხრივ არსებითი სხვაობა არ შეინიშნება.

ამიტომაც ბუნებრივად დაისმის საკითხი ერთგვარშემასმენლებიანი შერწყმული და რთული თანწყობილი წინადადების სტრუქტურული ურთიერთმიმართების შესახებ. ურთიერთობა უფრო მტკიცდება, როცა კომპონენტ ზმნა-შემასმენლებს აქვთ საერთო, საზიარო სიტყვა (მისამართი წევრი), რომელიც შეიძლება იყოს ერთი და იმავე, ან სხვადასხვა წევრის ფუნქციის მქონე. ის შემასმენელთან დაკავშირებულია როგორც სემანტიკურად, ისე გრამატიკულად. მისი როლი წინადადების ასაგებად მნიშვნელოვანია.


მისამართი წევრი პოლიპრედიკატულ კონსტრუქციაში

საერთო წევრი ანუ მისამართი სიტყვა შემასმენელთან დაკავშირებულია გრამატიკულად და სემანტიკურად. იგი შეიძლება იყოს მხოლოდ ქვემდებარე, მხოლოდ ირიბი დამატება, მხოლოდ პირდაპირი დამატება, ან ერთდროულად: ქვემდებარე და ირიბი დამატება; ქვემდებარე და პირდაპირი დამატება; ქვემდებარე, ირიბი დამატება და პირდაპირი დამატება.


მისამართი წევრის როლი და ადგილი წინადადების აგებულების დადგენაში მნიშვნელოვანია. რადგან მისამართ წევრთა და ზმნა-შემასმენელთა ურთიერთობით დგინდება შერწყმულ და თანწყობილ წინადადებათა სტრუქტურული ურთიერთმიმართებანი.

ა) შემასმენელთათვის საერთო მისამართი წევრია ოდენ ქვემდებარე:


დათიკო ყოველ დილით სკოლაში მიდიოდა, სადილად შინ მოვიდოდა, სადილს-უკან წავიდოდა, ზარების დარეკვის დროს ისევ შინ ბრუნდებოდა (ილია, 196, 16-17-18);




ნუ გეშინია, პატარავ, არ დაშრები, არ დაიკარგები (ვაჟა, 64, 22-23);




ხალხიც დაიშალა, წავიდ-წამოვიდა აქეთ-იქითკენ (აკაკი, 151, 25-26);



ახლაც წავედით, შევუდექით ველს პირებს, გავსწიეთ მთისკენ (ვაჟა, 17, 28-29);



ცივი, ანკარა ხევი მოჩუხჩუხებდა გალიპულს ქვებზედ, ერთის კლდიდამ მეორეზე გადადიოდა და გუბდებოდა (ვაჟა, 16, 4-5);




გვაქვს შემთხვევა, როცა ზმნა-შემასმენელთათვის საერთო წევრია ქვემდებარე, დამატება – ობიექტები კი თავ-თავისი აქვთ.

საერთო ქვემდებარე + თავ-თავისი პირდაპირი დამატება:


გაჰსსნიდა ჯამში მარილს და ჩაყრიდა მშრალი ქერის პურის გულს (ვაჟა, 24, 9-10);

[ის]  გაჰსსნიდა _____ მარილს
 _____ ჩაყრიდა _____ გულს


მოჭიდავემ აასრულა ხანის ბრძანება და მედიდურად დააპირა წრიდან გასვლა (აკაკი, 150, 23-24);

მოჭიდავემ  _____ აასრულა _____ ბრძანება
 _____ დააპირა _____ გასვლა

ამათ მოადგილედ ულუსები გადმოასახლა და გაღმა-გამოღმა ალაზნის პირები დაიჭირა (აკაკი, 141, 28-29);

[მან]  _____ გადმოასახლა _____ ულუსები
 _____ დაიჭირა _____ პირები

ბევრგან იმის სიტყვები გაჭირვებაში გულს მოგფხანენ, ჭირს გაგიაგვიღებენ, გულსა და გონებას გაგიწრთვიან და სიკეთისაკენ წაგახალისებენ (ილია, 214, 11-12-13-14);

სიტყვები 
 _____ მოგფხანენ _____ გულს
 _____ გაგიაგვიღებენ _____ ჭირს
 _____ გაგიწრთვიან _____ გულსა და გონებას
 _____ წაგახალისებენ _____ შენ

საერთო ქვემდებარე + თავ-თავისი ირიბი ობიექტი:

შეჰკვნესოდა მთვარეს და შესჩიოდა ვარსკვლავებს (აკაკი, 137, 17);

[ის] $\begin{array}{l} \nearrow \text{შეჰკენესოდა} \text{ --- } \text{მთვარეს} \\ \searrow \text{შესჩიოდა} \text{ --- } \text{ვარსკვლავებს} \end{array}$

მე ფეხაკრეფით მივეპარე და აქეთ ბოდს ავეტუ-
ზე (ილია, 238, 27-28);

მე $\begin{array}{l} \nearrow \text{მივეპარე} \text{ --- } \text{მას} \\ \searrow \text{ავეტუზე} \text{ --- } \text{ბოდს} \end{array}$

მზის გადახრამდე შეექცნენ და მერე გაუდგნენ
გზას (აკაკი, 134, 11-12);

[ისინი] $\begin{array}{l} \nearrow \text{შექცნენ} \text{ --- } \text{მას} \\ \searrow \text{გაუდგნენ} \text{ --- } \text{გზას} \end{array}$

საერთო ქვემდებარე + თავ-თავისი ირიბი და
პირდაპირი დამატება:

ამ სიტყვამ ელვასავით დაურბინა ხალხს და გა-
მოაფხიზლა (აკაკი, 121, 31-32);

სიტყვამ $\begin{array}{l} \nearrow \text{დაურბინა} \text{ --- } \text{ხალხს (ირ.)} \\ \searrow \text{გამოაფხიზლა} \text{ --- } \text{ხალხი (პირ.)} \end{array}$


თამრომ ერთი შემოჰხედა ქვეშ-ქვეშად მამას და
ღიმილით ისევ ჩაღუნა ლამაზი თავი (ილია, 246, 7-
8);

თამრომ $\begin{array}{l} \nearrow \text{შემოჰხედა} \text{ --- } \text{მამას (ირ.)} \\ \searrow \text{ჩაღუნა} \text{ --- } \text{თავი (პირ.)} \end{array}$

ბევრს გლეხის გოგოს მოუკლა იმან ნამუსი,
ბევრს კაი ოჯახის-შვილს თავზე ღაფი დაისხა
(ილია, 231, 11-12);


იმან $\begin{array}{l} \nearrow \text{მოუკლა} \text{ --- } \text{გოგოს} \text{ --- } \text{ნამუსი} \\ \searrow \text{დაასხა} \text{ --- } \text{შვილს} \text{ --- } \text{ღაფი} \end{array}$

დამითმე ის გოგო და შენ ღმერთს დაამადლე
(ილია, 249, 23);


შენ  დამითმე _____ მე _____ გოგო
დაამადლე _____ ღმერთს _____ [ის]

ბ) შემასმენელთათვის საერთო მისამართი წევ-
რია ოდენ ირიბი დამატება:


მომაგონდა ეს სიტყვები და სამოთხე ჩემი თვა-
ლის დახამხამების უმაღლ ჯოჯოხეთად გადამექცა
(ილია, 244, 7-8);

სიტყვები _____ მომაგონდა 
სამოთხე _____ გადამექცა _____ [მე]

აქ მეტის გულის ამოჯდომისაგან საწყალს ხმა
ჩაუწყდა, სიტყვა შეაეკრა და ენა დაება (ილია, 241, 3-
4);

ხმა _____ ჩაუწყდა 
სიტყვა _____ შეაეკრა
ენა _____ დაება _____ საწყალს

ნადირობა მე პირველ სასახელო საქმედ მიმაჩ-
ნდა და გამიკვირდა ბიძაჩემის სიტყვა (ვაჟა, 71, 35-
36);

ნადირობა _____ მიმაჩნდა 
სიტყვა _____ გამიკვირდა _____ მე

ერთი გულში უხიციანებდა და მეორე კი გულზე
ჰკებუნდა (აკაკი, 140, 6-7);

ერთი _____ უხიციებდა _____
მეორე _____ ჰკბენდა _____ [მას]

გზა-და-გზა სულ საწყალი პეპიას უბოროტო
სიკვდილი მეღანდებოდა და მისი მადლიანი თქმუ-
ლება მაგონდებოდა (ილია, 259, 26-27-28);

სიკვდილი _____ მეღანდებოდა _____
თქმულება _____ აგონდება _____ [მე]

გ) შემასმენელთათვის საერთო მისამართი წევ-
რია ოდენ პირდაპირი დამატება:

ან ბრაზიანმა ძაღლმა არ დაგგლიჯოს, ან
გველმა არ დაგკბინოს (აკაკი, 397);

ძაღლმა _____ არ დაგგლიჯოს _____
გველმა _____ არ დაგკბინოს _____ [შენ]

დ) შემასმენელთათვის საერთო მისამართი წევ-
რთა ერთდროულად ქვემდებარე და ირიბი დამატება:

ხან წაღმა ჰხნავს და ხან უკულმა ჰფარცხავს
(აკაკი, 144,14);

_____ ჰხნავს _____
[ის] _____ ჰფარცხავს _____ [მას]


სხვა ამ ქვეყნისა მე აღარა მინდოდა-რა და
აღარც მერგებოდა-რა (ილია, 265, 14-15);

_____ მინდოდა _____
სხვა _____ მერგებოდა _____ მე


გამოეცალა ხელიდან თამრო და გაექცა მამას
(ილია, 246, 22);

_____ გამოეცალა _____
თამრო _____ გაექცა _____ მამას

ხმელი წიფლის ტოტები ამაყად დედამიწას
 სცემდენ, ასკდებოდენ (ვაჟა, 85, 27);




გაჩეჩილ თმაზე ფაფანაკი ედება და არ ეტყობა
 (აკაკი, 124, 28-29);




საერთო ქვემდებარისა და ირიბი დამატების
 მქონე ზმნა-შემასმენლბს შესაძლოა თავ-თავისი
 ჰქონდეთ პირდაპირი დამატება:


ხმა არ გამცა, ყური მომარიდა (ილია, 218, 18);



დედამისმა შენიშნა ეს და მიზეზი გამოჰკითხა
 (აკაკი, 211, 1-2);




უთხრა ლელამ და გაუგო ნაბადი (ვაჟა, 8, 31-
 32);




ე) შემასმენელთათვის საერთო მისამართი წევ-
 რია ერთდროულად ქვემდებარე და პირდაპირი დამა-
 ტება:


ძირიანად ამოიღებდა, ძირიანად მოთხრიდა
(ილია, 383,27-28);




შენთვის მაგრად შეინახე, ძონძებში გამოიკარ,
არ დაგეკარგოს (ილია, 385, 8-9);




ვგრძნობ და ჭირს ადვილად ვიტან (აკაკი 145,
29);



ასე გადაწყვიტა ძლიერმა და კიდევ შესცვალა
თავისი გმირული, პირდაპირი პოლიტიკა საქვეშქვე-
შო – სავერაგოზე (აკაკი, 142, 21-22-23);



ცხენოსანმა მისი ბედაური გააჭენ-გამოაჭენა ჭა-
ლებში, გაახურვა და წამოიყვანა პირდაპირ მდინარი-
საკენ (აკაკი, 125, 6-7);



ვ) შემასმენელთათვის საერთო მისამართი წევრია ერთდროულად ქვემდებარე, ირიბი დამატება და პირდაპირი დამატება:

უბრძანა ერისთავმა და მიუთითა სკამზე (აკაკი, 120, 33-34);

ერისთავმა \triangleleft უბრძანა \triangleleft მიუთითა \triangleleft [მას] _____ [ის]

ნინიამ დაახალა თოფი, მაგრამ ააცდინა (ვაჟა, 57, 17);

ნინიამ \triangleleft დაახალა \triangleleft ააცდინა \triangleleft [მას] _____ თოფი

ნათელია, რომ პარატაქსულ კონსტრუქციაში მისამართ წევრი შეიძლება იყოს მხოლოდ ქვემდებარე, მხოლოდ ირიბი დამატება, მხოლოდ პირდაპირი დამატება, ერთდროულად ქვემდებარე და ირიბი დამატება, ან ქვემდებარე და პირდაპირი დამატება, ან და ერთდროულად ქვემდებარე, პირდაპირი დამატება და ირიბი დამატება. ზემოთ განხილულ წინადადებებში ზმნა-შემასმენლებმა მისამართი ანუ საერთო წევრი მოითხოვა ერთ რომელიმე კონკრეტულ ბრუნვაში. თუმცა პარატაქსულ კონსტრუქციაში ერთმანეთის გვერდით გეხვდება სხვადასხვა გარდამავლობისა და გვარის ზმნა-შემასმენლები, რომელნიც სხვადასხვა ბრუნვაში მოითხოვენ ქვემდებარეს. ამ შემთხვევაშიც უნდა დაისვას მისამართი წევრის როლისა და ბრუნვის საკითხიც.

ლ. კვაჭაძე წერს: „თანწყობილი შემასმენლები ქვემდებარეს ერთსა და იმავე ან სხვადასხვა ბრუნვაში მოითხოვენ. როდესაც თანწყობილია რამდენიმე ისეთი შემასმენელი, რომლებიც ქვემდებარეს სხვა-

დასხვა ბრუნვაში შეიწყობენ (გარდამავლობისა და სერიების მიხედვით), ქვემდებარე იმ ბრუნვაში დგას, რომელსაც მოითხოვს პირველი უახლოესი შემასმენელი“ (კვაჭაძე, 1997, 278).

ჩვენი აზრით: ქვემდებარე ბრუნვაში ანგარიშს უწევს არა მხოლოდ უახლეს შემასმენელს, არამედ პარტაქსულ კონსტრუქციაში წარმოდგენილ ყველა-ზმნა შემასმენელს ცალ-ცალკე. რითაც იქმნება სწორედ პარტაქსული კონსტრუქცია. ქვემდებარე ყოველთვის იმ ბრუნვაშია, რომელსაც მოითხოვს მისგან საურთიერთო მართვით დაკავშირებული ზმნა-შემასმენელი; ვნახოთ ეს პრედიკატული ცენტრების ფონზე:

1) უცვებ გაექანა შურდულივით ახალგაზრდა, შეუვარდა ფეხებში, გამოჰკრა ორივე ხელი, ჯირკივით გადააგორა ფალავანი და გამოიჭრა წრიდან (აკაკი, 150, 32-33-34-35);

ახალგაზრდა უცვებ გაექანა შურდულივით:

ახალგაზრდა შეუვარდა ფეხებში:

ახალგაზრდამ გამოჰკრა ორი ხელი;

ახალგაზრდამ ჯირკივით გადააგორა ფალავანი;

ახალგაზრდა გამოიჭრა წრიდან.

2) გამარჯვებულმა ცალი ფეხი დაჰკრა ფაშვზე, გადახტა და გავარდა წრიდან (აკაკი, 150, 15-16);

გამარჯვებულმა ცალი ფეხი დაჰკრა ფაშვზე;

გამარჯვებული გადახტა;

გამარჯვებული გავარდა წრიდან;

3) აბდუშაჰილი მივიდა, მოჰკიდა ხელი, ბევრი აბრუნა აქეთ-იქით, ცხვირი მოუსრისა, ყური აუწია, მაგრამ ვერ გამოაბრუნა (აკაკი, 161, 16-17-18);

აბდუშაჰილი მივიდა;

აბდუშაჰილმა მოჰკიდა ხელი;

აბდუშაჰილმა ბევრი აბრუნა აქეთ-იქით;

აბდუშაჰილმა მოუსრისა ცხვირი;

აბდუშაჰილმა აუწია ყური;

აბდუშაჰილმა ვერ გამოაბრუნა.

4) ფეიქარ-ხანმა წარბები შეიჭმუნა და ზეზე წამოდგა, გაბრუნდა ისევ თავის კარვისაკენ (აკაკი, 151, 24-25);

ფეიქარ-ხანმა წარბები შეიჭმუნა;

ფეიქარ-ხანი ზეზე წამოდგა;

ფეიქარ-ხანი გამობრუნდა ისევ თავის კარვისაკენ.

5) შუადღის დროს დაღალულ-დაქანცული ქედანი მივიდა და დაჯდა ჩვენს წინ თელის ტოტზე და დაიწყო ღუღუნი (ვაჟა, 36, 18-19);

ქედანი შუადღის დროს დაღალულ-დაქანცული მივიდა;

ქედანი დაჯდა ჩვენს წინ თელის ტოტზე;

ქედანმა დაიწყო ღუღუნი.

6) გოჩმა შორიდან თვალი შეასწრო თავის მსხვერპლს, წამოეპარა და დედა-შვილი ორივე ერთად დაიჭირა (ვაჟა, 39, 25-26-27);

გოჩმა შორიდან თვალი შეასწრო თავის მსხვერპლს;

გოჩი წამოეპარა;

გოჩმა დედა-შვილი ორივე ერთად დაიჭირა.

7) მელანო ზეზე წამოვარდა და მიაშურა კარებს გასაღებად (აკაკი, 157, 11);

მელანო ზეზე წამოვარდა;

მელანომ მიაშურა კარებს გასაღებად.

8) პირჯვარი გადაიწერა, ღმერთს მუდარების სახით შეხედა, აღუპყრა ხელნი და გოდებით შეევედრა (ილია, 269, 2-3-4);

[მან] პირჯვარი გადაიწერა;

[მან] ღმერთს მუდარების სახით შეხედა;

[მან] აღუპყრა ხელნი;

[ის] გოდებით შეევედრა.

ნათლად ჩანს, რომ ქვემდებარე ბრუნვაში ანგარიშს უწევს არა მხოლოდ უახლოეს შემასმენელს,

არამედ პარატაქსულ კონსტრუქციაში წარმოდგენილ ყველა ზმნა-შემასმენელს ცალ-ცალკე, მიუხედავად იმისა, ქვემდებარე სახელითაა წარმოდგენილი, ნაცვალსახელით თუ აღდგენას ექვემდებარება. პრედიკატული ცენტრები ერთმანეთთან დაკავშირებულნი არიან თანწყობით და ქმნიან პარატაქსულ კონსტრუქციას. აქედან გამომდინარე დაუშვებელია, ე.წ. ერთგვარშემასმენლიანი შერწყმული და რთული თანწყობილი წინადადების ერთმანეთისგან გამიჯვნა, რადგანაც ისინი ერთი და იგივე სინტაქსური ოდენობაა, ისინი ქმნიან პარატაქსულ კონსტრუქციას, რადგან ყველა ზმნა-შემასმენელს ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი სინტაქსური კონსტრუქცია აქვს. ისინი თავისი ფუნქციით პრედიკატული ცენტრებია.

და მაინც, რა როლი ენიჭება მისამარ წევრს პარატაქსულ კონსტრუქციაში?

მისამართი წევრით ე.წ. შერწყმული და თანწყობილი წინადადებების პარატაქსული ურთიერთობა უფრო მტკიცდება. იგი შემასმენელთან დაკავშირებულია როგორც სემანტიკრად, ისე გრამატიკულად.

ამრიგად, ირკვევა, რომ ერთგვარშემასმენლიანი შერწყმული წინადადება, რომელიც თანწყობილი წინადადების სახეობაა, დამოუკიდებელი სტრუქტურული ერთეული არ არის. იგი სტრუქტურულად იდენტურია რთული თანწყობილი წინადადებისა და მათ განვიხილავთ ერთ საერთო – პარატაქსულ კონსტრუქციად.

**მწკრივთა თანამიმდევრობის მოდელები
პოლიპრედიკატულ კონსტრუქციაში**

**მწკრივთა თანამიმდევრობის მოდელები ერთგვარშე-
მასმენელიან შერწყმულ წინადადებაში**

ცნობილია, რომ ერთგვარ შემასმენლად ყველა მწკრივის ფორმა შეიძლება გვექონდეს. ე.ი. ერთგვარი შემასმენლები ჩვეულებრივ ერთი და იმავე მწკრივის ფორმით გადმოიცემა: ან ყველა აწმყოა, ან უწყვეტელი, ან მყოფადი და სხვა. მაგრამ არც თუ იშვიათად გვხვდება სხვადასხვა მწკრივით გადმოცემული ზმნა-შემასმენლები. მაგალითად: აწმყო-უწყვეტელი, ... წყვეტილი – უწყვეტელი, ...

I თურმეობითი – აწმყო და ა. შ.

საანალიზო მასალამ გვიჩვენა, რომ მწკრივთა თანამიმდევრობის მოდელები ერთგვარშემასმენელიან შერწყმულ წინადადებაში მრავალფეროვან სურათს იძლევა. იგი გამოვლინდება საკავშირებელ საშუალებათა მიხედვითაც.

**მწკრივთა თანამიმდევრობის სტატისტიკა
ერთგვარშემასმენელიან შერწყმულ წინადადებაში**

უკავშირო

აწმყო - აწმყო – 29: გშიან, გშიან ძლიერ (ვაჟა, 42, 9-10);

აწმყო - მყოფადი – 2: ნუ გეშიანიან, პატარავ, არ დაშრები, არ დაიკარგები (ვაჟა, 64, 22-23);

აწმყო - წყვეტილი – 2: წვიმის მოსვლა მცენარეთ უხარიანთ, უხარიანთ, ყელამდის სიხარულით მოიყარნენ (ვაჟა, 35-36, 34-1);

როგორც ვნახეთ, აწმყოს მწკრივთან წყვილს ქმნის აწმყო, მყოფადი და წყვეტილი. ამათგან შედარებით ხშირია მოდელი აწმყო – აწმყო, ხოლო მოდელები: აწმყო – მყოფადი და აწმყო – წყვეტილი ერთნაირი სიხშირით ხასიათდება.

უწყვეტელი - აწმყო - 2: მაშინ მიკვირდა ეგრეთი ქცევა მღვდელისა, ეხლა კი მესმის (ილია, 209, 34);

უწყვეტელი - უწყვეტელი - 38: დედასთან კარგად ვცხოვრობდი, თავისუფლად ვსუნთქავდი (ვაჟა, 14, 2-3);

უწყვეტელი - ხოლმეობითი - 2: მთიდან ბარად მომდინარე არწივი მის კენწეროზე ისვენებდა, მთქყვებოდა ამაყად ყეფას (ვაჟა, 85, 10-11);

უწყვეტელი - წყვეტილი - 5: ერთი ნატვრა მქონდა, ისიც ასე უცბად ამისრულდა (ილია, 243, 11-12);

უწყვეტელი - I თურმეობითი - 3: ერთ დროს მე და შენ ხომ მეგობრები ვიყავით, პური ერთად გაგვიტეხია, ერთ ჭერ-ქვეშ დაგვიხველებია (ილია, 206, 27-28-29);

ახალ ქართულში უწყვეტელთან წყვილი შექმნა აწმყომ, უწყვეტელმა, ხოლმეობითმა, წყვეტილმა და I თურმეობითმა. ჭარბობს მოდელი: უწყვეტელი – უწყვეტელი. უწყვეტლის მეწყვილედ არ გამოვლინდა არც ერთი სახის კავშირებითი.

მყოფადი - აწმყო - 2: დაუშტვენ რა, ბუღბუღი გარ? (ილია, 245, 11);

მყოფადი - მყოფადი - 19: ბარი კლდის ცრემლს გულზე დაიყრის, შეისუტავს, შეისისხლხორცებს (ვაჟა, 132, 33-34);

მყოფადის მწკრივთან წყვილი შექმნა აწმყომ და საკუთრივ მყოფადმა. უკავშირო შერწყმულ წინადადებაში მყოფადის მეწყვილედ სხვა მწკრივები არ გამოვლინდა.

ხოლმეობითი - ხოლმეობითი - 7: ძირიანად ამოიღებდა, ძირიანად მოსთხრიდა (ილია, 383, 27-28);

უკავშირო შერწყმულ წინადადებაში ხოლმეობითის თანამიმდევარი კომპონენტია ხოლმეობითი.

მყოფადის კავშირებითი - II თურმეობითი - 1: ტრედები ამას ვერ აუქცევდნენ გზას, ეს მთა უნდა გაეფლათ აუცილებლად (ვაჟა, 98-99, 31-1);

მყოფადის კავშირებითთან წყვილი შექმნა II თურმეობითმა. დაეადასტურეთ ერთი შემთხვევა.

წყვეტილი - უწყვეტილი - 4: ამ საუბრის, დროს, ხვადაბუნდებში, გამოჩნდა ერთი ვილაც (ცხენოსანი, პირდაპირ სასახლისაკენ მოაგელგებდა ცხენს (აკაკი, 124, 21-22-23);

წყვეტილი - მყოფადი - 2: ღმერთო, გვიშიშვლე, ნუ ჩაგვაგდებ მაგათ ხელშიო! (ვაჟა, 97, 22-23); (წყვეტილი აქ მომავალი დროის მნიშვნელობითაა გამოყენებული).

წყვეტილი - წყვეტილი - 86: წაუძღვნენ წინ მეომრები, მიუახლოვდნენ მძინარეს, ერთად გასტყორცნეს სამი ისარი (აკაკი, 121-122, 36-37-1);

წყვეტილი - I თურმეობითი - 1: ვაჟო, დათვო, თავი დამანებე, წერას ნუ აუგდისხარ (ვაჟა, 71, 9-10);

უკავშირო შერწყმულ წინადადებაში წყვეტილის მწკრივის ზმნა-შემასმენელს მეწყვილე კომპონენტად ახლავს: უწყვეტელი, მყოფადი, წყვეტილი და I თურმეობითი. ამათგან დიდი სიხშირით ხასიათდება მოდელი წყვეტილი-წყვეტილი.

II კავშირებითი - მყოფადი - 2: ესე წერილიანზე ავიარათ, ველის პირად ნუ გამოვჩნდებით, ნუ დავენახვებით (ვაჟა, 16, 18-19);

II კავშირებითი - წყვეტილი - 1: რა გითხრათ, რა კაცი დავინახე ჩემ წინ!.. (ილია, 207, 19);

II კავშირებითი - II კავშირებითი - 4: ახლა უნდა წაგიყვანო, შენი თავი დიდებულ ხანს მიუძღვნა (აკაკი, 165, 22-23);

I თურმეობითი - აწმყო - 1: აჩქარებული კაცი ჰყოფილხარ, თოფის წამალსავით ჰფეთქავ (ილია, 199, 16-17);

I თურმეობითი - I თურმეობითი - 5: წაუღია, წაუღია! რა ეშმაკი ყოფილა (ილია, 285, 8);

II თურმეობითი - უწყვეტელი - 1: წყლის მუშა ყოფილიყო, საწყალი, ქანცგაწყვეტილი ფართხალებდა (ილია, 221, 8-9).

უკავშირო შერწყმული წინადადება სიხშირის მიხედვით არ ჩამოუვარდება „და“ მაჯგუფებულ კავშირიან წინადადებას. მასზე დაკვირვებამ აჩვენა, რომ მწკრივთა თანმიმდევრობის მოდელები მრავალფეროვნებით გამოირჩევა. ძირითადად გვხვდება ერთგვარი მოდელები: აწმყო-აწმყო, უწყვეტელი-უწყვეტელი, მყოფადი-მყოფადი, ხოლმეობითი-ხოლმეობითი, წყვეტილი-წყვეტილი, I თურმეობითი - I თურმეობითი. ერთგვარი მოდელების გვერდით გვაქვს არაერთგვარ მწკრივთა წყვილებიც: აწმყო-უწყვეტელი, აწმყო-მყოფადი, აწმყო-წყვეტილი, უწყვეტელი-აწმყო, უწყვეტელი-ხოლმეობითი, უწყვეტელი-წყვეტილი, უწყვეტელი - I თურმეობითი, წყვეტილი-უწყვეტელი, წყვეტილი-I თურმეობითი, II კავშირებითი-მყოფადი, II კავშირებითი-წყვილი, II თურმეობითი-უწყვეტელი, რომელთაც აერთიანებთ დროისა და კილოს კატეგორიები.

მაჯგუფებელკავშირიანი

და

აწმყო - აწმყო - 18: ვგრძნობ და ჭირს აღვი-
ლად ვიტან (აკაკი, 145, 29);

აწმყო - მყოფადი - 2: აცდის, აცდის და ჩამოა-
ტარებს (აკაკი, 124, 7);

აწმყო - წყვეტილი - 26: რამოდენა ნადირსა
ჰლუპავ და ერთხელ ნანადირევის ხორცი ვერ მაჭამე
(ვაჟა, 70, 4-5-6);

აწმყო - I თურმეობითი - 3: ამ ხნის კაცი ვარ
და ამისთანა წყაღდიდობას ჯერ არ მოვსწრებივარ
(აკაკი, 123, 23-24);

აწმყოსთან და მაჯგუფებელკავშირიან შერ-
წყმულ წინადადებაში თანამიმდევარი წყვილებია: აწ-
მყო, მყოფადი, წყვეტილი და I თურმეობითი.

უწყვეტელი - უწყვეტელი - 24: ახლა კი თავ-
შეკავებულნი ჰბერაფდნენ ცხვირის ნესტოებს, ფრქვი-
ნაფდნენ, კბილებს უჭერდნენ ლაგამს, ყურებს აც-
ქვეტდნენ და თვალებს აბრიალებდნენ (აკაკი, 151-
152,35-36-1);

უწყვეტელი - წყვეტილი - 14: მეტის აღელვები-
საგან ფეხზე ვეღარ დგებოდა და ჩაჯდა (აკაკი,
168,30-31);

უწყვეტლის მწკრივი და მაჯგუფებელკავშირიან
შერწყმულ წინადადებაში წყვილს ქმნის საკუთრივ
უწყვეტელთან და წყვეტილთან. ჩანს, უპირატესობა
ენიჭება წარსულ დროში ზმნა-შემასმენელთა შეთან-
ხმებას.

მყოფადი - აწმყო - 2: მოგკლავ და ვამბობ (ვა-
ჟა, 73, 39);

მყოფადი - მყოფადი - 10: გაითრევენ, გასწეწენ
ძაღლები და გადაუძახებენ სადმე ხევში ან კლდე-
ზედ, ქარსა და წყალს მისცემენ (ვაჟა,80,16-17);

მყოფადი - წყვეტილი - 1: გულიდან ნუ ამომა-
რეცხინებ შენს სიყვარულს და ინაცვალე ჩემი ობო-
ლი თავი (ილია, 249, 12-13);

და მაჯგუფებელკავშირიან შერწყმულ წინადა-
დებაში მყოფადმა წყვილი შექმნა აწმყოსთან, მყო-
ფადთან და წყვეტილთან. შესაბამისად გვაქვს შემ-
დეგი მოდელები: მყოფადი-აწმყო, მყოფადი-მყოფადი
და მყოფადი-წყვეტილი.

ხოლმეობითი - უწყვეტელი - 11: დაჯდებოდა
კარების დირეზე და სულ რაღაც ხელნაწერსა კით-
ხულობდა (ილია, 214, 33-34);

ხოლმეობითი - ხოლმეობითი - 18: დასტური მთ-
ეგებებოდა და ჩამოართმევდა საკლავთან ერთად ქა-
და-პურებსაც (ვაჟა, 50, 9-10);

ხოლმეობითის მწკრივმა და მაჯგუფებელკავში-
რიან შერწყმულ წინადადებაში შექმნა მოდელები:
ხოლმეობითი-უწყვეტელი და ხოლმეობითი-ხოლმეო-
ბითი.

წყვეტილი - აწმყო - 3: ერთი რქადაქნილი ჭე-
დილა გამოერჩია ცხვრის ფარიდამ და მოდის შენ-
სკენ ბალახის ძონით (ვაჟა, 41, 31-32);

წყვეტილი - უწყვეტელი - 15: ის გაჩერდა ერთ
ადგილას და აღარ იძროდა (აკაკი, 151, 3-4);

წყვეტილი - მყოფადი - 2: წავიდნენ და არ მობ-
რუნდებიან უკან (ილია, 215, 15-16);

წყვეტილი - ხოლმეობითი - 3: გავედით სვილში
და ტკბილად შევექცეოდით (ვაჟა, 19, 10-11);

წყვეტილი - წყვეტილი - 197: გამოეთხოვა, გა-
დაუგდო სავსე ქისა და გაიარა კარი (აკაკი, 160, 14);

წყვეტილი - I თურმეობითი - 7: დათიკო სად-
ღაც წავიდა და საღამომდე შინ არ შემოუხედნია
(ილია, 197, 4-5);

წყვეტილის მწკრივი და მაჯგუფებულ კავშირი-
ან შერწყმულ წინადადებაში მოდელს ქმნის აწმყოს-

თან, უწყვეტელთან, მყოფადთან, ხოლმეობითთან, წყვეტილთან, I თურმეობითთან და II თურმეობითთან. დიდი სიხშირით ხასიათდება მოდელი წყვეტილი-წყვეტილი.

I თურმეობითი - მყოფადი - 3: მოვალეცა ყოფილხარ და ნუ აჩქარდები (აკაკი, 172, 24);

I თურმეობითი - II კავშირებითი - 1: ჩვენი ძმური კავშირი უძველეს დროში დღემდე მტკიცედ შენახულა და ახლა რაღად უნდა გაწყდეს (აკაკი, 142, 12-13 -14);

I თურმეობითი - I თურმეობითი - 9: ჩაუკეტია კარები და ჩამწყვდევულა (აკაკი, 138, 15);

I თურმეობითი პარატაქსულ კონსტრუქციაში ქმნის მოდულებს მყოფადთან, II კავშირებითთან, I თურმეობითთან და II თურმეობითთან.

II თურმეობითი - უწყვეტელი - 17: კოშკიდან თურმე გადმომდგარიყო ახალგაზრდა ქალი და სარკმელში უყურებდა გულისფრიალით ამ ამბავს (აკაკი, 136, 14-15-16);

II თურმეობითი - აწმყოს კავშირებითი - 1: ნეტავი ჩემს სამშობლოში მმემკვდარიყავი და აქ არა გგვდებოდე (ვაჟა, 95, 36-37);

II თურმეობითი - წყვეტილი - 2: მამაჩემსაც გაეთავა ლოცვა და შემოვიდა ჩემთან (ვაჟა, 71, 37-38);

II თურმეობითი - II თურმეობითი - 19: ჩვენს იქით გუგულისკაბა ამოსულიყო და ჯერ ხმელს, ჩამოსულს ფოთოლს არ ამოსცილებოდა (ვაჟა, 36, 13-14).

II თურმეობითი მოდელს ქმნის უწყვეტელთან, აწმყოს კავშირებითთან, ხოლმეობითთან, წყვეტილთან და II თურმეობითთან.

და კავშირი ყველაზე მეტად გავრცელებული კავშირია შერწყმულ წინადადებაში, იგი აკავშირებს როგორც ერთგვარ, ისე განსხვავებულ მწკრივებს.

ჩანს, რომ პარატაქსულ კონსტრუქციაში წარმოდგენილ ზმნა-შემასმენელთა თანამიმდევრობისა და შეთანხმების ძირითადი წესი შერწყმულ წინადადებაში დაცულია.

არც ... არც

აწმყო - აწმყო - 3: ავი ძალღი არც თვითონ ჭამს და არც სხვას აჭმევს (ილია, 202, 12-13);

აწმყო - მყოფადი - 1: მე ამ ქვეყნისა აღარა გარ და არც იმ ქვეყნისათვის გამფდგები (ილია, 255-256, 35-1);

უწყვეტილი - უწყვეტილი - 1: ამას არც ჩვენ გნაღვლობდით და არც უფროსები გგეკითხებოდნენ (აკაკი, 62, 23 -24);

წყვეტილი - წყვეტილი - 3: იმან ხმა არ გამცა და არც შემომხედა (ილია, 232, 32).

აღარც

აწმყო - აწმყო - 1: არაც ჭამს, აღარც სვამს და აღარც ხმას იღებს (ილია, 257, 31-32).

გერც ... გერც

II თურმეობითი - II თურმეობითი - 1: გერც წინ წასულიყვნენ და გერც უკან დაბრუნებულიყვნენ (ვაჟა, 97, 19-20).

ნურც ... ნურც

მყოფადი - მყოფადი - 1: ნურც ხანჯალს გარჯი და ნურც ოქროს დახარჯავ (აკაკი, 159, 10-11).

არც...არც, აღარც...აღარც, გერც...გერც, ნურც...ნურც მაჯგუფებელი კავშირები ჩვენს მიერ მოძიებული მასალაში ძალიან მწირი აღმოჩნდა. ისიც მხოლოდ ერთგვარ მწკრივთა თანამიმდევრობაში გამოვლინდა. ესენია: აწმყო-აწმყო, უწყვეტილი-უწყვე-

ტელი, მყოფადი-მყოფადი, წყვეტილი-წყვეტილი და II თურმეობითი - II თურმეობითი.

ჩანს, არც...არც, აღარც...აღარც, ვერც...ვერც, ნურც-ნურც იშვიათია შერწყმულ წინადადებაში.

ირკვევა, რომ პარატაქსულ კონსტრუქციაში და მაჯგუფებელი კავშირი ქმნის როგორც ერთგვარ, ისე განსხვავებულ მწკრივთა კომბინაციებს. ზმნა-შემასმენლები ერთი დროს ფარგლებში თანამიმდევრობის ძირითად წესს მისდევს, რომელთაც აერთიანებთ დროისა და კილოს კატეგორიები.

მაპირისპირებულკავშირიანი

მაგრამ

აწმყო - უწყვეტელი - 1: მორევში ცხენი შეჩერდა, თითქოს თავს ანებებს და ბედს ემორჩილებაო, მაგრამ თურმე მხოლოდ ისვენებდა (აკაკი, 125, 18-19-20);

აწმყო - მყოფადი - 1: ერთი ობოლი ბიჭი ვარ, მაგრამ შენის პირისაგან თქმულს ღვთის რისხვასაც ავიტან (ილია, 234, 10-11-12);

უწყვეტელი - ხელმეობითი - 1: სულ ცხადად ვხედავდი, მაგრამ რითი ვუშველიდი მე, საცოდავი? (ვაჟა, 20,1-2);

ხელმეობითი - ხელმეობითი - 4: საწყალი დედაჩემი ცდილობდა ადგომას, წამოიწევადა ხელმე, მაგრამ ისევ ჩაიხვეოდა მუხლებში, დაეცემოდა და გაგორდებოდა (ვაჟა, 19, 32-33-34);

წყვეტილი - უწყვეტელი - 7: რამდენჯერმე ჩაუქრობელ-ჩამოუქროლა, ახალგაზრდამ გოლიათს, მაგრამ ატყუებდა (აკაკი, 151, 8-9);

წყვეტილი - წყვეტილი - 14: მთიკითხეს გამარჯვებული, მაგრამ ვერსად ნახეს (აკაკი, 151, 22-23);

I თურმეობითი - I თურმეობითი - 1: გოჩის რამდენის ჩიტის ხმა არ გაუგია, მაგრამ ყური არ უგღია (ვაჟა, 98, 34).

მაგრამ მაპირისპირებელი კავშირი შერწყმული წინადადების ფარგლებში და მაჯგუფებელი კავშირის შემდეგ ყველაზე მეტად გავრცელებულია.

მაგრამ აპირისპირებს ერთმანეთთან შემდეგ მოდელებს: აწმყო-უწყვეტელი, აწმყო-მყოფადი, უწყვეტელი-ხოლეობითი, უწყვეტელი-წყვეტილი; ხოლეობითი-ხოლეობითი, წყვეტილი-უწყვეტელი, წყვეტილი-წყვეტილი; I თურმეობითი - I თურმეობითი. ჭარბობს მოდელი წყვეტილი-წყვეტილი. ჩვენს მოძიებულ მასალაში არ აღმოჩნდა არც ერთი სახის კავშირებითი.

ხლლ

II თურმეობითი - უწყვეტელი - 1: მგელს წითელი ენა გადმოეგდო, ხლლლ თავის ნამოქმედარს თვალს არ აშორებდა (ვაჟა, 51, 4).

კი

წყვეტილი - წყვეტილი - 1: დასჭყივლეს რუსებს, ჩვენ კი გვითხრეს (ილია, 255, 1);

I თურმეობითი - წყვეტილი - 1: იგი ავად არ გამხდარა თავის სიცოცხლეში, დღეს კი ავადობასაებრ რაღაც იგრძნო (ვაჟა, 38, 18-19-20).

ლლლლ

მყოფადი - წყვეტილი - 1: უჰ, მაგას ნუ ინებეთ, ღმერთი გადრეგრძელებს, ლლლლ იმ ცხვარს უექიმეთ და საექიმო ჩემგან მიიღეთო! (აკაკი, 207, 30-31).

რაც შეეხება მაპირისპირებელ კავშირებს, ხლლლ, კი და ლლლლ შერწყმული წინადადების ფარგლებში, ჩვენი მასალის მიხედვით ძალიან მწირი

აღმოჩნდა. ზმნა-შემასმენლები ერთი კონკრეტული დროის თანამიმდევრობაში ქმნიან წყვილებს და შესაბამისად გვაქვს მოდელები: მყოფადი-წყვეტილი (ბრძანებითის მნიშვნელობის), წყვეტილი-წყვეტილი, I თურმეობითი-წყვეტილი და II თურმეობითი-უწყვეტილი.

მატალკევებელკავშირიანი შერწყმული წინადადება

ან ... ან

ხელმეობითი - ხელმეობითი - 1: ჩხიკვი ან შველსავით დაიხაფლებდა, ან ხის ტოტებზე ქურღულად დაიწყებდა ფრენას (ვაჟა, 190, 19-20).

გინდა ... გინდა

წყვეტილი - წყვეტილი - 2 (ბრძანებითის მნიშვნელობით): გინდა გველივით გამსრისე, გინდა დამიხსენ წაწყმედისაგან (ილია, 240, 32-33).

თან

მყოფადი - მყოფადი - 1: ხვალ იმ ერთადეთს ფრთასაც დაჰკარგავს და თითონაც თან გაჰყვება (ვაჟა, 80, 13-14);

ხელმეობითი - ხელმეობითი - 2: წავიდოდა ველად და მეც თან გამიყოლებდა (ვაჟა, 17, 27-28);

წყვეტილი - წყვეტილი - 2: შემოსძახა მადლის ხმით და თან „ხიოც“ მიაყოლა შოლტის ტყლაშუნით (აკაკი, 147, 7-8).

თანაც

უწყვეტელი - უწყვეტელი - 2: აწყობდა ერთმანეთზე და თანაც ღოცულობდა (ვაჟა, 39, 18-19).

ხან...ხან

აწყობდა - აწყობდა - 1: ხან წაღმა ჰხნავს და ხან უკულმა ჰფარცხავს (აკაკი, 144, 14);

უწყვეტელი - უწყვეტელი - 2: მე თავს ვუქნევდი, დავხტოდი, ხან ძუძუებში ვბურჩნიდი (ვაჟა, 15, 10);

ხოლმეობითი - უწყვეტელი - 1: ხან ჩაიცინებდა, ხან ისევ გაუცინებლივ დასცქეროდა მუხლებზედ გადაშლილ ნაწერსა (ილია, 197, 13-14);

წყვეტილი - წყვეტილი - 1: მეღანომ ჯინჯგალი დაუწყობ მძინარეს, ხან ფეხებში მოაველო ხელი, ხან თავი აუწია (აკაკი, 157, 23-24-25).

ერთგვარშემასმენლიან შერწყმულ წინადადებაში გვხვდება მწკრივთა თანამიმდევრობის როგორც ერთგვარი, ისე არაერთგვარი მოდელები, რომელთაც აერთიანებთ დრო-კილთა კატეგორიები. სწორედ ესაა მოდელთა ჩამოყალიბების საფუძველი.

შერწყმულ წინადადებაში ზმნა-შემასმენელთა ერთი დროის ფარგლებში (ზოგჯერ სხვადასხვა დროს ფარგლებშიც) თანამიმდევრობის წესი ძირითადად დაცულია.

მწკრივთა თანამიმდევრობის მოდელი
რთულ თანწყობილ წინადადებაში

განვიხილავთ მწკრივთა თანამიმდევრობის მო-
დელს რთულ თანწყობილ წინადადებაში.

მწკრივთა თანამიმდევრობის სტატისტიკა რთულ
თანწყობილ წინადადებაში

უკავშირო

აწმყო - აწმყო - 16: იმართება ყაყანი, ისმის მა-
მასახლისის ძახილი (ვაჟა, 43, 13-14);

აწმყო - უწყვეტელი - 2: მობრალულები არიან,
ამბობდა ხალხი იმათზე (ვაჟა, 24, 28)

აწმყო - აწმყოს კავშირებითი - 1: რას ამბობ,
ადამიანო, ნეტავ ვიცოდე (ილია, 244, 26);

აწმყო - მყოფადი - 10: ღმერთი მოწყალეა, ყვე-
ლანი კარგად ვიქნებით (ილია, 241, 14-15);

აწმყო - წყვეტილი - 11: კაცი ირჩობა, დაუძახა
ვიღაცამ (ილია, 220, 13-14);

აწმყო - II კავშირებითი - 6: არაფერი გიშავს,
უნდა ეხლავე შეეჩვიო, შვილო! (ვაჟა, 16, 13);

აწმყო - I თურმეობითი - 2: ძალა აღმართსა
ხნავსო, არ გაგიგონია? (აკაკი, 145, 8-9);

უკავშირო რთულ თანწყობილ წინადადებაში
აწმყოს მწკრივთან მეწყვილედ გამოვლინდა თითქმის
ყველა მწკრივი. შესაბამისად გვაქვს მოდელები. აწ-
მყო-აწმყო, აწმყო-უწყვეტელი, აწმყო-აწმყოს კავშირე-
ბითი, აწმყო-მყოფადი, აწმყო-წყვეტილი, აწმყო-II კავ-
შირებითი, აწმყო-I თურმეობითი. ჩანს, აწმყოს
მწკრივი წყვილთა შექმნის სიხშირითა და მრავლფე-
როვნებით გამოირჩევა.

აწმყოს კავშირებითი - წყვეტილი - 1: ახლა ჩემი შვილებიც გებრალეობდეთ, მარტო დაფყარე (აკაკი, 172-173, 34-1).

აწმყოს კავშირებითან წყვილი შექმნა წყვეტილმა, დავადასტურეთ ერთი შემთხვევა.

უწყვეტელი - აწმყო - 1: სიკეთე კაცს გულში ვერ ეტეოდა, სხვისი წახალისება აქ რა საჭიროა (ილია, 221, 23-24);

უწყვეტელი - უწყვეტელი - 19: მთის ძირში წყალი აქაფებულნი მთხზუოდა, წყლის ძირში გზატკეცილი მიიკლაკნებოდა (ილია, 256, 17-18);

უწყვეტელი - წყვეტილი - 18: პაპა ღარიბად სცხოვრობდა, მოხუცებულებს „შამნახავი“ არ დარჩათ (ვაჟა, 24, 3-4);

უწყვეტელი - II თურმეობითი - 2: მელი მობრძანდებოდა, ღმერთს მოწყალება მთელ მელის თავზე, ერთი ღალღა ეშოვა (ვაჟა, 100, 36-37);

ჩვენი მასალის მიხედვით უწყვეტელმა მოდელი შექმნა აწმყოსთან, უწყვეტელთან, მყოფადთან, წყვეტილთან და II თურმეობითთან. ჭარბობს მოდელი: უწყვეტელი - უწყვეტელი, მას მოსდევს უწყვეტელი - წყვეტილი.

მყოფადი - აწმყო - 5: ნუ აჩქარდები, ყველაფერი თავის დროზედ უნდა (ილია, 215, 9);

მყოფადი - მყოფადი - 7: დღეს თუ ხვალ ქართლიც აღარ იქნება, ისიც კახეთით ათხრდება (აკაკი, 132, 8-9);

მყოფადი - წყვეტილი - 3: უკეთესს დროს ჩვენ ვეღარ ჩავიგდებთ ხელში, წამოიძახა ცხარედ შალვამ (აკაკი, 131, 18-19);

მყოფადი - I თურმეობითი - 5: თურმე ნუ იტყვით, ჩემისთანა კაცის შეფარებაც სცოდნია (ილია, 196-197, 36-1);

ჩანს, რომ უკავშირო რთულ თანწყობილ წინადადებაში მყოფადი წყვილს ქმნის: აწმყოსთან, უწყვეტელთან, მყოფადთან, წყვეტილთან და I თურმეობითთან. ჭარბობს მოდელი: მყოფადი-მყოფადი, მას მოსდევს მყოფადი-აწმყო.

ხოლმეობითი - უწყვეტელი - 1: ნეტავ აღარ წამიყვანდნენ იმ ოხერ სასწავლებელში - მეთქი, ვფიქრობდი (ვაჟა, 67, 11-12);

ხოლმეობითი - ხოლმეობითი - 9: რა დედ-მამა ამიტირდებოდა, რა და-ძმა ამიგლოვდებოდნენ (ილია, 252, 5-6);

უკავშირო რთულ თანწყობილ წინადადებაში ხოლმეობითის მწკრივი თანამიმდევარ კომპონენტად წარსულ დროიან ზმნის ფორმას ირჩევს. შესაბამისად გვაქვს მოდელები: ხოლმეობითი-უწყვეტელი და ხოლმეობითი -ხოლმეობითი.

წყვეტილი - აწმყო - 41: ეს სააბედო სოკო ხმელს წიფელს ავაჭერის, ამბობს მეორე (ვაჟა, 86, 13);

წყვეტილი - უწყვეტელი - 30: მეორედ ჩაუარა კალოს, კიდევ არავინ ჩანდა (აკაკი, 150, 15);

წყვეტილი - მყოფადი - 4: ქვეყანა გოდებით აივსო, მეტი უბედურება რაღა დაადგება ქვეყანას (აკაკი, 132, 7-8);

წყვეტილი - წყვეტილი - 260: ერთმა მწუხარების ფერმა გადაჰკრა სახეზედ, დაღონდა, წარბი შეიკრა (ილია, 216, 31);

წყვეტილი - II კავშირებითი - 3: მეც იმან მასწავლა, ღმერთმა გადაუხადოს სამაგიერო (ილია, 199, 25-26);

წყვეტილი - I თურმეობითი - 3: ეს, მაღალმა ღმერთმა მამცა, თქვენც წილი გდებიათ (ვაჟა, 101, 20-21);

წყვეტილი - II თურმეობითი - 3: ავიხედე, ნის-
ლებით გაჭედდილიყო ხევ-ხუვი (ვაჟა, 64, 21);

უკავშირო რთულ თანწყობილ წინადადებაში
წყვეტილთან შექმნილი წყვილები დიდი სიხშირით
ხასიათდება, ესენია: წყვეტილი-აწმყო, წყვეტილი-უწ-
ყვეტელი, წყვეტილი - მყოფადი, წყვეტილი - წყვე-
ტილი, წყვეტილი - II კავშირებითი, წყვეტილი - I
თურმეობითი და წყვეტილი - II თურმეობითი. ამათ-
გან ხშირია მოდელი წყვეტილი - წყვეტილი, მას
მოსდევს წყვეტილი - აწმყო, შემდეგ წყვეტილი -
უწყვეტელი. ხოლო დანარჩენი მოდელები თანაბარი
სიხშირით ხასიათდებიან.

II კავშირებითი - აწმყო - 7: რა უნდა ჭამოს
კაცმა, ეს მარხვა რაღა ხათაბაღაათ (ვაჟა, 79, 14-15);

II კავშირებითი - უწყვეტელი - 1: სწორედ გით-
ხრათ, მე ჩემი თავი ძალიანაც არ მენანებოდა
(ილია, 252, 2-3);

II კავშირებითი - აწმყოს კავშირებითი - 1: თა-
ვი არ მომიკვდეს, მე შენი ღაპარაკი არ მესმოდეს
(ილია, 244, 33-34);

II კავშირებითი - ხოლმეობითი - 2: სხვა არა
იყოს-რა, ქარს მაინც ამოვადებინებდი დაღლილ მუხ-
ლებსა (ილია, 189, 31-32);

II კავშირებითი - წყვეტილი - 9: ღმერთმა ბავ-
შესაც ნუ აქნევინოს ეგ საქმე, დაუმატა სიცილით
(აკაკი, 120, 16-17);

II კავშირებითი - II კავშირებითი - 8: მე არ მო-
გიკვდე, გაბრიელმა მაგითი შენ გული არ აგაყრევი-
ნოს (ილია, 212, 15-16);

II კავშირებითი - I თურმეობითი - 1: ალალი
იყოს შენზედ ჩემი სისხლი, კაი ვაჟკაცი ჰყოფილხარ
(ილია, 264, 16-17);

პარატაქსულ კონსტრუქციაში II კავშირებითის
მეწყვილედ გვხვდება: აწმყო, უწყვეტელი, აწმყოს

კავშირებითი, ხოლმეობითი, წყვეტილი, II კავშირებითი და I თურმეობითი.

I თურმეობითი - აწმყო - 7: ცუდად ნუ გადამკიდებინარ, ქვეყანა დადის, სირცხვილია (ილია, 234, 21-22);

I თურმეობითი - წყვეტილი - 4: მალე გცოდნია, ძმობილო, პირობის ასრულება, მიბრძანა ხელახლად (ილია, 212, 8-9);

I თურმეობითი - II კავშირებითი - 6: ეგრე ყოფილა ქვეყანაზედა, ცალს თურმე ცალმა უნდა უცაღლეს (ილია, 194, 27-28);

I თურმეობითი - I თურმეობითი - 6: იმ ბედნიერს ღამეს ჩემს თვალს ძილი არ მიჭკარებია, ლხინსაც ჭირსავით ძილის გაფრთხობა სცოდნია (ილია, 243, 31-32);

უკავშირო რთულ თანწყობილ წინადადებაში I თურმეობითის თანამიმდევარი მწკრივებია: აწმყო, წყვეტილი, II კავშირებითი და I თურმეობითი.

II თურმეობითი - უწყვეტელი - 9: დიდრონი, შიშველი ფეხები საცოდავად ასიებოდნენ, დახეთქილი წყლულიდან ჩირქი სდიოდა (ილია, 190, 21-22-23);

II თურმეობითი - წყვეტილი - 2: წირვა გამოსულიყო, თეთრ-ჩადრიანი დედაკაცები თეთრად მოედგნენ ქუჩას (ილია, 207, 7-8);

II თურმეობითი - II თურმეობითი - 8: ბალახნი, ხენი, ჩემნი მშობელნი, დამჭკნარიყვნენ, მეც დაგმშრალიყავი თითქმის (ვაჟა, 64, 9-10).

უკავშირო რთულ თანწყობილ წინადადებაში II თურმეობითის მეწყვილედ გვევლინება: უწყვეტელი, წყვეტილი და II თურმეობითი.

ნათელია, რომ პარატაქსულ კონსტრუქციაში წარმოდგენილი ზმნა-შემასმენლები თანამიმდევრობის ძირითად წესს მისდევს. ერთმანეთის გვერდით გვაქვს ერთგვარ და არერთგვარ მწკრივთა მოდელები, რომელთაც აერთიანებთ დროსა და კილოს კატეგორიები.

2.2 მაჯგუფებელკავშირიანი

და

აწმყო - აწმყო - 47: ირჩობა ჩვენისთანა ადამიანი და არავინ შეგელის (ილია, 220, 29-30);

აწმყო - უწყვეტელი - 2: ქამალაღეული ფშაური გმირის სახელია და დაცინვით იმის სახელს ბიძაჩემი მე მეძახდა (ვაჟა, 69, 36-37);

აწმყო - მყოფადი - 4: ეგრე აღარ ჰფიქრობს ქვეყანა და შენ ერთი, მარტო, რას გააწყობ (აკაკი, 145, 9 -10);

აწმყო - ხოლმეობითი - 1: ქორი ორეივე ფეხით გახლავთ ჩამოკიდებული, გაფარჩხულად და ტყვია ორივე თასმას ხომ არ მიუდგებოდა? (აკაკი, 135, 35-36-37)

აწმყო - წყვეტილი - 5: გინდათ ერთმანეთის დაღუპვა, გშურთ მეზობლისათვის ერთი ლუკმა-პური და ღმერთმაც დაიშურა თქვენთვის (ვაჟა, 76, 26-27);

აწმყო - II კავშირებითი - 2: მე პეპიას გოგო მიყვარს და ჯვარი უნდა დაგიწეროთ (ილია, 249, 26-27);

აწმყო - I თურმეობითი - 3: მაგისტანა ვაჟკაცი ხარ და შენი გული ვერ დაგიმორჩილებია (ილია, 249, 16-17);

მაჯგუფებელკავშირიან რთულ თანწყობილ წინადადებაში აწმყოსთან თანამიმდევარი მწკრივებია: აწმყო, უწყვეტელი, მყოფადი, ხოლმეობითი, წყვეტილი, II კავშირებითი და I თურმეობითი. მეტად გავრცელებული მოდელია აწმყო-აწმყო, დანარჩენი მოდელები დაახლოებით თანაბარი სიხშირით ხასიათდება.

უწყვეტელი - უწყვეტელი - 35: დედაჩემი მიგორავდა, ვხედავდი თავქვე და სისხლიანს კვალს სტოგებდა ბალახზე (ვაჟა, 19, 28-29);

უწყვეტელი - ხომლებითი - 2: შენახული ჰქონდა სახლში და საჭიროების დროს მოიკითხავდა (ვაჟა, 232, 32-33);

უწყვეტელი - წყვეტილი - 7: მახლობლად ცარიელი ქვეერი მეგულებოდა და შიგ ჩაფხვერი (აკაკი, 169, 15-16);

და მაჯგუფებელკავშირიან რთულ თანწყობილ წინადადებაში უწყვეტელთან მოდელს ქმნის უწყვეტელი, ხოლმეობითი და წყვეტილი. ამათგან სიხშირით გამოირჩევა მოდელი: უწყვეტელი-უწყვეტელი. ნათელია, მწკრივთა თანამიმდევრობა ხდება ერთი დროის (წარსულის დროის) ფარგლებში.

აწმყოს კავშირებითი - აწმყოს კავშირებითი - 1: საქრისტიანო უნდა იმხობოდეს და ჩვენ აქ უნდა ვისხდეთ გულხელდაკრეფილი... (აკაკი, 131, 11-12);

აღნიშნულ კონსტრუქციაში აწმყოს კავშირებითთან თანამიმდევარი მწკრივი აღმოჩნდა აწმყოს კავშირებითი. დადასტურდა ერთი შემთხვევა.

მყოფადი - აწმყო - 5: ხალხის ფეხი აქ არ მისწვდება და თითო-ოროლა კეთილი კაცი ხან პურს მაწვდის ხოლმე და ხან წყალს (ილია, 266, 4-5);

მყოფადი - მყოფადი - 9: აქ სახელი მაინც დაგრჩება და იქ სიკეთე წაგიძღვება (ილია, 223, 19-20);

მყოფადი - წყვეტილი - 1: ამას იქით ისინი დილაობით ივლიან და შენ კი საღამოობით მდდი ხოლმე (ილია, 213, 9-10);

მყოფადი - II კავშირებითი - 1: წყლის მოტანილი შეშა წმინდა იქნება და წმინდა საქმესაც უნდა მოხმარდეს (აკაკი, 124, 17-18-19);

მყოფადთან გვაქვს შემდეგი მოდელები: მყოფადი-აწმყო, მყოფადი-მყოფადი, მყოფადი-წყვეტილი და მყოფადი-II კავშირებითი.

ხოლმეობითი - II თურმეობითი - 1: მის უკითხავად ფეიქარ-ხანი წყალსაც არ დააქცევდა და ახლაც

თურმე ის გამოეგზვნა ჩოლოყაშვილთან (აკაკი, 144, 17-18);

ჩვენი მასალის მიხედვით ხოლმეობითთან და მაჯგუფებელკავშირიან რთულ თანწყობილ წინადადებაში გამოვლინდა ერთადერთი მოდელი: ხოლმეობითი-II თურმეობითი.

წყვეტილი - აწმყო - 5: შემაშინა ამ საშინელმა სიზმარმა და ჯერაც გული მიკანკალებს (ვაჟა, 94, 9-10);

წყვეტილი - უწყვეტელი - 4: დაბლა დაიხედეს და ძირიღამ ცივი წყარო ამოჩუხჩუხებდა (ვაჟა, 98, 33-34);

წყვეტილი - მყოფადი - 5: მე იმ მღვდელზე სიტყვა ძალინ გამიგრძელდა, ბატონო, და ყბედობაში ნუ ჩამომართმევთ (ილია, 228, 1-2);

წყვეტილი - წყვეტილი - 231: მორევისაკენ გადავიხედე და წყალმა თვალი მომჭრა (აკაკი, 120, 12);

წყვეტილი - II კავშირებითი - 1: ქორი ჩამოეკიდა ხის წვეროზე და უნდა აუშვა როგორმე (აკაკი, 135, 18-19);

წყვეტილი - I თურმეობითი - 5: დაწყნარდა ქვეყანა და გავარდნილების აღარა გაუგონიათ რა (აკაკი, 173, 17-18);

წყვეტილი - II თურმეობითი - 6: ...მიწამ პირი მიყო და დაუსრულებელს უფსკრულში უნდა დავდუპულიყავი (ვაჟა, 64, 18-19);

წყვეტილის მწკრივი მოდელთა შექმნის თვალსაზრისით ნაირგვარობით ხასიათდება. მის თანამიმდევარ კომპონენტად გვაქვს: აწმყო, უწყვეტელი, მყოფადი, წყვეტილი, II კავშირებითი, I თურმეობითი და II თურმეობითი.

II კავშირებითი - აწმყო - 2: ჯერ უნდა სხეული დაუდუნდეს, სული დაუმდაბლდეს და მერე, მხოლოდ მერე შეიძლება მისი მოდრეკა (აკაკი, 142, 16-17-18);

II კავშირებითი - მყოფადი - 1: დალიე, ღმერთმა შეგარგოს და ტკბილად დაგეძინებაო (აკაკი, 156, 13-14);

II კავშირებითი - II კავშირებითი - 4: ეხლა უნდა ჩაღპეს მისი მგრძნობი გული მიწაში და ჭია-ღუებით უნდა გაიტენოს გრძნობის სადგური (ვაჟა, 21, 5-6);

და მაჯგუფებელკავშირიან პარატაქსულ კონსტრუქციაში II კავშირებითის მეწყვილედ გამოვლინდა აწმყო, მყოფადი და II კავშირებითი.

I თურმეობითი - აწმყო - 4: ტანზე რამდენიმე ადგილას საცოდავს გამხმარი ქერქი ასძრობია და ტიტველი გვერდები უჩანს (ვაჟა, 85, 12-13-14);

I თურმეობითი - მყოფადი - 4: ქალაქიდან ახალი ბლალოჩინი დაუნიშნაუთ, წუხელ მღვდელს სწვევია და მღვდელი ვერ მთიცლისო (ილია, 266, 24-25);

I თურმეობითი - წყვეტილი - 5: გაწუწულა კი ძალიან და სახაბაზოში შევგზავნე თორნეზე გასაშრობად (აკაკი, 126, 18-19);

I თურმეობითი - II კავშირებითი - 6: მაინც აქ მე შემინდვიხარ და იქ ღმერთმა იცოდეს (ილია, 268, 14);

I თურმეობითი - I თურმეობითი - 9: ამისთანა ბევრი ბედი მმდგომია კარზე და მეც წიხლი არ მიკრავს (აკაკი, 207, 33-34);

ჩანს, რომ და მაჯგუფებელკავშირიან რთულ თანწყობილ წინადადებაში I თურმეობითის თანამიმდევრული მწკრივებია: აწმყო, მყოფადი, წყვეტილი, II კავშირებითი და I თურმეობითი. ჭარბობს მოდელი I თურმეობითი - I თურმეობითი.

II თურმეობითი - უწყვეტელი - 5: დამჯდარიყო წიფლის შიმელაძე, მიეხუჭა თვალები და ნისკარტიდამ ცრემლი ჩამოსდიოდა (ვაჟა, 17, 16-17-18)

II თურმეობითი - ხოლმეობითი - 5: ერთი მუჭა ბალანი უნდა დარჩომოდა და მერე შებერვით აქეთ-იქით გააბნეფდა (ვაჟა, 67, 32-33);

II თურმეობითი - II თურმეობითი - 7: ერთი ვაჟიშვილი ჰყოლლდა თურმე და ისიც შეჰშურებოდა იმისთვის ბედს და წაერთმია საწყლისათვის (ილია, 195, 6-7-8).

და დამაჯგუფებელკავშირიან რთულ თანწყობილ წინადადებაში **II თურმეობითის** მეწყვილედ გვევლინება: უწყვეტელი, ხოლმეობითი, წყვეტილი და **II თურმეობითი**.

ნათელია, რომ და დამაჯგუფებელკავშირიან რთულ თანაწყობილ წინადადებაში გვხვდება როგორც ერთგვარ, ისე არაერთგვარ მწკრივთა თანამიმდევრობის მოდელები, რომელთაც აერთიანებთ დროისა და კილოს კატეგორიები. უპირატესობა ენიჭება წარსულ დროში მწკრივთა თანამიმდევრობას. მას მოსდევს ახლანდელ დროში შექმნილი წყვილები.

არც ... არც

აწმყო - აწმყო - 2: მაგას ღვთის კაცს ეძახიან, არც წყალი ერევა მაგ დალოცვილს, არც ცეცხლი ეკიდება (ილია, 221, 4).

ნურც ... ნურც

აწმყო - აწმყო - 1: ნურც თავს იწუხებ და ნურც მე მაწვალებ (აკაკი, 398, 14-15)

მყოფადი - მყოფადი - 1: ნურც თქვენ თავს გაგვამეტებინებთ და ნურც ჩვენ ამოგვწყვეტთ ცუდუბრალოდა (აკაკი, 213, 13-14).

არც-არც და ნურც-ნურც კავშირები მწკრივთა თანამიმდევრობის მიხედვით ქართულ ენაში იშვიათად იხმარება, მხოლოდ აწმყო-აწმყო და მყოფადი-მყოფადი გამოვლინდა.

მაგრამ

როგორც ცნობილია, მაგრამ კავშირი უმთავრესად იწყებს თანწყობილი წინადადების მეორე ნაწილს და შინაარსობრივად აპირისპირებს მას პირველთან. ზოგჯერ დაპირისპირებული წინადადება ზღუდავს იმას, რაზედაც ლაპარაკია პირველ ნაწილში. ამით კი იქმნება შეპირისპირება დადებით-უარყოფითი სემანტიკით.

ასე რომ, მაგრამ კავშირიანი წინადადება ყურადრებას იქცევს ზმნა-შემასმენელთა დადებით-უარყოფითი და სხვადასხვა ლექსიკური საშიალებების დართვითა და შეპირისპირებით. თანწყობილი წინადადების მეორე ნაწილი ისეთ ამბავს გადმოგვცემს, რომელიც არ არის მოსალოდნელი პირველი ნაწილის მიხედვით, მაგრამ ამ კონკრეტულ შემთხვევაში შესაძლებელია. ვნახოთ მწკრივთა მოდელების ფონზე:

აწმყო - აწმყო - 11: ბელიც გწყალობს, მაგრამ შენ კი შენი თავის მტერი ხარ! (აკაკი, 144, 23-24);

აწმყო - მყოფადი - 2: ...ჰშურთ მამასახლისისათვის კეთილი ცხოვრება, მაგრამ თავის თავმოყვარეობას სხვა გზით ასიამოვნებენ ისინიცა (ვაჟა, 43, 26-27-28),

აწმყო - წყვეტილი - 2: ღმერთო! რამდენი ამისთანა ცრემლი იღვრება ამ შენგან გაჩენილ დედამიწის ზურგზედ, მაგრამ სიავე ადამიანისა აქამდის არ ჩაირეცხა (ილია, 241, 4-5-6),

აწმყო - II კავშირებითი - 2: თქმა ადვილია, მაგრამ რა გამოვებნოთ მაგისტანა? (აკაკი, 154, 3),

აწმყო - I თურმეობითი - 1: უნდა ჰნახოთ ის ამაყი, თავისუფალი ნადირი, რარიგად უდრტვინველად და მშვიდად კვდება, მაგრამ მე ყოველთვის მის ცრემლმორეულ თვალებში ეს ამომიკითხავს (ილია, 187, 16-17-18),

აწმყოს მწკრივი მაგრამ მაპირისპირებელი კავშირით აპირისპირებს შემდეგ მწკრივებს, ესენია: აწმყო, მყოფადი, წყვეტილი, II კავშირებითი და I თურმეობითი. ჭარბობს მოდელი: აწმყო-აწმყო, ხოლო დანარჩენი მოდელები თანაბარი სიხშირით ხასიათდებიან.

უწყვეტელი - უწყვეტელი - 17: მოგდიოდი, მაგრამ შიშით კი მუხლები მიკანკალებდა (აკაკი, 170, 10-11);

უწყვეტელი - მყოფადი - 4: აქ კიდევ შეიძლება და შეველა, ამ მორევში, მაგრამ იქ, იმ უცნაურ ჩანჩქერში ვინღა რას გააწყობს (აკაკი, 125, 26-27);

უწყვეტელი - ხოლმეობითი - 5: ამას ატყობდნენ ზოგიერთები, მაგრამ ვინ გაბედავდა ცხადად მხილებას (აკაკი, 138, 4-5);

უწყვეტელი - წყვეტილი - 16: მისი ნაერთგულარი ბაქარას შვილები დასაკარგავად არ ემეტებოდა, მაგრამ აბაშიძის მეშურნეობამ დარია ხელი (აკაკი, 154, 20-21-22);

უწყვეტელთან მაგრამ კავშირი აპირისპირებს შემდეგ მოდელებს; ესენია: უწყვეტელი, მყოფადი, ხოლმეობითი და წყვეტილი.

მყოფადი - მყოფადი - 7: ძნელი გასაგები კი იქნება, მაგრამ ერთი-ერთმანეთს ვუშველით და გავიგებთ (ილია, 214, 10-11);

მაგრამ მაპირისპირებელი კავშირით მყოფადთან გვაქვს მხოლოდ ერთგვარი მწკრივი. ესაა მოდელი მყოფადი-მყოფადი.

ხოლმეობითი - აწმყო - 1: გეტყოდი, მაგრამ შენთვის რა ხელსაყრელია (ილია, 248, 19-20);

არც ხოლმეობითი გამოირჩევა წყვილთა შექმნის სიხშირით. იგი იპირისპირებს აწმყოს. გვაქვს მოდელი ხოლმეობითი-აწმყო.

წყვეტილი - უწყვეტელი - 8: ზრდილობისამებრ დააპირა გადახტომა, მაგრამ გაგიჟებული ცხენი ხელს უშლიდა (აკაკი, 152, 33-34);

წყვეტილი - მყოფადი - 1: რამდენი ცრემლი ჩამოაგდებინა ამ შეჩვენებულმა ბობოლამ ძაღლებს, მაგრამ ხვალ კი ჯავრს ამოიყრიან (ვაჟა, 80, 18-19);

წყვეტილი - ხოლმეობითი - 3: ფერი მეცვალა, მაგრამ რას გუშველიდი (ილია, 251, 7);

წყვეტილი - წყვეტილი - 20: ხალხმა გაიცინა, მღვდელსაც ღიმილი მოერივა, მაგრამ მარდად შეიკაფა სიცილი (ილია, 202, 14-15);

წყვეტილი - II კავშირებითი - 2: კვ, მოგაწყინე თავი ამოდენას ჩივილითა, შენი ჭირიმე, მაგრამ რა გქნა (ილია, 135, 13-14);

წყვეტილი - I თურმეობითი - 2: ყველას ძალიან გაუკვირდა ეს სიმარჯვე ახალგაზრდა მეთოფის, მაგრამ თვითონ არც კი შეუმჩნევია, თოფს დაუწყო ფერვა (აკაკი, 136, 4-5-6);

წყვეტილი - II თურმეობითი - 2: ბლალოჩინი დასწვდა წამოსაყენებლად, მაგრამ გლახას, ისე პირქვე დამხობილს, სული დაელია კიდევ (ილია, 269, 7-8-9).

წყვეტილის მეწყვილედ გვაქვს: უწყვეტელი, მყოფადი, წყვეტილი, II კავშირებითი, I თურმეობითი და II თურმეობითი.

II კავშირებითი - აწმყო - 1: იქნება სოფელში ყველა ერთმანეთის მტერი და მოშურნე იყოს, მაგრამ სოფელს კი, მთელს სოფელს ცალკე თავის თავისათვის კარგი უნდა (ვაჟა, 77, 1-2-3);

II კავშირებითი - II კავშირებითი - 5: რა მოგახსენოთ, მაგრამ სწორედ იმერელი კი უნდა გახლდეთ (აკაკი, 124, 31-32);

I თურმეობითი - აწმყო - 4: ძილში ადრეც მინახავს ამგვარი რამ, მაგრამ ეს კი ყველაზე უძლიერესია (აკაკი, 161, 34-35);

I თურმეობითი - წყვეტილი - 6: სასახლეში ბევრს არავის დარჩენილა სასიამოვნოდ ახალგაზრდა გლახუკის გამარჯვება, მაგრამ მაგიერად ერთი ვინმე კი სულ სხვა გუნებაზე დააყენა (აკაკი, 136, 12-13-14);

I თურმეობითი - I თურმეობითი - 7: მყოლია კიდევ ერთი უფროსი დაც, მაგრამ ის სხვა სოფელში ყოფილა გაბარებული მღვდელთან და გადარჩენილა (აკაკი, 171, 33-34-35);

I თურმეობითმა მაგრამ კავშირით დაიპირისპირა აწმყო, წყვეტილი და I თურმეობითი. მოდელეები თანაბარი სიხშირით ხასიათდებიან.

II თურმეობითი - უწყვეტელი - 3: ქურდულად ბევრჯერ შემეძლო იმისი მოკვლა, მაგრამ რა კაცობა იქნებოდა? (ილია, 262, 21-22-23);

II თურმეობითი - წყვეტელი - 3: კიდევ რაღაც უნდა ეთქვა, მაგრამ აღარ დასცაღდა (ილია, 264, 33-34);

II თურმეობითი - II თურმეობითი - 3: ბევრი რამ გამეგონა ქართველ ქალებზე, მაგრამ ნახევარიც არ მეჯერა, ახლა კი გამოგცადე და დავრწმუნდი (აკაკი, 159, 36-37).

II თურმეობითს ჩვენი მასალის მიხედვით მოსდევს უწყვეტელი, წყვეტილი და II თურმეობითი.

მაგრამ მაპირისპირებელი კავშირი პარატაქსულ კონსტრუქციაში საინტერესო კომბინაციებს ქმნის, ზოგჯერ მაგრამ კავშირის გვერდით გვხვდება იმავე ფუნქციის შემსრულებელი კი კავშირიც.

აწმყო - აწმყო - 1: აგერ, ამ ქუჩის ბოლოს, ერთი ღარიბი სახლობა არის, პურის შოვნის ილაჯი არა აქვთ, მე და შენ კი ყოველდღე მაძღრები ვართ (ილია, 200, 25-26-27);

აწმყო - მყოფადი - 1: ტაბაკი ხომ არ არის, უბრალო ჩხიკვია, იმ ვეებერთელა ურემში არც კი სჩანს, უიმისოდ კი ვერ შეაბამ (ილია, 210, 25-26);

აწმყო - II კავშირებითი - 1: მარტო პირუტყვი იყურება დაბლა, კაცმა კი უნდა ცას უყუროს (ილია, 208, 6-7);

უწყვეტელი - მყოფადი - 1: შენ ღვთის მსახური იყავ და მე კი შენი ვიქნები (ილია, 210, 81);

უწყვეტელი - წყვეტელი - 2: ჯერ ქართული ანბანი არ ვიცოდი, ის კი მოგვიყვა ბერძნულ ენას (ვაჟა, 67, 16-17);

მყოფადი - მყოფადი - 1: მოგეშველები, ქორი კი ევრაფერს დაგაკლებს (ვაჟა, 210, 7);

მყოფადი - II კავშირებითი - 1: გეტყვი ახლა კი, კაცის სამსახურში (აქ მღვდელი გაწითლდა) ამომვიდეს სული (ილია, 223, 18-19);

წყვეტილი - უწყვეტელი - 4: დაუძახა დედა-კაცს, თვითონ კი ხარებს უშვებდა უღლიდან (ვაჟა, 217, 11);

წყვეტილი - წყვეტილი - 4: ვკითხე გლახუკას, თვალი კი მღვდლისაკენ დამრჩა (ილია, 201, 12-13);

წყვეტილი - I თურმეობითი - 3: ძირი...დედამიწაზე უღვას თავი კი ცას მიუბჯენია (ილია, 176, 17-18);

წყვეტილი - II თურმეობითი - 1: გადააბრუნა ახლა სხვა გვერდი, ახლა სხვა წაიკითხა, ის კი სწორედ ჩვენ სოფელში გამეგონა (ილია, 198, 8-9);

II კავშირებითი - მყოფადი - 1: რაც უნდა უყავ, თავის სიკეთეს კი ნუ დაანახვებ (ილია, 218, 20);

II კავშირებითი - II კავშირებითი - 1: ვიმგზავრთ, იქნება ახლა კი შევიძლო თქვენთან მგზავრობა (ვაჟა, 95, 37-38).

„კი კავშირი წარმოიშვა საშუალო ქართულში, იგი ბადალია ხოლო კავშირისა“ (ძიძიგური, 1973). რთულ თანხმობილი წინადადებაში საკმაოდ ხშირად გვხვდება და ქმნის შემდეგ მოდელებს: აწმყო - აწმყო, აწმყო-მყოფადი, აწმყო-II კავშირებითი; უწყვეტელი - მყოფადი, უწყვეტელი-წყვეტილი; მყოფადი-მყოფადი, მყოფადი-II კავშირებითი; წყვეტილი-უწყვეტელი, წყვეტილი-წყვეტილი, წყვეტილი-I თურმეობითი; II კავშირებითი-მყოფადი და II კავშირებითი - II კავშირებითი. უპირატესობა ენიჭება არაერთგვარ მწკრივთა შეპირისპირებას.

თღონდ

მყოფადი - წყვეტილი - 1: აი, გეთაყვა ცრემლს მთვიწმენდ და დავდინჯდები, თღონდ მიშველე რამე, შენი კვენასა მე, შენი! (ილია, 241, 20-21);

II კავშირებითი - II კავშირებითი - 1: დაე, თუნდ გაჰყიდონ, თღონდ ნივთი კარგი რამ იყოს, დაე საქმე საქებარი იყოს (ილია, 223-224, 35-1).

ჩვენი მასალის მიხედვით თღონდ კავშირი თღონდ იშვიათად იხმარება. გამოვლინდა მხოლოდ ორი მოდელი; ესაა: მყოფადი-წყვეტილი და II კავშირებითი - II კავშირებითი.

2. მაცალკევებულკავშირიანი

ან ... ან

აწმყო - აწმყო - 4: ეგ კაცი ან გიჟია, ან ერი რამ ღვთის ნიშანია მაგის თავზედ-მეთქი (ილია, 399, 34-35);

მყოფადი - II კავშირებითი - 3: ან მე აღარ ვიქნები, ან ის მოწაფე გააგდეთ (აკაკი, 61, 11-12);

წყვეტილი - წყვეტილი - 3: თუ ვინმემ სოფლისათვის სამაგნო საქმე ჩაიდინა, ან სიტყვა დახარჯა, მაშინ მძლავრი ხმა გაისმის (ვაჟა, 77, 6-7);

II კავშირებითი - მყოფადი - 3: ან უნდა ჯვარი დაიწეროს, ან არადა ცოცხლები ვეღარ წახვალთ! (ილია, 330, 9-10);

II კავშირებითი - II კავშირებითი - 4: ჩვენ იას არ შეგვიცივდეს, ან არაფერმა არ აწყინოს (ვაჟა, 35, 12);

II თურმეობითი - II თურმეობითი - 3: ან ფიცისთვის უნდა მეღალატა და ან კაცი მომკლა (ილია, 260, 14).

ან კავშირი რთულ თანწყობილ წინადადებაში აერთებს შემდეგ წყვილებს, ესენია: მყოფადი - II კავშირებითი, წყვეტილი-წყვეტილი, II კავშირებითი-მყოფადი, II კავშირებითი-II კავშირებითი, II თურმეობითი - II თურმეობითი.

ხან ... ხან

აწმყო - აწმყო - 3: ხან გულია გამოყვანილი, ხან ჯვარია, ხან კიდევ დაწერილია რამე (ილია, 272, 28-29);

ხელმეობითი - ხელმეობითი - 2: მის შორიახლოს ხან შეუარდენი გამოინაგარდებდა, ხან ქორი გამოიქრთლებდა (ვაჟა, 50, 17-18).

ხან...ხან კავშირით დავადასტურეთ ერთგვარი მოდელები, ესენია: აწმყო -აწმყო და ხოლმეობითი – ხოლმეობითი.

გინდ(ა) ... გინდ(ა)

წყვეტილი - მყოფადი - 1: გინდა დაიჯერე, გინდა არა, მე კი გეტყვი მართალსა (ილია, 219, 29-30).

გინდ(ა) – გინდ(ა) კავშირის ხმარება ახალ ქართულში, როგორც ჩვენი მასალის მიხედვით ჩანს, იშვიათია.

თან/თანაც

წყვეტილი - უწყვეტელი - 2: შორიღამ დიაკვანის ხმა მოისმა, იმათ თან მოსდევდა ხალხის გროვა (ვაჟა, 82, 21-22-23);

წყვეტილი - წყვეტილი - 2: შამანდუხტი მიუხვდა ბავშვს, თანაც თვალები მოუცრემლიანდა, გამახარეს დარადელა (ჩირი) და თხილ-კაკალი მისცა და თან დაიწუწუნა (ვაჟა, 27, 28-29).

თან/თანაც კავშირით დავადასტურეთ მოდელები წყვეტილი-უწყვეტელი და წყვეტილი-წყვეტილი.

როგორც საანალიზო მასალიდან ჩანს, რთულ თანწყობილ წინადადებაში მწრივთა შესაძლო თანამიმდევრობათა თვალსაზრისით საინტერესო სურათი გვაქვს. პარატაქსულ კონსტრუქციაში პირველი წინადადების ზმნა-შემასმენლად შეიძლება შეგვხვდეს ყველა მწკრივის ფორმა, მეორე წინადადების ზმნა-შემასმენლად უმრავლეს შემთხვევაში ერთი და იმავე მწკრივის ფორმა გვაქვს, თუმცა ვხვდებით არაერთგვარ მწკრივთა თანამიმდევრობასაც, რაც არც თუ ისე იშვიათია.

ნათელია, რომ პარატაქსულ კონსტრუქციაში შემაგვალ წინადადებათა ზმნა-შემასმენლები ძირითადად ერთ დროის ფარგლებში თანამიმდევრობენ, მათ გვერდით გვაქვს სხვადასხვა დროში თანამიმდევრო-

ბის შემთვევებიც. მოდელთა შექმნის ზოგადი კანონ-
ზომიერება არ დაიღრვა მაშინაც, როცა ერთმანეთის
გვერდით აღმოჩნდა წარსული და ახლანდელი, წარ-
სული და მომავალი დრო (წყვეტილი-აწმყო, წყვეტი-
ლი-მყოფალი და ა.შ.).

ე.წ. ერთგვარშემასმენლიან და რთულ თანწყო-
ბილ წინადადებებზე დაკვირვებამ და ურთიერთშეჯე-
რებამ ნათელი გახადა, რომ აღნიშნული კონსტრუქ-
ციები თანაბარი სტრუქტურული ერთეულებია, იდენ-
ტურია მწკრივთა თანამიმდევრობის მოდელები. ამ
მხრივ არსებითი სხვაობა არ შეინიშნება.

სწორედ ამიტომ, მათ განვიხილავთ ერთ საერ-
თო პარატაქსულ კონსტრუქციად.

მწკრივთა შეფარდებითი მოდელები რთულ ქვეწყობილ წინადადებაში

ვიცით, რომ რთული ქვეწყობილია წინადადება,
რომელიც შედგება გრამატიკულად არათანასწორუფ-
ლებიანი ორი ან მეტი წინადადებისაგან, რომელთა-
გან ერთი მთავარი, სხვა მასზე დამოკიდებული, ერთი
ხსნის მეორეს ან ერთი დამოკიდებულია მეორეზე.

„რთული ქვეწყობილი წინადადების ნაწილების
ურთიერთობა ანალოგიურია იმისა, რაც გვაქვს ჩვენ
სიტყვათა დაქვემდებარებით შეკავშირებაში, სადაც
ერთი სიტყვა მთავარია, მეორე კი – დამოკიდებული,
წამყვანი სიტყვის ამხსნელი“ (კვაჭაძე, 1996, 383).

ერთი წინადადების მეორისადმი დაქვემდებარება
სხვადასხვა სინტაქსური საშუალებით ხორციელდუ-
ბა. დამოკიდებულ წინადადებას მთავართან აერთებს
მაქვემდებარებელი კავშირები და მისათითებელი

სიტყვები, მიმართებითი ნაცვალსახელები და მიმართებითი ზმნიზედები.

„მიმართებითი ნაცვალსახელების შემცველ რთულ ქვეწყობილ წინადადებაში დამოკიდებული წინადადებით (დამოკიდებულ წინადადებაში გამოხატული აზრით) ჩვეულებრივ ისაზღვრება, ზუსტდება მისამართი სიტყვის მნიშვნელობა ამა თუ იმ ნიშნის მიხედვით“ (ერთელიშვილი, 1962, 7).

დამოკიდებული წინადადება, რომელიც მიმართებით ნაცვალსახელს შეიცავს, მთავარ წინადადებასთან კავშირს ამყარებს მიმართებითი ნაცვალსახელის საშუალებით.

ეს ნაცვალსახელები ჩვეულებრივ უკავშირდება არა საერთო მთავარ წინადადებას, არამედ მის რომელიმე წევრს, მისამართ სიტყვას. ამ მისამართი სიტყვისა და მიმართებითი ნაცვალსახელის ურთიერთობა გვაძლევს სიტყვათა შორის სინტაქსური დამოკიდებულების სახეობას ქვეწყობილი წინადადების ფარგლებში“ (ერთელიშვილი, 1962, 7).

მისამართი სიტყვა ის წევრია წინადადებისა, რომელსაც დამოკიდებული წინადადების წევრი — მიმართებითი ნაცვალსახელი უკავშირდება და რომელიც დამოკიდებულ წინადადებაში გამოხატული აზრით ისაზღვრება და ზუსტდება.

სინტაქსური ფუნქციის მიხედვით დამოკიდებული წინადადება მრავალგვარია. ტრადიციულ გრამატიკაში დამოკიდებულ წინადადებათა კლასიფიკაცია ფუნქციის მიხედვით წინადადების წევრებს უკავშირდება. დამოკიდებული წინადადების სინტაქსური ფუნქცია გათანაბრებულია წინადადების წევრის ფუნქციასთან. შესაბამისად გამოიყო დამოკიდებული წინადადების მრავალი სახე: ქვემდებარული, დამატებითი, განსაზღვრებითი, გარემოებითი, შედეგობითი, პირობითი, დათბობითი და სხვა. თუმცა დამოკიდე-

ბულ წინადადებათა სახეებსა და წინადადებებს შორის სრული პარალელიზმი არა გვაქვს.

ვიციტ, რომ „ენაში სინტაქსური ბუნებისაა წინადადებად სიტყვათა შეკავშირების წესები“ (ერთეულიშივილი, 1962, 215). ამიტომ, ქვეწყობილი წინადადების ფარგლებში საკვლევეია არა მხოლოდ ფორმაუცვლელი კავშირებითი და მათი კორელატების ურთიერთობა, არამედ საკვლევი და საძიებელია მთავარი და დამოკიდებული წინადადების შემასმენელთა შეფარდებები მწკრივთა თვალსაზრისით.

ზმნა-შემასმენელთა შეფარდების თვალსაზრისით, გათვალისწინებულია შემდეგი გარემოებანი: „ჯერ ერთი: მთავარი წინადადების ამა თუ იმ მწკრივს დამოკიდებულში შეესაბამება რამდენიმე, მაგრამ არა ნებისმიერი მწკრივის ფორმა. მწკრივთა შესაძლო კომბინაციებიდან ზოგიერთი მრავალრიცხოვანია და უფრო მეტად გავრცელებული, ზოგი კი იშვიათად გვხვდება.

და მეორეც, თითოეული ტიპი რთული ქვეწყობილი წინადადებისა განსხვავებულ ვითარებას გვიჩვენებს“ (გეგუჩაძე, 2005, 6).

„აღნიშნული შეფარდებების ასახვამ წინადადებათა ქვეწყობაში სიტყვათა შორის ურთიერთობის სახეობა, წინადადებაში, სიტყვათა შეკავშირების წესების სახეობა უნდა მოგვცეს“ (ერთეულიშივილი, 1962, 229).

სხვადასხვა ტიპის ქვეწყობაში ან გარკვეული სახის შიგნით განსხვავებული შინაარსის გადმოცემისათვის მთავარ და დამოკიდებულ წინადადებათა შემასმენლები ერთმანეთს გარკვეული წესის მიხედვით უკავშირდებიან.

მწკრივთა შეფარდების სტატისტიკა ჰიპოტაქსურ კონსტრუქციაში

ქვემდებარული დამოკიდებული წინადადება

ქვემდებარულია დამოკიდებული წინადადება, რომელიც ხსნის და აზუსტებს მთავარში ნაცვალსახელით გამოსატულ ან ნაგულისხმევ ქვემდებარეს. სხვანაირად რომ ვთქვათ, ქვემდებარული წინადადება მაშინ არის შესაძლებელი, როცა მთავარ წინადადებაში ქვემდებარე სრულებით არ მოიპოვება, ან მოიპოვება, მაგრამ გამოსატულია ნაცვალსახელით.

უკავშირო

აწმყო - წყვეტილი - 2: ბევრი წილი ცოდვა, მე მგონია, აქ გადავიხადე (ილია, 266, 11-12);

აწმყო - II კავშირებითი - 1: წვიმას შეუძლიან, ერთბაშად ჩამომაცალოს ფოთლები (ვაჟა, 35, 13);

აწმყო - I თურმეობითი - 1: გეგონებათ, ხანჯალი დაუციათ და ნაწლავები გადმოუყრევინიებიათ (ვაჟა, 85, 15-16);

აწმყო - II თურმეობითი - 1: მართალია, ვერც უნდა გაებედნათ კახელებს ამისთანა საქმეო (აკაკი, 178, 12-13);

აწმყოსთან ქვემდებარული დამოკიდებული წინადადების ზმნა-შემასმენლად მოგვევლინა წყვეტილი, II კავშირებითი, I თურმეობითი და II თურმეობითი.

უწყვეტილი - წყვეტილი - 1: ყანებს თავები დაეხარა, ეტყობოდა, კარგი მოსავალი იყო (ვაჟა, 93, 26);

უკავშირო ქვემდებარულ დამოკიდებულ წინადადებაში უწყვეტლის მწკრივმა დაიქვემდებარა წყვეტილი. დადასტურდა ერთი შემთხვევა.

წყვეტილი - აწმყო - 1: მე მეგონა, ჩემგან გინდარამე (ილია, 207, 9);

ჩვენი მასალის მიხედვით, მოდელი: წყვეტილი - აწმყო დადასტურდა ერთი შემთხვევა .

I თურმეობითი - მყოფადი - 1: დაუჟინია, მარტო წავაღო (აკაკი, 131, 8-9);

წყვილი: I თურმეობითი - მყოფადი შეუძლებელ კომბინაციადაა მიჩნეული (გეგუჩაძე, 2005, 121).

I თურმეობითი - II კავშირებითი - 1: მოძღვარი აღარ მასვენებს და ქალბატონსაც დაუჟინია, უნდა შევლესოთ (აკაკი, 127, 16-17).

I თურმეობითმა დაიქვემდებარა მყოფადისა და II კავშირებითის მწკრივები.

უკავშირო ქვემდებარულ დამოკიდებულ წინადადებაში გვაქვს შემდეგი შეფარდებითი წყვილები: აწმყო-წყვეტილი, აწმყო - II კავშირებითი, აწმყო - I თურმეობითი, აწმყო - II თურმეობითი; უწყვეტელი - წყვეტილი; წყვეტილი - აწმყო; I თურმეობითი - მყოფადი, I თურმეობითი - II კავშირებითი.

თუ

უწყვეტელი - უწყვეტელი - 1: არ ვიცოდი და არც მესმოდა, თუ ვის უფრთხოდა (ვაჟა, 14,17-18);

წყვეტილი - უწყვეტელი - 1: სახლმა ქანება დაიწყო და მეგონა, თუ კედლები ინგრეოდნენ... (აკაკი, 120, 8-9).

თუ კავშირი ქვემდებარულ დამოკიდებულ წინადადებაებში ჩვენი მასალის მიხედვით სიხშირით არ გამოირჩევა. იგი აქვემდებარებს შემდეგ წყვილებს: ესენია: უწყვეტელი - უწყვეტელი და წყვეტელი - უწყვეტელი. ორივე შემთხვევაში შეფარდება გვაქვს წარსულ დროში.

ვისაც

აწმყო - აწმყო - 1: ნუ გეშინია, მე ის არა ვარ, ვისაც შენ იგლოვ და სტირი (აკაკი, 168, 16);

აწმყო - I თურმეობითი - 1: ვისაც არ გამოუცდია ეს დღე, იმან არ იცის - რა მწვავეა (ილია, 251, 34-35);

ვისაც კავშირით აწმყო იქვემდებარებს აწმყოსა და I თურმეობითის მწკრივებს.

წყვეტილი - უწყვეტელი - 1: მის წინ იდგა ის, ვისაც იგლოვდა და სტიროდა (აკაკი, 168, 13);

II კავშირებითი - II კავშირებითი - 1: ვისაც შეგებლათ, თავს უშველეთ (ილია, 255, 2).

ვისაც ქვემდებარული კავშირი გვაძლევს შემდეგ დაქვემდებარებით წყვილებს: აწმყო - აწმყო, აწმყო - I თურმეობითი, წყვეტილი - უწყვეტელი და II კავშირებითი - II კავშირებითი.

ვინც

აწმყო - აწმყო - 3: ვინც კაი საქმესა ჰშვრება, სახელისათვის ჰშვრება (ილია, 223, 30);

აწმყო - უწყვეტელი - 2: ამის შემდეგ ხალხმა სულ აღარად ჩააგდო და, ვინც ადრე მუხლებისყრით გვევედრებოდა, ახლა დოინჯით გვივლის გვერდს (აკაკი, 209, 3-4-5);

... აწმყო - მყოფადი - 1: ყველა, ვინც კი პირველად თოფს აიღებს, კურდღელს ემუქრება (ვაჟა, 61, 15);

უწყვეტელი - უწყვეტელი - 2: ვინც ქართველობას არ იფიწყებდა, ის იჩაგრებოდა და წინ ბიჯის გადადგმას ვერ ახერხებდა (აკაკი, 142-143, 36-37);

მყოფადი - აწმყო - 2: ვინც ვარ, ის ვიქნები (ილია, 255, 13-4);

მყოფადი - მყოფადი - 2: ვინც კაცს გააჯაგრებს, ის ღმერთს გააჯაგრებს (ვაჟა, 83, 25);

მყოფადის მეწყვილედ დავადასტურეთ აწმყო და მყოფადი. შესაბამისად გვაქვს მოდელები: აწმყო-აწმყო, მყოფადი-მყოფადი.

წყვეტილი - წყვეტილი - 3: ვინც კი მთაში ვერ გაასწრო და გაუხიზნავი დარჩა - დაიდუბა (აკაკი, 141, 23-24);

ვინც მიმართებითი ნაცვალსახელით წყვეტილის მწკრივმა შეიფარდა საკუთრივ წყვეტილი. ჩვენს მასალაში დადასტურდა ერთი შემთხვევა.

II კავშირებითი - აწმყო - 1: მამისა იმას უნდა ეთაკილებოდეს, ვინც მამასთან პირშავია (ილია, 246, 25-26);

II კავშირებითი - II კავშირებითი - 1: შენი შემარცხვენელი იყოს, ვინც შენისთანას შეუშინდეს (ილია, 250, 1);

II კავშირებითი ქვემდებარულ დამოკიდებულ წინადადებაში იქვემდებარებს აწმყოსა და II კავშირებითის მწკრივებს.

I თურმეობითი - აწმყო - 3: მაშ ჩვენ სულ გასვრილები ვყოფილვართ, სასახლის კარზე ვინცა ვართ (აკაკი, 144, 30-31).

ვინც მიმართებითმა ნაცვალსახელმა დაიქვემდებარა ქვემდებარულ წინადადებაში შემდეგი წყვილები: აწმყო-აწმყო, აწმყო-უწყვეტელი, აწმყო-მყოფადი, უწყვეტელი-უწყვეტელი; მყოფადი-აწმყო, მყოფადი-მყოფადი; წყვეტილი-წყვეტილი; II კავშირებითი-აწმყო, II კავშირებითი-II კავშირებითი და I თურმეობითი-აწმყო.

რაც

აწმყო - აწმყო - 3: ჯერ სულ ერთი კვირაა, რაც მე წუთისოფელს ვხედავ, და რამდენი შიში და ვაება გამოვიარე (ვაჟა, 15,1-2);

აწმყო - წყვეტილი - 3: მოხდა ის, რაც ფშავში ხშირად ხდება (ვაჟა, 123,21);

აწმყო - I თურმეობითი - 2: ძლივს მაგონდება და ოდნავ მახსოვს, რაც საბრალო დედაჩემისაგან გამიგონია (აკაკი, 171,28-29-30);

აწმყოს მწკრივს შეეფარდა ქვემდებარულ დამოკიდებულ წინადადებაში აწმყო, წყვეტილი და I თურმეობითი.

უწყვეტელი - წყვეტილი - 1: ის, რაც გულში მაშინ დამიტრიალდა, არც სიხარულსა ჰგვანდა და არც ნალველსა (ილია, 238, 35-1);

წყვეტილი - წყვეტილი - 3: ისა ვთქვი, რაც შენ გაიგონე (ილია, 249,9);

წყვეტილი - I თურმეობითი - 1: რაც რამ უთქვამს ჩემთვის, დღევანდლამდინ სიზმარივით დამახსოვდა (ილია, 215, 24-25);

წყვეტელის მწკრივი იქვემდებარებს წყვეტილისა და I თურმეობითის მწკრივებს.

II კავშირებითი - მყოფადი - 1: დეე, რაც მომივა, მომივიდეს, დეე ეგეც ჩემს აქაურს ჭირსა ზედ დაერთოს სხვისი ჭირის სანაცვლოდ (ილია, 260, 33-34-35);

II კავშირებითი - I თურმეობითი - 4: ... ის იქნას, რაც ჩემს ბედისწერას ჩემთვის გაუწესებია (ილია, 261, 7);

რაც კავშირით II კავშირებითთან გვაქვს შემდეგი შეფარდებითი წყვილები: II კავშირებითი - მყოფადი და II კავშირებითი - I თურმეობითი.

II თურმეობითი - აწმყო - 1: ეს კაცი ის არ უნდა ყოფილიყო, რაც ეხლა არის (ილია, 191-192, 35-1);

II თურმეობითი - უწყვეტელი - 2: ამადამ, რაც კი ოჯახში სამარხო რამ მოიპოვებოდა, ყველა ის უნდა გაკეთებულიყო, ჩვეულებისამებრ „მარხვის გასასტუმრებლად“ (ვაჟა, 70, 30-31-32).

II თურმეობითი რაც კავშირით ქვემდებარულ დამოკიდებულ წინადადებაში იფარდებს აწმყოსა და უწყვეტლის მწკრივებს.

რაც კავშირი ქვემდებარული წინადადების ფარგლებში გვაძლევს შემდეგ დაქვემდებარებით მწკრივებს: აწმყო-აწმყო, აწმყო-წყვეტილი, აწმყო-I თურმეობითი: უწყვეტელი-წყვეტილი; წყვეტილი-წყვეტილი, წყვეტილი-I თურმეობითი; II კავშირებითი - მყოფადი, II კავშირებითი - I თურმეობითი; II თურმეობითი-აწმყო და II თურმეობითი-უწყვეტელი.

რასაც

აწმყო - აწმყო - 3: ჰაი შე ბრიყვო, გჯერა, რასაც ეგენი ამბობენ (ვაჟა, 16, 37);

უწყვეტელი - უწყვეტელი - 1: ახლა ცხადად სჩანდა, რასაც აქამომდე წყვლიადი ჰფარავდა (ვაჟა, 97, 18);

წყვეტილი - უწყვეტელი - 1: რასაც არ მოელოდნენ, ის მოხდა (ვაჟა, 131, 9).

კავშირი რასაც დაქვემდებარებს შემდეგ მწკრივებს, ესენი: აწმყო-აწმყო, უწყვეტელი-უწყვეტელი, წყვეტილი-უწყვეტელი. ნათელია, რომ შეფარდება ხდება ერთსა და იმავე დროში.

რამ

აწმყო - აწმყო - 9: კიდევ ეგ არის შვილი, რამ პირფერობა ახდენს საქმეს (აკაკი, 138-139, 37-1);

აწმყო - უწყვეტელი - 1: თვითონ შენც კარგად იცი, რამ უმაგისოდ წყალში გადასაგდები ვიქნებოდი (ილია, 204, 10-11);

აწმყო - მყოფადი - 4: უეჭველია, რამ კახეთის გმირებს საპირფეროდ პატივით მიიღებს და დიდებით გამოსტუმრებს (აკაკი, 179, 27-28);

აწმყო - წყვეტილი - 7: შენა გგონია, რომ დღეს ჩემმა სილამაზემ გადამარჩინა? (აკაკი, 166,9-10);

აწმყო - II კავშირებითი - 11: არ ეკადრება საქრისტიანოს, რომ გულგრილად აიტანოს მაჰმადიანების მედიდურობა (აკაკი, 141,4-5);

აწმყო - I თურმეობითი - 1: მიკვირს, რომ ჩემთან ერთად ძმასავით თანშეზრდილს, ჭკუა-გონება დაგკარგვია! (აკაკი, 140,11-12);

რომ მაქვემდებარებელი კავშირი აწმყოს მწკრივთან აქვემდებარებს: აწმყოს, უწყვეტელს, მყოფადს, წყვეტილს, II კავშირებითს და I თურმეობითს. ჭარბობს მოდელი: აწმყო - II კავშირებითი, მას მოსდევს აწმყო-აწმყო.

უწყვეტელი - უწყვეტელი - 4: ის მიხაროდა, რომ ორი კვირა თავისუფალი ვიქნებოდი და სულთამხუთავი მასწავლებლები აღარ დამადგებოდნენ თავზე (ვაჟა, 67,12-13-14-15);

უწყვეტელი - ხოლმეობითი - 1: როგორ მეგონებოდა, რომ იმისთანა ვაჟკაცი ეგრე მხდლად მემექცეოდა (ილია, 248,3-4);

უწყვეტელი - წყვეტილი - 5: უხაროდა იმასაც გაზაფხულის მოსვლა და ის, რომ მშვიდობით ნახა კიდევ ნაცნობი ადგილები (ვაჟა, 36,19-20-21);

უწყვეტელი - II თურმეობითი - 5: მე მარტო ის მინდოდა, რომ ჩემი ობოლი თავი შენთა ფეხთ-ქვეშ გზად გამეშალა (ილია, 233,12-13-14);

უწყვეტლის მწკრივი რომ კავშირით ქვემდებარულ დამოკიდებულ წინადადებაში იქვემდებარებს უწყვეტლის, ხოლმეობითის, წყვეტილის და II თურმეობითის მწკრივებს. დაქვემდებარება ხდება წარსულ დროში.

მყოფადი - მყოფადი - 1: სუსტი რომ იქნება, კაცი იქნება (ილია, 191,10);

მყოფადი - წყვეტილი - 1: მეტი ხომ არ იქნება, რომ მე ეგა ვთქვი? (ილია, 224, 16-17);

რომ კავშირი მყოფადის მწკრივთან აქვემდებარებს მყოფადისა და წყვეტილის მწკრივებს. გვხვდება მხოლოდ თითო-თითო შემთხვევა.

წყვეტილი - აწმყო - 2: შევხაროდი იმ რიურაუ დილას, იმ ლურჯ ცასა, იმ ნამით პირდაბანილს დედამიწასა და მე მეგონა, რომ ცაც და ქვეყანაც მე შემომხარია (ილია, 244, 1-2-3);

წყვეტილი - უწყვეტელი - 4: მე მეგონა, რომ მარტო თავში გყავდა მწერები და შენ სტოლშიაც გყოლია (აკაკი, 207,2-3-4);

წყვეტილი - წყვეტილი - 5: ბიძაჩემისათვის დათვთან შეხვედრის ბოლო საშიში მეგონა და გამიხარდა, რომ ბიძაჩემი დარჩა გამარჯვებული (ვაჟა, 71, 25-26-27);

რომ კავშირი წყვეტილის მწკრივთან აქვემდებარებს აწმყოს, უწყვეტელსა და წყვეტილს.

II კავშირებითი - აწმყო - 2: ნადირთა ღმერთს რომ იტყვიან, ის უნდა იყოს (აკაკი, 161,9-10);

II კავშირებითი - უწყვეტელი - 1: შეგრჩეს, რომ მამასაც უმაღლავდი, შეგრჩეს (ილია, 244,31-32);

რომ კავშირით II კავშირებითმა შეიფარდა აწმყოსა და უწყვეტლის მწკრივები. შესაბამისად გვაქვს მოდელები: II კავშირებითი-აწმყო და II კავშირებითი - უწყვეტელი.

I თურმეობითი - აწმყო - 1: შეუტყვია მართალს, რომ ვიდუბებით და მოაბღავლა ჭრელი ძროხა (აკაკი, 207,23-24);

I თურმეობითი - აწმყოს კავშირებითი - 2: თავშიშველა, უქუდოდ რომ კაცი მთგზაურობდეს, გაგონილა? (აკაკი, 124,25-26);

I თურმეობითი - I თურმეობითი - 1: გართულ ხაღხს ვერ შეუნიშნავს, რომ ზამთარი სპეტაკი წვერი-

თა და თეთრის სამოსლით წამომდგარა კარებში, სიცივისაგან აცახცახებული, და იხვეწება (ვაჟა, 78, 26-27-28);

I თურმეობითი - III კავშირებითი - 1: დღემდის ვის გაუგონია საქართველოში, რომ შვილი მამას დასტაკებოდეს, და ის კი მისმა შვილმა, დავით მეფემ, ამ თეიმურაზის მამამ, ციხეში ჩაამწყვდია (აკაკი, 139,23-24-25-26).

რომ მაქვემდებარებელი კავშირით I თურმეობითი ქვემდებარულ დამოკიდებულ წინადადებაში იფარდებს აწმყოს, აწმყოს კავშირებითის, I თურმეობითისა და III კავშირებითის მწკრივებს.

სპეციალურ ლიტერატურაში მოდელები: I თურმეობითი - აწმყო, I თურმეობითი - აწმყოს კავშირებითი და I თურმეობითი - III კავშირებითი შეუძლებელ კომბინაციებადაა ჩათვლილი. სამივე მოდელი ჩვენს მიერ მოძიებულ მასალაში დავადასტურეთ.

ნათელია, რომ ქვემდებარულ დამოკიდებულ წინადადებაში მთავარი წინადადების ზმნა-შემასმენლად თითქმის ყველა მწკრივის ფორმა გვხვდება. ასევე თითქმის ყველა მწკრივის ფორმაა მოსალოდნელი დამოკიდებულ წინადადებაშიც, მათ შორის III კავშირებითიც. თუმცა მწკრივის არჩევანი ნებისმიერი არ არის. მთავარი და დამოკიდებული წინადადების ზმნა-შემასმენლები ერთმანეთს ეფარებიან უფრო მეტად ერთი დროის ფარგლებში. დრო ან ახლანდელია, ან წარსული, ან მომავალი. მაგრამ გვხვდება სხვადასხვა დროში შეფარდების შემთხვევებიც. მაგალითად:

ა) მთავარში შეიძლება დრო ახლანდელი იყოს, დამოკიდებულში - წარსული: აწმყო-წყვეტილი, აწმყო-I თურმეობითი და ა.შ.

ბ) მთავარში დრო ახლანდელია, დამოკიდებულში-მომავალი: აწმყო-მყოფადი, აწმყო - II კავშირებითი და ა.შ.

გ) მთავარში დრო წარსულია, დამოკიდებულში – ახლანდელი: უწყვეტელი-აწმყო, წყვეტილი - აწმყო და ა.შ.

დ) მთავარში დრო წარსულია, დამოკიდებულში-მომავალი: I თურმეობითი-აწმყოს კავშირებითი და ა.შ.

ე) მთავარში დრო მომავალია, დამოკიდებულში – ახლანდელი: მყოფადი-აწმყო, III კავშირებითი-აწმყო და ა.შ.

ვ) მთავარში დრო მომავალია, დამოკიდებულში – წარსული: II კავშირებითი - უწყვეტელი, II კავშირებითი - I თურმეობითი და ა.შ.

დამოკიდებულნი წინადადების ზმნა-შემასმენელს განსაზღვრავს მთავარი წინადადების ზმნა-შემასმენლის მწკრივი.

პირდაპირდამატებითი დამოკიდებული წინადადება

უკავშირო

აწმყო - აწმყო - 4: მე აქამდინაც არ ვიცი, ამათში რომელი უფრო მძიმე ცოდვას (ილია, 260, 14-15);

აწმყო - უწყვეტელი - 1: ვინ იცის, რას ფიქრობდა მაშინ საწყალი დედა (აკაკი, 218, 28-29);

აწმყო - მყოფადი - 1: ვიცი, ამას დათიკო იწყენს, მაგრამ რა ვუყოთ (ილია, 195, 9);

აწმყო - II კავშირებითი - 1: მე ვიცი, როგორ გადავუხადო მაშინ (აკაკი, 178, 7-8);

აწმყო - I თურმეობითი - 2: ხომ ხედავ, მე ნამეტანი ვყოფილვარ (აკაკი, 133, 30-31);

აწმყოს მწკრივი უკავშირო პირდაპირდამატებით დამოკიდებულ კონსტრუქციაში იქვემდებარებს: აწ-

მყოს, უწყვეტლის, მყოფადის, II კავშირებითისა და I თურმეობითის მწკრივებს.

უწყვეტელი - უწყვეტელი - 1: ბერუამ იცოდა, როგორ პასუხსაც მოველოდი იმისაგან, და მიპასუხა (ვაჟა, 65, 10-11);

უწყვეტელი - წყვეტილი - 1: დღეს იტყოდნენ, გაბრომ აქ გაძარცვა კაციო და გზას შემიკრავდნენ (ილია, 262-263, 35-1);

უწყვეტელი - II კავშირებითი - 2: აბდუშაჰილმა ადარ იცოდა, რა უნდა ექნა (აკაკი, 172, 4-5);

ჩვენი მასალის მიხედვით, უწყვეტელი უკავშირო პირდაპირდამატებით დამოკიდებულ წინადადებაში წყვილს ქმნის უწყვეტელთან, წყვეტილთან და II კავშირებითთან.

მყოფადი - აწმყო - 1: პირდაპირ გეტყვი, ცოლქმრობა ერთმანეთისათვის ნათქვამიცა გვაქვს (ილია, 242, 21-22);

მყოფადი - II კავშირებითი - 1: გაგიბუდავთ, შენი ჭირიმე, და გეტყვით, ჯერ კუჭი უნდა გავიძღოთ, კუჭი... (ილია, 203, 9-10);

მყოფადდთან გვაქვს მოდელები: მყოფადი-აწმყო და მყოფადი-მყოფადი.

წყვეტილი - აწმყო - 2: აკი გითხარი, კაი ბიჭი ხარ-მეთქი (ილია, 209, 11-12);

წყვეტილი - უწყვეტელი - 2: მერე შევიტყე, წელიწად-ნახევარი თურმე ინახავდა-თითონ ღარიბი-დაგდებული ქმარსა და ცოლსა (ილია, 219, 22-23-24);

წყვეტილი - მყოფადი - 1: გითხარი, ჩინოვნიკად გამთვალ-მეთქი (ვაჟა, 25, 25);

წყვეტილი - წყვეტილი - 1: შემატყობინე, როგორ გადარჩი და ან აქ ვინ მოგიყვანა? (აკაკი, 169, 11-12).

ჩანს, რომ უკავშირო პირდაპირდამატებით დამოკიდებულ წინადადებაში წყვეტილი იქვემდებარებს

აწმყოს, უწყვეტლის, მყოფადისა და წყვეტილის მწკრივებს.

II კავშირებითი - აწმყო - 1: მღვდელიც და დიაკვანიც, უნდა მოგახსენოთ, დიდს ფაცა-ფუცში არიან (ვაჟა, 81, 9-10).

უკავშირო პირდაპირდამატებით დამოკიდებულ წინადადებაში **II კავშირებითი** იქვემდებარებს აწმყოს. დადასტურდა მხოლოდ ერთი შემთხვევა.

ნათელია, შეფარდება ხდება როგორც ერთგვარ, ისე განსხვავებულ მწკრივთა ფარგლებში. გვაქვს შემდეგი მოდელები: აწმყო-აწმყო, აწმყო-უწყვეტელი, აწმყო-მყოფადი, აწმყო - **II კავშირებითი**, აწმყო - **I თურმეობითი**; უწყვეტელი-უწყვეტელი, უწყვეტელი-წყვეტელი, უწყვეტელი - **II კავშირებითი**; მყოფადი-აწმყო, მყოფადი - **II კავშირებითი**; წყვეტილი-აწმყო, წყვეტილი-უწყვეტელი, წყვეტილი-მყოფადი, წყვეტილი-წყვეტილი, **II კავშირებითი-აწმყო**.

ვინც

აწმყო - აწმყო - 1: მეც ვიცი, ვინც ბრძანდებიან (აკაკი, 133, 9);

მყოფადი - მყოფადი - 1: დავახრჩობ, ვინც იტყვის (ილია, 205, 11);

ხოლმეობითი - ხოლმეობითი - 1: ვინც ქართულად ხმას ამოიღებდა, მიაჩეჩებდნენ ხელში (აკაკი, 71, 7).

ვინც მაქვემდებარებელი კავშირი ჩვენი მასალის მიხედვით დიდი სიხშირით არ გამოირჩევა. იგი აქვემდებარებს ერთსა და იმავე მწკრივის მოდელებს, დაქვემდებარება ხდება ამ შემთხვევაში მხოლოდ ერთ დროში. გვაქვს შემდეგი მოდელები: აწმყო-აწმყო, მყოფადი-მყოფადი, ხოლმეობითი-ხოლმეობითი. მოდელები თანაბარი სიხშირით ხასიათდებიან.

რაც

აწმყო - მყოფადი - : რაც ორს თვეს ოფლს და-
აქცევს სოფელი, მთელს დანარჩენს დროის ღვაწლს
სამჯერ აღმატება (ვაჟა, 77, 22-23-24);

აწმყო - I თურმეობითი - 1: რაც გინახავს, გსმე-
ნია, მიხვედრილხარ, გონებაში ჩაგრჩენია, სულ ერ-
თნაირად რას ეძახი? (ილია, 204, 1-2);

უწყვეტელი - II თურმეობითი - 1: მხოლოდ ის
იცოდა, რაც დედამის ესწავლებინა (აკაკი, 79, 17);

მყოფადი - წყვეტილი - 1: ყველა ვერ შესძლებს,
იმას რაც მე მოულოდნელმა, უცაბედმა შემთხვევამ
შემაძლებინა (ვაჟა, 123, 21);

წყვეტილი - უწყვეტელი - 2: მოუყვა, რაც იცო-
და გველეშაპის შესახებ (აკაკი, 174, 19-20);

წყვეტილი - წყვეტილი - 5: მე ვუამბე გულმარ-
თლად, რაც მაშინ მე და პეპიამ ვილაპარაკეთ
(ილია, 251, 18-19);

წყვეტილი - I თურმეობითი - 2: იმ ღამეს გავიგე
ის, რაც ჩემ სიცოცხლეში არ გამიგია (ვაჟა, 57, 24);

II კავშირებითი - II კავშირებითი - 1: რაც შეგ-
ვეძლოს, ჩვენ ისა გქნათ, ღმერთი ჩვენგან იმას თხო-
ულობს და კაციცა (ილია, 211, 14-15).

მაქვემდებარებელი კავშირი რაც პირდაპირდამა-
ტებით დამოკიდებულ წინადადებაში აქვემდებარებს
შემდეგ წყვილებს. ესენია: აწმყო-მყოფადი, აწმყო-I
თურმეობითი; უწყვეტელი-II თურმეობითი; მყოფადი-
წყვეტილი; წყვეტილი-უწყვეტელი, წყვეტილი-წყვეტი-
ლი, წყვეტილი-I თურმეობითი და II კავშირებითი- II
კავშირებითი.

რასაც

უწყვეტელი - ხელმეობითი - 1: ქორი თამამად
მიდიოდა და იპარავდა, რასაც მთასწრებდა (ვაჟა, 22,
2-3);

მყოფადი - აწმყო - 1: იმას ვიტყვი, რასაც მთელი ქვეყანა ამბობს (ილია, 204, 28-29);

წყვეტილი - მყოფადი - 1: შენ აასრულე, რასაც გიბრძანებენ (აკაკი, 127, 31).

კავშირი რასაც არ გამოირჩევა დიდი სიხშირით, გვაქვს შემდეგი დაქვემდებარება: უწყვეტელი-ხოლმეობითი, მყოფადი-აწმყო და წყვეტილი-მყოფადი. მოდელები თანაბარი სიხშირით ხასიათდება.

რამ

აწმყო - აწმყო - 8: ეხლა ვატყობ, რამ წყალმანკიც მერევა, აი თითქმის გულიც დამიჭირა (ილია, 226, 8-9);

აწმყო - მყოფადი - 4: განა მე არ ვიცი, შე კაი კაცო, რამ მე და შენისთანა კაცს საოსტატო ფული არ ექნება? (ილია, 199, 17-18);

აწმყო - წყვეტილი - 4: ეს კი ვიცი, რამ ჩემ გარდა სხვასაც ებღაღამათა (ილია, 204, 32-33);

აწმყო - II კავშირებითი - 1: ამასთანავე გაგაღებ, რამ ებღაღამათი ვაუკაცები ჩემს კარზე გამოგზავნოს (აკაკი, 178, 19-20);

აწმყო - I თურმეობითი - 1: არ იციან უგუნურმა ხეებმა, რამ ხალხს ჯერ არ დაუფიწყია ხმელი წიფლის სახელი, კიდევ ახსოვს იმის სიდიდე (ვაჟა, 86, 14-15);

უწყვეტელი - აწმყო - 4: ამბობდნენ, რამ მისი გამობრუნება აღარ შეიძლება, დამბლას ორივე ფეხი წაურთმევიანო (აკაკი, 173, 23-24);

უწვეტელი - უწყვეტელი - 5: ვატყობდი, რამ რაღაცის თქმა უნდოდა და თითქოს ვერ ახერხებდით (ილია, 242, 5-6);

უწყვეტელი - მყოფადი - 3: კარგად იცოდა, რამ დედამისი ცუდს არაფერს ურჩევდა (აკაკი, 210, 8-9);

უწყვეტელი - წყვეტილი - 5: ტყუილად კი არ სჩიოდა ძველად სამღვდელოება, რომ „ვეფხისტყაოსანი“ სახარებაზე უფრო გაუტკბა ქვეყანასო (აკაკი, 136, 20-21);

უწყვეტელი - II თურმეობითი - 4: ვიცოდით, რომ მე გეგონე და სიყვარულზე სიყვარული მემატებოდა (აკაკი, 169, 19-20);

მყოფადი - აწმყო - 1: თუ გნებავთ ამასაც გეტყვით, რომ ნადირობა ცოდვია (ილია, 186, 7);

მყოფადი - მყოფადი - 1: მითქვამს და გეტყვი, რომ იქ სასახლის კარზე ბედიერება მთგელის, შენ კი აქ მოგიკეცია ნაცარქექიასავით (აკაკი, 144, 24-25-26);

მყოფადი - II კავშირებითი - 2: დღესვე შევეყრი დარბაზს და გადავაწყვეტინებ, რომ ორივემ თავთავისი საკადრისი პასუხი მიიღოს (აკაკი, 141, 13-14-15);

როგორც ვნახეთ, მყოფადმა რომ კავშირით დაიქვემდებარა აწმყოს, მყოფადისა და II კავშირებითის მწკრივები.

წყვეტილი - აწმყო - 4: შევატყვე, რომ ეს კაცი ამ ქვეყნისა აღარ არის (ილია, 257, 32);

წყვეტილი - უწყვეტელი - 4: შევატყვე, რომ საქმის კვანძი აქ იხსენებდა (ილია, 249, 5);

წყვეტილი - მყოფადი - 2: არ გითხარი, რომ ვერას დამაკლებ-მეთქი? (აკაკი, 166, 36);

წყვეტილი - წყვეტილი - 6: შეიღმა თუ რვა თქვენ კიდევ გაიარა და ბოლოს მითხრეს, რომ შენი გაგზავნის დღე მთვინეა (ილია, 253, 1-2);

წყვეტილი - I თურმეობითი - 2: ისიც მოახსენა, რომ ერთი იმ გმირთაგანი თქვენ ბრძანებულხართო, მაგრამ, სიკვდილის შესახებ კი არაფერი უთხრა (აკაკი, 174, 20-21-22);

წყვეტილი - II თურმეობითი - 2: ამავე დღეს დარბაზმა ხმის უმეტესობით გადაწყვიტა, რომ გაეწ-

ყვიტა კავშირი სპარსეთთან და მიჰკედლებოდა ჩრდილოეთს (აკაკი, 141, 17-18-19);

რამ მაქვემდებარებელი კავშირით წყვეტილის მწკრივი აქვემდებარებს აწმყოს, უწყვეტილის, მყოფადის, წყვეტილის, I თურმეობითისა და II თურმეობითის მწკრივებს. გვაქვს როგორც ერთგვარ, ისე განსხვავებულ მწკრივთა დაქვემდებარება.

II კავშირებითი - აწმყო - 2: დეე, ამას იქით იცოდნენ, რამ მე ოთარაანთ ქვრივს მეძახიანო (აკაკი, 382, 18-19);

II კავშირებითი - წყვეტილი - 2: უნდა მოგახსენოთ, რამ როზგი მაშინ ახალი გადავარდნილი იყო, დავით ეკალადის სავალალოდ და სამწუხაროდ, მაგრამ ჩუმ-ჩუმად ამოქმედებდა მაინც როზგს (ვაჟა, 67, 33-34-35-36);

II კავშირებითი - II კავშირებითი - 1: ღმერთმა ნუ ჰქნას, რამ გაბრიელმა ეგ იკადრეს (ილია, 256, 13);

I თურმეობითი - აწმყო - 1: შეუტყვიათ, რამ შპიონი აჩისო (აკაკი, 160, 4);

ჩვენს მიერ მოძიებულ მასალაში I თურმეობითი იქვემდებარებს მხოლოდ აწმყოს. დავადასტურეთ ერთი შემთხვევა.

II თურმეობითი - აწმყო - 1: მღვდელს შემოეთვალა, რამ არა მცაღიაო (ილია, 266, 26-27);

II თურმეობითი - II თურმეობითი - 1: თურმე ეს წინათვე განეზრახა დათიკოს, წინათვე ყველაფერი გაემზადებინა, რამ მე სამართალში მივცემოდი და ამით მე თავიდან მოვეშორებინე (ილია, 250, 23-24-25).

პირდაპირდამატებით დამოკიდებულ წინადადებაში რამ კავშირმა შეაფარდა შემდეგი წყვილები; ესენია: აწმყო-აწმყო, აწმყო-უწყვეტელი, აწმყო-მყოფადი, აწმყო-წყვეტილი, აწმყო - II თურმეობითი, უწყვეტელი-აწმყო, უწყვეტელი-უწყვეტელი, უწყვეტელი-

მყოფადი, უწყვეტელი-წყვეტილი, უწყვეტელი - II თურმეობითი; მყოფადი-აწმყო, მყოფადი-მყოფადი, მყოფადი - II კავშირებითი, წყვეტილი-აწმყო, წყვეტილი-უწყვეტელი, წყვეტილი-მყოფადი, წყვეტილი-წყვეტილი, წყვეტილი - I თურმეობითი, წყვეტილი-II თურმეობითი; II კავშირებითი-აწმყო, II კავშირებითი-წყვეტილი, II კავშირებითი - II კავშირებითი; I თურმეობითი-აწმყო და II თურმეობითი - II თურმეობითი.

თუ

უწყვეტელი - აწმყო - 1: ხუთი-ექვსი წლისამ ძალიან კარგად ვიცოდი, თუ როგორ უნდა პირუტყვის ყურის გდება, ფრინველის მოვლა, სადილ-ვახშმის მზადება, გაცრა, გამტკიცვა, გამოცხობა, სხვადასხვაგვარ შეჭამანდის მომზადება და სხვანი (აკაკი, II, 11-12-13-14);

უწყვეტელი - უწყვეტელი - 3: მე მანამდე არ ვიცოდი, თუ კაცები ერთმანეთს ხოცავდნენ (ვაჟა, 100,24-25);

მყოფადი - აწმყო - 1: მაშ გაყურებინებთ, თუ როგორ უნდა ღალატი და მოტყუებაო (აკაკი, 165,5-6);

ნათლად ჩანს, რომ პირდაპირდამატებით დამოკიდებულ წინადადების შემცველელ ჰიპოტაქსურ კონსტრუქციაში მწკრივთა შესაძლო შეფარდების მოდულები მრავალფეროვნებით გამოირჩევა. მთავარი და დამოკიდებული წინადადების ზმნა-შემასმენლად შეიძლება შეგხვდეს თითქმის ყველა მწკრივის ფორმა. რაც შეეხება დროში შეფარდებას, გვაქვს როგორც ერთი დროის, ისე სხვადასხვა დროში შეფარდების შემთხვევა.

ახლანდელი: აწმყო-აწმყო, I თურმეობითი-აწმყო;

წარსული: უწყვეტელი-უწყვეტელი, უწყვეტელი-წყვეტილი, წყვეტილი-წყვეტილი და ა.შ.

მომავალი: მყოფადი-მყოფადი, მყოფადი - II კავშირებითი, II კავშირებითი - II კავშირებითი და ა.შ.

ამავდროულად შეფარდება ხდება სხვადასხვა დროშიც:

ა) მთავარში ახლანდელია, დამოკიდებულში – წარსული: აწმყო - უწყვეტელი, აწმყო - წყვეტილი, აწმყო - I თურმეობითი;

ბ) მთავარში ახლანდელი დროა, დამოკიდებულში – მომავალი: აწმყო-მყოფადი, აწმყო - II კავშირებითი;

გ) მთავარში წარსული დროა, დამოკიდებულში – ახლანდელი: უწყვეტელი - აწმყო, წყვეტილი – აწმყო, წყვეტილი - I თურმეობითი, II თურმეობითი – აწმყო;

დ) მთავარში წარსული დროა, დამოკიდებულში – მომავალი, წყვეტილი-მყოფადი, უწყვეტელი - II კავშირებითი და ა.შ.

ე) მთავარში მომავალი დროა, დამოკიდებულში – ახლანდელი: მყოფადი-აწმყო, II კავშირებითი-აწმყო;

ვ) მთავარში მომავალი დროა, დამოკიდებულში – წარსული: მყოფადი-წყვეტელი.

ირიბდამატებითი დამოკიდებული წინადადება

უკავშირო

წყვეტილი - I თურმეობითი - 1: დახე, ყველას დრო სდომებია (ილია, 227, 13).

რაც

აწმყო - **აწმყო** - 1: ახლა კი ვხვდები, რაც არის, მაგრამ რაღა დროის (აკაკი, 176, 28-29);

მყოფადი - **აწმყო** - 1: მიმინოს იმას გამოაწურინებენ, რაც საჭმელად არ ვარგა (ილია, 227, 3-4).

რაც კავშირი ირიბდამატებით დამოკიდებულ ჰიპოტაქსურ კონსტრუქციაში ერთმანეთთან აქვემდებარებს შემდეგ მწკრივებს, ესენია: აწმყო-აწმყო; მყოფადი-აწმყო.

რასაც

ხოლმეობითი - **ხოლმეობითი** - 1: ჭამის დროსაც არჩევანში არ შადიოდა, ღორივით, რასაც გაეწეოდა, შესჭამდა (ილია, 87, 8-9);

წყვეტილი - **წყვეტილი** - 1: რასაც ვესროლე, ავაცდინე (ილია, 264, 12).

რასაც მაქვემდებარებელმა კავშირმა ირიბდამატებით დამოკიდებულ წინადადებაში დააქვემდებარა შემდეგი წყვილები: ხოლმეობითი-ხოლმეობითი, წყვეტილი-წყვეტილი.

რომ

წყვეტილი - **აწმყო** - 1: ვერ მიჰხვდნენ, რომ გაბრო თავისთვის არის და იქაც და აქაც სულ სხვა-და-სხვანი ავაზაკობენ იმის სახელითა (ილია, 263, 3-4-5);

წყვეტილი - წყვეტილი - 1: საკენკით მოტყუებულნი და აღერსით თვალახვეული კახეთი მიხვდა, რომ უბედურებაში იყო ჩავარდნილი, მაგრამ თავნე იგრძნო თავისი უძლიერებაც და გაიკმინდა ხმა (აკაკი, 143, 17-18-19).

ირიბდამატებით დამოკიდებულ წინადადებაში რომ კავშირი აქვემდებარებს წყვეტილთან აწმყოსა და წყვეტილის მწკრივებს.

ვინც

უწყვეტელი - ხოლმეობითი - 1: შეჭმის ნება იმას ჰქონდა, ვინც ვის მოერეოდა (ვაჟა, 37, 14-15);

II კავშირებითი - მყოფადი - 1: ვინც ჩემს იარაღს იხარებს, ღმერთმა ახმაროს ალაღადა (ვაჟა, 123, 11-12).

ვინც კავშირი ირიბდამატებითი დამოკიდებული წინადადების შემცველ ჰიპოტაქსურ კონსტრუქციაში ქმნის შემდეგ მოდვლებს; ესენია: უწყვეტელი-ხოლმეობითი და II კავშირებითი - მყოფადი.

ვისაც

უწყვეტელი - წყვეტილი - 2: ვისაც რა ეხერხებოდა და ან რა გამარჯვებოდა, იმას მიმართა (აკაკი, 121, 35-36);

II კავშირებითი - II კავშირებითი - 1: იმას მოუკვდეს, ვისაც არ უყვარდეს (ვაჟა, 42, 17-18);

I თურმეობითი - I თურმეობითი - 2: ვისაც კი მაღლი ჰქონია და სიკეთე უმუშავებია, დაუთესია... (ილია, 227, 25-26).

ირიბდამატებითი დამოკიდებული წინადადების შემცველ ჰიპოტაქსურ კონსტრუქციაში ზმნა-შემასმენლები ეფარდებიან ძირითადად ერთი დროის ფარგლებში. ესენია:

1.ახლანდელი: აწმყო-აწმყო.

2. წარსული: უწყვეტელი-უწყვეტელი, უწყვეტელი-ხოლმეობითი, ხოლმეობითი - ხოლმეობითი, წყვეტილი-უწყვეტელი, წყვეტილი-წყვეტილი, I თურმეობითი - I თურმეობითი.

3. მომავალი: მყოფადი - II კავშირებითი, II კავშირებითი - მყოფადი, II კავშირებითი - II კავშირებითი.

ზმნა-შემასმენლები შეიძლება შეეფარდოს ერთმანეთს სხვადასხვა დროშიც, მაგრამ ჭარბობს ერთსა და იმავე დროში შეფარდების შეთხვევები.

უბრალოდამატებითი დამოკიდებული წინადადება

რამ

აწმყო - აწმყო - 5: იმათ სანთლების მაღლი მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რამ ცოცხალს და მკვდარს ერთნარად უნათებენ (ვაჟა, 121, 11-12);

უწყვეტელი - აწმყო - 2: ის დალოცვილი მღვდელი ხშირად მარიგებდა ხოლმე, რამ მტერსაც პატიება უნდათ (ილია, 243, 25-26);

უწყვეტელი - უწყვეტელი - 3: შორიდან კარგად გხედავდი, რამ კურდღლის ბურდღლი ნარის ბუმბულივით მაღლა მიჰქონდა ქარსა (ვაჟა, 62, 2-3);

უწყვეტელი - II თურმეობითი - 1: რამ გაეცაკი, იმისი იქნებოდა (ილია, 214, 6);

წყვეტილი - აწმყო - 2: თათარი დარწმუნდა, რამ ეს აღარ ხუმრობს (აკაკი, 166, 37);

წყვეტილი - მყოფადი - 1: ცოლ-ქმარნი დაჯერებულნი, რამ მემკვიდრე ეყოლებდათ და დავითიან თვალები დაუდგებათ, სადილზე გამხიარულდნენ (ილია, 354, 20-21);

წყვეტილი - წყვეტილი - 1: დაარწმუნე ყველა, რამ ბაში-აჩუკი მოკალ-თქო (აკაკი, 172, 27-28);

II კავშირებითი - მყოფადი - 1: ... რამ გამარჯვება ჩვენ დაგვრჩება, ამაზე ეჭვი არ უნდა გიქონიოთ (აკაკი, 129, 23-24-25);

I თურმეობითი - II კავშირებითი - 1: მე მღვდელი მთვსულვარ, რამ წმინდა ზიარება მიგაღებინო ქრისტიან კაცსა (ილია, 267, 15-16);

II თურმეობითი - II თურმეობითი - 1: სოფლის გზირისათვის რამ გეკითხათ, ოთარაანთ ქვრივის კარ-მიდამოში მზისა და წვიმის მეტს არავის შეეძლო გავლა ქვრივის უნებურად (ილია, 382, 2-3-4).

უბრალო დამატებით დამოკიდებულ წინადადებაში რამ კავშირი ქმნის შემდეგ მაქვემდებარებელ წყვილებს. ესენია: აწმყო-აწმყო; უწყვეტილი-აწმყო, უწყვეტილი-უწყვეტილი, უწყვეტილი-II თურმეობითი; წყვეტილი-აწმყო, წყვეტილი-მყოფადი, წყვეტილი-წყვეტილი; II კავშირებითი-მყოფადი; I თურმეობითი - II კავშირებითი; II თურმეობითი - II თურმეობითი. ეს უკანასკნელი მოდელი, აღნიშნული სახის კონსტრუქციაში შეუძლებელ კომბინაციადაა მიჩნეული (გეგუჩაძე, 2005. 123). ჩვენი მასალის მიხედვით დავადასტურეთ.

რაც

აწმყო - წყვეტილი - 1: რაც ავკაცობა ჰქენ, იქნება იმის სამაგიეროც არის (ილია, 266,6-7);

აწმყო - I თურმეობითი - 1: რაც ბუნებასა და საუკუნეებს არ შეუხორცებია, მისი შეწებება ტყუილია (აკაკი, 146,7-8);

წყვეტილი-წყვეტილი - 1: რაც გადამხდა, იქნება იმის ღირსიც ვიყო (ილია, 266, 6).

რაც კავშირი ჩვენი მასალის მიხედვით, აქვემდებარებს როგორც ერთგვარ, ისე განსხვავებული დროის მწკრივის ფარგლებს. ვიღებთ წყვილებს: აწ-

მყო - წყვეტილი, აწმყო - I თურმეობითი და წყვეტილი - წყვეტილი.

უბრალო დამატებითი დამოკიდებული წინადადების შემცველ ჰიპოტაქსურ კონსტრუქციაში მთავარი და დამოკიდებული წინადადების ზმნა-შემასმენლები ერთმანეთს ეფარებიან როგორც ერთსა და იმავე დროში, ისე სხვადასხვა დროის ფარგლებში.

ესაა:

1. ახლანდელი: აწმყო-აწმყო;
2. წარსული: უწყვეტელი - უწყვეტელი, უწყვეტელი - II თურმეობითი; წყვეტილი - უწყვეტელი, წყვეტილი - წყვეტილი, II თურმეობითი - II თურმეობითი.

3. მომავალი: II კავშირებითი - მყოფადი.

გვაქვს სხვადასხვა დროში შეფარდებაც;

ა) მთავარში - ახლანდელია, დამოკიდებული - წარსული (აწმყო-წყვეტილი);

ბ) მთავარში - წარსულია, დამოკიდებულში - ახლანდელი (უწყვეტელი-აწმყო, წყვეტილი-აწმყო);

გ) მთავარში - წარსულია, დამოკიდებულში - მომავალი (წყვეტილი -მყოფადი, I თურმეობითი - II თურმეობითი).

უმრავლეს შემთხვევაში დამოკიდებული წინადადების ზმნით გამოხატული მოქმედება უსწრებს მთავარი წინადადების ზმნით გამოხატული მოქმედების დროს (ზოგჯერ მოსდევს კიდევც).

განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადება

განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადება მთავარი წინადადების რომელიმე წევრის გაშლილ განსაზღვრებას წარმოადგენს, საკავშირებელი სიტყვა კი მისამართ წევრთან მიმართებაში იმყოფება.

მიმართებითი ნაცვალსახელი ეთანხმება მთავარ წინადადებაში მოქცეულ მისამართ სიტყვას რიცხვში და იმართვის ბრუნვაში დამოკიდებული წინადადების ზმნა-შემასმენლის მიერ.

განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადებით ისაზღვრება მთავარ წინადადებაში ბრუნვადი სიტყვა, რომელიც შეიძლება იყოს არსებითი სახელი, ნაცვალსახელი, ან საწყისი.

უკავშირო

აწმყო - მყოფადი - 1: ჩემი გული და წადილი ისეთი წმინდაა, კელაპტრად ხატს აენტება (ილია, 223, 11-12).

განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადების უკავშირო კონსტრუქციაში ჩვენი მასალის მიხედვით დავადასტურეთ მხოლოდ ერთი მოდელი, ესაა: აწმყო-მყოფადი.

რომ

აწმყო - აწმყო - 1: რამდენია იმისთანა, რომ არც შიან, არცა სწყურიან და მაინც კიდე ჰყველევს ყველაფერს (ვაჟა, 43, 4-5-6);

აწმყო - უწყვეტელი - 2: რა გაჭირვება გადგა მისთანა, რომ განსაცდელში იგდებდი თავს? (აკაკი, 127, 6-7);

აწმყო - მყოფადი - 2: წიგნი იმისთანა რამ არის, რომ თქვენი სოფლის ამბავს ქალაქში ჩაიტანს, ქალაქისას სოფელში წაიღებს (ილია, 198, 14-15-16);

აწმყო - II კავშირებითი - 3: განა ის ისეთი კაცია, რომ სასაბუთოდ დაიჭიროს საქმე?! (აკაკი, 16, 32-33);

მაქვემდებარებელი კავშირი რომ განსაზღვრებით დამოკიდებულ წინადადებაში აწმყოს მწკრივთან აქ-

ვემდებარეს შემდეგ მწკრივებს. ესენია: აწმყო, უწყვეტელი, მყოფადი, წყვეტილი და II კავშირებითი. ჭარბობს მოდელი აწმყო-II კავშირებითი.

უწყვეტელი - უწყვეტელი - 1: ის ბერიკაცი ისეთი გამორბოდა, რომ ასი წლის ბიჭი გეგონებოდა (ილია, 255, 5-6);

უწყვეტელი - მყოფადი - 1: გზაზე ძლიერ შემცვიდა, ფეხები დამაძრა, მაგრამ ის ფიქრი, რომ დედას და მამას, ნათესაებს ვნახაგ-მეთქი, მამხნევებდა და ბაიბურად არ გამაჩნდა (ვაჟა, 65, 2-3-4);

უწყვეტელი - ხოლმეობითი - 1: თავიდან ფეხებამდე ისეთი სანახაობა ჰქონდა, რომ, როგორც მზე მზეჭკვრიტასა, კაცის გულს ერთის ნახვით თავისკენ მიიბრუნებდა (ილია, 207, 30-31);

უწყვეტელი - წყვეტილი - 2: ჩვენ სოფლის ქვემოდამ, რომ ვსთქვი, ის ალაგები მეტად მიყვარდა (ილია, 188, 4-5);

უწყვეტლის მწკრივი იქვემდებარებს უწყვეტლის, მფოდის, ხოლმეობითისა და წყვეტილის მწკრივებს.

მყოფადი - აწმყო - 2: ის ცეცხლი მეც, შენ და სხვასაც ხანდისხან ისეთ საქმეს გვაქნევინებს, რომ ქვეყანას აკვირვებს (ილია, 211, 10-11-12);

მყოფადი - მყოფადი - 1: მაშინ თავმოყვარეობა იმდენად გააბრაზებს, რომ ეცდება მუქარის ასრულებას (აკაკი, 179, 33-34);

მყოფადი - II კავშირებითი - 6: ისეთ ჯადოს მოგცემ, რომ ვერც ტყვია მოგეკაროს და ვერც რკინულმა გაჭრას (აკაკი, 165, 34-35);

ჩვენი მასალის მიხედვით, მყოფადი რომ მაქვემდებარებელი კავშირით იქვემდებარებს აწმყოსა და II კავშირებითის მწკრივებს.

წყვეტილი - აწმყო - 3: მართლაც იმდენი რამ მიაშბო ნადირობაზე, რომ ასი თაბახი ცოტაა იმის ჩასაწერად (ვაჟა, 70, 34-35);

წყვეტილი - უწყვეტილი - 3: ბოლოს წამოვიდა ცხენოსანი ისეთი სისწრაფით, რომ თითქმის აღარ ჩანდა ცხენზე, შორიდანვე შესტყორცნა ჯირითი, ჰკრა შუაგულში და მალლა შეაგდო (აკაკი, 152, 26-27-28-29);

წყვეტილი - მყოფადი - 1: მე უფალმა იმოდენა ღონე კიდევ შემარჩინა, რომ ჩემს ბედს ბოლომდინ, საფლავის კარამდინ მივიტან (ილია, 191, 16-17-18);

წყვეტილი - წყვეტილი - 4: იმნაირმა სიხარულმა ისე დამიჭირა გული და გონება, რომ გაშტერებით ყურება დავუწყე და მე სულელმა ვერა ვუთხარი-რა პასუხად (ილია, 242, 14-15-16);

წყვეტილი - I თურმეობითი - 2: რა დაგიშავა მაგ ცოდვილმა, რომ დაგიჭერია და უნდა გადაყლაპო? (ვაჟა, 102, 1-2);

წყვეტილი - II თურმეობითი - 1: სამი-ოთხი თვე გუტრიალუ დათიკოს და ვერსად ვერ ჩავიგდე ისეთი უამი, რომ ერთმანეთს პირისპირ შევხვედრდით (ილია, 262, 20-21);

წყვეტილის მწკრივთან რომ კავშირმა განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადების შემცველ ჰიპოტაქსურ კონსტრუქციაში მოგვცა შემდეგი შეფარდებითი წყვილები, ესენია: წყვეტილი-აწმყო, წყვეტილი-წყვეტილი, წყვეტილი-მყოფადი, წყვეტილი-წყვეტილი, წყვეტილი - I თურმეობითი და წყვეტილი - II თურმეობითი.

II კავშირებითი - II კავშირებითი - 2: იმდენი ხორაგეულობა უნდა ჩაყლაპოს, შთანთქას ყველამ, რომ მთელი ორმოცი დღე მისმა სინოყვივრემ გასტანოს (ვაჟა, 79, 1-2-3);

II კავშირებითმა რომ კავშირით შეიფარდა II კავშირებითის მწკრივი.

I თურმეობითი - აწმყო - 2: შენ რომ ფიქრობ, მე იმ განზრახვით არ მოგსულვარ (აკაკი, 159, 13-14);

I თურმეობითი - II კავშირებითი - 1: იმისთანა რა მიქნია, რამ ღმერთმა ჩვენზედ ხელი აიღოს (ილია, 241, 19-20).

I თურმეობითი რამ კავშირით იფარდებს აწმყოსა და II კავშირებითის მწკრივებს.

რამ კავშირიანი განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადება მწკრივთა შესაძლო შეფარდების მრავალფეროვნებით გამოირჩევა. მთავარი და დამოკიდებული წინადადების ზმნა-შემასმენლებად შეიძლება შეგვხვდეს როგორც ერთგვარი, ისე არაერთგვარი მწკრივები. ჩვენს მიერ მოძიებული მასაში მწკრივებს შორის დროული მიმართება დაახლოებით თანაბარი სიხშირით ხასიათდება.

რამელიც

აწმყო - აწმყო - 1: ეგ სხვა მონადირეა შეილო და ისინი სხვანი არიან, რამლებიც ჩვენ გვემტერებიან (ვაჟა, 99, 32-33);

აწმყო - წყვეტილი - 1: ეს პატარა კახეთიც ხომ ნაწილია იმ დიდი საქრთველოსი, რამელიც წილად ხვდა ღმთისმშობელს, და დედაღვთისა განა ხელს აიღებს თავის საუფლისწულოზე? (აკაკი, 144, 1-2-3);

აწმყო - II კავშირებითი - 1: არა საქართველო ის ნატვრის თვალია, რამელიც ხელში უნდა იგდოს სპარსეთმა (აკაკი, 142, 8-9);

აწმყო - I თურმეობითი - 3: მისი თავი ელვა-მეხისაგან დაჩაგრულს ტიტველს კლდეს ჰგავს, რამელსაც მხოლოდ თმის მაგივრად ბრძამი ყვავილი, წვერებშეკვრეცილი ჯგუფ-ჯგუფად აქა-იქ მიჰკოსებია (ვაჟა, 21, 12-13-14);

კავშირი რამელიც განსაზღვრებით დამოკიდებულ წინადადებაში აწმყოსთან აფარდებს აწმყოს,

წყვეტილს, II კავშირებითსა და I თურმეობითს. ჭარბობს მოდელი აწმყო-I თურმეობითი.

უწყვეტელი - უწყვეტელი - 4: მეცხვარე მგელაკი დასტრიალებდა ძაღლის ლეკვებს, რმელებიც სველ მიწაზე დაბობდადნენ (ვაჟა, 32, 33-34);

უწყვეტელი - წყვეტილი - 1: იგონებდა ტოლ-ამხანაგებს, რმელნიც გავიდნენ ამ სოფლითგან (ვაჟა, 119, 20-21);

უწყვეტელი - II თურმეობითი - 1: უკან დიაკვანი მისდევდა, რმელსაც საცეცხლური და ხელსახოცში გამოკრულში უამნდავითნი დაეჭირა (ვაჟა, 74, 5-6-7);

უწყვეტელი რმელიც კავშირით იფარდებას უწყვეტლის, წყვეტილისა და II თურმეობითის მწკრივებს. მოდულები ერთმანეთს ეფარდებიან წარსულ დროში.

მყოფადი - აწმყო - 3: ძაღლს მიუბრის საწყალი და ზედ კი შეეხლება ხოლმე კაცსა, რმელიც ამ შემთხვევაში ძაღლზედ უფრო შეუბრალებელია და დაუნდობელი (ილია, 186, 16-17-18);

მყოფადი - I თურმეობითი - 1: რას გააწყობ იმ ხალხთან, რმელსაც რჯული და ეროვნება ერთმანეთზე გადაუბამს, შეუხორცვებია და სულს ხორცზე მაღლა აყენებს (აკაკი, 142, 10-11-12);

განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადება რმელიც კავშირით მყოფადის მწკრივთან აქვემდებარებს აწმყოსა და I თურმეობითის მწკრივებს.

ხოლმეობითი - უწყვეტელი - 1: იმ სიმაღლე დედაკაცი ხანდახან, მარტო ჯუბას ჩაიცვამდა, ჯუბას, რმელიც ერთიორად სიმაღლეს უმატებდა (ვაჟა, 47, 7-8-9);

რმელიც კავშირით ხოლმეობითთან უწყვეტელის მწკრივი გვაქვს დაქვემდებარებული. ჩვენს მასალაში დავადასტურეთ მხოლოდ ერთი შემთხვევა.

წყვეტილი - აწმყო - 2: მოჰკლა ცქრანტმა კაცი ერთი დიდისტანისა და სქელფაშვიანი კაცი იმავე იარაღით, რამელითაც ჩვენა და ჩვენს ძმებს გვღვენინან მოსაკლავად (ვაჟა, 100, 25-26-27);

წყვეტილი - უწყვეტელი - 7: გაიხმაურა ხალხმა, რამელიც წუთის წინად ისე თავხედურად დასცინოდა პეტრეს (ილია, 203, 14-13-14);

წყვეტილი - წყვეტილი - 7: შენ ცხვარს რქა ამოჰკრა და გვერდი შეახალა იმ ძროხამ, რამელიც შენმა მომჩივარმა მომარტვა (აკაკი, 207, 28-29);

წყვეტილი - I თურმეობითი - 2: რად მთიკალით გული, რამელიც თქვენის მოძმის სიყვარულისთვის მთმიცია თქვენთვის (ილია, 225, 15-16-17);

წყვეტილი - II თურმეობითი - 3: ვნახე ჩემი კვიცი, რამელსაც ამ ოთხ თვეში ბევრი მთემატა (ვაჟა, 68, 34-35);

განსაზღვრებით დამოკიდებულ წინადადებაში კავშირი რამელიც წყვეტილთან აქვემდებარებს აწმყოს, უწყვეტლის, წყვეტილის, I თურმეობითისა და II თურმეობითის მწკრივებს. ჭარბობს წარსულ დროში შეფარდება. თანაბარი სიხშირით ხასიათდება ორი მოდელი, ესაა: წყვეტილი-უწყვეტელი და წყვეტილი-წყვეტილი.

II კავშირებითი - II კავშირებითი - 1: მხოლოდ რამდენიმე მათგანი, რამელიც სხვებზე ულამაზესი გამოდგეს, აქ წამომგვარეთ ხელუხლებლად (აკაკი, 164-165, 36-37-1);

რამელიც კავშირიან განსაზღვრებით დამოკიდებულ წინადადებაში II კავშირებითმა შეიფარდა II კავშირებითი.

I თურმეობითი - მყოფადი - 1: ის მამა შვილის დამღუპველი ყოფილა, რამელიც შენისთანა ღვთის კაცი გამოუჩნდება შვილის გასაწურთვენელად და არ გააწურთვინებს (ილია, 205, 11-12-13);

აღნიშნული სახის ჰიპოტაქსურ კონსტრუქციაში მთავარი წინადადების ზმნა შემასმენლად მოგვევლინა I თურმეობითი, რომელმაც დაიქვემდებარა მყოფადის მწკრივი.

III კავშირებითი - აწმყო - 1: ბევრი სიკეთე უნდა დაეთესოს კაცსა, რომელსაც ეგრე სიყვარულით გარს არტყია ხალხი (ილია, 201, 22-23).

კავშირით რომელიც განსაზღვრებით დამოკიდებულ წინადადებაში გვაძლევს შემდეგ დაქვემდებარებით წყვილებს, ესენია: აწმყო - აწმყო, აწმყო-წყვეტილი, აწმყო - II კავშირებითი, აწმყო - I თურმეობითი; უწყვეტელი - უწყვეტელი, უწყვეტელი - წყვეტილი, უწყვეტელი - II თურმეობითი; მყოფადი - აწმყო, მყოფადი - I თურმეობითი; წყვეტილი-აწმყო, წყვეტილი - უწყვეტელი, წყვეტილი - წყვეტილი, წყვეტილი - I თურმეობითი, წყვეტილი - II თურმეობითი; II კავშირებითი - II კავშირებითი; I თურმეობითი - მყოფადი; III კავშირებითი - აწმყო.

რომლის

მყოფადი - აწმყო - 1: ვფიცავ და ზედ დაგატან იმ ჩემს უცნაურ უცნაურ სიყვარულს, რომლის გამოთქმაც არ შემიძლია! (აკაკი, 159, 34-35);

მაქვემდებარებელი კავშირი რომლის განსაზღვრებით დამოკიდებულ წინადადებაში აქვემდებარებს მყოფადთან აწმყოს მწკრივს, ჩვენი მასალის მიხედვით დავადასტურეთ ერთი შემთხვევა.

რომელზედაც

ხელმეობითი - წყვეტილი - 1: წელზე შემოიჭერდა ბრტყელ ქამარს, რომელზედაც ტყავის ქარქაში ხანჯლის ტოლა დანა ეკიდა (ვაჟა, 47, 9-10-11);

წყვეტილი - უწყვეტელი - 2: ის გადაგვიღე ერთ ვინმე ახალგაზრდას, რომელზედაც ეჭვი მქონდა ადებული, და იმას გამოუტეხია (აკაკი, 164, 22-23-24).

აღნიშნულ კავშირიან განსაზღვრებით დამოკიდებულ წინადადებაში გვაქვს შემდეგი დაქვემდებარებითი მოდელები, ესენია: ხოლმეობითი-წყვეტილი და წყვეტილი-უწყვეტელი.

რომელშიაც

აწმყო - აწმყო - 1: გემრიელია თქვენი მურსალავაშები, მაგრამ მე მაინც ჩემი ქვეყნის პური მიჩვენია, ის პური, რომელშიაც ჩვენი ძვლების ნაწილები ურევია (აკაკი, 145, 35-36-37);

მყოფადი - აწმყო - 1: უნებლიედ მოგაგონდება „კანცელია“, ცხრაგან ჩამონგრეული, და დუქანი, რომელშიც მეტად ავი სუნი ტრიალებს (ვაჟა, 75, 12-13-14).

აღნიშნულ ჰიპოტაქსურ კონსტრუქციაში დადასტურდა შემდეგი მოდელები, ესენია, აწმყო-აწმყო და მყოფადი-აწმყო. მათი შეხვედრის სიხშირე ჩვენი მასალის მიხედვით თანაბარია.

რაც/რამაც/რასაც

აწმყო - წყვეტილი - 1: ჩემთვის მინდა მე ყველა ფრინველები, რაც ჩემს სამფლობელოში აღიზარდა (ვაჟა, 80, 19);

უწყვეტელი - წყვეტილი - 1: თითქოს ბოდიშს იხდიდა იმ გრძნობისათვის, რამაც დღეს მოულოდნელად იმის გულში გაიღვიძა (ვაჟა, 39, 21-22);

მყოფადი - I თურმეობითი - 1: ღმერთო, მაღალო, ნურა ქრისტიანს კაცსა, ნუ მიაყენებ იმ დღეს, რაც მე ხანდისხან იმ სატუსალოში დამდგომია (ილია, 252, 29-30-31);

წყვეტილი - აწმყო -1: მართლა, სად იყო ამდენი ხე-ტყე, რაც ამ წყალს მოაქვს (აკაკი, 124, 6-7);

წყვეტილი - უწყვეტელი -1: ჭალა სავსე იყო კრიკინით, რასაც სიამოვნებით შეექცეოდა (ვაჟა, 136, 29).

რაც/რამაც/რასაც კავშირებიანი განსაზღვრებით დამოკიდებული წინადადების შემცველ ჰიპოტაქსურ კონსტრუქციაში გვაძლევს შემდეგ დაქვემდებარებით წყვილებს; ესენია: აწმყო-წყვეტილი; უწყვეტელი-წყვეტილი; მყოფადი-I თურმეობითი; წყვეტილი-აწმყო და წყვეტილი-უწყვეტელი.

რეგორიც

II კავშირებითი - აწმყო - 1: მაგისტანა ნაძრახი სიცოცხლე, ნეტავი მე მქონდეს, რეგორიც შენა გაქვს (ილია, 225, 1-2-3).

რეგორიც მაქვემდებარებელი კავშირი აქვემდებარებს შემდეგ წყვილს, ესაა: II კავშირებითი-აწმყო.

სადაც

ხოლმეობითი - უწყვეტელი - 1: დაეშვებოდა ჩაღაურისაკენ, სადაც მოსამსახურენი სუფავდნენ (ილია, 277, 3);

წყვეტილი - წყვეტილი - 3: დავხედე ადგილს, სადაც თითი დამიდო (ილია, 215, 6).

კავშირი სადაც განსაზღვრებით დამოკიდებულ წინადადებაში აქვემდებარებს ერთმანეთთან წარსულ დროინ მწკრივებს. ესენია: ხოლმეობითი -უწყვეტელი და წყვეტელი - წყვეტილი.

განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადება მწკრივთა შესაძლო შეფარდების მრავალფეროვნებით გამოირჩევა. მთავარი და დამოკიდებული წინა-

დადების ზმნა-შემასმენლად მოსალოდნელია თითქმის ყველა მწკრივის ფორმა.

განსაზღვრებით დამოკიდებულ წინადადების შემცველ ჰიპოტაქტურ კონსტრუქციაში მთავარი და დამოკიდებული წინადადების ზმნა-შემასმენლები ერთმანეთს ეფარდებიან ძირითადად ერთი დროის ფარგლებში. ეს დრო შეიძლება იყოს:

1. ახლანდელი: აწმყო-აწმყო, აწმყო-მყოფადი, აწმყო - I თურმეობითი; მყოფადი-აწმყო და ა.შ.

2. წარსული: უწყვეტელი-უწყვეტელი, უწყვეტელი-ხოლმეობითი, უწყვეტელი-წყვეტილი, უწყვეტელი - II თურმეობითი, წყვეტილი-უწყვეტელი, წყვეტილი-წყვეტილი და ა.შ.

3. მომავალი: მყოფადი - II კავშირებითი; II კავშირებითი - II კავშირებითი და ა.შ.

ამავდროულად ჰიპოტაქსურ კონსტრუქციაში წარმოდგენილი ზმნა-შემასმენლები შეიძლება, შეეფარდნენ ერთმანეთს სხვადასხვა დროშიც:

ა) მთავარში შეიძლება ახლანდელი დრო იყოს, დამოკიდებულში - წარსული: აწმყო-უწყვეტელი, აწმყო-ხოლმეობითი, აწმყო-წყვეტილი, აწმყო - II თურმეობითი და ა.შ.

ბ) მთავარში ახლანდელი დროა, დამოკიდებულში - მომავალი: აწმყო-მყოფადი, აწმყო-II კავშირებითი; I თურმეობითი - II კავშირებითი და ა.შ.

გ) მთავარში წარსულია, დამოკიდებულში - ახლანდელი: უწყვეტელი-მყოფადი, წყვეტელი-აწმყო, III კავშირებითი-აწმყო და ა.შ.

დ) მთავარში წარსულია, დამოკიდებულში - მომავალი: უწყვეტელი-მყოფადი, წყვეტელი-მყოფადი და ა.შ.

ე) მთავარში მომავალია, დამოკიდებულში - წარსული: მყოფადი - I თურმეობითი.

ვ) მთავარში მომავალია, დამოკიდებულში – ახლანდელი: მყოფადი-აწმყო, II კავშირებითი - აწმყო და ა.შ.

გაანალიზებული მასალის უმრავლესობაში დამოკიდებული წინადადების ზმნა – შემასმენლით გამოხატული მოქმედების დრო უსწრებს მთავარი წინადადების ზმნა-შემასმენლით გადმოცემული მოქმედების დროს.

უნდა ითქვას ისიც, რომ რაოდენობრივად ჭარბობს წარსულ დროში მწკრივთა შეფარდების შემთხვევები.

ადგილის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება

სადაც

აწმყო - აწმყო – 3: ჭკვიანი კაცი ხარ მგელო, სადაც იმარჯვებ, იქ მიიწევ (ვაჟა, 42, 26);

აწმყო - მყოფადი – 1: ზოგან, სადაც ცული ვერ გამოდგება, იქ პატარა ხერხს გააქვს და გამოაქვს ხოლმე (აკაკი, 142, 18-19-20);

აწმყო - II კავშირებითი – 1: ისინი სადაც უნდა იყვნენ, სასახლის კარზე, საქრისტიანოში თუ საურჯულოში, მაინც არა უშავთ რა (აკაკი, 154, 17-18);

აწმყო - I თურმეობითი – 3: სადაც ამდენი უმანკო სული ამოგიწყვეტიათ, მე რაღა დასატოვებელი ვარ (აკაკი, 165, 20-21);

ადგილის გარემოებითი დამოკიდებული წინადადების შემცველ ჰიპოტაქსურ კონსტრუქციაში მთავარი წინადადების ზმნა-შემასმენლად გვევლინება აწმყო, რომელიც იქვემდებარებს აწმყოს, მყოფადის, II კავშირებითისა და I თურმეობითის მწკრივებს.

უწყვეტელი - უწყვეტელი – 2: სადაც ჭალა თავდებოდა, ფშაც იქ ერეოდა მდინარეში (ვაჟა, 311, 16);

უწყვეტელი - წყვეტილი - 1: სოფელში სადაც, დარეჯანი იყო გათხოვილი, სცხოვრობდა დიდი ხნის დაქვრივებული მამიდა ურჯუკისა, შამანდუხტი (ვაჟა, 48, 17-18-19);

უწყვეტელი იქვემდებარებს უწყვეტლისა და წყვეტილის მწკრივებს. ჩანს, ეს მწკრივი უპირატესობას ანიჭებს წარსულ დროში შეფარდებას.

მყოფადი - აწმყო - 2: სადაც მე და ესა ვართ, იქ ღმერთი ლუკმას არ დაგვიკარგავს (ვაჟა, 70, 1-2);

მყოფადი - მყოფადი - 1: აქ რაღაც განგება არის, მივყვები ამ ნადირს და, სადაც მიმიყვანს, მიმიყვანსო (აკაკი, 161, 30-31);

სადაც კავშირიან ჰიპოტაქსურ კონსტრუქციაში მყოფადი იქვემდებარებს აწმყოსა და მყოფადის მწკრივებს. გვაქვს დაქვემდებარებითი წყვილები: მყოფადი-აწმყო და მყოფადი-მყოფადი.

ხოლმეობითი - ხოლმეობითი - 4: იგი დადიოდა უღრანს, დაბურულს ტყეში და სადაც კი მთიგდებდა ადამიანს, გაუჭყლეტდა თავს, წამოიკიდებდა და მოიტანდა თავის ბინაზე (ვაჟა, 338, 31-1-2);

ხოლმეობითი ქმნის შეფარდებით მოდელს ხოლმეობითთან. ჩვენს მასალაში დავადასტურეთ ოთხი შემთხვევა.

წყვეტილი - უწყვეტელი - 3: ახლა ბანდულებს მიმართა, დაპოხა, გაბანდა, სადაც გაბანდვა აკლდა (ვაჟა, 72, 31-32);

წყვეტილი - წყვეტილი - 3: დიდი სიფრთხილითა და სისწრაფით გავლეს გზა, გადაიარეს მთა და ჩავიდნენ ახმეტაში, სადაც ბიძინა ჩოლოყაშვილი დაუხვდათ დიდძალი ჯარით (აკაკი, 175, 24-25-26-27);

ადგილის გარემოებით დამოკიდებულ წინადადებაში სადაც დაქვემდებარებელი კავშირით წყვეტილი იფარდება უწყვეტელსა და წყვეტილის მწკრივებს.

II კავშირებითი - აწმყო - 1: იქ, სადაც ღომის ტოტი ველარას სთესავს, მელიის კუდმა უნდა მოიმკოსო (აკაკი, 142, 20-21);

აღნიშნულ კონსტრუქციაში **II კავშირებითი** იფარდებს აწმყოს მწკრივს, ჩვენი მასალით დავადასტურეთ ერთი მოდელი.

I თურმეობითი - აწმყო - 1: ღმერთო მაღალო! სადაც კი შენი მადლიანი ხელი ურევია, იქ ყველაფერი საყოველთაო ყოფილა (ილია, 197, 2-3);

I თურმეობითი - I თურმეობითი - 1: მხოლოდ ალაგ-ალაგ ძეძვის ძირშიდა დარჩენილა ბალახი ჯგუფად, სადაც ამ ბალახს კამეჩის გაუმაძღარი პირი არ შეჭხვებია (ვაჟა 41, 5-6-7);

სადაც კავშირიან ადგილის გარემოებით დამოკიდებულ კონსტრუქციაში **I თურმეობითი** იფარდებს აწმყოსა და **I თურმეობითის** მწკრივებს.

საცა

უწყვეტილი - უწყვეტილი - 1: მე უფრო იმ ადგილებში ვისაფრებდი, საცა უწინ დათიკო სანადიროდ დაიარებოდა ხოლმე (ილია, 263, 9-10-11);

წყვეტილი - უწყვეტილი - 1: სამს თუ ოთხს თვეს უკან მოწმეების კითხვა გაათავეს და მე დიდ სატუსალოში გამგზავნეს ჩვენ პატარა ქალაქს, საცა ნაჩაღნიკი და სასამართლო იმყოფებოდა (ილია, 22, 14-15-16);

წყვეტილი - II თურმეობითი - 1: საღამო ხანი იყო და ის სოფელი, საცა იმ ღამეს ჩვენ უნდა შეგვესვენა, ჯერ კიდევ შორს იყო (ილია, 254, 13-14-15).

საცა მაქვემდებარებელი კავშირი ერთმანეთთან აფარდებს გარკვეულ წყვილებს და ვიღებთ მოდელებს: უწყვეტილი-უწყვეტილი, წყვეტილი-უწყვეტილი

და წყვეტილი - II თურმეობითი. მწკრივთა შეფარდება ხდება წარსულ დროში.

საიდანაც

აწმყო - II კავშირებითი - 1: საიდანაც უნდა იყოს, სულ ერთია (აკაკი, 147, 13);

წყვეტილი - უწყვეტელი - 2: დაავლო ხელი ორად გაჭრილს, მიიკრა გულზე და წაიღო იქითკენვე, საიდანაც ამ რამოდენიმე ხნის წინეთ ისეთი ნეტარებით მიჰქონდა, მაგრამ სულ სხვადასხვა იყო მაშინ და ახლა (აკაკი, 167, 33-34-35-36);

წყვეტილი - II თურმეობითი - 1: იქითკენ დაიწყეს ყურება, საიდანაც მოპირდაპირე უნდა შემოსულიყო (აკაკი, 150, 13-14).

მაქვემდებარებელი კავშირით საიდანაც ადგილის გარემოებით დამოკიდებულ წინადადებაში ვიღებთ შეფარდებით წყვილებს, ესენია: აწმყო - II კავშირებითი, წყვეტილი-უწყვეტელი, წყვეტილი - II თურმეობითი.

საითკენაც

წყვეტილი - წყვეტილი - 1: თათარმა აიყვანა ბავშვივით, გადაიწვინა მკლავებზე, მიიყრდნო გულმკერდზე და ალაღბეზე წაიღო იქით, საითკენაც ანიშნეს (აკაკი, 161, 25-26-27).

საითკენაც კავშირიანი ადგილის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება ერთადერთი აღმოჩნდა ჩვენს მსალაში. ისიც წყვეტილი-წყვეტილი კომბინაციით დავადასტურეთ.

საითაც

აწმყო - მყოფადი - 1: საითაც გაიწყეს ურემი, იქით მიღის სათრეველაც (ილია, 258, 7);

ხოლმეობითი - ხოლმეობითი - 1: თვალები დაე-
სისხლებოდა, მთავლებდა შეგირდს თმაში ხელს და
გაისვრიდა, საითაც მოხვდებოდა (ვაჟა, 67, 30-31-32);

წყვეტილი - უწყვეტელი - 1: გასწია იქითკენ,
საითაც მამლის ყივილი ესმოდა (ვაჟა, 149, 31).

კავშირი საითაც ადგილის გარემოებით დამოკი-
დებულ წინადადებაში ქმნის შემდეგ მაქვემდებარე-
ბელ მოდელებს. ესენია: აწმყო - მყოფადი, ხოლმეო-
ბითი - ხოლმეობითი და წყვეტილი - უწყვეტელი.

რამ

აწმყო - აწმყო - 1: ეზოში რამ დიდი კაკალი
დგას და გზისკენ სხვილი ფესვები აქვს გადგმუ-
ლი იქ ერთი ორმო თხილი მაქვს შენახული (ვაჟა,
169, 21);

აწმყო - I თურმეობითი - 1: მე და დედა-ჩემი,
აგერ ტყიანი სერი რამ წამოწოლილა და აქეთ-იქით
ხეები ჩაუდის, იქა ფცხფვრობთ, მუდამ დაჩრდილულ-
ნი დაბურულის ტყით (ვაჟა, 14, 4-5-6);

წყვეტილი - აწმყო - 3: იქვე, მოსახვევში, ხეებს
რამ ხერგავს ხოლმე, ზედ მოაყარა (აკაკი, 126, 4-5);

წყვეტილი - წყვეტილი - 2: აქ რამ ჩაჰყო თავი
წყალში, ე, იქ ამოჰყო, ჰა იხვივით! (აკაკი, 126, 15-16);

წყვეტილი - II კავშირებითი - 1: ბედმა იქამდი-
ნაც მიმიყვანა - მეთქი, ვამბობდი გულში, რამ კა-
ციც უნდა მთმაკვლევინოს (ილია, 260, 2-3-4);

წყვეტილი - II თურმეობითი - 1: ჩვენ სოფლის
ქვემოდან ერთი თხუთმეტოდე ვერსი რამ გაგვ-
ლთ, კაი სანადირო ადგილები იყო (ილია, 187, 30-
31).

რამ მაქვემდებარებელი კავშირი ადგილის გა-
რემოებით დამოკიდებულ წინადადებაში აქვემდებარე-
ბებს როგორც ერთგვარ, ისე სხვადასხვა მწკრივებს.
გვაქვს შემდეგი მოდელები. ესენი: აწმყო - აწმყო,

აწმყო - I თურმეობითი; წყვეტილი - აწმყო, წყვეტილი - წყვეტილი, წყვეტილი - II კავშირებითი და წყვეტილი - II თურმეობითი.

ადგილის გარემოებითი დამოკიდებული წინადადების შემცველი ჰიპოტაქსური კონსტრუქცია მწკრივთა შეფარდების თვალსაზრისით ასეთ სურათს გვიჩვენებს: მთავარი და დამოკიდებული წინადადების ზმნა-შემასმენელთა შეფარდება ძირითადად ერთი დროის ფარგლებში გვხვდება. ეს დრო ჩვეულებრივ შეიძლება იყოს:

1. ახლანდელი: აწმყო-აწმყო...

2. წარსული: უწყვეტელი - უწყვეტელი, უწყვეტელი - წყვეტილი, ხოლმეობითი - ხოლმეობითი, წყვეტილი - უწყვეტელი, წყვეტილი - წყვეტილი, წყვეტილი - II თურმეობითი...

3. მომავალი: აწმყო - მყოფადი, მყოფადი - მყოფადი...

უპირატესობა ენიჭება წარსულ დროში შეფარდებას.

ზმნა-შემასმენლები ერთმანეთს შეიძლება შეეფარდონ სხვადასხვა დროის ფარგლებიც, მაგალითად:

ა) მთავარში ახლანდელი დროა, დამოკიდებულში - წარსული: აწმყო-წყვეტილი, აწმყო - I თურმეობითი;

ბ) მთავარში ახლანდელია, დამოკიდებულში - მომავალი: აწმყო-მყოფადი, აწმყო - II კავშირებითი;

გ) მთავარში წარსულია, დამოკიდებულში - ახლანდელი: წყვეტილი - აწმყო, I თურმეობითი - აწმყო;

დ) მთავარში წარსულია, დამოკიდებულში - ახლანდელი: წყვეტილი-აწმყო, I თურმეობითი-აწმყო;

ე) მთავარში წარსულია, დამოკიდებულში - მომავალი: წყვეტილი - II კავშირებითი;

ვ) მთავარში მომავალია, დამოკიდებულებაში – ახლანდელი: მყოფადი-აწმყო, II კავშირებითი-აწმყო.

ზმნა-შემასმენელთა სხვადასხვა დროში შეფარდებისას დამოკიდებული წინადადების ზმნით გამოხატული მოქმედების დრო უმრავლეს შემთხვევაში უსწრებს მთავარ წინადადებაში ზმნა-შემასმენელით გადმოცემულ მოქმედებას.

დროის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება

უკავშირო

აწმყო - წყვეტილი – 1: შენი მოსატყუებელი კბილი, დიდი ხანია, მოვიცვალე (აკაკი, 166, 27-28);

უწყვეტელი - წყვეტილი – 1: სწორედ შუალამე იქნებოდა, ბიძაჩემი ერთხელ კიდევ ადგა, გაიხედა კარებში და წაიბურღლუნა (ვაჟა, 72, 16-17);

მყოფადი - II თურმეობითი – 1: მაშინ ჩემი ბედიც იქნება, სხვა რიგად დატრიალებულიყო (ილია, 31, 15-16).

უკავშირო დროის გარემოებითი დამოკიდებული ჰიპოტაქსური კონსტრუქცია ჩვენს მიერ მოძიებულ მასალაში დიდი სიხშირით არ ხასიათდება. დავადასტურეთ მოდელები, ესენია: აწმყო-წყვეტილი, უწყვეტელი-წყვეტილი და მყოფადი - II თურმეობითი.

რთვა

აწმყო - აწმყო – 11: რთვა გიჭირს, მაშინ გემალება (ილია, 191, 16);

აწმყო - მყოფადი – 3: რთვა დედამიწას მწვანე ხავერდსავით ჯეჯილის ყდა გადაეკვრება, მაშინ იმაზედა ვკითხულობთ ჩვენს ბედსა (ილია, 202, 33-34-35);

აწმყო - წყვეტილი - 1: ეხლა კი, რცა სიცოცხლე ბაღდადსავით გამიმწარდა და ის ერთადერთი ჩემსავით ობოლი იმედი წამართო უამთა-ვითარებამ, ეხლა მე ფიქრი აღარაფრისა არა ამქვს (ილია, 193, 18-19-20-21);

რცა მაქვემდებარებელი კავშირი დროის გარემოებით დამოკიდებულ წინადადებაში აქვემდებარებს აწმყოს მწკრივთან აწმყოს, მყოფადს და წყვეტილს.

უწყვეტელი - უწყვეტელი - 2: რცა იმათ ეშლებოდა, მაშინ იქნედა თავსა (აკაკი, 69, 21);

უწყვეტელი - ხელმეობითი - 1: რცა უილაჯობით კაცს გმარცვაფდი, ერთს ვაი-ვაგლახს გამოვიფლი ხელმე ჩემდათავად და ჩემს თავს მევე გმარცვაფდი (ილია, 265, 8-9-10);

უწყვეტელი - წყვეტილი - 1: რამოდენა სიამოვნებს ვგრძნობდი, რცა დავინახე მიდამო ჩემი სოფლისა (ვაჟა, 65, 17-18);

რცა მაქვემდებარებელი კავშირი უწყვეტელის მწკრივთან აქვემდებარებს უწყვეტლის, ხელმეობითისა და წყვეტილის მწკრივებს.

მყოფადი - აწმყო - 2: მგონი, მწყრები მაშინ მოიღვეიან, რცა სამალავი და საფარი აღარ არის მინდვრებში (ილია, 227, 19-20);

მყოფადი - მყოფადი - 5: მერე, რცა მე და შენ კარგად მივხვდებით, მაშინაც მოვესწრებით მაგის გადაკითხვას (ილია, 215, 11-12);

რცა მაქვემდებარებელ კავშირიან დროის გარემოებით დამოკიდებულ კონსტრუქციაში მთავარი წინადადების ზმნა-შემასმენლად გვევლინება მყოფადი, რომელიც იფარდებს აწმყოსა და მყოფადის მწკრივებს. რაოდენობრივად ჭარბობს მოდელი: მყოფადი-მყოფადი.

ხელმეობითი - ხელმეობითი - 5: რცა მამა ჩამოვიდოდა, სახლის პატრონი შესცვლიდა თავის პო-

ლიტიკას, მშვენიერს სადილს გამართავდა... (ვაჟა, 68, 27-28);

დროის გარემოებითი დამოკიდებული წინადადების შემცველ ჰიპოტაქსულ კონსტრუქციაში მთავარი წინადადების ზმნა-შემასმენლად გვევლინება ხოლმეობითი, რომელიც იქვემდებარებს ხოლმეობითის მწკრივს.

წყვეტილი - უწყვეტელი - 2: შამანდუხტი იმ დროს მივიდა სამაჭანკლოდ, რთცა დარეჯანს კეცი გადმოღებული ჰქონდა და პურის „ჩაცხობას“, ჩაკვრას აპირებდა (ვაჟა, 48, 20-21-22);

წყვეტილი - ხოლმეობითი - 1: მშვენიერი სანახავი იყვნენ მხედრები, რთცა ისინი შენატყორცი ჯირითის ასაცილებლად ხან მარჯვნივ და ხან მარცხნით მანდიკურად გადაეკიდებოდნენ და ზოგჯერ მუცელქვეშაც ამოეგლებოდნენ ხოლმე (აკაკი, 152, 7-8-9-10);

წყვეტილი - წყვეტილი - 12: რთცა მივედი, კიდევ დამიძახა და შემიყვანა თავის ოთახში (ილია, 248, 5-6);

წყვეტილის მწკრივი გვევლინება დროის გარემოებით ჰიპოტაქსურ კონსტრუქციაში მთავარი წინადადების ზმნა-შემასმენლად, რომელიც იფარდებს უწყვეტლის, ხოლმეობითისა და წყვეტილის მწკრივებს, შესაბამისად გვაქვს მოდელები: წყვეტილი-უწყვეტელი, წყვეტილი-ხოლმეობითი და წყვეტილი-წყვეტილი. აღნიშნული მოდელების ზმნა-შემასმენლები ერთმანეთს ეფარდებიან წარსულ დროში.

II კავშირებითი - მყოფადი - 2: აქ ვილა დავახვედრთ, რთცა განრისხებულნი ჩვენზე მოვლენ (აკაკი, 131, 34-35);

II კავშირებითი, რომელიც გვევლინება მთავარი წინადადების ზმნა-შემასმენლად იფარდებს მყოფადის მწკრივს.

I თურმეობითი - აწმყო - 1: რცა ჩემო ძმაო ადამიანს პირს არიდებს, მითამ ქრისტე ღმერთისათვის მოგირიდებია პირი (ილია, 226, 18-19-20);

I თურმეობითი - მყოფადი - 2: რცა მე ჩემსას ავისრულებ, მერე შენთვის დამილცნია (ილია, 249, 24);

I თურმეობითი დროის გარემოებით დამოკიდებულ წინადადებაში, სადაც მონაწილეობს კავშირი რცა იქვემდებარებს აწმყოსა და მყოფადის მწკრივებს.

II თურმეობითი - წყვეტილი - 1: გლახის ვახშობა დიად გადასულიყო, რცა პეპიას სახლთან მიგედი (ილია, 238, 22-23).

დროის გარემოებით დამოკიდებულ ჰიპოტაქსურ კონსტრუქციაში მთავარი წინადადების ზმნა-შემასმენლად გვევლინება II თურმეობითი, რომელიც იფარდებს წყვეტილის მწკრივს.

რამ

აწმყო - აწმყო - 3: მზე რამ ამოდის, ვარსკვლავები მაშინ არ სჩანან (ილია, 224, 25-26);

აწმყო - მყოფადი - 1: რამ რამეს დასწერს, ეკითხება თავის გულს: მე ვჯობივარ, ჩახჩუხა თუ შავთელიო (აკაკი, 139, 12-13);

აწმყო - წყვეტილი - 1: გახსოვს, მაშინ რამ გითხარი, სანთელ-საკმეველი თავის გზას არ დაკარგავს მეთქი (ილია, 264, 20-21);

აწმყოს მწკრივი იფარდებს აწმყოს, მყოფადისა და წყვეტილის მწკრივებს.

უწყვეტელი - უწყვეტელი - 2: ბუჩუკური ასი წლისა იქნებოდა, რამ ისევ საქონელში დადიოდა (ვაჟა, 8,27);

უწყვეტელი - ხოლმეობითი - 2: თვალზე ცრემლი ადგებოდა, რამ მოაგონდებოდა უკანსაკნელი ლექსის ხანა (აკაკი, 137, 17-18-19);

უწყვეტელი - წყვეტილი - 1: ერთხელ, მთვარიან ღამეში, აბღუშაპილი მხარ-თედოს წამოწოლილი რამ იყო და ჩვეულებრივ ტკბილი მოგონებით გატაცებული, გაბრუებული ოცნებობდა, შრიალი მთესმა (აკაკი, 168, 8-9-10);

უწყვეტელი - II თურმეობითი - 5: იმ დროს რამ კაცს ჩემთვის ხმა გაეცა, მეწყინებოდა (ილია, 230, 8-9);

უწყვეტელის მწკრივი რამ მაქვემდებარებელ კავშირიან დამოკიდებულ წინადადებაში იფარდებს უწყვეტლის, ხოლმეობითის, წყვეტილისა და II თურმეობითის მწკრივებს. ჩანს, მწკრივის არჩევანი დროული მიმართების შემთხვევაში ნებისმიერი არა არის, უპირატესობას უწყვეტელი ანიჭებს წარსულ დროში შეფარდებას.

მყოფადი - მყოფადი - 14: გამარჯვებას რამ გაიგებს, ქართლის მეფეც აღარას იტყვის (აკაკი, 129, 22-23);

მყოფადი - აწმყოს კავშირებითი - 1: მაშ სამოთხე რამ მთმელოდეს, რაღა თავის გამოდება იქნება (ილია, 260, 33);

მყოფადი - მყოფადის კავშირებითი - 1: ჩემი სისხლი რამ მთარჩენდეს შენ ქმარსა, ძარღვს გავიხსნი და დავალევინებ (ილია, 219, 10-11-12);

მყოფადი - წყვეტილი - 1: ერთხელ რამ სინჯო, შენც ჩემი არ იყოს, მერე ხელს ველარ აიდებო (აკაკი, 156, 20-21);

მყოფადი - II კავშირებითი - 4: ეხლა რამ ჰნახოთ, გაკვირდებით (ვაჟა, 43, 23-24);

მყოფადის მწკრივი რამ მაქვემდებარებელ კავშირიანი დროის გარემოებით დამოკიდებულ წინადა-

დებაში იქვემდებარებს მყოფადს, აწმყოს კავშირებითს, მყოფადის კავშირებითს, წყვეტილს და II კავშირებითს. ჭარბობს მოდელი მყოფადი-მყოფადი.

ხოლმეობითი - უწყვეტელი - 2: თქვენ რომ როდისმე გაგიჭირდებოდათ, მაშინ შეიტყობდით... (ილია, 218, 28);

ხოლმეობითი - ხოლმეობითი - 3: ერთ-ორს რომ გადახტებოდა, შეჩერდებოდა ხოლმე და მთიხედავდა უკან (აკაკი, 161, 28-29);

ხოლმეობითი - წყვეტილი - 1: მე რომ ის ჩავიცვი, თავადის შეილებში ვერ გამომარჩევდით (ილია, 230, 22-23);

ხოლმეობითი - II თურმეობითი - 6: გაკვეთილების გათავების შემდეგ რომ ჭკვიანი კაცი გამორჩენილიყო და ჩვენ კლასში მოსულიყო, ერთი ჯამბარის ბურტყულს აჰკრეფდა (ვაჟა, 68, 17-18-19);

რომ მაქვემდებარებელმა კავშირმა ხოლმეობითის მწკრივთან დაიქვემდებარა უწყვეტლის, ხოლმეობითის, წყვეტილისა და II თურმეობითის მწკრივები. ჭარბობს მოდელი ხოლმეობითი - II თურმეობითი.

წყვეტილი - უწყვეტელი - 5: პურის ჭამას რომ გათავებდი, ერთი დროშკა მთადგა ჩვენს დუქნის კარებსა (ილია, 261, 25-26);

წყვეტილი - წყვეტილი - 105: მამაჩემმა რომ შეიტყო ესა, ეახლა ბატონსა და ჩემი თავი სთხოვა (ილია, 199, 34-35);

წყვეტილი - II თურმეობითი - 1: ტრედები მოულოდნელად დაღონდნენ, რა დაინახეს რომ ერთს წეროს დასჯდომოდა რალაც დიდი, ლეგა ფრინველი (ვაჟა, 96-97, 38-39-1);

წყვეტილი რომ კავშირით აღნიშნული სახის კონსტრუქციაში იქვემდებარებს უწყვეტლის, წყვეტილისა და II თურმეობითის მწკრივებს. დიდი სიხშირით ხასიათდება მოდელი წყვეტილი-წყვეტილი.

წყვეტილის მწკრივი უპირატესობას ანიჭებს წარსულ დროში შეფარდებას. მან ჩვენს მიერ მოძიებულ მასალაში არ მოგვცა მეწყვილედ ახლანდელი და მომავალი დროის ფორმები.

II კავშირებითი - II კავშირებითი - 4: რამ წავიდე, ვის ხელთ დაგაგდო? (ილია, 256, 5-6);

II კავშირებითმა დროის გარემოებით დამოკიდებულ წინადადებაში დაიქვემდებარა ერთგვარი მწკრივი II კავშირებითი.

I თურმეობითი - უწყვეტელი - 1: დიდხანს არ გაუვლია, რამ სუფრას ვუსხედით გვერდზე და ბუხარში შვლის მწვადები შიშინებდა (ვაჟა, 74, 13-14);

I თურმეობითი - წყვეტილი - 7: დიდხანს აღარ გაუვლია, რამ ეხოში ძაღლმა დაიყუფა და ვიღაცას შეუტია... (აკაკი, 157, 9);

I თურმეობითიც წარსულ დროში შეფარდებას ანიჭებს უპირატესობას. იგი რამ კავშირით აქვემდებარებს შემდეგ მწკრივებს; ესენია: უწყვეტელი და წყვეტილი.

II თურმეობითი - წყვეტილი - 3: ქორი ჯერ დაბლა დაეშვა, მაგრამ ჯერ შუამდისაც არ ჩამოსულიყო, რამ უცბად ჰაერშივე გადატრიალდა და ჰკრა ცაში კამარა (აკაკი, 136, 1-2-3);

II თურმეობითი - II თურმეობითი - 2: იქნება კიდევ ბევრი ელაზღანდართ, რამ თითონ პეტრე არ მოსწრებოდათ (ილია, 202, 22-23).

II თურმეობითმაც რამ კავშირით დროის გარემოებით დამოკიდებულ წინადადებაში წარსულ დროში შეფარდების შემთხვევა გვიჩვენა. მან დაიქვემდებარა წყვილისა და II თურმეობითის მწკრივები.

სანამ/მანამ/მინამ

აწმყო - აწმყო - 2: მაშ, მინამ მწყრები ბუღლბენ, მინამდინ მონადირეს ხელთა ჰყავს მიმინო? (ილია, 227, 16-17);

აწმყო - მყოფადი - 2: მინამ არ შერიგდებიან, ზიარება, წმინდა საიდუმლო არც ერთს მაშფოთარს არ ერგება (ვაჟა, 78, 18-19-20);

აწმყო - I თურმეობითი - 1: მადლობა ღმერთს, სანამ ესენიც არ მივიწყებულა, ჯერ კიდევ იმედია (აკაკი, 146, 32-33);

ნათელია, რომ აწმყო იქვემდებარებს აწმყოს, მყოფადისა და I თურმეობითის მწკრივებს.

უწყვეტელი - უწყვეტელი - 1: მინამ დედა მყვანდა ცოცხალი, სულ ალერსში გყვანდი (ვაჟა, 13, 8-9);

უწყვეტელი - ხოლმეობითი - 1: ხან მალლა აისვრიდა ბურთივით, ხან გაეშვებოდა, ხან ისევ დაიტკერდა ხოლმე, იმდენს აწვალებდა, სანამ სიმწრით სულს არ ამოხდიდა (აკაკი, 217, 30-31-32);

უწყვეტელი - წყვეტილი - 1: იმისი სიყვარული, ჩემს გულს იმორჩილებდა იმ დრომდინ, მინამ მე და ის ერთს გზაზედ ერთმანეთს არ გადაგვხარხინით (ილია, 231, 23-24-25);

უწყვეტელმა უპირატესობა მიანიჭა წარსულ დროში შეფარდებას. მან დაიქვემდებარა უწყვეტელი, ხოლმეობითი და წყვეტილი. მოდელები თანაბარი სიხშირით ხასიათდებიან.

მყოფადი - აწმყო - 1: მინამ დედა ცოცხალი გყავს, ნუ შეგეშინდება (ვაჟა, 15, 31-32);

მყოფადი - აწმყოს კავშირებითი - 1: სანამ ამ მეორე ხანაზე ვიტყოდე რამეს, დაუბრუნდები ისევ ჩვენს სოფელს (აკაკი, 42, 21);

მყოფადი - მყოფადი - 1: არ დაგეხსნები, მინამ ჩემი გულის წადილს არ შეიტყობ (ილია, 233, 17);

მყოფადი - მყოფადის კავშირებითი - 1: სანამ ეგ გამოიღვიძებდეს, მე აქედან შორს ვიქნები (აკაკი, 157, 28-29);

მყოფადის მწკრივმა დროის გარემოებით დამოკიდებულ წინადადებაში დაიქვემდებარა შემდეგი მწკრივები, ესენია: აწმყო, აწმყოს კავშირებითი, მყოფადი და მყოფადის კავშირებითი.

ხელმეობითი - ხელმეობითი - 1: ყველა ამას, მანამ სატირლად ან „შეშობად“ წავიდოდა, თამარი დაუმზადებდა და დაუწყობდა გვერდით (ვაჟა, 24, 13-14);

მყოფადის კავშირებითი - წყვეტილი - 1: შენ, ჩემო იმერელო, მიდი მოურავთან, მთიცადე, სანამ პასუხს მივწერდე ჩემს სიძეს (აკაკი, 130, 12-13);

დროის გარემოებით დამოკიდებულ წინადადებაში მოულოდნელი ჩანს მყოფადის კავშირებითი. იგი იქვემდებარებს წყვეტილს, რომელსაც აქვს ბრძანებითი კილოს მნიშვნელობა.

წყვეტილი - ხელმეობითი - 5: მინამ ცხენები ჩამოგვიფიდოდა, დათიკომ რუსული ტანისამოსი გაიძრო და ქართული ჩაიცვა (ილია, 228, 22-23-24);

წყვეტილი - წყვეტილი - 1: მინამ ხაფანგს კარგა სქლად თოვლი არ დავაყარე, ვერსა გავხდი (ვაჟა, 70, 22-23);

წყვეტილი - II კავშირებითი - 1: მაგის ადგილი შენ აასრულე, სანამ არ დაგამტკიცო! (აკაკი, 207, 10-11);

წყვეტილის მწკრივი, რომელიც დროის გარემოებით დამოკიდებულ ჰიპოტაქსურ კონსტრუქციაში მთავარი წინადადების ზმნა-შემასმენლად გვევლინება, იფარდება ხელმეობითს, წყვეტილს და II კავშირებითს.

II თურმეობითი - ხოლმეობითი - 1: მინამ მე წა-
მოვდგებოდი, დათიკო ცხენი დამ ძირს დაცემულიყო
(ილია, 264, 1-2).

II თურმეობითი დროის გარემოებით დამოკიდე-
ბულ წინადადებაში იფარდებს ხოლმეობითს. ჩვენი
მასალის მიხედვით დავადასტურეთ მხოლოდ ერთი
შემთხვევა.

თუ/თუ არა

აწმყო - აწმყო - 1: ახლა ყოველ დილას ჩაის
გაგათავებ თუ არა, ოთახში ბუზებს ვიჭერ (ილია,
254, 20);

ხოლმეობითი - ხოლმეობითი - 14: ჩაიგდებდა
თუ არა ხელში, მაშინვე სადილს გაუმართავდა მუქ-
თა თანამშრომლებს (აკაკი, 79, 11);

წყვეტილი - წყვეტილი - 15: თვალი შემასწრო
თუ არა, მღვდელმა გამიღიმა (ილია, 222, 5);

წყვეტილი - II თურმეობითი - 1: ცუდად იყო
საქმე, თუ ის უცხო მეომრები სამივე მხრით არ მოს-
დგომოდნენ და ბრძოლა არ დაეწყოთ (აკაკი, 122, 6-
7-8);

II კავშირებითი - წყვეტილი - 1: თუ გავედი ვე-
ლად, უნდა ტყის პირს ამ მოვცილდე (ვაჟა, 14, 23-
24);

II კავშირებითი - II კავშირებითი - 1: მაშ გაბ-
რიელს თავზე ქუდი არ ეხუროს, თუ შენ შენი წადი-
ლი შეისრულე (ილია, 249, 28-29);

I თურმეობითი - მყოფადი - 1: თუ მზის შუქი
წყაროს აამღვრევს, მაშინ ჩვენს სიყვარულსაც ჩვენი
გული აუმღვრევია (ილია, 242, 32-33-34);

თუ არა კავშირს უპირატესად შემასმენლის
მომღვენო პოზიცია უკავია.

რაწამს

მყოფადი - მყოფადი - 1: მამასახლისი მაშინვე, რაწამს ამ ხელობას ჩაიბარებს, ისწავლის ხოლმე ამ ვითომ დიდკაცობის სანიშნავ სიტყვა-პასუხს (ვაჟა, 43, 14-15-16);

ხოლმეობითი - ხოლმეობითი - 1: რაწამს ამ უცხო ხმას გაიგონებდა დედაჩემი, ზე წამოგარდებოდა და მეტყოდა (ვაჟა, 14, 15-16);

წყვეტილი - წყვეტილი - 15: შამანდუხტმა რაწამს დარეჯანთან კარებში შევიდა, იმწამსვე ქებით მიჰმართა დარეჯანს (ვაჟა, 48, 22-23).

მაქვემდებარებელი კავშირი რაწამს ქმნის ერთგვარ მაქვემდებარებელ მოდელებს, ესენია: მყოფადი - მყოფადი, ხოლმეობითი - ხოლმეობითი და წყვეტილი - წყვეტილი.

რაკი

მყოფადი - აწმყო - 1: ეხლა, რაკი შენი ნება არის, ჩემს ბედს ძაღლიც არ დაჰყეფს (ილია, 242, 22-23);

მყოფადი - წყვეტილი - 1: რაკი ბიძა-ძმიშვილი ერთად შეიყარენით, თქვენს ნადირობის საუბარს დასასრული აღარ ექნება (ვაჟა, 71-72, 39-1-2);

ხოლმეობითი - უწყვეტელი - 1: გამახარე, რაკი იდრთვებდა, ტოლებში გაერეოდა... (ვაჟა, 50, 14);

წყვეტილი - ხოლმეობითი - 1: რაკი დათიკოს სკოლაში გავისტუმრებდი და სახლს დავგვიდი, მთელი დღე ისე გულხელდაკრეფილი ვიჯექი (ილია, 196, 21-22-23);

წყვეტილი - წყვეტილი - 4: რაკი ვლადიკვასი-დამ გამოვედი და ჩემის ქვეყნის სიომ დამკრა, გულმა სულ სხვაგვარად დამიწყო ფეთქვა (ილია, 165, 30-31);

რაკი კავშირიც ჩვენს მასალაში დიდი სიხშირით არ გამოირჩევა. იგი ქმნის შემდეგ მაქვემდებარებელ მოდელებს. ესენია: მყოფადი - აწმყო, მყოფადი - წყვეტილი, ხოლმეობითი - უწყვეტელი, წყვეტილი - ხოლმეობითი და წყვეტილი - წყვეტილი. გვაქვს თანადროული შეფარდება, ამავდროულად რაკი კავშირი აქვემდებარებს სხადასხვა დროის ფორმებსაც.

რაც

აწმყო - აწმყო - 1: ერთი საუკუნეა, რაც ქართველები ცუდკაცობისთვის იგზავნებიან ციმბირში (აკაკი, 81, 21);

აწმყო - წყვეტილი - 2: კარგა ხანია, რაც ესეც მოსწყდა თავის საყვარელ მეგობრებსა და ამხანაგებს (ვაჟა, 93, 23);

უწყვეტელი - უწყვეტელი - 1: იმ დღიდან, რაც უფრო მეტი ხანი გადიოდა, უფრო და უფრო ეკიდებოდა მის სიყვარულს ცეცხლი, მოსვენება აღარ ჰქონდა (აკაკი, 162, 24-25-26);

წყვეტილი - უწყვეტელი - 1: ხუთი წელიწადი აგვითავდა, რაც ქალაქში ვიყავით (ილია, 228, 16);

წყვეტილი - წყვეტილი - 2: დიდი ხანი გავიდა მას აქეთ, რაც ის მოკვდა (აკაკი, 94, 15);

რაც კავშირი დროის გარემოებით დამოკიდებულ წინადადებაში, ქმნის შემდეგ მაქვემდებარებელ წყვილებს, ესენია: აწმყო-აწმყო, აწმყო-წყვეტილი, უწყვეტელი-უწყვეტელი, წყვეტილი-უწყვეტელი, წყვეტილი-წყვეტილი.

როდესაც

აწმყო - აწმყო - 7: ჟრუანტელი მივლის, როდესაც იმისი მოკლული ნისკარტი და აღმასივით ბრჭყალები მაგონდება (ვაჟა, 13, 20-21);

უწყვეტელი - უწყვეტელი - 1: როდესაც თამარი ტირილი, უსულო საგნებიც კი ბანს ეუბნებოდნენ (ვაჟა, 30,3-4);

მყოფადი - მყოფადი - 2: ეს მოხდება სწორედ მაშინ, როდესაც პირდაბანილი სახენათელი, თმაგაშლილი „ადგილის დედა“ ბუნების სანუგეშოდ სიყვარულზე და სიცოცხლეზე ზღაპარს უამბობს (ვაჟა, 84, 30-31-32);

ხოლმეობითი - ხოლმეობითი - 1: იხვები თუ შესძრავდნენ იმის გულ-მკერდს, როდესაც შიგ ჩაეშვებოდნენ და ტალღას დააწყებინებდნენ თრთოლალიკლიკს (ვაჟა, 96, 20-21-22-23);

ხოლმეობითი - წყვეტილი - 1: როდესაც პაპა მარტოკა, გარინდებული იჯდა დერეფანში, მაშინ მოხუცი ამირანის სურათად გამოადგებოდა მხატვარს (ვაჟა, 24,20-21);

წყვეტილი - ხოლმეობითი - 1: დარეჯანს, როდესაც იგი გაემგზავრებოდა სადმე, ხელში ეჭირათავის ტანზედ აუცილებელი, ხის ტარზედ დაგებულ შუბი (ვაჟა, 47,11-12-13);

წყვეტილი - წყვეტილი - 5: საბრალო, როდესაც წაიქცა, დაიკვნესა (ვაჟა, 36,12-13);

როდესაც მაქვემდებარებელი კავშირი დროის გარემოებით დამოკიდებულ წინადადებაში აქვემდებარებს ერთი დროის ზმნა-შემასმენლებს. აღნიშნულ კონსტრუქციაში გვაქვს შემდეგი მოდელები; ესენია: აწმყო-აწმყო, უწყვეტელი - უწყვეტელი, მყოფადი-მყოფადი, ხოლმეობითი-ხოლმეობითი, ხოლმეობითი-წყვეტილი, წყვეტილი-ხოლმეობითი, წყვეტილი-წყვეტილი. ჭარბობს მოდელი აწმყო-აწმყო და წყვეტილი-წყვეტილი.

ირკვევა, რომ დროის გარემოებით დამოკიდებულ წინადადებაში მთავარი წინადადების ზმნა-შემასმენლად შეიძლება შეგვხვდეს თითქმის ყველა

მწკრივის ფორმა, ასევე ყველა მწკრივის ფორმაა მოსალოდნელი დამოკიდებული წინადადების ზმნა-შემასმენლად. მათ შორის მყოფადის კავშირებითიც, რომელიც ძალზე იშვიათია. მწკრივის არჩევანი ნებისმიერი არ არის. მთავრი და დამოკიდებული წინადადების ზმნა-შემასმენლები ხშირ შემთხვევაში ერთმანეთს ეფარდებიან ერთი დროის ფარგლებში. ეს დრო ჩვეულებრივ შეიძლება იყოს:

1. ახლანდელი: აწმყო-აწმყო, აწმყო-მყოფადი, I თურმეობითი-აწმყო...

2. წარსული: უწყვეტელი-უწყვეტელი, უწყვეტელი-ხოლმეობითი, უწყვეტელი-წყვეტილი, უწყვეტელი - II თურმეობითი, ხოლმეობითი-უწყვეტელი, ხოლმეობითი - ხოლმეობითი, ხოლმეობითი-წყვეტილი, ხოლმეობითი - II თურმეობითი; წყვეტილი-უწყვეტელი, წყვეტილი-ხოლმეობითი, წყვეტილი-წყვეტილი, წყვეტილი-II თურმეობითი, I თურმეობითი-უწყვეტელი, I თურმეობითი-წყვეტილი, II თურმეობითი-წყვეტილი, II თურმეობითი - II თურმეობითი.

3. მომავალი: მყოფადი-მყოფადი, მყოფადი-აწმყოს კავშირებითი, მყოფადი-მყოფადის კავშირებითი, მყოფადი - II კავშირებითი, II კავშირებითი - მყოფადი, II კავშირებითი - II კავშირებითი და ა.შ.

მართალია, უპირატესობა ენიჭება ზმნათა ერთ დროში შეფარდებას, მაგრამ არც თუ იშვიათია სხვადასხვა დროის ფარგლებში შეფარდებაც, მაგალითად:

ა) მთავარში ახლანდელი დროა, დამოკიდებულში – მომავალი: აწმყო-მყოფადი;

ბ) მთავარში ახლანდელია, დამოკიდებულში – წარსული: აწმყო-წყვეტილი, აწმყო - II თურმეობითი;

გ) მთავარში წარსულია, დამოკიდებულში – ახლანდელი: წყვეტილი-აწმყო, I თურმეობითი-აწმყო;

დ) მთავარში წარსულია, დამოკიდებულში – მომავალი: I თურმეობითი-მყოფადი;

ე) მთავარში მომავალია, დამოკიდებულში – ახლანდელი: მყოფადი-აწმყო;

ვ) მთავარში მომავალია, დამოკიდებულში – წარსული: მყოფადი-ხოლმეობითი, მყოფადი-წყვეტილი, II კავშირებითი-წყვეტილი.

ზმნა-შემასმენელთა სხვადასხვა დროში შეფარდების შემთხვევაში დამოკიდებულნი წინადადების ზმნა-შემასმენლით გამოხატული მოქმედების დრო უმრავლეს შემთხვევაში უსწრებს მთავარი წინადადების ზმნა-შემასმენლით გამოხატულ მოქმედებას.

დროის გარემოებითი დამოკიდებულნი წინადადება მწკრივთა შეფარდებისა და მოდელთა შექმნის თვალსაზრისით მრავალფეროვნებით ხასიათდება.

ვითარების გარემოებითი დამოკიდებულნი წინადადება

უკავშირო

წყვეტილი - აწმყო - 1: დედა იმათ არა ჰყავთ და მამა, ერთი ძმა ჰყავთ და ისიც ისე დაიკარგა, ამდენი ხანია მისი ასავალ-დასავალი აღარ ვიცით-რა (ილია, 154,12-13-14);

II კავშირებითი - უწყვეტელი - 1: ასე იფიქრეთ, ტირილით გაჭირვებულს და გაკაპასებულს ბაღღებსაც კი ოთარაანთ ქვრივის სახელით აშინებდნენ გულზედ მოსული დედები (ილია, 383, 4-5-6).

უკავშირო ვითარების გარემოებითი დამოკიდებულნი წინადადება ჩვენს მასალაში მწირია. დადასტურდა მხოლოდ ორი მოდელი: წყვეტილი-აწმყო, II კავშირებითი-უწყვეტელი.

რაც

აწმყო - აწმყო - 1: ეს დასაქცევი ერთთავად ზედ აზის და, რაც ძალი და ღონე აქვს, ურახუნებს იმ გასახმობ, გასავერანებელ ნისკარტს (ვაჟა, 85, 18-19-20);

უწყვეტილი - უწყვეტილი - 3: გაიქცეოდა და მეც მთვსტოდი, რაც ძალი და ღონე მქონდა (ვაჟა, 14, 16-17);

წყვეტილი - წყვეტილი - 1: ნამდვილად ისე არ იყო ბუნებაში, რაც ტრედს ესიზმრა (ვაჟა, 97, 30).

რაც მაქვემდებარებელი კავშირი ვითარების გარემოებით დამოკიდებულ წინადადებაში ქმნის ერთგვარ მოდულებს ესენია: აწმყო-აწმყო, უწყვეტილი-უწყვეტილი და წყვეტილი-წყვეტილი.

რომ

უწყვეტილი - I თურმეობითი - 1: ამიცქანცქალდა ობოლი გული, ამიცქანცქალდა ისე, რომ ამოდენა კაცი მოვიყარე და ისე აღარ ამცანცქალეობია (ილია, 232, 16-17-18);

უწყვეტილი - II თურმეობითი - 2: ისე ატაცებულსავით დიდხანს იქნებოდა, რომ მღვდლის სიტყვებს არ გამოეფხიზლებინათ (ილია, 204, 35-36);

მყოფადი - აწმყო - 1: ხანდახან ისე აგვიბამთვალეებს ხოლმე, რომ ჩვენ ჩვენს საკუთარს უბედურებასაც ვერა ვხედავ (ილია, 247, 11-12);

მყოფადი - წყვეტილი - 1: სწორედ კაცს რომ წყალი მოსწყურდება, ისე მომწყურდა იმის სიტყვების გაგება (ილია, 201, 27-28);

ვითარების გარემოებით დამოკიდებულ წინადადებაში მთავარი წინადადების ზმნა-შემასმენლად გვევლინება მყოფადი, რომელიც იქვემდებარებს აწმყოსა და წყვეტილის მწკრივებს.

ხოლმეობითი - II თურმეობითი - 1: ისე არავის გაუგლიდა გვერდით, რომ არ გაეკინწლა (ილია, 384, 1-2);

ხოლმეობითის მწკრივმა აღნიშნულ კონსტრუქციაში შეიფარდა II თურმეობითის მწკრივი. მივიღეთ მოდელი ხოლმეობითი - II თურმეობითი.

წყვეტილი - უწყვეტელი - 3: ერთმანეთშიაც ისე აირ-დაირივნენ, რომ სისხლ-ხორცობა აღარასა ნიშნავდა და ნათესავი ნათესავს აღარ ზოგავდა (აკაკი, 143, 25-26-27);

წყვეტილი - მყოფადი - 1: ეს ისეთნაირად მითხრა, რომ არ დაიჯერებთ...(ილია, 200, 28);

წყვეტილი - ხოლმეობითი - 1: ორ წელიწადში საქმე ისე მთეწყო, რომ დათიკო კაი ოჯახის-შვილად ჩაითვლებოდა იმ ახლო-მახლო თავადის-შვილებში (ილია, 230, 28-29-30);

წყვეტილი - წყვეტილი - 12: წამოვევარდი ფეხზედ და ისე აჩქარებით ვკითხე, რომ თამრო გაოცდა (ილია, 236, 2-3);

წყვეტილი - II კავშირებითი - 1: ისე კი დაფრთხა, რომ ერთ წლამდე ლომიც ვეღარ იცნოს (აკაკი, 125, 2-3);

წყვეტილი - I თურმეობითი - 1: ახლა სხვები გამოვიდნენ, ახლა კიდევ სხვები რიგ-რიგით, ასე რომ წესი არავის დაურღვევია (აკაკი, 152, 5-6-7);

წყვეტილი - II თურმეობითი - 1: ცნობისმოყვარეობა ჩემი წრეს გასცილდა, მერე იმანაც სიტყვა თვითონვე ისე გააგრძელა, რომ იმედი მომეცა გამომეთქმევინებინა რამე (ილია, 192, 1-2-3);

მწკრივთა შეფარდების მხრივ, წყვეტილი მრავალფეროვან სურათს გვაძლევს. იგი იქვემდებარებს უწყვეტლის, მყოფადის, ხოლმეობითის, წყვეტილის, II კავშირებითის, I თურმეობითისა და II თურმეობითის მწკრივებს. ჭარბობს მოდელი წყვეტილი-წყვეტი-

ლი. უპირატესობა ენიჭება წარსულ დროში შეფარდებას.

I თურმეობითი - აწმყო - 1: ხომ ხედავ, ჩემო დათო ისე შეეჩვია შენს შვილს, რომ მოშორება ეძნელება (ილია, 195, 27-28);

I თურმეობითი - II კავშირებითი - 1: სოფლის თავზე ისე ვერ გამიფლია, რომ ყველამ მე არ მომაპყროს თვალი (ვაჟა, 98, 12);

II თურმეობითი - II თურმეობითი - 1: ბიძაჩემი ადრე გაპარულიყო სანადიროდ, ისე, რომ ჩვენებს ვერავის გაეგო იმისი წასვლა (ვაჟა, 73, 6-7).

II თურმეობითი ვითარების გარემოებით დამოკიდებუ წინადადებაში იქვემდებარებს რომ კავშირებით II თურმეობითს. გვაქვს მოდელი: II თურმეობითი - II თურმეობითი, ჩვენ მასალაში გამოვლინდა ერთი შემთხვევა.

თითქოს

აწმყო - აწმყო - 1: თან კიდევ დასტყვივის, დაპკივის, თითქოს ნიშანს უგებსო (ვაჟა, 85, 20);

აწმყო - აწმყო კავშირებითი - 1: ისე მკითხავ, თითქოს არ იცოდე (ილია, 226, 31);

აწმყო - II კავშირებითი - 1: სამი დიდი ხელმწიფის მინიჭებულ წყალობას ისე მართმევს და მხდის, თითქოს მაგისი შეკერილი ჩოხა-ნაბადი იყოს (აკაკი, 30, 35-36);

აწმყო - I თურმეობითი - 1: თვალები დასისხლული აქვს, თითქოს ცრემლის გუბეში ჩამდგარა (ვაჟა, 38, 19);

აწმყო - II თურმეობითი - 1: შენ კი ისე მიბღვერ, თითქოს შენი მოსისხლე მტერი ვყოფილიყო (აკაკი, 31, 12-13);

მაქვემდებარებითი კავშირი თითქოს ვითარების გარემოებით დამოკიდებულ კონსტრუქციაში აწმყოს

მწკრივთან აფარდებს აწმყოს, აწმყოს კავშირებითის, II კავშირებითის, I თურმეობითისა და II თურმეობითის მწკრივებს.

უწყვეტილი - აწმყო - 3: ქოთანში ლობიო ისე ჩუხჩუხებდა, თითქოს ცეცხლი უკიდიაო (ვაჟა, 76, 10-11);

უწყვეტილი - უწყვეტილი - 2: დედაჩემი სწუხდა, თითქოს სიკვდილსა ჰგრძნობდა (ვაჟა, 19, 19-20);

მყოფადი - აწმყოს კავშირებითი - 1: მოსწყდება, წაიქცევა, გვერდზე გაწყება, ფესვები გამოჩნდებიან, აღმე თავაჭრილები, თითქოს, ლოცულობენ, ღმერთს ეგედრებოდნენ, შველას სთხოვდნენ (ვაჟა, 85, 31-32-33);

ხელმეობითი - წყვეტილი - 1: ისე ამოიძახებდა ამ ხმებს, თითქოს სამარიდამ მკვდარმა ამოიძახაო (ვაჟა, 67, 20-21);

წყვეტილი - აწმყო - 7: ხელი თვალებზე მთისო, თითქოს ცრემლს იწმენდსო (ილია, 238, 12);

წყვეტილი - უწყვეტილი - 1: გული ამიტოკდა, თითქო იმ ლაპარაკით ჩემი ბედისწერა სწყდებოდა (ილია, 211, 23);

წყვეტილი - წყვეტილი - 9: მაშინ კი თან გადაჰყვა ტყაპა-ტყუპით შვიდიოდე ბიჭი, თითქო მღვდლის საქცილემა წაახალისაო (ილია, 220,32-33);

წყვეტილი - II კავშირებითი - 1: მგლებზე საუბრით გავერთე და სოფლის „კანცელია“ კი დამაფიწყდა თითქოს, იგი მგლებზე ნაკლებად საყურადღებო იყოს (ვაჟა, 43, 9-10);

წყვეტილი - II თურმეობითი - 2: ბერუამ გააჭირდიდა ჩემი მგზავრობა, თითქოს ამერიკაში ყოფილიყო და არა ტ-ში (ვაჟა, 66, 22-23).

თითქოს კავშირიან ვითარების გარემოებით დამოკიდებულ წინადადებაში ჭარბობს შეფარდებითი მოდელები: წყვეტილი-წყვეტილი და წყვეტილი-აწმყო.

ვითომც

აწმყო - აწმყო - 1: ერთმანეთს ჰულებთ, ვითომ
კლდე ბრწყინათ... (ვაჟა, 131, 20);

მყოფადი - აწმყო - 1: სხვები ზარს ააყოლებენ
მოთქმით ტირილს, ვითომდა მკვდარიათ (აკაკი, 27,
34-35);

წყვეტილი - უწყვეტელი - 1: მელამაც თვალი
მთარადა, ვითომდა ვერა ხედავდა (ვაჟა, 186, 29);

წყვეტილი - II თურმეობითი - 1: მე ისე მეჩვენ-
ნა, ვითომც სახის მეტყველება შესცვლათ (ილია,
192, 7-8).

ვითარებით გარემოებით დამოკიდებულ წინადა-
დებაში ვითომც კავშირით დადსტურდა შემდეგი
დაქვემდებარებითი მოდელები, ესენია: აწმყო-აწმყო,
მყოფადი - აწმყო, წყვეტილი - უწყვეტელი და წყვე-
ტილი - II თურმეობითი.

რთგორც

აწმყო - აწმყო - 4: ნუ გეშინიან, ისე არ წვიმს,
რთგორცა ჰქუხს (ილია, 241, 13-14);

აწმყო - მყოფადი - 1: ცრემლი ისე არ არგებს,
რთგორც შეაწუხებს (ილია, 217, 34);

აწმყო - წყვეტილი - 1: დიდხანს იჭუპჭუკეს ისე,
რთგორც შეყვარებულთა წესია (აკაკი, 157, 31);

უწყვეტელი - აწმყო - 2: რთგორც გველს ეჯაფ-
რება გოგირდი, ისე მეზობელს ეჯაფრებოდათ მამა-
შენი (აკაკი, 94, 17);

უწყვეტელი - მყოფადი - 1: ამ დიდრონ ფრინვე-
ლების გროვასთან ისინი ისე არაფრად სჩანდნენ,
რთგორც ზღვის კიდებზე დაცემული წვიმის ცვარი
ზღვასთან არაფრად გამიჩნდება (ვაჟა, 96, 31-32-33);

უწყვეტელი - ხოლმეობითი - 1: თითო ხელის
მოქნევაზედ ის დალოცვილის-შვილი ერთ ალაგს გა-

დაინაცვლებდა, რთგორც გემი, ისე არღვევდა წყალს (ილია, 221, 6-7-8);

უწყვეტილი - წყვეტილი - 1: ვეძებდი, რთგორც მტერი, და შევხვდი რთგორც მოყვარე (აკაკი, 171, 14-15);

მყოფადი - აწმყო - 1: მაშ, შენ, რთგორც გატყობ, არც გაბრიელს შეირთავ (ილია, 245, 34);

მყოფადი - უწყვეტილი - 1: მამა, შვილს ისე რთგორ მოექცევა, რთგორც ის ჩვენ გვექცეოდა (ილია, 212, 32-33-34);

ხლმეობითი - უწყვეტილი - 1: ჩემი ძალად-ტკვიანობა, რთგორც ჩემს თავს ვატყობდი, ერთს დღეზე მეტ ხანს ვერ გასტანდა (ვაჟა, 69, 21-22-23);

ხლმეობითი - ხლმეობითი - 1: ის ალალი ადამიანი, რთგორც მალე ავს დაიჯერებდა, ისე მალე კარგსაც მიენდობოდა (ილია, 243, 3-4-5);

წყვეტილი - წყვეტილი - 9: მე ვიშვლიძე ქუდი და, რთგორც სალდათი უფროსს, ისე ქუდმოხდილი გამთვეჭიმე (ილია, 207, 16-17);

II კავშირებითი - წყვეტილი - 3: შენი მტერი გახდეს, რთგორც მე მაშინ გავხდი (ილია, 255, 23-24);

I თურმეობითი - წყვეტილი - 1: ისე ჩემს სიცოცხლეში არა მინატრია-რა, რთგორც იმ დღეს წიგნის კითხვა მე ვინატრე (ილია, 198, 21-22-23);

II თურმეობითი - აწმყო - 1: ნაღველს ცოტაოდენი ხელი გაეკრა, რთგორც ემჩნევა ხლმე მუდამ ზრუნვის ნაჩვევსა და სხვის გულის შემატკივარს (ილია, 207, 27-28).

რთგორც მაქვემდებარებელი კავშირით, ვითარების გარემოებით დამოკიდებულ წინადადებაში დასტურდება შემდეგი შეფარდებითი წყვილები, ესენია: აწმყო-აწმყო, აწმყო-მყოფადი, აწმყო-წყვეტილი; უწყვეტილი-აწმყო, უწყვეტილი-მყოფადი, უწყვეტილი-ხლმეობითი, უწყვეტილი-წყვეტილი; მყოფადი-აწმყო,

მყოფადი-უწყვეტელი; ხოლმეობითი-უწყვეტელი, ხოლმეობითი-ხოლმეობითი; წყვეტილი-წყვეტილი, II კავშირებითი-წყვეტილი; I თურმეობითი-წყვეტილი და II თურმეობითი-აწმყო. ამათგან შედარებით ხშირია მოდელი წყვეტილი-წყვეტილი, მას მოსდევს მოდელი - აწმყო-აწმყო.

რამდენჯერაც

აწმყო - აწმყო - 2: რამდენჯერაც ახალი წელი ღვება, იმდენჯერ მეც განახლებას ვგრძნობ (ვაჟა, 214, 16);

აწმყო - მყოფადი - 1: რამდენჯერაც მის ახლო გავლა მომიხდება, ზედ მუდამ კოდალასა ვხედავ (ვაჟა, 85, 17-18);

უწყვეტელი - ხოლმეობითი - 1: რამდენჯერაც ტახი კბილს გაჰკრავდა, დათვი თვითეულს ჭრილობას ბლავილით ამოწმებდა (ვაჟა, 127, 9);

ხოლმეობითი - მყოფადი - 1: რამდენჯერაც ნიავის შებერვაზე სიმინდის ფუჩიჩი გაშრიალდება, მუცელსაც იმდენჯერ ტანი აუცახცახდებოდა (ვაჟა, 323, 11-12).

მაქვემდებარებელი კავშირი რამდენჯერაც ვითარების გარემოებით დამოკიდებულ წინადადებაში ქმნის შემდეგ მოდელებს; ესენია: აწმყო-აწმყო; აწმყო-მყოფადი, უწყვეტელი-ხოლმეობითი, ხოლმეობითი-მყოფადი. მოდელთა შეხვედრის სიხშირე თანაბარია.

რამდენადაც

აწმყო - აწმყო - 2: რამდენადაც სურათია კარგი, ორ იმდენად საძაგელია ნამდვილი (ილია, 247, 21);

უწყვეტელი - უწყვეტელი - 1: რამდენადაც ჩემს ფიქრზე ვფიქრობდი, იმდენად ვიტანჯებოდი (ილია, 260, 11-12-13);

უწყვეტელი - წვეტილი - 1: იმდენად სწამდა საქართველო მხოლოდ, რამდენადაც საჭირო და გამოსადეგი იყო მისთვის და მისიანებისათვის (აკაკი, 154, 18-19).

კავშირი რამდენადაც ქმნის შემდეგ ქვემდებარულ მოდელებს, ესენია: აწმყო-აწმყო, უწყვეტელი-უწყვეტელი და უწყვეტელი-წვეტილი. მოდელები დიდი სიხშირით არ ხასიათდებიან.

ამრიგად, ვითარების გარემოებით დამოკიდებული წინადადების შემცველ ჰიპოტაქსურ კონსტრუქციაში მთავარი და დამოკიდებული წინადადების ზმნა-შემამენლები ერთმანეთს ეფარდებიან მეტწილად ერთი დროის ფარგლებში. ეს დრო ჩვეულებრივ შეიძლება იყოს:

1. ახლანდელი: აწმყო-აწმყო, აწმყო-მყოფადი;

2. წარსული: უწყვეტელი - უწყვეტელი, უწყვეტელი - წვეტილი, უწყვეტელი - ხოლმეობითი, უწყვეტელი - I თურმეობითი, უწყვეტელი - II თურმეობითი, ხოლმეობითი - უწყვეტელი, ხოლმეობითი - ხოლმეობითი, ხოლმეობითი - წვეტილი, ხოლმეობითი - II თურმეობითი, წვეტილი - უწყვეტელი, წვეტილი - ხოლმეობითი, წვეტილი - წვეტილი, წვეტილი - I თურმეობითი, წვეტილი - II თურმეობითი, I თურმეობითი - წვეტილი, II თურმეობითი - II თურმეობითი.

3. მომავალი: მყოფადი - აწმყოს კავშირებითი, მყოფადი - II კავშირებითი.

მთავარი და დამოკიდებული წინადადების ზმნა-შემამენლები ერთმანეთს ეფარდებიან სხვადასხვა დროშიც, მაგალითად:

ა) მთავარში ახლანდელი დროა, დამიკიდებულში - წარსული; აწმყო - უწყვეტელი, აწმყო-წყვეტილი, აწმყო - თურმეობითი, აწმყო - II თურმეობითი.

ბ) მთავარში ახლანდელია, დამიკიდებულში - მომავალი: აწმყო-მყოფადი, აწმყო-II კავშირებითი;

გ) მთავარში წარსულია, დამოკიდებულში - ახლანდელი: უწყვეტელი-აწმყო, წყვეტილი-აწმყო;

დ) მთავარში წარსულია, დამოკიდებულში - მომავალი: უწყვეტელი -მყოფადი, წყვეტილი - მყოფადი, წყვეტილი - II კავშირებითი, I თურმეობითი - II კავშირებითი;

ე) მთავარში მომავალია, დამოკიდებულში - ახლანდელი: მყოფადი - აწმყო, მყოფადი - აწმყოს კავშირებითი;

ვ) მთავარში მომავალია, დამოკიდებულში - წარსული: მყოფადი - წყვეტილი, II კავშირებითი - უწყვეტელი, II კავშირებითი - წყვეტილი.

ჩანს, უპირატესობა ენიჭება წარსულ დროში შეფარდებას.

მიზეზის გარემოებითი დამიკიდებული წინადადება

ცნობილია, რომ მიზეზის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება გამოხზატავს როგორც ვითარების კონკრეტულ მიზეზს, ისე ლოგიკურ საფუძველს.

რახან

აწმყო - წყვეტილი - 1: რახან ლამაზ ქალებზე მივარდა საქმე, არა გვიჭირს რა, ბედი ჩვენსკენ არის (აკაკი, 154, 4-5).

ჩვენს მასალაში რახან კავშირით დავადასტურეთ მხოლოდ ერთი მოდელი, ესაა აწმყო-წყვეტილი.

რადგან/ რადგანაც

უწყვეტელი - უწყვეტელი - 2: მამალსაც ამის მეტი არ უნდოდა, რადგან მღერის საღერღელი აშლილი ჰქონდა (ვაჟა, 147, 21-22);

უწყვეტელი - წყვეტილი - 1: რადგან სხვა ადგილი არსად იყო, ახალგაზრდობა მის რედაქციაში იყრიდა ხოლმე თავს (აკაკი, 100, 11);

წყვეტილი - უწყვეტელი - 1: რადგანაც რჯულის სხვადასხვაობა ჩვენს ერთობას ხელს უშლიდა, ის გრძნობა გადავიტანე და-ძმურ სიყვარულზე და დავმორჩილდი ბედს (აკაკი, 169, 6-7-8);

წყვეტილი - წყვეტილი - 5: მეორე დღეს, საღამოზედ დიღმის ვიწროებში მივედი და იქ ერთს დუქანში ჩამოვხტი, რადგანაც ქალაქში ჩამოხტომა ვეღარ გავბედე (ილია, 261, 19-20-21);

II თურმეობითი - უწყვეტელი - 1: სპარსელების სახელიც არ უნდა ხსენებულყოფი და მიზეზად იმერლები გამოგონებინათ, რადგანაც ისინი იმ დროს დადიანზე ეპირებოდნენ გალაშქრებას (აკაკი, 139, 6-7-8).

კავშირი რადგან/რადგანაც მონაწილეობს მიზეზის გარემოებით დამოკიდებულ წინადადებაში, იგი აქვემდებარებს როგორც ერთგვარ, ისე არაერთგვარ მწკრივებს, ვიღებთ შემდეგ მწკრივთა დაქვემდებარებას, ესენია: უწყვეტელი-უწყვეტელი, უწყვეტელი-წყვეტილი, წყვეტილი-უწყვეტელი, წყვეტილი-წყვეტილი და II თურმეობითი - უწყვეტელი. ჭარბობს მოდელი წყვეტილი - წყვეტილი, დადასტურდა ექვსი შემთხვევა. აღნიშნული კავშირი მწკრივებს აფარდებს წარსულ დროში.

რამ

აწმყო - აწმყო - 6: შენ გუთანი გირჩევნია წიგნსა, იმიტომ რამ შენი გუთანი დღეს პურს გაჭმევს (ილია, 203, 21-22);

აწმყო - მყოფადი - 2: ქალი ჩემია და მზითვესაც იმიტომ გპირდები, რამ ჯერ ჩემი იქნება (ილია, 249, 6-7);

აწმყო - წყვეტილი - 2: მისხარიან იმიტომ, რამ იქიდან ზამთარში კვერნა გამოვიყვანეთ (ვაჟა, 23, 21-22);

აწმყო - II კავშირებითი - 3: გამძვინვარებული ყვენი მიზეზს ეძებს, რამ ქართლსაც ის დღე დააყენოს, რაც კახეთს! (აკაკი, 129, 30-31);

აწმყო - I თურმეობითი - 1: წუთის-სოფელი იმიტომ ჰქვია, რამ ყველაფერი წუთობით სცოდნია უბედურების მეტი (ილია, 235, 23);

მიზეზის გარემოებითი დამოკიდებული წინადადების შემცველი ჰიპოტაქსური კონსტრუქცია აწმყოს მწკრივთან რამ კავშირით აქვემდებარებს აწმყოს, მყოფადის, წყვეტილის, II კავშირებითისა და I თურმეობითის მწკრივებს. შედარებით მეტი სიხშირით ხასიათდება მოდელი აწმყო-აწმყო.

უწყვეტელი - უწყვეტელი - 3: ამას „სუსტ-კენინას“ ეძახდნენ, იმიტომ რამ ამის უბედური ქმარი მთელი სიცოცხლე კნიაზობას ეძებდა... (ილია, 309, 22-23);

უწყვეტელი - წყვეტილი - 1: კოდალაც ზნეობრივ კმაყოფილებას გძნობდა, რამ უთვისტომო ობლად შთენილი მამალი შეივრდლმა (ვაჟა, 214, 15-16);

უწყვეტელი - II კავშირებითი - 2: ერთ დღეს, დილიდანსადამომდე, შუამთის უდაბურ ტყეში დადიოდა აბღუშაჰილი, რამ ეგებ ბაში-აჩუკს, ან მის ამხანაგებს ან მათ ბუდეს სადმე წავაწყდეთ... (აკაკი, 160, 21-22-23);

უწყვეტელი - II თურმეობითი - 6: ხან აქეთ და ხან იქით განზე უხტებოდა, რომ ხელში არ ჩავარდნოდა (აკაკი, 151, 9-10);

უწყვეტლის მწკრივი მიზეზის გარემოებით დამოკიდებულ წინადადებაში იქვემდებარებს რომ კავშირით უწყვეტლის, წყვეტილის, II კავშირებითისა და II თურმეობითის მწკრივებს. ჭარბობს მოდელი უწყვეტელი-II თურმეობითი, მას მოსდევს უწყვეტელი-უწყვეტელი.

მყოფადი - აწმყო - 1: თუ კირილე მოძღვრის შეგონებით ჩემი საყმოდან წამოგყვებათ ვინმე არ დაგუშვლი, მით უფრო, რომ მე არა ვიცი რა! (აკაკი, 133, 32-33-34);

მყოფადი - უწყვეტელი - 1: ღმერთი შემინდობს, იმიტომ რომ შენის ენით ყოველთვის ღმერთი ლაპარაკობდა (ილია, 268, 16-17-18);

მყოფადი - II კავშირებითი - 2: კრუსუნსა და კნავილს მოჰყვება და რომ შენისთანა ბრიყვი და გამოუცდელი ნუკრი შეხვდეს, ბანს მისცემს, გაუძალიანდება (ვაჟა, 15, 25-26-27);

მიზეზის გარემოებით დამოკიდებულ წინადადებაში რომ კავშირი მყოფადის მწკრივთან აქვემდებარებს შემდეგ მწკრივებს; ესენია: აწმყო, უწყვეტელი და II კავშირებითი. მოდელთა სიხშირე ჩვენი მასალის მიხედვით თანაბარია.

ხელმეობითი - აწმყო - 1: ქალაჩუნები რომ არიან, იმიტომაც, იტყოდა ხელმე თავის თავად (ილია, 383, 11-12);

ხელმეობითი - უწყვეტელი - 1: ეკალაძეს ბრაზი მოუვიდოდა ხელმე, რომ საბუთს არაფერს ვაძლევდი გაროზგვისას (ვაჟა, 68, 13-14);

ხელმეობითი - წყვეტილი - 1: პირნათლად შეხედავდი, რომ იმის ძუძუმ კაი საქმე შემაძლებინა (ილია, 222, 21-22);

ხოლმეობითი - II თურმეობითი - 1: არ დასთან-
ხმდებოდა, რომ მის კარის მღვდელს ჩვენება არ ენა-
ხა ჩემი მისვლის წინა დღეს (აკაკი, 174, 16-17);

ხოლმეობითთან რომ კავშირით დაქვემდებარე-
ბულია: აწმყო, უწყვეტელი, წყვეტილი და II თურმეო-
ბითი. მოდელთა შეხვედრის სიხშირე თანაბარია.

წყვეტილი - უწყვეტელი - 14: გამიკვირდა უფრო
იმიტომ, რომ იმის მეტი იქ არავინ მოჩანდა (ილია,
188, 29-30);

წყვეტილი - მყოფადი - 1: დაილოცა ღვთის სა-
მართალი, რომ მე და შენისთანა თავმინებებულ
კაცს მაგისტანა პატრონს გაუჩენს ხოლმე (ილია,
201, 1-2);

წყვეტილი - წყვეტილი - 14: მეც იმიტომ, ჩემო
პეპიავ, - ვუბასუხე მე გულამომჯდარმა, - რომ შენი
სიკეთე მოვინდომე (ილია, 253, 28-29);

წყვეტილი - II თურმეობითი - 19: ზოგი გალა-
ვანზე გადაცვივდა, ზოგი კლდეზე გადაიჭრა, რომ
თავი საბილწავად არ მიეცა (აკაკი, 165, 10-11);

რომ დაქვემდებარებული კავშირი მიზეზის გარე-
მოებით დამოკიდებული წინადადების შემცველი
რთულ ქვეწყობილ წინადადებაში, წყვეტილის
მწკრივთან აქვემდებარებს უწყვეტლის, მყოფადის,
წყვეტილისა და II თურმეობითის მწკრივებს. ხშირია
მოდელი წყვეტილი - II თურმეობითი, მას მოსდევს
წყვეტილი-წყვეტილი და წყვეტილი-უწყვეტელი.

II კავშირებითი - აწმყო - 1: გიშველეს ღმერ-
თმა შენცა და ამ ქვეყანასაც, რომ ნატვრა ცარიელ
ნატვრად არა რჩება ცისქვეშ (ილია, 242, 23-24-25);

II კავშირებითი - წყვეტილი - 1: დღეს რომ შენ
სიკვდილს გადამარჩინე, მეც მინდა ეხლავ სამაგიერო
გადაგიხადო (აკაკი, 165, 33-34);

II კავშირებითი - II კავშირებითი - 4: ყენის
თავის მზემ, ჩვენ უნდა ვიყოთ მაგის ადგილას, რომ

ქვეყანა გაგაკვირვოთ და მტერს თვალები დაგუყუნოთ (აკაკი, 144, 7-8-9);

რომ მაქვემდებარებელი კავშირი მიზეზის გარემოებით დამოკიდებული წინადადების შემცველ ჰიპოტაქსურ კონსტრუქციაში II კავშირებითან ქმნის შემდეგ მოდელებს. ესენია: II კავშირებითი-აწმყო, II კავშირებითი-წყვეტილი და II კავშირებითი-II კავშირებითი. აღნიშნული წყვილები დიდი სიხშირით არ ხასიათდება.

I თურმეობითი - II თურმეობითი - 1: იარაღიც არ ამიყრია, რომ ვაჟკაცისათვის სირცხვილი არ მეჭამა (აკაკი, 170-171, 35-1);

I თურმეობითი მოდელს ქმნის II თურმეობითთან, ჩვენი მასალით დადასტურდა ერთი შემთხვევა.

რაკი

აწმყო - აწმყო - 1: რაკი აგრეა, შენ ნუ გეშინია (ვაჟა, 29, 30);

აწმყო - წყვეტილი - 1: რაკი ეს გამოვიგონე, მე დენსჩიკი შაქარს აღარ მპარავს (ილია, 254, 11);

უწყვეტელი - აწმყო - 1: რაკი ასეთი გულკეთილია, მეც მასწავლიდა დაკვრას (ვაჟა, 151, 21);

უწყვეტელი - წყვეტილი - 1: რაკი ტყეებსა და მთებს გაეკიდა, გზას კაჭკაჭი ველარ იგნებდა (ვაჟა, 30, 19);

მყოფადი - აწმყო - 1: რაკი შენი ნებაც არის, ჩემს ბედს ძაღლიც არ დაჰყეფს (ილია, 242, 22-23);

წყვეტილი - აწმყო - 1: რაკი საწადელი არ აუსრულდათ, ყველას თავი მიაწებეს (ვაჟა, 217, 19-20);

წყვეტილი - წყვეტილი - 1: ჰგონია ბედნიერება მომანიჭა, რაკი უღრანს, უდაბურს ადგილს მომაშორა (ვაჟა, 42, 21).

რაკი მაქვემდებარებელი კავშირი მიზეზის გარემოებითი დამოკიდებული წინადადების შემცველ ჰი-

პოტაქსურ კონსტრუქციაში აქვემდებარებს როგორც ერთგვარ, ისე განსხვავებულ მწკრივებს. გვაქვს შემდეგი მოდელები: აწმყო-წყვეტილი, უწყვეტელი-აწმყო, უწყვეტელი-წყვეტილი, მყოფადი-აწმყო, წყვეტილი-აწმყო და წყვეტილი-წყვეტილი.

ამრიგად, მიზეზის გარემოებითი დამოკიდებული წინადადების შემცველ პიპოტაქსურ კონსტრუქციაში ჩვენი მასალის მიხედვით, მთავრი და დამოკიდებული წინადადების ზმნა-შემასმენლად გვხვდება თითქმის ყველა მწკრივის ზმნა-შემასმენელი აწმყოს კავშირებითის, მყოფადის კავშირებითისა და III კავშირებითის გარდა. შემასმენელთა შეფარდება ხდება ძირითადად ერთი დროსის ფარგლებში. ეს დრო შეიძლება იყოს:

1. ახლანდელი: აწმყო-აწმყო, აწმყო-მყოფადი;

2. წარსული: უწყვეტელი-უწყვეტელი, უწყვეტელი-წყვეტილი, უწყვეტელი-II თურმეობითი, ხოლმეობითი-უწყვეტელი, ხოლმეობითი-წყვეტილი, ხოლმეობითი-II თურმეობითი, წყვეტილი-უწყვეტელი, წყვეტილი-წყვეტილი, წყვეტილი-II თურმეობითი, I თურმეობითი-II თურმეობითი, II თურმეობითი-უწყვეტელი, II თურმეობითი-II თურმეობითი;

3. მომავალი: II კავშირებითი-II კავშირებითი, მყოფადი-II კავშირებითი.

მთავარი და დამოკიდებული წინადადების ზმნა-შემასმენლები ერთმანეთს ეფარებიან სხვადასხვა დროშიც:

ა) მთავარში ახლანდელია, დამოკიდებულში – წარსული: აწმყო-წყვეტილი, აწმყო-I თურმეობითი;

ბ) მთავარში ახლანდელია, დამოკიდებულში – მომავალი: აწმყო-მყოფადი, აწმყო-II კავშირებითი;

გ) მთავარში წარსულია, დამოკიდებულში – ახლანდელი: ხოლმეობითი-აწმყო, წყვეტილი-აწმყო;

დ) მთვარაში წარსულია, დამიკიდებულში – მო-
მავალი: წყვეტილი-მყოფადი;

ე) მთავარში მომავალია, დამიკიდებულში –
წარსული: მყოფადი-უწყვეტელი, მყოფადი-წყვეტილი,
II კავშირებითი-წყვეტილი.

ნათელია, მიზეზის გარემოებითი დამოკიდებუ-
ლი წინადადების შემცველ ჰიპოტაქსურ კონსტრუქ-
ციაში უპირატესობა ენიჭება წარსულ დროში შეფა-
რებას. მეტად გავრცელებული მოდელია: წყვეტილი-
წყვეტილი.

მიზნის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება

რათა

აწმყო - მყოფადის კავშირებითი – 1: ცალკე
ერების აღზრდაა საჭირო, რათა კაცობრიობა წარმო-
ადგენდეს განვითარებულ ჯგუფს (ვაჟა, 237, 24-25);

წყვეტილი - II კავშირებითი – 1: ქორი აღელვე-
ბულ-აღშფოთებული გამოუდგა კოდალას, რათა იგი
დასაჯოს ღირსეულად (ვაჟა, 95, 27-28);

წყვეტილი - II თურმეობითი – 1: საგალობელი
შემოსძახა, რათა ეჩვენებინა მამლისთვის თავისი
მღერის უნარი (ვაჟა, 148, 17-18).

რათა მაქვემდებარებელი კავშირი მიზნის გარე-
მოებითი დამოკიდებული წინადადების შემცველ
რთულ ქვეწყობილ წინადადებაში ქმნის შემდეგ მო-
დელებს, ესენია: აწმყო-მყოფადის კავშირებითი, წყვე-
ტილი-II კავშირებითი და წყვეტილი-II თურმეობითი.
როგორც ვნახეთ, აღნიშნული კავშირის არეალი
ჩვენს მასალაში ვიწროა, ამიტომ, მოდელებიც მრავ-
ალფეროვნებით არ გამოირჩევა. რათა კავშირის
ხმარება თანამედროვე ქართულში შეზღუდულია.

რამ

აწმყო - II კავშირებითი - 5: კირი გვაქვს და-
საწვავი, რამ საყდარი შევაკეთეთ როგორმე (აკაკი,
124, 15-16);

უწყვეტილი - II თურმეობითი - 5: სახლის პატ-
რონი იმისთვისი ჰპატრონობდა სახლს და იყვანდა
შეგირდებს, რამ ფული მოეგო (ვაჟა, 68, 24-25);

ხელმეობითი - II კავშირებითი - 1: ხანდახან
ძაღლივით შეჰყუფდა ხელმე, რამ ეგება ამ მოტყუე-
ბით გაგაფრთხლო (აკაკი, 67, 8-9);

წყვეტილი - II კავშირებითი - 5: პატარა ქალე-
ბი გააბარა ღვთის მონასტერში და ვაჟი კი მიუშვა
ნებაზე, რამ ეგები სადმე წაიმტვრიოს, საფრთხეში
ჩავარდეს და ოჯახი მე დამრჩეს საკუთრადო (აკაკი,
135, 8-9-10);

წყვეტილი - II თურმეობითი - 5: გადავიხარე
თავი, რამ დამენახა და გამეგო რამე (ილია, 201, 28-
29);

II კავშირებითი - II კავშირებითი - 4: ამოდენა
დედამიწის ზურგზედ სად ვეძებო მე ისინი, რამ გა-
მეგოითხო რამე? (ილია, 204, 22-23);

II კავშირებითი - II თურმეობითი - 1: ნეტავი
ერთი კიდევ თვალთ მარგენა, რამ სული ტკბილად
დამეღია (ილია, 258, 27-28);

I თურმეობითი - II კავშირებითი - 1: ღმერთი
ხომ გწამს, მე მოგსულგარ იმისათვის, რამ შენთვის
ჩემი თავი დავდო... (ილია, 240, 5-6-7-8);

II თურმეობითი - II თურმეობითი - 3: წინათვე
ყველაფერი გაემზადებინა, რამ მე სამართალში მიგ-
ცემოდი (ილია, 250, 24-25);

მიზნის გარემოებითი დამოკიდებული წინადადე-
ბის შემცველი ჰიპოტაქსური კონსტრუქცია დიდი
სიხშირით არ ხასიათდება. კავშირებად მონაწილე-
ობს რათა და რამ, რამ კავშირით გვაქვს შემდეგი

დაქვემდებარებითი მოდელები: აწმყო - II კავშირებითი, უწყვეტელი - II თურმეობითი, ხოლმეობითი - II თურმეობითი, წყვეტილი - II კავშირებითი, წყვეტილი - II თურმეობითი, II კავშირებითი - II კავშირებითი, II კავშირებითი - II თურმეობითი, I თურმეობითი - II კავშირებითი, II თურმეობითი - II თურმეობითი.

ჩვენი მასალის მიხედვით გამოვლინდა მთავარი და დამოკიდებული წინადადების ზმნა-შემასმენელთა შემდეგი დროული მიმართება:

1. ახლანდელი: აწმყო - მყოფადის კავშირებითი;
2. წარსული: უწყვეტელი - II თურმეობითი, ხოლმეობითი-II თურმეობითი, წყვეტილი-II თურმეობითი, II თურმეობითი-II თურმეობითი;
3. მომავალი: II კავშირებითი-II კავშირებითი.

დამოკიდებული წინადადების ზმნა-შემასმენლად გვაქვს: II კავშირებითი და II თურმეობითი. უნდა ითქვას, რომ II თურმეობითი მომავალი დროის გაგებას იძლევა.

მიზნის გარემოებით დამოკიდებულ წინადადებაში ნაკლებად ხდება მთავარი და დამოკიდებული წინადადების ზმნა-შემასმენელთა შეფარდება სხვადასხვა დროში. გამოვლინდა ორი შემთხვევა:

ა) მთავარში ახლანდელია, დამოკიდებულში – მომავალი: აწმყო-მყოფადის კავშირებითი, აწმყო - II კავშირებითი, I თურმეობითი - II კავშირებითი.

ბ) მთავარში წარსულია, დამოკიდებულში – მომავალი: უწყვეტელი - II კავშირებითი.

დამოკიდებული წინადადების ზმნით გამოხატული მოქმედება ყოველთვის მომავალია.

ამრიგად, ჰიპოტაქსურ კონსტრუქციაში მთავარი და დამოკიდებული წინადადების ზმნა-შემასმენლები ერთმანეთს ეფარებიან ძირითადად ერთსა და იმავე დროის ფარგლებში. საერთოდ, უპირატესობა ენიჭება წარსულ დროში შეფარდებას. ხოლო, სადაც მო-

ნაწილებს მიზნის გარემოებითი დაკიდებული წინადადება, ჭარბობს მომავალ დროიანი ფორმები.

მთავარი და დამოკიდებული წინადადების ზმნა-შემასმენლები ზოგჯერ ერთმანეთს ეფარდებიან სხვადასხვა დროის ფარგლებში, რაც არც თუ ისე იშვიათია.

ჰიპოტაქსურ კონსტრუქციათა ანალიზით დადგინდა, რომ მთავარი და დამოკიდებული წინადადებების ზმნა-შემასმენელთა მწკრივის არჩევანი ნებისმიერი არ არის, მას უმეტესად განსაზღვრავს მთავარი წინადადების ზმნა-შემასმენლის მწკრივი.

მთავარი წინადადების ზმნა-შემასმენლად შეიძლება შეგვხვდეს თითქმის ყველა მწკრივის ფორმა, ასევე თითქმის ყველა მწკრივის ფორმაა მოსალოდნელი დამოკიდებულ წინადადებაშიც. მწკრივთა შესაძლო კომბინაციები და მოდელები ზოგიერთი მრავალრიცხოვანია, მეტად გავრცელებული, ზოგიც იშვიათად გვხვდება. დავადასტურეთ მწკრივთა შეუძლებელ კომბინაციად მიჩნეული მოდელებიც.

უნდა ითქვას ისიც, რომ თითოეული ტიპი ჰიპოტაქსური კონსტრუქციისა მოდელთა შექმნის განსხვავებულ ვითარებას გვიჩვენებს. ჩვენი მასალის მიხედვით, მწკრივთა მრავალფეროვანი შეხამებაა განსაზღვრებით დამოკიდებულ და დროის გარემოებით დამოკიდებულ წინადადებებში.

დროისა და მწკრივის ურთიერთმიმართების საკითხისათვის

დროისა და მწკრივის ურთიერთმიმართების საკითხი დინამიკურ ზმნიან პოლიპრედიკატულ წინადადებაში

ცნობილია, რომ დრო არის „მოქმედების მომენტის შეფარდება უბნობის მომენტთან“ (შანიძე, 1980, 198). ამის მიხედვით ქართულში გამოიყოფა სამი დრო: ახლანდელი, წარსული და მომავალი. კონკრეტული მწკრივისათვის ესა თუ ის დროული მნიშვნელობაა დამახასითებელი. მაგალითად: აწმყოსთვის ახლანდელი, უწყვეტლისთვის – წარსული, მყოფადისთვის – მომავალი და ა.შ. ზოგჯერ მწკრივების გამოყენება ხდება სხვა დროული მნიშვნელობითაც. მწკრივისა და დროის ურთიერთმიმართების ანალიზი საინტერესო სურათს იძლევა სხვადასხვა ტიპის წინადადებათა შიგნით.

ერთი და იგივე მწკრივი სხვადასხვა კონტექსტში ხშირად განსხვავებულ დროულ გაგებას შეიძენს ხოლმე. ზმნის დრო შეიძლება იყოს „აბსოლუტური (როცა იგი გამოხატავს მოქმედების მომენტის მიმართებას საუბარის მომენტთან), ან რელატიური (როცა იგი გადმოგვცემს მიმართებას მეორე ზმნის დროსთან)“ (გუგუჩაძე, 2005, 84). ზოგჯერ მწკრივმა შეიძლება დაკარგოს ძირითადი დროული გაგება და სხვა დროული მნიშვნელობა შეიძინოს. „ქართული ზმნის ერთი და იმავე მწკრივის ფორმას შესწევს უნარი სხვადასხვა კონტექსტში გამოხატოს სხვადასხვა დრო“ (გოგოლაშვილი, 1998, 36). ამ შემთხვევაში დიდი როლი ენიჭება კონტექსტს ამა თუ იმ ფორმის მნიშვნელობათა დასადგენად.

„ზმნის დრო ქართულში არ არის მორფოლოგიური (გრამატიკული) კატეგორია, იგი ოდენსემანტიკური კატეგორიაა“ (გოგოლაშვილი, 1998, 36).

„როცა საუბარი ეხება მომავლისა და წარსულის ფორმებს, ივარაუდება არა წმინდა ფორმა, არამედ, უწინარეს ყოვლისა, მასში ჩადებული დროული შინაარსი. ამიტომაც წარსულის ფორმებში, ისევე როგორც მომავალში, იგულისხმება რამდენიმე ფორმა, შესაბამისი დროითი გაგების შემცველი“ (აფრიდონიძე, 1986, 99).

მწკრივთა სტრუქტურულ-სემანტიკური ურთიერთმიმართება განსხვავებულ კონტექსტსა და პოზიციაში იძლევა მწკრივთა სხვადასხვა დროის გაგებას.

I. აწმყო. ეს მწკრივი გვხვდება ყველა ტიპის კონსტრუქციაში, როგორც პარატაქსში, ისე ჰიპოტაქსში. იგი შეიძლება დაუკავშირდეს ყველა დანარჩენი მწკრივის ფორმას. სხვადასხვა სახის კონსტრუქციაში მწკრივთა შესაძლო თანამიმდევრობისა და შეფარდების განსხვავებულ ვითარებას გვიჩვენებს, მათ შორის რაოდენობრივი თვალსაზრისითაც.

აწმყოს მწკრივმა შეიძლება გამოხატოს:

1) ახლანდელი დროის მნიშვნელობა:

ა) პარატაქსულ კონსტრუქციაში;

დადლილი ხარ, ჰკანკალებ (ილია, 226, 6);

ეს ცუდია, მაგრამ მე და შენ რა დავა გვაქვს (ილია, 223, 34-35);

აბდუშაჰილი შეუძლოდ გახლავთ და დღეს მის მოადგილედ მე გახლავართ (აკაკი, 164, 28-29-30);

შენ რაღაც ნაღველი გაქვს და მე მიმაღავ (ილია, 248, 15);

ბ) ჰიპოტაქსურ კონსტრუქციაში:

შენ გგონია, რომ გატყუებ (აკაკი, 166, 24);

ვიცი, ამას დათიკო იწყენს, მაგრამ რა ვუყოთ (ილია, 195, 9);

ეხლა ვატყობ, რომ წყალმანკიც მერევა, აითითქოს გულიც დამიჭირა (ილია, 226, 8-9);

2) ე.წ. „ზოგადი აწმყოს“ მნიშვნელობა:

ა) პარატაქსულ კონსტრუქციაში:

მიდიხარ, მიდიხარ გაბრიელ?! (ილია, 229, 19)

გშიან, ძლიერ გშიან (ვაჟა, 42, 9-10);

ჩამონაშალიდან ალაგ-ალაგ მურყნის კვები გამოიყურება, აკლდამიდან გამოჩენილს ძვლებს მთვარეებზე (ვაჟა, 23, 9-10);

საქართველოც ჩვენი ცხოვრების ხეა, საკუთარ ქართულ ნიადაგზე დანერგილი და ზედ ქრისტეს სჯულია დამყნული (აკაკი, 189, 24-25-26);

ბ) ჰიპოტაქსურ კონსტრუქციაში;

მე სწორედ ნადირობის ტრფიალს რომ იტყვიან, ის ვარ (ილია, 186, 3);

რაც შენთვის ადრეა, ის ჩემთვის ადრე არ არის (ილია, 248, 11);

3) წარსული დროის მნიშვნელობით:

ა) პარატაქსულ კონსტრუქციაში:

ეს სააბედო სოკო ხმელს წიფელს ავატყერიო, – ამბობს (=ამბობდა) მეორე (ვაჟა, 86, 13);

ხმელი წიფლის ძირს, კლდეში, ვეფხი დაბუდებულაო, – ხმა არის (=იყო) სოფელში (ვაჟა, 86, 10-11);

ბ) ჰიპოტაქსურ კონსტრუქციაში:

შევატყე, რომ ეს კაცი ამ ქვეყნისა აღარ არის (=იყო) (ილია, 257, 32);

შევხაროდი იმ რიჟრაჟ დილას, იმ ლურჯ ცასა, იმ ნამით პირდაბანილს დედამიწასა და მე მეგონა, რომ ცაც და ქვეყანაც მე შემომხარიათ (=შემომხაროდნენ) (ილია, 244, 1-2-3);

თათარი დარწმუნდა, რომ ეს აღარ ხუმრობსო (=ხუმრობდა) (აკაკი, 166, 37);

4) მამაგალი დროის მნიშვნელობით:

ა) პარატაქსულ კონსტრუქციაში:

გუშინ ცამ იჭექა, ჭექა-ქუხილი ჩვენ არ გვაშინებს (=შეგვაშინებს) (ვაჟა, 35, 31);

ბ) ჰიპოტაქსურ კონსტრუქციაში:

ნუ გგონია, რომ მე გასწავლი (ილია, 199, 4);

5) აწმყო ზოგჯერ დაცლილი ჩანს დროის მნიშვნელობისაგან:

ა) პარატაქსულ კონსტრუქციაში:

ღმერთო! რაღას იცდი და არ წარღვნი ამ ცოდვით სავეს ქვეყანას (ილია, 252, 32-33);

შინ ლუკმას გვაცლიან პირიდან და გარედან კინასუფრალს გვიყრიან ძაღლებსავეთ (აკაკი, 145, 1-2);

ათიოდუ პატარა ბიჭები, ამ ჩვენს უბანში მოგროვილები, იმასთან დადიან და სწავლობენ (ილია, 199-200, 35-1-2);

საბრალთო სამართალი რუმბში ზის მობუზული და თვალთაგან ცრემლი ჩამოსდის დაპაღუპით (ვაჟა, 75, 20-21);

ბ) ჰიპოტაქსურ კონსტრუქციაში:

იქ, სადაც მახვილი არა სჭირს, პატარა ხერხს გააქვს და გამოაქვს (აკაკი, 142, 20-21);

ნუ გეშინიან, ისე არა სწვიმს, როგორც პქუსს (ილია, 241, 13-14);

6) აწმყოს მწკრივი ზოგჯერ კარგავს კონკრეტული დროის გაგებას და გამოხატავს ისეთ მოქმედებას, რომელიც შეიძლება პერიოდულად განმეორდეს. მწკრივს შეიძლება „ხელმე“ ნაწილაკი ან დაერთოს ან არა:

ა) პარატაქსულ კონსტრუქციაში:

წვრილი ხეებიც მე დამხარიან ზემოდან, თვითონ თავშიშველნი, ტოტებს მე მაფარებენ (ვაჟა, 35, 10-11-12);

მასთან ყოველდღე უყურებს თავისი თვალით ქვეყნის უბედურებას და თვითონაც თავს იმეტებს (აკაკი, 130-131, 37-1-2);

არაფრად აგდებენ ხმელს წიფელს, ყურადღებას არ აქცევენ (ვაჟა, 84, 26-27);

ტანზე კონკები, ძონძები აცვიათ და ტირიან (ვაჟა, 21, 16);

ბ) ჰიპოტაქსურ კონსტრუქციაში:

იქვე, მოსახვევში, ხეებს რომ ხერგავს ხელმე, ზედ მიაყარა (აკაკი, 126, 4-5);

ხატებს რომ ჰხატავენ, ის იყო (ილია, 207, 19-20);

II. უწყვეტელი. ესაა ყველაზე ნათლად ჩამოყალიბებული მწკრივი, რომლის დრო, ყველა ტიპის წინადადებაში, პარატაქსულშიც და ჰიპოტაქსურშიც არის წარსული. მას აქვს თხრობითი კილოს მნიშვნელობა. უწყვეტელის მწკრივის ფორმა მოქმედების პროცესს უწყვეტად წარმოგვიდგენს, რომელიც შეიძლება იყოს ერთგზისი ან მრავალგზისი. უმრავლეს შემთხვევაში უწყვეტლის მწკრივით მრავალგზისობა გადმოიცემა.

ა) პარატაქსულ კონსტრუქციაში:

კლდეები გამოხმობას აძლევდენ, ხმას უფრო აძლიერებდენ (ვაჟა, 99, 13);

მიდიოდა და მიდიდინებდა (აკაკი, 137, 10)

მივდიოდი, მაგრამ შიშით კი გული მიკანკალებდა (აკაკი, 170, 10-11);

გამხიარულებული ბუხარი გუგუნებდა და კოპიტის შეშას ტკაცა-ტკუცი გაჰქონდა, (აკაკი, 138, 7-8);

ბ) ჰიპოტაქსურ კონსტრუქციაში:

ეტყობოდა, რომ თავის გულში რაღაცას საუბრობდა (აკაკი, 138, 11-12);

ვატყობდი, რომ რაღაცის თქმა უნდოდა... (ილია, 242, 5);

საბრალო დედაჩემი წინათვე გრძნობდა, რომ ისე იქნებოდა (ვაჟა, 17, 3);

უკან მთლიანად გაუიფიქრებელი ხევისბერი, რომელიც თავდაკიდებული ირყეოდა ცხენზედ (ვაჟა, 7, 18-19);

III. აწმყოს კავშირებითი. ეს მწკრივი, რომელიც დროის მიხედვით ახლანდელია ან მომავალი, ხოლო კილოს მიხედვით – კავშირებითი, პარატაქსულ კონსტრუქციაშიც გვხვდება და ჰიპოტაქსურშიც, მაგრამ მეტ-ნაკლები სიხშირით. ზოგჯერ აწმყოს კავშირებითით ბრძანებითიც გამოიხატება.

აწმყოს კავშირებითი გამოხატავს:

1) ახლანდელ დროს:

ა) პარატაქსულ კონსტრუქციაში:

შენ ამას არ ევედრებოდე, ბეჩავო, მამულსა, გაისარჯო, თავად გააკეთო მამული, ის გირჩევნია (ვაჟა, 47, 20-21-22);

ახლა ჩემი შვილებიც გებრალეობდეთ, მარტო დაუყარე (აკაკი, 172-173, 34-1);

თავი არ მომიკვდეს, მე შენი ლაპარაკი არ მესმოდეს (ილია, 244, 33-34);

საქრისტიანო უნდა იმხობოდეს და ჩვენ აქ უნდა ვისხდეთ გულხელდაკრეფილი... (აკაკი, 131, 11-12);

ბ) ჰიპოტაქსურ კონსტრუქციაში:

მაგისტანა ნაძრახი სიცოცხლე ნეტავი მე მქონდეს, როგორიც შენა გაქვს (ილია, 225, 1-2-3);

2) მომავალ დროს:

ა) პარატაქსულ კონსტრუქციაში:

რას ამბობ ადამიანო, ნეტავი ვიცოდე (ილია, 244, 26);

ბ) ჰიპოტაქსურ კონსტრუქციაში:

მაშ სამოთხე, რომ მომელოდეს, რაღა თავის გამოდება იქნება?! (ილია, 260, 33);

რომ უთხრა შვილი, რომ უკვდებოდეს, ორი დღის სიცოცხლე კიდევ მიემატება შენს შვილსო, ოღონდ სული საუკუნო ჯოჯოხეთს მიეციო-დედა მაგას იქმს (ილია, 223, 9-10-11-12);

IV. მყოფადი. ამ მწკრივის ფორმა დროის მიხედვით მომავალია. პარატაქსულ კონსტრუქციაში უმრავლეს შემთხვევაში თხრობითი კილოს მატარებელია. ჰიპოტაქსურში კი თხრობითიც შეიძლება იყოს და ბრძანებითიც. ჰიპოტაქსური კონსტრუქციის მთავარ წინადადებაში ხან თხრობითია, ხან ბრძანებითი, დამოკიდებულში კი ყოველთვის თხრობითი კილოს მნიშვნელობისაა. არის შემთხვევა, როცა მყოფადს აქვს ე.წ. „ზოგადი აწმყოს“ მნიშვნელობა. ზმნისწინიანი ფორმა ზოგჯერ „ხოლმეს“ გაგების მქონეა. ზოგჯერ კი კონტექსტის მიხედვით წარსულში მომხდარ ფაქტს გადმოგვცემს.

მყოფადის მწკრივმა შეიძლება გამოხატოს:

1) მომავალი დროის მნიშვნელობა (თხრობითი კილო):

ა) პარატაქსულ კონსტრუქციაში:

ხმასაც არ გავცემ, დავემალები მაშინვე (ვაჟა, 15, 30);

აგრემც ღმერთი გადღეგრძელებს ქვრივისა და ოხრის ნუგეშად, აგრემც ღმერთი გადაგიხდის ღარიბის გაკითხვის სამაგიეროს (ილია, 217, 28-29-30);

დაგიჯერებენ და, ჩვენც აღარსად გამოგჩნდებით, გულდამშვიდებული ხანი წყალობით აგავსებს (აკაკი, 172, 28-29-30);

მე წაგაღ, ბატონს ფეხქვეშ ჩავუვარდები, ენით ავუღოკავ ფეხის ნატერფალს (ილია, 241, 24-25);

ბ) ჰიპოტაქსურ კონსტრუქციაში:

ვინც შეიტყობს, რას მეტყვის (ილია, 205, 29);

რა ვიცოდი, რომ ბატონყმობის შუა სიყვარულის ხიდი არ გაიდება (ილია, 194, 26-27);

მერე, როცა მე და შენ კარგად მივხვდებით, მაშინაც მოვესწრებით მაგის გადაკითხვას (ილია, 215, 11-12);

დაწვრილებით მაშინ გაიგებ ყველაფერს, როცა ჩოლოყაშვილთან ერთად მოვილაპარაკებთ (აკაკი, 172, 30-31-32);

2) მომავალი დროის მნიშვნელობა (ბრძანებითი კილო):

ა) პარატაქსულ კონსტრუქციაში:

ნუ გამწირავ, შემიბრალე შენი გაბრიელი! (ილია, 250, 5-6);

ნუ დაასხამ თავზე ლაფს, ნუ დაეწყვევლინები (ილია, 250, 14);

ლათიკო, შენი ჭირიმე ხიფათს ნუ შემამთხვევ, ცოდვაში ნუ გამხვევ (ილია, 249, 22-23);

აქედან ფეხს ნუ მოიცვლი, მეც მალე მოვალ (ილია, 256, 13-14);

ბ) ჰიპოტაქსურ კონსტრუქციაში:

ღმერთო, მაღალო, ნურა ადამიანს ნუ მიაყენებ იმ დღეს რაც მე ხანდისხან იმ სატუსალოში დამდგომია (ილია, 252, 29-30-31);

ნუ გვიზამ მისთანა საქმეს, რომ აბაშიძის საყმოს სასაცილო გავხდეთ (აკაკი, 153, 22-23);

3) ე.წ. „ზოგადი აწმყოს“ მნიშვნელობა:

ა) პარატაქსულ კონსტრუქციაში:

მოგკლავ და ვამბობ (ვაჟა, 73, 39);

წინაც გადაგიდგები და მეტსაც გიზამ (ილია, 249, 32);

მწყერს აბგაში ჩაიწყობენ და შინ წამოვლენ (ილია, 227, 1);

გაითრევენ, გასწეწენ ძაღლები და გადაუძხებენ სადმე ხევში ან კლდეზედ, ქარსა და წყალს მისცემენ (ვაჟა, 80, 16-17);

თითონ დაუპატიუებლად მობრძანდება და დაიდრიალებს (ვაჟა, 78, 29-30);

ბ) ჰიპოტაქსურ კონსტრუქციაში:

რაც ორ თვეს ოფლს დააქცევს სოფელი, მთელს დანარჩენს დროის დვაწლს სამჯერ აღემატება (ვაჟა, 77, 22-23-24);

4) ახლანდელი დროის მნიშვნელობით:

ა) პარატაქსულ კონსტრუქციაში:

აღსარებასავით ამ ამბავს გაამბობთ და ტყუილს აღარ ვიტყვი (ილია, 237, 5-6);

ბატონი ხარ, მე ძაღვს არ დაგატან (ილია, 246, 5-6);

საკუთრად ჩვენი დასი ას ოცი კაცია, ერთი ამდენი თევდორაძისაც იქნება (აკაკი, 174, 35-36);

არც მე გაწყენინებ, ჯეელი ბიჭი ხარ (ილია, 257, 4);

ბ) ჰიპოტაქსურ კონსტრუქციაში:

სუსტი რომ იქნება, კაცი იქნება (ილია, 191, 10);

პირდაპირ გეტყვი, ცოლქმრობა ერთმანეთისათვის ნათქვამიცა გვაქვს (ილია, 242, 21-22);

თუ გნებავს, ამასაც გეტყვით, რომ ნადირობა ცოდვაა (ილია, 186, 7);

5) მყოფადის მწკრივი განმეორებად „ხოლმეს“ შემცველ მოქმედებას გამოხატავს:

ა) პარატაქსულ კონსტრუქციაში:

ზამთრობით მგელი ესტუმრება ხოლმე ხმელს წიფელს, აიტუზება იმის გვერდით და ღმუის, შიმშილისაგან შეწუხებული (ვაჟა, 87, 5-6);

დედამიწის სარკე ზეცა არის, ის გადიცემს ხოლმე წუთი-სოფლის საქმესა (ილია, 218, 21-22);

დედამიწის ზურგი იმით აყვავდება ხოლმე, წუთის-სოფლის ცხოვრება იმითი მოისხამს ყვავილსა (ილია, 219, 20-21);

ბ) ჰიპოტაქსურ კონსტრუქციაში:

მამასახლისი მაშინვე, რა წამს ამ ხელობას ჩაიბარებს, ისწავლის ხოლმე ამ ვითომ დიდკაცობის სანიშნავ სიტყვა-პასუხს (ვაჟა, 43, 14-15-16);

როცა კი ძირს დაიხედავს და თვალს მოჰკრავს, მაშინვე ფრთებს დაღონებული ჩამოჰყრის (ილია, 199, 8-9);

ხანდისხან ისე აგვიბამ თვალებს ხოლმე, რომ ჩვენ ჩვენს საკუთარს უბედურებასაც ვერა ვხედავთ (ილია, 247, 20-21);

მხოლოდ ზამთრობით, როცა თითონაც შემოეძარცვებათ ხოლმე საპატარძლო ტანისამოსი და, ცოტად თუ ბევრად დაუახლოვდებიან ხმელს წიფელს, მაშინ თუ შეაცქერდებიან, ისიც გაკვრით (ვაჟა, 84, 27-28-29-30);

6) მყოფადი კონტექსტურად გამოსატავს წარსულ დროს:

ა) პარატაქსულ კონსტრუქციაში:

აქ კიდევ შეიძლებოდა შეეღა, ამ მორევში, მაგრამ იქ, იმ უცნაურ ჩანჩქერში, ვინღა რას გააწყობს (=გააწყობდა) (აკაკი, 125, 26-27);

ორ მტერსავით ერთმანეთს ველოდით, აბა წინ ვინ დაიწყებს (=დაიწყებდა) ომსაო (ილია, 247, 28-29);

ბ) ჰიპოტაქსურ კონსტრუქციაში:

არ გითხარი, რომ ვერსა დამაკლებ-მეთქი (=დამაკლებდი) (აკაკი, 166, 36);

V. ხოლმეობითი. ეს მწკრივი შეიცავს სამ ელემენტს: დროის, კილოსა და გზისობას. დროის მიხედვით – წარსული, კილოს მიხედვით – თხრობითი, გზისობის მიხედვით კი მრავალგზისი.

1) ხელმეობითის მწკრივი გამოსატავს ძირითადად წარსულ დროს:

ა) პარატაქსულ კონსტრუქციაში:

ძირიანად ამოიღებდა, ძირიანად მოსთხრიდა (ილია, 383, 27-28);

ის ბევრგან შემაყენებდა ხელმე და მკითხავდა (ილია, 215, 18);

გახსნიდა ჯამში მარილს და ჩაყრიდა მშრალი ქერის პურის გულს (ვაჟა, 24, 9-10);

ხანდახან გამოიღვიძებდა ხელმე ის არაწმინდა, გაიშლებოდა და პირდაღებული თვალების ბრიალით, წამოსრიალდებოდა ხელმე ხალხისკენ (აკაკი, 121, 14-15-16);

ბ) ჰიპოტაქსურ კონსტრუქციაში:

იგი დადიოდა უღრანს დაბურულს ტყეში და სადაც კი მთიგდებდა ადამიანს, გაუჭყლეტდა თავსა, წამოიკიდებდა და მოიტანდა თავის ბინაზე (ვაჟა, 37-38, 31-1-2);

თვალები დაესისხლებოდა, მთავლებდა შეგირდს თმაში ხელს და გაისვრიდა, საითაც მოხვდებოდა (ვაჟა, 67, 30-31-32);

რაწამს ამ უცხო ხმას გაიგონებდა დედაჩემი, ზე წამოვარდებოდა და მეტყოდა (ვაჟა, 14, 15-16);

VI. მყოფადის კავშირებითი. ეს მწკრივი დროის მიხედვით მომავალია, კილოს მიხედვით – კავშირებითი. პარატაქსულისა და ჰიპოტაქსურ კონსტრუქციაში იშვიათად გვხვდება. ზოგიერთი ტიპის შიგნით საერთოდ არ ჩანს.

ა) პარატაქსულ კონსტრუქციაში:

ნეტავი ერთი ლუკმა მაინც გამომივიდოდეს და მერე ეთქვა, ჩემზე აუგი სიტყვა, მერე დავეძრახე (ვაჟა, 83, 14-15);

ბ) ჰიპოტაქსურ კონსტრუქციაში:

სანამ ამ მეორე ხანაზე ვიტყვოდე რამეს, დაუბრუნდები ისევ ჩვენს სოფელს (აკაკი, 42, 21);

შენ, ჩემო იმერელო, მიდი მოურავთან, მოიცადე, სანამ პასუხს მივწერდე ჩემს სიძეს (აკაკი, 130, 12-13);

ჩემი სისხლი რომ მთარჩენდეს შენს ქმარსა, ძარღვს გავიხსნი და დავაღვებინებო (ილია, 219, 10-11-12);

სანამ ეგ გამოიდვიძებდეს, მე აქედან შორს ვიქნებიო (აკაკი, 157, 28-29);

VII. წყვეტილი. ეს მწკრივი დროის მიხედვით ძირითადად წარსულია, კილოს მიხედვით-თხრობითი. ზოგჯერ გამოხატავს ბრძანებითი კილოს მნიშვნელობასაც. წყვეტილს შეიძლება ჰქონდეს ახლანდელი და მომავალი დროის მნიშვნელობაც. ვნახოთ ეს შემთხვევები ცალ-ცალკე:

1) წარსული დროის მნიშვნელობით (თხრობითი კილო), ხასიათდება დიდი სიხშირით:

ა) პარატაქსულ კონსტრუქციაში:

გაჩნდა დიასახლისი, ამოიზილა ლობიო, მოიმარჯვა ჯამ-ჭურჭელი (ვაჟა, 76, 3-4);

შველი ძაღლივით აედევნა, წაუსწრო წინ (აკაკი, 161, 27-28);

შეერთა მოტყუებული მხედარი, შემოიკრა თავში ხელი (აკაკი, 167, 3-4);

ცხენი ღობეზე მიაბა, ხურჯინი დერეფანში მიაგდო (ვაჟა, 21, 8-9);

ბ) ჰიპოტაქსურ კონსტრუქციაში:

ისა ვთქვი, რაც შენ გაიგონე (ილია, 249, 9);

მე ვუამბე გულმართლად, რაც მაშინ მე და პეპიმ ვილაპარაკეთ (ილია, 251, 18-19);

აქ რომ ჩაჰყო თავი წყალში, ე, იქ ამოჰყო, ჰაიხვივით! (აკაკი, 126, 15-16);

ეს წერილი რომ წაიკითხა, თეიმურაზმა თავი ჩაღუნა და ღრმად ჩაფიქრდა (აკაკი, 140, 29-30);

2) წყვეტილის მწკრივი ბრძანებითი კილსი და მომავალი დროის მნიშვნელობისაა:

ა) პარატაქსულ კონსტრუქციაში:

დამეხსენ, დაეხსენ მეთქი (ვაჟა, 71, 16-17);

შემიშვით სახლში, გამათბეთო, აბა შეშა და ცეცხლიო (ვაჟა, 78, 28-29);

წამოიყვანეთ ორივე და მიუძღვენით მეფეს (აკაკი, 154, 16-17);

ნიშნად წაიღე ეს ჩემი ფაფანაკი და სისხლში მოსვრილი მიაღთვი უფროსებს (აკაკი, 172, 28-29);

გინდა გველივით გამსრისე, გინდა დამიხსენ წაწყმედისაგან (ილია, 240, 32-33);

ბ) ჰიპოტაქსურ კონსტრუქციაში:

იმ ღვთის გულისათვის, რომელსაც შენ წელან ვეედრებოდი, მომენდე მე (ილია, 251, 17-18);

შემატყობინე, როგორ გადარჩი და ან აქ ვინ მოგიყვანა? (აკაკი, 169, 11-12);

შენ აასრულე, რასაც გიბრძანებენ (აკაკი, 127,31);

3) წყვეტილის მწკრივს ახლანდელი დროის მნიშვნელობა აქვს კონტექსტის მიხედვით, რაც ამ მწკრივისთვის უჩვეულოა:

პარატაქსულ კონსტრუქციაში:

სად ვინა ხართ, დალია ხბურება ყანა მწერელ ჩვილებო?! (ვაჟა, 47, 16-17);

ეგენი გახლავან შენი ჭირიმე, ვიცანი (აკაკი, 133, 4);

შეშა აღარ არის, ცეცხლი ჩაქრა (ვაჟა, 21, 25-26);

დაილოცა ღვთის სიძლიერე, იმისი გზა და კვალი გაუგებარია (ილია, 216, 34-35);

წყვეტილს შესწევს უნარი პარატაქსულსა და ჰიპოტაქსურ კონსტრუქციაში დაიკავშიროს თითქმის ყველა მწკრივის ფორმა.

VIII. II კავშირებითი. ეს მწკრივი უმეტესად მომავალ დროს გადმოსცემს, გარკვეულ კონტექსტში ახლანდელი დროის მაჩვენებელია. მისთვის ნიშანდობლივია კავშირებითი ან ბრძანებითი კილოს გამოხატვა.

1) II კავშირებითი გამოხატავს მომავალ დროსა და კავშირებით კილოს:

ა) პარატაქსულ კონსტრუქციაში:

შენ ამას არ ედავებოდე, ბეჩავო, მამულს, გაიხარჯო, თავად გააკეთო მამული, ის გირჩევნია (ვაჟა, 47, 20-21-22);

შენს ხელში ვარ, შვილო, შენ გეთაყვანოს ჩემი თავი (ილია, 241, 17);

მეტი ჩარა აღარ არის, უნდა აახრულეს თავისი წესი (ვაჟა, 79, 15);

ხვალ, შვილო, კუბლირი უნდა წამოგყინჯროთ, ვერაფერი მამალიაო (ვაჟა, 69, 9-10);

ბ) ჰიპოტაქსურ კონსტრუქციაში:

წვიმას შეუძლიან, ერთბაშად ჩამომაცალოს ფოთლები (ვაჟა, 35, 13-14);

ან რა ანგარიშია, რომ შორიდან მუქარითა და წინდაუხედაობით საქმე გაიფუჭოს (აკაკი, 179, 19-20-21);

მე ვიცი, როგორ გადავუნადო მაშინო (აკაკი, 178, 7-8);

მე იმისთანა ოსტატს გიშოვნის, რომ უფულოდ გასწავლეს (ილია, 299, 18-19);

2) II კავშირებითი გამოხატავს მომავალ დროსა და ბრძანებით კილოს:

ა) პარატაქსულ კონსტრუქციაში:

მე იმან მასწავლა, ღმერთმა გადაუნადოს სამაგიერო (ილია, 199, 25-26);

მივაშველეთ წყაროს წყალი, არ დაგვიშრესო (ვაჟა, 64, 16);

მომკალ, აქაც ჩამაქვავე, ჩემო გაბრიელ (ილია, 243, 5);

წავიდეთ ჩქარა, მომყე! (ვაჟა, 17, 1);

ბ) ჰიპოტაქსურ კონსტრუქციაში:

ვისაც შეგეძლოთ, თავს უშეგლეოთ (ილია, 255, 2);

მხოლოდ რამდენიმე მათგანი, რომელიც სხვებზე ულამაზესი გამოდგეს, აქ წამომგვაუთ ხელუხლებლად (აკაკი, 164-165, 36-37-1);

3) II კავშირებითს აქვს აწმყოში საგარაუდო „მოქმედების“ მნიშვნელობა:

ა) პარატაქსურ კონსტრუქციაში:

ალალი იყოს (=არის) შენზედ ჩემი სისხლი, კაი ვაჟკაცი ჰყოფილხარ (ილია, 264, 16-17);

ეს სწორედ მაჰმადის დაპირებული მზეთუნახავი უნდა იყოს (=არის ალბათ) და მეც ცოცხლად სამოთხეში მივდივარო (აკაკი, 162, 1-2-3);

მაინც აქ მე შემინდვიხარ და იქ ღმერთმა იცოდეს (=იცის) (ილია, 268, 14);

ბ) ჰიპოტაქსურ კონსტრუქციაში:

ეს ბიჭობა, კახეთში რომ ბაში-აჩუკია, იმისი საქმე უნდა იყოს (=არის ალბათ) (აკაკი, 155, 1-2);

ნადირთა ღმერთს, რომ იტყვიან, ის უნდა იყოს (=არის ალბათ) (აკაკი, 161, 9-10);

4) II კავშირებითი ზოგჯერ ისეთ კონტექსტში იხმარება, ჭირს მისი ზუსტი დროული მნიშვნელობის დაგენა. უფრო „ზოგადი აწმყოს“ გაგებასთან გვაქვს საქმე.

ა) პარატაქსურ კონსტრუქციაში:

რა უნდა ჭამოს კაცმაო, ეს მარხვა რაღა ხათაბალააო (ვაჟა, 79, 14-15);

ეგეც შენი ნება იყოს (=არის), მაგაზედაც ყაბული ვარ (ილია)

სხვა არა იყოს რა, უფროსი ვარ... (ილია, 206, 6-7);

ბ) ჰიპოტაქსურ კონსტრუქციაში:

მამისა იმას უნდა ეთაკილებოდეს, ვინც მამას-
თან პირშავია (ილია, 246, 25-26);

მღვდელიც და დიაკვანიც უნდა მოგახსენოთ,
დიდ ფაცა-ფუცში არიან (ვაჟა, 81, 9-10);

ისემც კარგი დაგემართოს, მაგრამ, უცაბედად
რომ გასჭრას, მერე რაღა ვქნათ? (აკაკი, 166, 25-26);

IX. I თურმეობითი. ამ მწკრივის ძირითადი დრო
წარსულია, კილო-თხრობითი. პარატაქსულსა და პი-
პოტაქსურ კონსტრუქციებში შესწევს უნარი გამოხა-
ტოს თითქმის ყველა დრო. „I თურმეობითი შედეგო-
ბითი მნიშვნელობის ნაკვთია. მისი ძირითადი და
ამოსავალი მნიშვნელობა არის აწმყო მდგომარეობის
ჩვენება“ (ფხაკაძე, 1984, 79). „I თურმეობითი წარსუ-
ლისა და აწმყოს კონტამინირებულ ფორმას წარმო-
ადგენს“ (ფხაკაძე, 1984, 80).

1) I თურმეობითი გამოხატავს წარსულ დროსა
და თხრობით კილეს:

ა) პარატაქსულ კონსტრუქციაში:

ერთ დროს მე და შენ მეგობრები ვიყავით, პური
ერთად გაგვიტეხია, ერთ ჭერ-ქვეშ დაგვიხველებია
(ილია, 206, 27-28-29);

იმერელმა მოურავს შეხედა და ხმა არ ამოუღია
(აკაკი, 128, 29);

აუღია და მიწაში ჩაუფლავს (ილია, 216, 1);

დრო ყოფილა, ჩემო ძმაო, ქართველობით თავი
მოგვეწონებია (ილია, 213-214, 35-1);

ამასთან ბევრი ბედი მომდგომია კარზე და მეც
წიხლი არ მიკრავს (აკაკი, 207, 34-35);

ბ) პიპოტაქსურ კონსტრუქციაში:

რაც რამ უთქვამს ჩემთვის, დღევანდლემდინ
სიზმარით დამახსოვდა (ილია, 215, 24-25);

გართულს ხალხს ვერ შეუნიშნავს, რომ ზამთა-
რი სპეტაკი წვერითა და თეთრის სამოსლით წამომ-

დგარა კარებში, სიცივისაგან აცახცახებული, და იხვეწება (ვაჟა, 78, 26-27-28);

მე, მღვდელი, მოვსულვარ, რომ წმინდა ზიარება მიგაღებინო ქრისტიან კაცსა (ილია, 267, 15-16);

2) I თურმეობითი გამოსატყვევებელი ახლანდელ დროს აწმყოში საგარეუდო მოქმედებას, რომელსაც ზოგადობის ელფერი დაჰკრავს:

ა) პარატაქსულ კონსტრუქციაში:

მოვალეცა ყოფილხარ (=ხარ) და ნუ აჩქარდები (აკაკი, 172, 24);

საბძელზე ყარტი დამპალა (=ლპება, =დალპება) და დაბლა გაფენილა (=ეფინება, =დაეფინება) (ვაჟა, 23, 8-9);

ეჰ, დალახვრა ღმერთმა, ვერ მომიხერხებია (=ვერ ვახერხებ) (ილია, 242, 20-21);

შვილო, ჩემი სისხლი ჩემს მკვლელს აპატივე, მეც მიპატიებია (=ვპატიობ, ვაპატიებ) (ილია, 258, 14-15);

დაწყნარდა ქვეყანა და გავარდნილებისა აღარ გაუგონიათ რა (=ისმის რა) (აკაკი, 173, 17-18);

ბ) ჰიპოტაქსურ კონსტრუქციაში:

ის მამა შვილის დამღუპველი ყოფილა (=არის, იქნება), რომელსაც შენისთანა ღვთის კაცი გამოუჩინდება შვილის გასაწურთნავად და არ გააწურთნებს (ილია, 205, 11-12-13);

არ ვიცი, ვინ ყოფილა (=არის) ჩემი მამა-პაპა და საიდან მოვხვედი არდალაში? (აკაკი, 171, 27-28);

მაშ ჩვენ სულ გასვრილები ვყოფილვართ (=ვართ), სასახლის კარზე ვინცა ვართ? (აკაკი, 144, 30-31);

მაგრამ წუთის-სოფელი იმიტომ ჰქვია, რომ ყველაფერი წუთობითა სცოდნია (=იცის) უბედურობის მეტი (ილია, 235, 2-3);

3) I თურმეობითს აქვს ე.წ. „შედგობითი აწმყოს“ მნიშვნელობა:

ა) პარატაქსულ კონსტრუქციაში:

ძირი თუმცა დედამიწაზე უღვა, თავი კი ცას მიუბჯენია (=აქვს მიბჯენილი) (ილია, 176, 17-18);

ბ) ჰიპოტაქსურ კონსტრუქციაში:

ძლივს მაგონდება და ოდნავ მახსოვს, რაც საბრალო დედაჩემისაგან გამოგონია (=მაქვს გაგონილი) (აკაკი, 171, 28-29-30);

4) ჩვენი მასალის მიხედვით, I თურმეობითს აქვს მთავალი დროის მნიშვნელობა მხოლოდ დროის გარემოებითი დამკიდებელი წინადადების შემცველ ჰიპოტაქსურ კონსტრუქციაში:

როცა მე ჩემსას ავისრულებ, მერე შენთვის დამიღოცნია (=მერე შენ დაგიღოცაე) (ილია, 249, 24);

წაიღე ამ თავით ეს ქისა, და მერე, როცა იმას ხელში ჩამიგდებ, ის ათასი ოქროც შენთვის დამითმია (=იმ ათას ოქროსაც შენ დაგიტომებ), და არც მოდალატობას გაგამხელ, ალაჰი მომიცია თავდებადო (აკაკი, 159, 20-21-22);

5) I თურმეობითით გადმოიცემა მრავალგზისი ანუ განმეორებადი მოქმედება:

ა) პარატაქსულ კონსტრუქციაში:

ფაცურსაც ბევრჯერ მივდგომივარ და გარეთაც ბევრჯერ ვწოლლღვარ (აკაკი, 52, 11-12);

ბ) ჰიპოტაქსურ კონსტრუქციაში:

სასახლეში ადრეც ბევრჯელ ვყოფილვარ, მაგრამ, რომ გამომიყვანეს მაინც ბევრი რამ მეუცხოვა (აკაკი, 17, 9-10).

X. II თურმეობითი. იგი დროის მიხედვით წარსულია, კილოს მიხედვით თხრობითი, ზოგჯერ კავშირებითიც. აქტი უნახავი. II თურმეობითი ისეთ უნახავ მოქმედებას გამოხატავს, რომელიც წინ უსწრებდა წარსულში მომხდარ მოქმედებას. როგორც ვთქვით, კილო თხრობითი აქვს, მაგრამ ზოგჯერ კავშირებითის ნაცვლად არის ნახმარი, პირობას გა-

მოსატყვევებს და უნახავი აქტის გაგებაც აღარ ახლავს მას ჰიპოტაქსურ კონსტრუქციაში. II თურმეობითმა შეიძლება გადმოსცეს მომავალი დრო წარსულის თვალსაზრისით.

1) II თურმეობითი გადმოგვცემს წარსულ დროსა და თხრობით კილოს:

ა) პარატაქსურ კონსტრუქციაში:

ერთი ყმაწვილი კაცი მისჯდომოდა ბუხარს და ნაკვერცხლებს დაშტერებოდა (აკაკი, 138, 8-9);

იქვე შორიახლოს, ზედ ხარიახოსან მიედგა სკამი ზაალის მეუღლეს, მუხლებზედ გადაეშალა დავითნი და „ჭირის კანონს“ ჰკითხულობდა (აკაკი, 119, 17-18-19);

ჩვენს იქით გუგულის კაბა ამოსულიყო და ჯერ ხმელს, ჩამოსულს ფოთოლს არ ამოსცილებოდა (ვაჟა, 36, 13-14);

ერთი ვაჟიშვილი ჰყოლოდა თურმე და ისიც შეჭმურებოდა იმისთვის ბედსა და წაერთმევა საწყლისათვის (ილია, 195, 6-7-8);

ბ) ჰიპოტაქსურ კონსტრუქციაში:

თურმე ეს წინათვე განუზრახა დათიკოს, წინათვე გაემზადებინა, რომ მე სამართალში მივცემოდი და ამით თავი დამ მოვეშორებინე (ილია, 250, 23-24-25);

ბიძაჩემი ადრე გაპარულიყო სანადიროდ, ისე, რომ ჩვენებს ვერავის გაეგო იმისი წასვლა (ვაჟა, 73, 6-7);

2) II თურმეობითი გამოსატყვევებს წარსულ დროსა და კავშირებით კილოს:

ა) პარატაქსურ კონსტრუქციაში:

ნეტავი ჩემს სამშობლოში მომკვდარიყავი და აქ არა კვდებოდე (ვაჟა, 95, 36-37);

იქნება ეხლა მე ვყოფილიყავი რიგიანი მუშა კაცი, ცოლშვილი გარს შემორტყმული მყოლოდა (ილია, 243, 17-18);

ბ) ჰიპოტაქსურ კონსტრუქციაში:

დაფიქრებული თვალეები, ჩამომხმარი და ჩამომტირალი სახე ცხადად ამტკიცებდნენ, რომ ამ კაცს ბევრი ტანჯვა და ვაება უნდა გაეგლო (ვაჟა, 81, 19-20-21);

იმ დროს რომ კაცს ჩემთვის ხმა გაეცა, მეწყინებოდა (ილია, 230, 8-9);

3) II თურმეობითი გადმსცემს მომაგალ დროს წარსულის თვალსაზრისით:

ა) პარატაქსულ კონსტრუქციაში;

მერე იქნება დამეყოლია როგორმე და ჩემს ნათლიმამასთან ამომეყვანა (ილია, 266, 21-22-23);

ბუდე მთელი დამიხვდა, ღულუნი უნდა დამეწყო (ვაჟა, 93-94, 31-1);

ერთი მუჭა ბაღანი ხელში უნდა დარჩომოდა და მერე შებერვით აქეთ-იქით გააბნევედა (ვაჟა, 67, 32-33);

ან ფიცისათვის უნდა მეღალატნა და ან კაცი მომეკლა (ილია, 260, 14);

ბ) ჰიპოტაქსურ კონსტრუქციაში:

საღამო ხანი იყო და ის სოფელი საცა იმ დამეს ჩვენ უნდა შეგვესვენა, ჯერ კიდევ შორს იყო (ილია, 254, 13-14-15);

მარტო ის მინდოდა, რომ ჩემი ობოლი თავი შენ ფეხთ-ქვეშ გზად გამეშალა (ილია, 239, 12-13-14);

ცერებზე დგებოდა ყოველი ბიჯის გადაგმაზე და ძალზე ჰაერს ისუნთქავდა, თითქოს სცდილობდა, რომ გულ-ბოყვი გაედიდებნა, გაებერა (აკაკი, 150, 9-10-11);

ამის გამგონე ალი-ყული-ხანი შიშის ქარმა აიტანა და ათრთოლებული ხმით ბრძანა, რომ ჯანდიერისათვის შეეტყობინებინათ (აკაკი, 176, 21-22-23);

ამავე დღეს დარბაზმა ხმის უმრავლესობით გადაწყვიტა, რომ გაეყწვიტა კავშირი სპარსეთთან და მიჰკედლებოდა ჩრდილოეთს (აკაკი, 141, 17-18-19);

XI. III კავშირებითი. ჩვენს მიერ მოძიებულ მასალაში ეს მწკრივი მხოლოდ ორ შემთხვევაში გამოვლინდა, ისიც ჰიპოტაქსურ კონსტრუქციაში. ორივე შემთხვევაში III კავშირებითით გამოხატულია წარსული დრო და კავშირებითი კილო. ვნახოთ ნიმუშები:

დღემდის ვის გაუგონია საქართველოში, რომ შვილი მამას დასტაკებოდეს, და ის კი მისმა შვილმა, დავით მეფემ, ამ თეიმურაზის მამამ, ციხეში ჩაამწყვდია (აკაკი, 139, 23-24-25-26);

ბევრი სიკეთე უნდა დაეთესოს კაცსა, რომესაც ეგრე სიყვარულით გარს არტყია ხალხი! (ილია 201, 22-23);

ამრიგად, მწკრივისა და დროის ურთიერთმიმართება პარატაქსულსა და ჰიპოტაქსურ კონსტრუქციებში საინტერესო სურათს იძლევა. ესა თუ ის მწკრივი დროის გამოხატვის თვალსაზრისით, სხვადასხვა უნარსა და შესაძლებლობებს ავლენს. მწკრივს ძირითადი დროული მნიშვნელობის გვერდით ზოგჯერ (ხშირ შემთხვევაში) აქვს უნარი გამოხატოს სხვა არაძირითადი დრო. თითოეულ მათგანს შესწევს ძალა, გვიჩვენოს ორი ან სამი დრო. ზოგჯერ მწკრივი საერთოდ დაცლილია დროული გაგებისაგან და ე.წ. „ზოგადი აწმყოს“ მნიშვნელობის მატარებელია.

როგორც პარატაქსულ ისე ჰიპოტაქსურ კონსტრუქციაში:

აწმყო იხმარება: ახლანდელი, წარსული და მომავალი დროის მნიშვნელობით, ზოგჯერ იგი დაცლილი ჩანს დროული მნიშვნელობისაგან, ზოგჯერ კი კარგავს კონკრეტული დროის გაგებას და გამო-


ხატავს ისეთ მოქმედებას, რომელიც შეიძლება პერიოდულად განმეორდეს. ამ შემთხვევაში ზმნის ფორმას ერთვის „ხოლმე“ ნაწილაკი. ხან კი „ზოგადი აწმყოს“ მნიშვნელობით იხმარება.



უწყვეტელი – დროის გამოხატვის თვალსაზრისით ერთადერთი ყველაზე ნათლად გამოკვეთილი მწკრივია, იგი ყველა ტიპის წინადადებაში წარსული დროის მნიშვნელობისაა.

უწყვეტელი ————— წარსული

აწმყოს კავშირებითი – მისი დრო ახლანდელი ან მომავალია, კილო კავშირებითი ან ბრძანებითი.



მყოფადი – მომავალი ან ახლანდელი დროის მნიშვნელობით იხმარება.

პარატაქსულ კონსტრუქციაში კილო თხრობითი ან ბრძანებითი აქვს, ჰიპოტაქსურში კი მთავარში – ხან თხრობითია, ხან ბრძანებითი, დამოკიდებულში ყოველთვის თხრობითი კილოს მნიშვნელობისაა.

მყოფადი ზოგჯერ გამოხატავს „ზოგად აწმყოს“, ხან ზმნის ფორმა „ხოლმეს“ გაგების მქონეა და კონტექსტის მიხედვით წარსულში მომხდარ ფაქტს გადმოგვცემს.

მყოფადი  ახლანდელი
მომავალი


ხოლმეობითი – დროის მიხედვით წარსულია, კილოს მიხედვით – თხრობითი, გზისობის მიხედვით მრავალგზისი.

ხოლმეობითი _____ წარსული

მყოფადის კავშირებითი – დროის მიხედვით მომავალია, კილოს მიხედვით კავშირებითი. ეს მწკრივი იშვიათად გვხვდება, ზოგიერთი ტიპის შიგნით საერთოდ არ ჩანს.

მყოფადის კავშირებითი _____ მომავალი

წყვეტილი – დრო – წარსული, კილო – თხრობითი ან ბრძანებითი, წყვეტილს ზოგჯერ აქვს ახლანდელი და მომავალი დროის მნიშვნელობაც.


წყვეტილი  ახლანდელი
მომავალი
წარსული

II კავშირებითი – მისთვის ნიშანდობლივია მომავალი ან ახლანდელი დროის გამოხატვა, კილო კი კავშირებითი ან ბრძანებითი აქვს. ზოგჯერ II კავშირებითს აქვს აწმყოში სავარაუდო მოქმედების მნიშვნელობა. ზოგჯერ კი ჭირს მისი ზუსტი დროული მნიშვნელობის დადგენა.

II კავშირებითი  ახლანდელი
მომავალი

I თურმეობითი – ამ მწკრივს პარატაქსულსა და ჰიპოტაქსურ კონსტრუქციებში შესწევს უნარი გამოხატოს სამივე დრო: ახლანდელი – აწმყოში სავარაუდო მოქმედება, რომელსაც აქვს ხან „ზოგადი აწ-

მყოს“, ხან კი „შედგობითი აწმყოს“ მნიშვნელობა, წარსული და მომავალი.

I თურმეობითი  ახლანდელი
წარსული
მომავალი

II თურმეობითი – მისი დრო წარსულია, კილო თხრობითი ან კავშირებითი, იგი გადმოგვცემს მომავალ დროსაც წარსულის თვალსაზრისით.

II თურმეობითი  წარსული
მომავალი

III კავშირებითი – ეს მწკრივი დავადასტურეთ მხოლოდ ჰიპოტაქსურ კონსტრუქციაში, მას აქვს წარსული დროისა და კავშირებითი კილოს მნიშვნელობა. ზოგიერთი ტიპის შიგნით საერთოდ არც ჩანს.

III კავშირებითი _____ წარსული

საერთოდ, მწკრივის დროულის მნიშვნელობის დასადგენად დიდი როლი ენიჭება კონტექსტს.

**დროისა და მწკრივის ურთიერთმიმართების საკითხი
სტატიკურ ზმნიან პოლიპრედიკატულ
კონსტრუქციაში**

ქართულში გვაქვს ზმნების ერთი ჯგუფი, რომელიც ენის განვითარების უძველეს საფეხურს ეკუთვნის. სახელდობრ, იმ საფეხურს, როცა ზმნა მინიმალურად განსხვავდებოდა სახელისაგან ე.ი. „როცა სახელისა და ზმნის დიფერენციაცია ძალიან სუსტი იყო (ზმნა მდგომარეობას აღნიშნავდა და ეს მდგომარეობა თვისების მსგავსად უცვლელი იყო დრო-

ში“ (ჩიქობავა, 1950, 51). ეს ზმნები „მოქმედებას ერთ ვითარებაში წარმოადგენს“ (შანიძე, 1980, 313). ფაქტობრივად, სტატიკა ეს არის „მოქმედება“ უძრავ მდგომარეობაში.

სტატიკური ზმნები მწკრივნაკლია. ყველა სტატიკურ ზმნას საკუთარი აქვს აწმყო, მაგრამ ნამყოს წარმოებისას თავს იჩენს სხვადასხვაობა, რის მიხედვითაც ესენი ორ ჯგუფად იყოფა: ერთს აკლია ნამყო უწყვეტელი, მოეპოვება ნამყო წყვეტილი, ხოლო მეორეს აკლია ნამყო წყვეტილი და სამაგიეროდ მოეპოვება ნამყო უწყვეტელი (შანიძე, 1980, 313).

„აღნიშნული კლება ორგანულია“, ძველთაგან თანდაყოლილი, შევსება ხდება ახლად შემუშავებულ მწკრივებში მყოფადის წრისაში, რომელიც წარმოიშვა I სერიის დაშლის ნიადაგზე ასპექტის გამოხატვის სისტემის შეცვლის გამო. ე.ი. სტატიკურ ზმნებს, რომლებსაც აქვთ საკუთარი აწმყო და ნასესხები წყვეტილი, ნამყო წყვეტილში ფორმებს სესხულობენ დინამიკური ვნებითისაგან. ცნობილია, რომ ნამყო უწყვეტელი გადმოგვცემს წარსულში მომხდარ ფაქტს განგრძობითი შინაარსით, რითაც უახლოვდება სტატიკურ ზმნათა სემანტიკას. სწორედ ამიტომ ახალ ქართულში სტატიკური ზმნები ნამყოს გამოსახატავად იყენებენ ნამყო წყვეტილის ფორმას, რომელსაც შინაარსი ნამყო უწყვეტლისა აქვს.

ასე რომ, სტატიკურ ზმნათა ნამყოსთვის დამახასიათებელია – ფორმა წყვეტილისა, ფუნქცია – უწყვეტლისა.

წარმოვადგენთ საილუსტრაციო მასალას, რაც ნათლად დაგვანახვებს, რომ წყვეტილის მწკრივის სტატიკურ ზმნას ბუნებრივად მოსდევს ნამყო უწყვეტლის მწკრივის ჩვეულებრივი ზმნა-შემასმენელი. ეს ზმნები ერთმანეთს უმთავრესად უკავშირდებიან „და“ მაჯგუფებელი კავშირის საშუალებით.

სტატიკურ ზმნიანი ერთგვარშემასმენლიანი
შერწყმული წინადადება

უკავშირო

იდგა

დიდხანს იდგა გაქვავებული, მხოლოდ ტუჩებს
აცმაცუნებდა (აკაკი, 123, 15-16);

კავშირიანი

თვითონ კი ერთ ალაგას იდგა და არ ინძრეოდა
(აკაკი, 121, 23);

ლუარსაბი გაშტერებული იდგა და სულ არ ეს-
მოდა (ილია, 303, 29);

„ტარასტა“ მიკუნჭული იდგა კარებში და დას-
წავლილ სიტყვებს ბუტბუტებდა (ვაჟა, 82, 26-27);

სოფო გამტკნარებული იდგა და ყურს გვიგდებ-
და (ვაჟა, 212, 8);

იმის შორი-ახლო თოხის ტარზედ დაბჯენილი
იდგა პეპია და თამროს ელაპარაკებოდა (ილია, 244,
22-23);

ვირი ეზოში იდგა თავდაკიდებული და ფიქრობ-
და თავის თავზე (ვაჟა, 219, 11-12);

დილიდან შუადღემდინ ფეხზე იდგა და გორ-
გალსავით დაგორავდა (ილია, 277, 30-31);

სიცოცხლითა და სიმშვენიერით აღსავსე დედა-
ჩემი წიფლის გვერდზე იდგა და გემრიელად იცოხ-
ნებოდა (ვაჟა, 15, 3-4);

ვიდექი

მე მოკრძალებით ვიდექი და შევცქეროდი ბერი-
ძეს (ვაჟა, 168, 17);

იდგნენ

იდგნენ და ელოდნენ (ვაჟა, 307, 1);

მამაჩემის მეტი ყველანი ფეხზე იდგნენ და თავს მეფლებოდნენ (ვაჟა, 66, 4-5);

მოურავი და იმერელი კი იდგნენ და შესჩერებოდნენ (აკაკი, 128, 25);

ერისთავები გაქვავებულები იდგნენ, საგონებულში ჩავარდნილები და ხმას ვერ იღებდნენ (აკაკი, 133, 26-27);

ბევრგან ჯგუფ-ჯგუფად იდგნენ და ჟრიამული და ყაყანი გაჰქონდათ (ილია, 366, 14-15);

მარტო ორიოდუ ბიჭები კალთებ-აწეული, იდგნენ გუბის პირას და ხის ჯამებით ასხამდნენ წყალს პირდაღებულს, დასიცხულს კამეჩებს (ილია, 361, 13-14-15);

იდექი

თქვენ იდექით და სეირს უყურებდით (ილია, 375, 33-34);

იჯდა

უკავშირო

სასახლეში ერთი ბებერი კაცი იჯდა, უმტვერო თოვლივით თეთრი წვერი გულზედ სცემდა (ვაჟა, 27, 23-24);

მხედარი ზედ აღარ იჯდა, ფაფარში ხელჩაკიდებული განზე მიჰყვებოდა ცურვით (აკაკი, 125, 22-23-24);

კავშირიანი

მამალი თვალებდახუჭული, ჩინადვდაკიდებული, მხრებდაშვებული, თავტანსისხლიანი საცოდავად, გულსაკლავად იჯდა და თბებოდა (ვაჟა, 150, 30-31-32);

კერის პირას დარეჯანის ორი წლის ვაჟი გამა-
ხარე იჯდა და ნაცარს ურევდა ჯოხით (ვაჟა, 125,
22-23-24);

გორის პირზე ზევით მხრივ იჯდა ნაბადწამოხ-
ვეული მეცხვარე და შეექცეოდა სალამურს (ვაჟა, 18,
1-2);

აივნის თავში ტახტზე იჯდა ფეხმორთხმული
დარბაისელი მოხუცი, ზაალ ერისთავი და კრიალო-
სანს ათამაშებდა (აკაკი, 119, 15-16-17);

ცეცხლის პირას იჯდა და ყალიონს აბოლებდა
(ვაჟა, 331, 26-27);

იჯდა დაფიქრებული და გადმოჰყურებდა პეპე-
ლის გუნდსა (ვაჟა, 27, 24-25);

იჯდა ცეცხლთან ხმაგაკმენტილი და ლამაზს,
სანთელივით ანთებულ თვალებს უპყრობდა მოგუზ-
გუზე ცეცხლსა (ვაჟა, 215, 21-22);

ერთ დღეს ერთ გორაკზე იჯდა დაყუნთებული
მელია-კუდაგრძელია და ათვალიერებდა ქვეყნიერე-
ბას (ვაჟა, 186, 20-21);

დერეფანში იჯდა და ტაბაკსა სთლიდა (ვაჟა,
198, 19);

ბატონი გადაშეღეპილისა და გადატვეღეპილის
თავით სტუმრების თავით იჯდა და შეექცეოდა (ვა-
ჟა, 105, 19-20-21);

მხოლოდ ერთი წიფლის ჩიტა იჯდა პატარა
წიფლის შიმელზე დაღონებული ღაბუა, გულწითელი
და სტიროდა (ვაჟა, 152, 31-1);

გიჯექი

წყლის პირას გიჯექი და დიყის სტვირს ვაკე-
თებდი (ვაჟა, 33, 21-22);

მე ბუხარში გიჯექი და იქიდან ვუცქეროდი ამ
საშინელებას (ვაჟა, 68, 9);

ისხდნენ

... გამოქვაბულში, ისხდნენ ახალგაზრდა ბიჭები ცეცხლის წინ და მწვადებს აშიშხინებდნენ (აკაკი, 170, 1-2-3);

და-ძმა ძირს ეზოში ისხდნენ დიდ ფურცლის ქვეშ და დილის ჩაის შეექცეოდნენ (ილია, 411, 12-13-14);

ვისხედით

მე და ჩემი ამხანაგები დაბლა მიწაზე ვისხედით და გაწყობდით (ვაჟა, 169, 23-24);

უჯდა

ეხლა ამის ღვინის ურემზედ მისი უფროსი შვილი უჯდა და ხარ-კამეჩს ისა ჰხმარობდა (ილია, 265, 25-26);

გუბული კალთაში უჯდა თავის პაპას და მოუხვინრად ფეხებს უსვამდა დაბლა კერის პირზე (ვაჟა, 183, 16-17);

უსხდნენ

ყველანი ღამაზს, მდიდრულად მორთულს სუფრას უსხდნენ და ვახშამს შეექცეოდნენ (ვაჟა, 319, 14-15);

იწვა

იწვა და ჩუმ-ჩუმად კვნესოდა (ვაჟა, 238, 33);

იყო

ფეიქარ ხანი მოყვარული იყო ფალავნობისა და ხშირად ესწრებოდა ხოლმე ჭიდაობაზე (აკაკი, 149, 21-22);

ბერიძე ქეიფიანად იყო და თავისებურად სჯედავდა (ვაჟა, 180, 31);

გიგლა ჩუმად იყო და გულიანად უსომდა დუ-
მას ჩახმახს (ვაჟა, 116, 31-32);

თედე გულჩვილი სათნო კაცი იყო და ეხვეწე-
ბოდა ხალხს (ვაჟა, 110, 12);

ხევისბერი იყო და წმინდობდა (ვაჟა, 169, 5-6);

ერთი მათგანი, ახოვანი მოხუცებული გაჩუმებუ-
ლი იყო და თავისქნევით ეთანხმებოდა ახალგაზრდა
კაცს, გაცხარებით მოლაპარაკეს (აკაკი, 130, 33-34-35);

ბუხარი რცხილის კუნძებით იყო გამოტენილი
და საამურად ღუდღუდებდა (ვაჟა, 66, 3-4);

ვიყაგი

მე გარინდებული ვიყავ და ისე უგულოდ ვუყუ-
რებდი თითო-თითოდ გამომავალს ტუსალებს (ილია,
253, 9-10);

ეგდო

პირქვედამხობილი კედლისკენ ეგდო უძრავად
და ხვრინავდა (აკაკი, 157, 5-6);

მუცელა გულადმა ეგდო გაშხლართული და
ელოდა ანგელოზების მისვლას (ვაჟა, 331, 14-15);

თითო-ოროლა გატუსული ბოძიდა ეგდო და ბო-
ლი ასდიოდა (ვაჟა, 237, 1);

გეგდე

პირქვე გეგდე თვალებზე ხელებმიფარებული და
ბავშვივით ესტიროდი (ვაჟა, 298, 11-12);

ეყარნენ

საცოდავი პირუტყვები იქავ ურმის თვალთან
ეყარნენ და ზარმაცად იცოხნებოდნენ უილაჯობით
(ილია, 396, 7-8-9).

სტატიკურ ზმნათა ნამყი წყვეტილი და
დინამიკური ზმნა

იდგა

წყვეტილი – ხოლმეობითი

სასანთლის ქვემოთ მაღლობზე მამაჩემი იდგა
და გადმოყრიდა ბაღების სანუგეშოდა კვერებს (ვა-
ჟა, 181, 8-9);

წყვეტილი – II თურმეობითი

პაპა ჯოხდაბჯენილი იდგა და ბეწვგაყრეინებუ-
ლი ქუდი ეჭირა ხელში (ვაჟა, 25, 1-2);

ეჯდა

წყვეტილი – ხოლმეობითი

ის მაჯლაჯუნა სოფოს ეჯდა პირდაპირ და კა-
ტასავით მსუნაგის, ჭრიანტელისფერი თვალებით შე-
აცქერდებოდა ხოლმე (ვაჟა, 82, 20-21);

იყო

წყვეტილი – ხოლმეობითი

საწყალი მამაჩემი ოთხმოცდაათი წლის უკან
იყო და მაშინვე ლაპარაკს ნადირობაზე ჩამოგიგდებ-
და (ვაჟა, 72, 2-3-4);

იგი ვაჟკაცობის მიმდევარი იყო და წამოიკვნე-
სებდა ხოლმე ცხენზე ჯდომას, თოფის სროლას (ვა-
ჟა, 105, 21-22);

წყვეტილი – წყვეტილი

ზარნაშო იყო საშინელება ღამისა და ისიც და-
იკარგა (ვაჟა, 98, 6);

ლუარსაბი ჯერ კიდევ სიზმრის ამბავში იყო და
ხმა არ გასცა (ილია, 342, 8);

წყვეტილი – II თურმეობითი

რუსის ფარაჯის ნაგლეჯებში იყო გახვეული ის უბედური, ქვეშ ეშალა ლეკურ ნაბდის ნაგლეჯი (ილია, 190, 7-8-9);

ქორი იყო, იმას დაესაკუთრებინა ჩვენი ბინა (ვაჟა, 94, 3-4);

იყვნენ

წყვეტილი – II კავშირებითი

ისინი იყვნენ ამის აკვნად და ბოლოს საფლავადაც გადაექცნენ (ილია, 187, 15);

სტატიკურ ზმნიანი რთული თანწყობილი წინადადება უკავშირლ

იდგა

ის მღვდელი შუაში იდგა, ხალხი ბუზსავით ირეოდა იმის გარშემო (ილია, 201, 16-17);

საბა...დაჩოქილი იდგა ალგომის ხატთან, ცრემლი სიხარულისა ჩამოსიოდა და ხელაპყრობილი ევედრებოდა (ვაჟა, 83, 19-20-21);

ეგდო

გოჩი მისუსტებული ეგდო ერთი წელი, პირიდან დორბლი და ქაფი სდიოდა (ვაჟა, 39, 9-10);

იყო

დიდხანს იყო ისე პირქვე დამხობილი, მარტო ყრუ ქვითინი მისი მოგვესმოდა (ილია, 269, 6-7);

ჯერ მზე ისევ მაღლა იყო, კალოს ხარის გამოშვების დრო იქნებოდა (ილია, 189, 27-28);

იყვნენ

ამასთან ესენი გულდამშვიდებით იყვნენ, ამათ-
იმელი ჰქონდათ ამ დიდისტანისა და მშვიდის ფრინ-
ველისა (ვაჟა, 96, 35-36-37);

კავშირიანი

იჯდა

ოქროს კარავში კახეთის მმართველი აღ-ყული-
ხანი იჯდა და გარს დიდებულები ჰყავდა შემოხვეუ-
ლი (აკაკი, 149, 13-14-15);

იყო

ბუდე იმის გულის წყლული იყო და სტკიოდა
ეს წყლული (ვაჟა, 98, 11-12);

სიცოცხლით სავეს იყო ის არემარე, სად ცხვა-
რი და ძროხა იყო დაფენილი და გაჩაღებული სალა-
მურის ხმა ისმოდა, სად კივილი, მღერა და ხუმრობა
(ვაჟა, 100, 2-3-4-5);

სიბრალოული აღარსად იყო და მდინარეებს სის-
ხლის ღვარი ერთოდა (აკაკი, 141, 24-25);

მაშინ კახეთში თათრობა იყო და დიდი და პა-
ტარა იქ სპარსელების უღელს ეწეოდა (აკაკი, 136-
137, 37-1);

ბიძაჩემი ნინია განთქმული მონადირე იყო და
იმისი მოსვლა ერთიანად მიმატებდა სიხარულს (ვა-
ჟა, 70, 26-27);

სილამაზით ნაქები იყო და...სახელიც გატეხილი
ჰქონდა (აკაკი, 156, 4-5);

აქ არ ვიყავი, ჩემი აღა კარგა ხანი იყო კახეთ-
ში და მეც თან ვახლდი (ილია, 197, 32-33);

ვიყავ

ამ ყოფაში ვიყავ და ჯერ არსაიდამ ავი არა ის-
მოდა-რა (ილია, 237, 16).

**სტატიკურ ზმნათა ნამყო წყვეტილი
და დინამიკური ზმნა**

**უკავშირო
იყო**

წყვეტილი – აწმყო

დედაკაცი იყო, კურთხეულ არს სახელი მისი!
(ილია, 214, 4);

წყვეტილი – წყვეტილი

ის-ის იყო, მამა-ჩემი თვალით ვეღარ გნახე
(ილია, 195, 36);

სადამო ხანი იყო, მზეც გადაიხარა (ილია, 258, 4-5);

ის-ის იყო, ჩემს ბედს იმის ოდენა სიხარული
ვეღარსად დავსტყუე (ილია, 235, 3-4-5);

სამართალი უცხო ენაზე იყო, წირვა-ლოცვის
და გალობის კილო შეიცვალა, მღვდელმთავრების
მოადგილედ ახუნდები გახდნენ და მსაჯულ-მოძ-
ღვრებად მოლა-ყადები (აკაკი, 143, 8-9-10-11);

წყვეტილი – II თურმეობითი

მელი ძლიერ თავმოწონებით იყო, თავი კეისარი
ეგონა (ვაჟა, 101, 1-2);

ხევი ღრმა იყო, მზის სხივები ვერ ჩასწვდომო-
და, აქეთ-იქით ნაპირებზე ხეები ერთმანეთზე გადაკ-
ვანძულიყო წვერებით (ვაჟა, 15-16, 36-1-2);

აქ საშიში არაფერი იყო, მხვნელს დაჰვიწყებო-
და ძველი დაგლეჯილი გუდა და უარესად დაძველე-
ბული ქალამნები, ხუთგან ამოგლეჯილი ნაბდის ქუ-
დი და ჩოხის ნაგლეჯი (ვაჟა, 94, 18-19-20-21);

კავშირი და

წყვეტილი – მყოფადი

შენ ღვთის მსახური იყავ და მე კი შენი ვიქნები
(ილია, 210, 8);

წყვეტილი - წყვეტილი

ვაი, რა დღე იყო და რარიგად დამიღამა წუთი-სოფელმა (ილია, 234, 19-20);

შუაგულ ტყეში თურმე ერთი დიდი მინდორი იყო და იმას მიაშურა (აკაკი, 160, 28-29);

წყალი საშინლად ცივი იყო და გადმოგხტი ისევ უკან (ვაჟა, 16, 10-11);

ზოგირთი სულ სხვა აზრისა იყვნენ და მათ მხარი მისცა არაგვის ბატონმა ზაალ ერისთავმა ამ სიტყვებით (აკაკი, 179, 13-14-15);

წყვეტილი - II თურმეობითი

მზე იყო იმისი წმინდა სანთელი და კელაპტარი და დილის ნამს ორთქლზე საკმეველად შეექმნა (ილია, 259, 23-24);

ეს იყო პეპიას სული და გული და იმის მეტიც აღარავინ შერჩენოდა ახლად დაქვრივებულს პეპიას (ილია, 231, 31-32-33);

სტატიკურ ზმნიანი მაპირისპირებულკავშირიანი პატატაქსული კონსტრუქცია

მაგრამ

იყო

ერთ დროს საწერეთელში ბევრი გამოჩენილი აზნაური იყო, მაგრამ ბაქარა ბაქრაძეს კი ვერავინ შეედრებოდა (აკაკი, 134, 20-21);

ეს ხმა უფრო კვნესისა იყო, ვიდრე ჭუკჭუკისა და მხიარულებისა, მაგრამ არავის ესმოდა, გარდა ნიავისა და თვალგადაუწვდენლის მინდვრის მეტს (ვაჟა, 96, 17-18);

მთხოვნელი გულში ბევრი იყო დარეჯანისა, მაგრამ ვერავინ ჰბედავდა, გარდა ურჯუკისა (ვაჟა, 48, 10-11-12);

დიდსა და პატარას ყველას იცნობდა, ყოველ
ოჯახში შინაური იყო, მაგრამ არავის არ უყვარდა
(აკაკი, 155, 19-20-21);

წყვეტილი – I თურმეობითი

დავით აღმაშენებელიც მწერალი იყო, მაგრამ
სამეფოსათვის არა დაუკლია რა (აკაკი, 138, 28-29);

წყვეტილი – II თურმეობითი

ეს აბდუშაჰილი ერთი უთვისტომო ვინმე იყო,
მაგრამ თავისი ვაჟკაცობით პირველობა დაერჩინა
არდალაში და ფეიქარ-ხანის ცხენოსან ჯარის მეუფე-
როსობა ეშოვნა (აკაკი, 149, 32-33-34-35);

თანამიმდევრობა ზემოთ განხილულში მტკიცედაა
განსაზღვრული, სტატიკურ ზმნას ბუნებრივად მოსდევს
დინამიკური ზმნა-შემასმენელი. ასეთი თანამიმდევრობა
ლოგიკურია და აბსოლუტურად გამართლებული.

მიუხედავად ამისა, იშვიათად, მაგრამ მაინც
გვაქვს შემთხვევა, როცა ზმნა-შემასმენელთან თანამიმ-
დევრობა იცვლება: ჯერ დინამიკური ზმნაა შემდეგ –
სტატიკური. დინამიკური ზმნა-შემასმენელი ყოველთვის
წარსულდროიანი ფორმითაა გადმოცემული:

ნაცრისფერი **ჰქონდა** და უმანკო იყო (ვაჟა, 38, 32);

უმრევლოდ შეწუხებულნი, დაღონებულნი ჩვენი
მღვდელ დიაკვანიც თავის ცოლ-შვილით, თავიანთი
ტარასტით გამოსიზნულიყვნენ და თამარ მეფის დრო-
ინდელ, დანგრეულის ეკლესიის ძირებზე **ისხდნენ** (ვაჟა,
207, 23-24-25-26);

მე წაგიკითხე, ქართულად ნაწერი იყო (ილია, 251,
23);

ვევდრებოდნენ სოფლელები, მაგრამ სადღა იყო
გაკითხვა (აკაკი, 149, 1-2);

დაუფასეს ჩოლოყაშვილს სამსახური და ერთგულება, მაგრამ თვითონ ის კი ლოგინად იყო ჩავარდნილი (აკაკი, 173, 20-21-22).

სტატისტიკურ ზმნათა ნამყოფ წყვეტილი პარატაქსულ კონსტრუქციაში

№	სტატისტიკური ზმნა	დინამიკური ზმნა							საერთო რაოდენობა	
		აქცო	უწყვეტელი	მქცავადი	სხლმეზობითი	წყვეტილი	II კავშირებითი	I თურმეობითი		II თურმეობითი
1	იდგა		16		1				1	18
2	ვიდექი		1							1
3	იდგნენ		9							9
4	იდექი		1							1
5	იჯდა		19							19
6	ვიჯექი		2							2
7	ისხდნენ		2							2
8	ვისხედით		1							1
9	უჯდა		2							2
10	უსხდნენ		1							1
11	იწვა		1							1
12	იყო	1	19	1	2	10		1	8	41
13	ვიყავი		2							2
14	იყვნენ		1							2
15	ეკდო		4							4
16	ვებდე		1							1
17	ეყარნენ		1							1
18	ეჯდა				1		1			2
საერთო რაოდენობა		1	83	1	4	10	1	1	9	110
პროცენტულად:		1%	75%	1%	4%	9%	1%	1%	8%	100%

გაანალიზებული მასალებიდან ჩანს, რომ კომპონენტ ზმნა-შემასმენელთა თანამიმდევრობა განსაზღვრულია, ჯერ სტატისტიკური ზმნაა, შემდეგ დინამიკუ-

რი, რასაც განაპირობებს სტატიკურ ზმნათა სემანტიკა, კერძოდ, ჯერ გადმოცემულია საგნისა და მოვლენის ესა თუ ის მდგომარეობა, შემდეგ კი ამ მდგომარეობაში მიმდინარე მოქმედება.

ნათელია, რომ ნამყო წყვეტილის ფორმის მქონე სტატიკური ზმნა, უმთავრესად გვხვდება დინამიკურ ზმნათა ნამყო უწყვეტილის მწკრივთა თანამიმდევრობაში და სტატიკური ზმნები ბუნებრივად იგუებენ უწყვეტილის მწკრივს.

როგორც ერთგვარშემასმენლიანი, ისე რთული თანწყობილი წინადადებები, რომელშიც ერთ-ერთ ზმნა-შემასმენლად გვაქვს ნამყო წყვეტილის სტატიკური ზმნა, ყურადღებას იქცევს სინტაქსურ-მორფოლოგიური თვალსაზრისით, ასეთ სტატიკურ ზმნათა სემანტიკა უტოლდება უწყვეტილისას. ასე რომ, სტატიკურ ზმნათა ნამყო ფორმით წყვეტილია, ხოლო შინაარსით – უწყვეტელი.

აღსანიშნავია, რომ სტატიკურ ზმნას ბუნებრივად მოსდევს ნამყო-უწყვეტილის მწკრივის ჩვეულებრივი ზმნა-შემასმენელი. ეს ზმნები პარატაქსულ კონსტრუქციაში ერთმანეთს უმთავრესად უკავშირდებიან „და“ მაჯგუფებელი კავშირით ან უკავშიროდ.

საერთო დასკვნები

1. ქართული წინადადების კვლევას დიდი ხნის ისტორია აქვს. იგი ანტონ პირველის გრამატიკიდან იწყება. ამ დროიდან მოყოლებული მუდმივად შეისწავლებოდა ქართული წინადადების თავისებურებანი. დროთა განმავლობაში საგანგებოდ დამუშავდა წინადადების აგებულებისა და მექანიზმის საფუძვლები.

ქართული წინადადების მთავარი სტრუქტურული ღერძია ზმნა-შემასმენელი. იგი წინადადების ცენტრია, ძირითადი ბირთვია, დამოუკიდებელი სინტაქსური ერთეულია.

2. მონოპრედიკატულ წინადადებაში მონაწილეობს მხოლოდ ერთი ზმნა-შემასმენელი, რომელიც შეიძლება იყოს მონოპერსონალური ან პოლიპერსონალური. როცა ზმნა-შემასმენელი მონოპერსონალურია, წინადადების მექანიზმი მარტივია, ხოლო როცა ზმნა-შემასმენელი პოლიპერსონალურია, შედარებით რთულია მონოპრედიკატული წინადადების მექანიზმი. ზმნის პოლიპერსონალიზმი განაპირობებს მარტივი წინადადების სტრუქტურულ სპეციფიკურობას.

წინადადების სტრუქტურის მათრგანიზებელია ზმნა-შემასმენელი, ხოლო დანარჩენი წევრები – მთავარი თუ მეორეხარისხოვანი – ვერავითარ გავლენას ვერ ახდენს მონოპრედიკატული წინადადების აგებულებაზე. ჩვენი თვალსაზრისით მონოპრედიკატულ წინადადებად უნდა მიიჩნეოდეს ე.წ. შერწყმული წინადადება (ერთგვარშემასმენლიანი შერწყმული წინადადების გარდა), რადგან რამდენი ქვემდებარე, ირიბი დამატება, პირდაპირი დამატება, უბრალო დამატება, განსაზღვრება თუ გარემოებაც გინდა გვქონდეს, ვერ შეცვლის წინადადების სტრუქტურას, მის მექანიზმს. ასეთი სახის წინადადებები ჩვენ მარტივი წინადადების სახეობად მიგვაჩნია, ამიტომ, ისინი

ერთ ჭრილში უნდა განიხილებოდეს და იწოდებოდეს მონოპრედიკატულ წინადადებად. მარტივი და ერთშემასმენლიანი შერწყმული წინადადების ურთიერთშეჯერებით დგინდება, რომ ისინი თანაბარი სტრუქტურული ერთეულებია. ასე რომ, მონოპრედიკატული წინადადება აგებულებით, სტრუქტურითა და მექანიზმით არის მარტივი, განურჩევლად იმისა მის ზმნა-შემასმენელთან რაოდენობრივად რამდენი მთავარი (გარდა შემასმენლისა) თუ არამთავარი წევრია დაკავშირებული.

3. პარატაქსული კონსტრუქციის შემცველი ზმნა-შემასმენლები ძირითადად ერთი და იმავე მწკრივის ფორმით გადმოიცემა. მათ გვერდით ხშირია განსხვავებულ მწკრივთა თანამიმდევრობანი.

ერთგვარშემასმენლიან შერწყმულ და რთულ თანწყობილ წინადადებაში იდენტურია მწკრივთა თანამიმდევრობის მოდელები კავშირების გათვალისწინებით. ამ მხრივ არსებითი სხვაობა არ შეინიშნება.

პარატაქსულ კონსტრუქციაში წარმოდგენილი ზმნა-შემასმენლები შეთანხმების ძირითად წესს მისდევს. მოდელებიდან ჭარბობს: წყვეტილი – წყვეტილი, მას მოსდევს უწყვეტელი – უწყვეტელი და აწმყო – აწმყო. პარატაქსულ კონსტრუქციაში პირველი წინადადების ზმნა-შემასმენლად შეიძლება შეგვხვდეს ყველა მწკრივის ფორმა, მეორე წინადადების ზმნა-შემასმენლად იმავე მწკრივის ფორმა ჩანს, მაგრამ არც თუ იშვიათად ვხვდებით სხვა შემთხვევებსაც. ერთმანეთის გვერდით ლაგდება სხვადასხვა დროის მწკრივები, მაგალითად: წყვეტილი – აწმყო, წყვეტილი – მყოფადი, II კავშირებითი – ხოლმეობითი და ა.შ. უნდა ითქვას, რომ პარატაქსულ კონსტრუქციაში ზმნა-შემასმენელთა ერთი დროის ფარგლებში შეთანხმების წესი ძირითადად დაცულია.

4. პარატაქსულ კონსტრუქციაში საინტერესო აღმოჩნდა და აქედან ჩვენი ყურადღება მიიქცია მწკრივთა სემანტიკური ურთიერთმიმართების საკითხმა სტატიკურ ზმნასთან. აღმოჩნდა, რომ სათანადო ვნებითის ფუძიდან ნასესხებ ნამყო წყვეტილის ფორმის სტატიკურ ზმნა-შემასმენელს, აბსოლუტურ უმრავლესობაში, მოსდევს დინამიკურ ზმნათა ნამყო უწყვეტელი; მაგალითად:

იდგა და: ბუტბუტებდა, ელაპარაკებოდა, ჰფიქრობდა, გვიგდებდა, არ ინძრეოდა, იცოხნებოდა, დაგორავდა...

იჯდა და: მიჰყვებოდა, ურევდა, შეექცეოდა, ათამაშებდა, აბოლებდა, ეპყრობოდა, ათვალიერებდა, სთლიდა თბებოდა ...

იწვა და: კენესოდა...

იყო და: ესწრებოდა, ეთანხმებოდა, დუღდუღებდა, წმინდობდა, უსომდა, ეხვეწებოდა, სჭედავდა, სტკიოდა, ისმოდა...

ეგდო და: ხვრინავდა, ასდიოდა, სდიოდა...

დამოწმებული ნიმუშები ცხადყოფს იმ დებულებების ჭეშმარიტებას, რომ სტატიკურ ზმნათა ნამყო ფორმით წყვეტილია, ხოლო შინაარსით უწყვეტელი.

რიგ შემთხვევაში სტატიკურ ზმნასთან დინამიკური უწყვეტლის ნაცვლად გვხვდება სხვა მწკრივის ფორმაც. ესენია: აწმყო, მყოფადი, ხოლმეობითი, წყვეტილი, II კავშირებითი, I თურმეობითი და II თურმეობითი.


5. ერთგვარშემასმენლიანი შერწყმული და რთული თანწყობილი წინადადების განხილვისას მკვლევარები მიუთითებენ, რომ ასეთ წინადადებათა კომპონენტებს აქვთ საერთო ანუ საზიარო სიტყვა, მისამართი წევრი, რომელიც მეორდება ან იგულისხმება იმავე ან სხვადასხვა წევრად. „მისამართი წევრის“ ფუნქცია წინადადების აგებულების დადგენაში მნიშ-

ვნელოვანია. მისამართ წევრთა და ზმნა-შემასმენელთა ურთიერთობით დგინდება შერწყმულ და თანწყობილ წინადადებათა სტრუქტურული ურთიერთმიმართებანი.

მისამართი წევრი შეიძლება იყოს: ოდენ ქვემდებარე, ოდენ ირიბი დამატება, ოდენ პირდაპირი დამატება, ქვემდებარე და ირიბი დამატება, ქვემდებარე და პირდაპირი დამატება, ან ერთდროულად ქვემდებარე, ირიბი დამატება და პირდაპირი დამატება.


ა) შემასმენელთათვის საერთო მისამართი წევრია ოდენ ქვემდებარე:

დათიკო ყოველ დილით სკოლაში მიდიოდა, სადილად შინ მოვიდოდა, სადილს-უკან წავიდოდა, ზარების დარეკვის დროს ისევ შინ ბრუნდებოდა (ილია, 196, 16-17-18);



ბ) შემასმენელთათვის საერთო მისამართი წევრია ოდენ ირიბი დამატება:

აქ მეტის გულის ამოჯდომისაგან საწყალს ხმა ჩაუწყდა, სიტყვა შეეკრა და ენა დაემა (ილია, 241, 3-4);



გ) შემასმენელთათვის საერთო მისამართი წევრია ოდენ პირდაპირი დამატება:

ან ბრაზიანმა ძაღლმა არ დაგგლიჯოს, ან გველმა არ დაგკბინოს (აკაკი, 397);

ძაღლმა _____ არ დაგგლიჯოს
 გველმა _____ არ დაგკბინოს _____ [შენ]

დ) შემასმენელთათვის საერთო მისამართი წევრია ერთდროულად ქვემდებარე და ირიბი დამატება: გამოეცალა ხელიდან თამრო და გაექცა მამას (ილია, 246, 22);

თამრო \swarrow გამოეცალა \searrow
 _____ გაექცა _____ მამას

ე) შემასმენელთათვის საერთო მისამართი წევრია ერთდროულად ქვემდებარე და პირდაპირი დამატება:

ცხენოსანმა მისი ბედაური გააჭენ-გამოაჭენა ჭალებში, გაახურვა და წამოიყვანა პირდაპირ მდინარისაკენ (აკაკი, 125, 6-7);

ცხენოსანმა \swarrow გააჭენ-გამოაჭენა \searrow
 _____ გაახურვა _____ ბედაური
 _____ წამოიყვანა _____

ვ) შემასმენელთათვის საერთო მისამართი წევრია ერთდროულად ქვემდებარე, ირიბი დამატება და პირდაპირი დამატება:

უბრძანა ერისთავმა და მიუთითა სკამზე (აკაკი, 120, 33-34);

ერისთავმა \swarrow უბრძანა \searrow
 _____ მიუთითა _____ [მას] _____ [ის]

6. პარატაქსულ კონსტრუქციაში ქართული ზმნის მრავალპირიანობიდან გამომდინარე ერთმანეთის გვერდით ბუნებრივად დგანან პირთა რაოდენობის გარდამავლობისა და გვარის მიხედვით განსხვავებული ზმნა-შემასმენლები. ქვემდებარე ბრუნვაში ანგა-

რის უწევს არა მხოლოდ უახლოეს შემასმენელს, არამედ პარატაქსულ კონსტრუქციაში წარმოდგენილ ყველა ზმნა-შემასმენელს ცალ-ცალკე. ისინი ერთმანეთთან დაკავშირებულნი არიან თანწყობით და ქმნიან პარატაქსულ კონსტრუქციას. აქედან გამომდინარე, დაუშვებელია, ე.წ. ერთგვარშემასმენლიანი შერწყმული და რთული თანწყობილი წინადადების ერთმანეთისაგან გამიჯვნა, რადგან ისინი ერთი და იგივე სინტაქსური ოდენობაა, ისინი ქმნიან პარატაქსულ კონსტრუქციას. ამას ადასტურებს პრედიკატული ცენტრების არსებობა; მაგალითად:

ცალი ფეხი დაჰკრა ფაშვზე, გადახტა და გავარდა წრიდან (აკაკი, 150, 15 - 16)

გამარჯვებულმა ცალი ფეხი დაჰკრა ფაშვზე;

გამარჯვებული გადახტა;

გამარჯვებული გავარდა წრიდან.

წინადადებაში იმდენი პრედიკატული ცენტრია, რამდენიცაა ზმნა-შემასმენელი. თანწყობის საფუძველზე გაერთიანებული ცენტრები ქმნიან პარატაქსული კონსტრუქციის წინადადებას.

ამრიგად, ირკვევა, რომ ერთგვარშემასმენლიანი შერწყმული წინადადება დამოუკიდებელი სტრუქტურული ერთეული არ არის, იგი თანწყობილი წინადადების სახეობაა და სტრუქტურულად იდენტურია რთული თანწყობილი წინადადებისა, ამიტომ, მათ განვიხილავთ ერთ საერთო — პარატაქსულ კონსტრუქციად.

ყველა სახის პარატაქსულ კონსტრუქციაში გვაქვს მწკრივთა იდენტური თანამიმდევრობანი. აღნიშნულ კონსტრუქციაში გამოყენებულია ერთგვარი საკავშირებელი საშუალებანი: კომპონენტები ერთმანეთს მიემართება უკავშიროდ ან მაერთებელი კავშირებით.

7. ჰიპოტაქსური კონსტრუქციის კვლევისას ჩვენი მიზანი იყო მთავარსა და დამოკიდებულ წინადადებაში შეფარდებითი მოდელების ჩვენება. დადგინდა, რომ მთავარი და დამოკიდებული წინადადებების ზმნა-შემასმენელთა მწკრივის არჩევანი ნებისმიერი არ არის. მას ძირითადად განსაზღვრავს მთავარი წინადადების ზმნა-შემასმენლის მწკრივი.

8. ჰიპოტაქსურ კონსტრუქციაში მწკრივთა შესაძლო შეფარდებითი მოდელები მრავალფეროვან სურათს იძლევა. ზოგი მოდელი მეტად გავრცელებულია (აწმყო – აწმყო, უწყვეტელი – უწყვეტელი, უწყვეტელი – წყვეტილი, წყვეტილი – წყვეტილი ...), ზოგიც იშვიათად გვხვდება (აწმყო – I თურმეობითი, II კავშირებითი – მყოფადი, II კავშირებითი – უწყვეტელი...).

თითოეული ტიპი ჰიპოტაქსური კონსტრუქციის შიგნით მოდელთა შექმნის განსხვავებულ ვითარებას გვიჩვენებს. მწკრივთა მრავალფეროვანი შეფარდება განსაზღვრებით და დროის გარემოებით დამოკიდებულ წინადადებებში.

ჰიპოტაქსურ კონსტრუქციაში დავადასტურეთ მწკრივთა შეუძლებელი კომბინაციები:

1) ქვემდებარული დამოკიდებული წინადადების შემცველ ჰიპოტაქსურ კონსტრუქციაში: I თურმეობითი – აწმყო, I თურმეობითი – აწმყოს კავშირებითი, I თურმეობითი – მყოფადი, I თურმეობითი – III კავშირებითი; II თურმეობითი – აწმყო.

2) პირდაპირ დამატებითი დამოკიდებული წინადადების შემცველ ჰიპოტაქსურ კონსტრუქციაში: უწყვეტელი – II კავშირებითი.

3) დროის გარემოებითი დამოკიდებული წინადადების შემცველ ჰიპოტაქსურ კონსტრუქციაში: მყოფადი – II თურმეობითი, ხოლმეობითი – II თურმეობითი, I თურმეობითი – მყოფადი.

4) მიზნის გარემოებითი დამოკიდებული წინადადების შემცველ ჰიპოტაქსურ კონსტრუქციაში: უწყვეტელი - II კავშირებითი და ხოლმეობითი - II თურმეობითი.

5) მიზნის გარემოებითი დამოკიდებული წინადადების შემცველ ჰიპოტაქსურ კონსტრუქციაში: აწმყო მყოფადის კავშირებითი და II კავშირებითი - II თურმეობითი.

სხვადასხვა სახის დამოკიდებული წინადადების შემცველ ჰიპოტაქსურ კონსტრუქციაში მთავარი წინადადების ზმნა-შემასმენლად შეიძლება შეგვხვდეს ყველა მწკრივის ფორმა. ყველა მწკრივის ფორმაა მოსალოდნელი დამოკიდებულშიც. მთავარი და დამოკიდებული წინადადების ზმნა-შემასმენლები ერთმანეთს ეფარდებიან ძირითადად ერთი დროის ფარგლებში. ეს დრო შეიძლება იყოს ახლანდელი, წარსული და მომავალი. ზმნა-შემასმენლები ერთმანეთს შეიძლება შეეფარდნენ სხვადასხვა დროშიც. მაგალითად:

ა) მთავარში ახლანდელი დროა, დამოკიდებულში - წარსული;

ბ) მთავარში ახლანდელი დროა, დამოკიდებულში - მომავალი;

გ) მთავარში წარსული დროა, დამოკიდებულში - ახლანდელი;

დ) მთავარში წარსული დროა, დამოკიდებულში - მომავალი;

ე) მთავარში მომავალი დროა, დამოკიდებულში - წარსული;

ვ) მთავარში მომავალი დროა, დამოკიდებულში - ახლანდელი.

საინტერესო სურათი გვიჩვენა მიზნის გარემოებითი დამოკიდებული წინადადების შემცველმა ჰიპოტაქსურმა კონსტრუქციამ. აქ შედარებით ნაკლება-

დაა მოსალოდნელი ზმნა-შემასმენელთა შეფარდება სხვადასხვა დროის ფარგლებში. გამოვლინდა ორი შემთხვევა:

ა) მთავარში ახლანდელი დროა, დამოკიდებულში – მომავალი;

ბ) მთავარში წარსული დროა, დამოკიდებულში – მომავალი.

9. მწკრივისა და დროის ურთიერთმიმართება პარატაქსულსა და ჰიპოტაქსურ კონსტრუქციებში საინტერესო სურათს იძლევა. ესა თუ ის მწკრივი დროის გამოხატვის თვალსაზრისით, განსხვავებულ უნარსა და სხვადასხვა შესაძლებლობებს ავლენს. მწკრივს ძირითადი დროული მნიშვნელობის გვერდით ზოგჯერ აქვს უნარი გამოხატოს სხვა არაძირითადი დრო. თითოეულ მათგანს შესწევს ძალა, გვიჩვენოს ორი ან სამი დრო. ზოგიერთი მწკრივი საერთოდ დაცლილია დროული გაგებისაგან და ე.წ. „ზოგადი აწმყოს“ მნიშვნელობის მატარებელია.

როგორც პარატაქსულ ისე ჰიპოტაქსურ კონსტრუქციაში:

აწმყო იხმარება: ახლანდელი, წარსული და მომავალი დროის მნიშვნელობით, ზოგჯერ იგი დაცლილი ჩანს დროული მნიშვნელობისაგან, ზოგჯერ კი კარგავს კონკრეტული დროის გაგებას და გამოხატავს ისეთ მოქნედებას, რომელიც შეიძლება პერიოდულად განმეორდეს. ამ შემთხვევაში ზმნის ფორმას ერთვის „ხოლმე“ ნაწილაკი. ხან კი „ზოგადი აწმყოს“ მნიშვნელობით იხმარება.

უწყვეტელი – დროის გამოხატვის თვალსაზრისით ერთადერთი ყველაზე ნათლად გამოკვეთილი მწკრივია, იგი ყველა ტიპის წინადადებაში წარსული დროის მნიშვნელობისაა.

აწმყოს კავშირებითი – მისი დრო ახლანდელი ან მომავალია, კილო კავშირებითი ან ბრძანებითი.

მყოფადი – მომავალი ან ახლანდელი დროის მნიშვნელობით იხმარება. პარატაქსულ კონსტრუქცი-
აში კილო თხრობითია ან ბრძანებითი აქვს, ჰიპო-
ტაქსურში კი მთავარში – ხან თხრობითია, ხან
ბრძანებითი, დამოკიდებულში ყოველთვის თხრობი-
თი კილოს მნიშვნელობისაა.

მყოფადი ზოგჯერ გამოხატავს „ზოგად აწმყოს“,
ხან ზმნის ფორმა „ხოლმეს“ გაგების მქონეა და
კონტექსტის მიხედვით წარსულში მომხდარ ფაქტს
გადმოგვცემს.

ხოლმეობითი – დროის მიხედვით წარსულია,
კილოს მიხედვით – თხრობითი, გზისობის მიხედვით
მრავალგზისი.

მყოფადის კავშირებითი – დროის მიხედვით მო-
მავალია, კილოს მიხედვით კავშირებითი. ეს მწკრივი
იშვიათად გვხვდება, ზოგიერთი ტიპის შიგნით საერ-
თოდ არ ჩანს.

წყვეტილი – დრო – წარსული, კილო – თხრო-
ბითი ან ბრძანებითი, წყვეტილს ზოგჯერ აქვს მომა-
ვალი დროის მნიშვნელობაც.

II კავშირებითი – მისთვის ნიშანდობლივია მო-
მავალი ან ახლანდელი დროის გამოხატვა, კილო კი
კავშირებითი ან ბრძანებითი აქვს. ზოგჯერ II კავში-
რებითს აქვს აწმყოში სავარაუდო მოქმედების მნიშ-
ვნელობა. ზოგჯერ კი ჭირს მისი ზუსტი დროული
მნიშვნელობის დადგენა.

I თურმეობითი – ამ მწკრივს პარატაქსულსა და
ჰიპოტაქსურ კონსტრუქციებში შესწევს უნარი გამო-
ხატოს სამივე დრო: ახლანდელი – აწმყოში სავარა-
უდო მოქმედება, რომელსაც აქვს ხან „ზოგადი აწ-
მყოს“, ხან კი „შედგობითი აწმყოს“ მნიშვნელობა,
წარსული და მომავალი.

II თურმეობითი – მისი დრო წარსულია, კილო თხრობითი ან კავშირებითი, იგი გადმოგვცემს მომავალ დროსაც წარსულის თვალსაზრისით.

III კავშირებითი – ეს მწკრივი დავადასტურეთ მხოლოდ ჰიპოტაქსურ კონსტრუქციაში, მას აქვს წარსული დროისა და კავშირებითი კილოს მნიშვნელობა. ზოგიერთი ტიპის შიგნით საერთოდ არც ჩანს.

საერთოდ, მწკრივის დროულის მნიშვნელობის დასადგენად დიდი როლი ენიჭება კონტექსტს.

10. ტრადიციული გაგებით წინადადება აგებულია მიხედვით არის მარტივი, შერწყმული და რთული. ეს უკანასკნელი ორი სახისაა: რთული თანწყობილი და რთული ქვეწყობილი. სამივე სახის წინადადების მაორგანიზებელი ცენტრია ზმნა-შემასმენელი. იგი განსაზღვრავს წინადადების სტრუქტურასა და კონსტრუქციას, მის შედგენილობასა და მექანიზმს.

მიგვაჩნია რომ ე.წ. შერწყმული წინადადება ან მარტივი წინადადების ერთ – ერთი სახეა, ან თანწყობილისა. ე.წ. ერთგვარშემასმენლიანი შერწყმული წინადადება არ უნდა გაემიჯნოს რთულ თანწყობილ წინადადებას, რადგანაც მათ აქვთ ერთი საეთო სინტაქსური საფუძველი – პარატაქსული კონსტრუქცია. ხოლო სხვა ე.წ. ერთშემასმენლიანი შერწყმული წინადადებები კი მონოპრედიკატულ წინადადებად უნდა მივიჩნიოთ.

